მამია ასათიანი

მოთხრობები

თბილისი
საბჭოთა მწერალი
1955

აკვნების ოსტატი

ომის შემდეგ ნინოშვილის ქუჩა ქუთაისში ორმა დიდმა გზატკეცილმა გადასჭრა. ერთი იქ, სადაც წინათ ამ ქუჩის მეათე შესახვევი იყო, მეორე — სულ ბოლოში. პირველი ქუჩა ახალი სტადიონისკენ ლარივით გამართეს, მეორე კი ტროლეიბუსების ხაზისათვის მოამზადეს. სწორედ იქ, სადაც პირველი მაგისტრალი თავს იდგამს ნინოშვილის ქუჩაზე, ცხოვრობს ოსტატი ივანე სვანაძე.

ივანეს სახელოსნოს წინ ყოველთვის ახალი აკვანი იდგა. ქვემო სოფლებიდან წამოსული კოლმეურნეები ყოველთვის მისი სახელოსნოს წინ გამოივლიან. აკვანიც დგას ყველას თვალგასახარად. მგზავრები ისეთი ღიმილით გადახედავენ ხოლმე აკვანს, თითქოს ყველა ოჯახის ბედნიერება ამ აკვნიდან იწყებოდეს.

ივანეს აკვნები არ ჰგავდა სხვა არც ერთი ოსტატის ნაკეთებ აკვნებს. ივანე ზოგი აკვნის რიკულზე მზეს ამოსჭრიდა, ზოგზე მთვარეს. ხან კიდევ ბარტყებით სავსე მერცხლის ბუდეს ამოხატავდა, ან მზის სხივებში აფეთქებულ მტრედებს. რამდენს შეუქია ივანეს ოსტატობა. ერთმა ისიც უთხრა, შენი აკვნის რიკულზე ამოჭრილმა მტრედმა ჩემს ბავშვს ღიმილიც კი ასწავლაო.

— იცნობენ ოსტატს და უღიმიანო, — ხუმრობდა მოხუცი.

ძველი კაცია ივანე. თეთრი წვერი ქამრამდე წვდება. არც

თუ ისე მაღალია, მაგრამ ერთობ ჩასკვნილი, ფართო მხარბეჭიანი. მსხვილი თითები ისე აქვს სახსრებში მოხრილი, თითქოს არასოდეს არ გაემართოს, შალაშინსა და ჭიბოსანს თავისი კვალი დაუსვია. პატარა სადურგლო ნაჯახი მის ნაფიქრს კალმის წვერივით ემორჩილება.

მოხუცს შეუძლია მთელი დღე გატაცებით გესაუბროს ხის სხვადასხვა ჯიშებზე.

— ხე, შვილო, ადამიანივითაა, სიცოცხლის წყურვილითაა სავსე და გამუდმებით შრომაში მყოფი. ავადმყოფობაც ბევრი იცის ხემ. ბატონებიც კი იცის, — წითელას მსგავსი. ტანი ისე გაუწითლდება ფიჭვს, თითქოს წითელ ღვინოში ამოავლესო. ზეზეურად ხმება, თითქოს ჭლექი შეპარვოდეს. ასეთ ხეს შალაშინი არ ეკარება, ნაჯახქვეშ იქერცლება, თუთუნის სენიც იცის ხის ტანმა. ხელის გულზე მოფშვნილ თამბაქოს მტვერივით გაუხდება გულბოყვი. ხის მოჭრას თავისი დრო აქვს. დროზე მოჭრილი ხე კარგი და გამძლეა. ნორჩი ხე ლორთქოა და რბილი, დროგადაცილებული კი მობერებულია, სიცოცხლისაგან გამოფიტული. კარგი აკვანი ცაცხვისაგან კეთდება. რამდენად დრო გადის, ელვარება და სილამაზე ემატება. რწევის დროს რბილხმიანი, ხავერდოვანი, დედის ნანასავით ტკბილმოუბარია. არტახების დასაქაჩი თითები კი სხვა ხის უნდა, რომ მუხლი არ დაუმძიმოს ბავშვს, თელაც კარგია სააკვნოდ, მაგრამ კილი უჩნდება. როცა ეს ხის ჭია შეძვრება აკვნის გამხმარ სხეულში, ხრავს და ხრავს თელის მასალას, ბავშვიც სწუხს და არ ეძინება. ცაცხვის მასალას ჭია არ ეკარება. მისი საოცრად მაგარი ყბები უღონოა ამ ხის ქსოვილთან. ამიტომ არის ცაცხვის აკვანი კარგი.

* * *

ომმა გატეხა მოხუცი, მოაკლდა აკვნის მუშტარი.

ვაჟკაცები ომში იყვნენ, ხოლო ქალები კოლმეურნეობებსა და წარმოებებში მუშაობდნენ.

იჯდა მოხუცი სახელოსნოს წინ სამფეხა პატარა სკამზე და მოწყენილი სახით გაჰყურებდა ქუჩას.

გამოცივდა ივანეს სახელოსნო ზამთარში ცეცხლის დასანთები ბურბუშელაც აღარ ეშოვებოდა. წინათ მეზობლებს ეხვე-

წებოდა — წაიღეთ, ოჯახში გამოიყენებთო. ომის დაწყებამდე ამ ქუჩის ყველა ბავშვი მისი სტუმარი და მეგობარი იყო. ზოგს პატარა ჩაქუჩს გამოუთლიდა, ზოგს ნავს, ზოგს კიდევ დედოფალას ჩასაწვენ აკვანს. ახლა მასთან მეზობლებიც და ბავშვებიც ი"შვიათად შემოდიოდნენ.

სახელოსნოს ახლოს ერთი მეზობელი ცხოვრობდა. ყოველ დილით უთენია გარბოდა ქალაქის სხვადასხვა უბნებში. პირველად იგი გაიგებდა შაქარი სად რიგდებოდა და ცხიმი. ერთი კილოს მაგივრად ოთხს იშოვნიდა. მეზობლებში სისხლის ფასად ყიდდა. თუ ვინმეს შიში ჰქონდა, ფასს დაუკლებდა და თან დააყოლებდა, — კარგი მეზობელი ხარ, ეს ჩემთვის ძლივს ვიშოვნე, მაგრამ მაინც დაგითმობ, თუ ძმა ხარ, არსად თქვა, თორე? შენც შარში ჩაიგდებ თავს და მეც დამღუპავო.

ერთ დღეს ეს მეზობელი სახელოსნოში შემოვიდა.

— სკამები არ მაქვს, ჩემო ივანე, შენი ჭირიმე, გამიკეთე. შემდეგში, იქნებ, დიდი განჯინა გაგაკეთებინო.

მორიგდნენ.

ოფლში იწურებოდა მოხუცი. ხუთი დღის საქმე სამ დღეში მოათავა. მეთორმეტე სკამს რომ აკეთებდა, კვლავ ესტუმრა მეზობელი. გაკეთებული სკამები შეათვალიერა. ხელით სინჯავდა, ცალ-ცალი ფეხით ურაკუნებდა იატაკზე, როგორც ეტყობა მეზობელმა მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ სკამების ძეტი აღარაფერი იყო სახელოსნოში. ივანემ გულისტკივილით აუხსნა მიზეზი.

— ომია, შვილო, უკაცოდ დარჩენილ ოჯახებს აბა რა ეშმაკად უნდათ აკვნები!

— მერე, შე კაცო, რატომ სხვა არაფერს არ გააკეთებ. აი, თუნდ კუბოებს.

ივანეს ტანში გააჟრიალა.

— რა თქვი?! — შეეკითხა გაოცებით.

— რა ვთქვი და, რატომ კუბოებს არ აკეთებ-მეთქი?

— რამ გათქმევინა ეს, შე კაი კაცო!

— რატომ გაგიკვირდა, ფულის საქმეა, ადამიანო!

— მე მთელი ჩემი სიცოცხლე აკვნებს ვყიდდი და ახლა სად წავიღო კუბოში აღებული ფული?

— შე კაცო! თეოფილე სინაურიძის შვილის ამბავი ხომ გაიგე? მოუკლავთ, ხომ ხედავ. ომია.

— მე კი იმ ბიჭის შესახებ არაფერი ვიცოდი, — ყრუდ ჩაილაპარაკა მოხუცმა და ერთ ხანს უხმოდ იჯდა, ფიქრში წასული, მერე ნელა წამოდგა, მეზობელს ბრაზით შეანათა თვალები და წყნარად, მაგრამ ზიზღით უთხრა:

— მერე იცი, ვის გაკეთებულ აკვანში იწვა ი ბიჭი?! იცი, მე და მამამისს რამდენი ღვინო შეგვისვამს, სანამ იგი აკვნიდან ლოგინში გადაწვებოდა?! არა, მეზობელო! აკვნების ოსტატი კუბოებს ვერ გააკეთებს, — ჩაფიქრდა მოხუცი და თვალებანთებულმა განაგრძო. — არა, ბიძია, მე აკვანს ვაკეთებ, სიცოცხლის ბუდეს ვძერწავ. რამდენი ბავშვი იბადება, იმდენი ჩემს სიცოცხლეს ემატება რაღაც ბედნიერი ნაწილი. კუბოები კი, — მრისხანედ აენთო მოხუცის სახე, წამოდგა. — ახლა მე სახელოსნოს ვკეტავ, შენთვის არ მცალია, საქმე მაქვს, საჩქარო საქმე. — დარაბები და კარები ერთბაშად მიხურა და გაოგნებული მუშტრის ცხვირის წინ ბოქლომი სახელოსნოს ისე დაადო, თითქოს სამუდამოდ დაეხუროს იგი.

* * *

ათას ცხრაას ორმოცდაათი წლის გაზაფხულზე გეგუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გაქაფული ცხენი მოაგდო ივანეს სახელოსნოს წინ.

— ბიძია ივანე, — უთხრა თავმჯდომარემ ოსტატს, — დიდი დავალება მომცეს ჩემმა სოფლელებმა შენთან. ოცდაათი აკვანი უნდა გამიკეთო, მაგრამ ძველებური აკვნები კი არა, პატარა საწოლები. სისხლმა რომ თავისუფლად იჩქრიალოს ბავშვების სხეულში. მალე უნდა დამიმზადო იცოდე.

ორი აკვანი ტყუპებისათვის ბევრჯერ დაუკვეთიათ ივანესათვის, მაგრამ ოცდაათი აკვანი ერთ დღეს, ერთ ადამიანს რომ მოეთხოვოს, ეს ამბადაც არ გაუგონია არასოდეს. თავმჯდომარემ მოხუცის გაოცებულ სახეს ღიმილით შეხედა.

— რაა, გაგიკვირდა?! არაფერია. სტუმრად მოხვალ და ნახავ, — უთხრა თავმჯდომარემ მოხუცს, — როგორც კი დაამზადებ საწოლებს, შემატყობინე და მანქანას გამოვგზავნი.

* * *

კოლმეურნეობის შოფერმა მოსაწვევი ბარათი მაშინ მისცა ივანე სვანაძეს, როცა მანქანა აკვნებით დატვირთა. ეს იყო ხუთშაბათ დღეს. კვირას გეგუთში საბავშვო ბაგის საზეიმო გახსნა იყო დანიშნული.

* * *

იმერეთის ზაფხული იმერელივით ფიცხია. ეს დღეც ელვარე და მცხუნვარე გათენდა.

მოხუცმა ოსტატმა წვერი ჩამოივარცხნა, ქამარი შემოირტყა და შავი ბოხოხი დაიხურა. ხელჯოხიც მოიმარჯვა, მაგრამ ჭიშკრიდან უკანვე გადმოაგდო, ამ ბედნიერ დღეს გეგუთში ჯოხდაბჯენილი მისვლა სასირცხვოდ ეჩვენა. ჭიშკარი მიიხურა და ნინოშვილის ქუჩას დაადგა.

მანქანები სწრაფად გარბოდნენ მანქანათმშენებელი ქარხნისაკენ.

ივანე დინჯად მიჰყვებოდა ქვაფენილს.

ხელმარჯვნივ დიდმა და ფართო ქუჩამ შემოანათა მოხუცს. შორს, ქუჩის ბოლოში, უზარმაზარი ნაგებობები მოჩანდა. სწორედ აქ უხვევდნენ დატვირთული მანქანები გეგუთისაკენ.

რკინის ბოძებზე ტროლეიბუსისათვის გაჭიმული მავთულები საოცრად ბრჭყვიალებდნენ, ბოძებს გასაფრენად მომზადებული ორბებივით გაეშალათ ფრთები.

გზა შესანიშნავად იყო მოკირწყლული. ახლად დათხრილი ხის ფესვები, მორების გადანაჭერი ნარჩენები თუ უზარმაზარი, ფიცრისაგან შეკრული მავთულის დასახვევი მორგვები აქა-იქ გზის პირას იყო მიყრილი.

ივანეს ბავშვივით ახარებდა ტროლეიბუსების ხაზის გაყვანა. ან როგორ არ გაეხარდებოდა! მისი სახლიდან მწვანე ბაზრამდე ერთ საათს უნდებოდა მისვლას მოხუცი. ახლა კი რამდენიმე წუთში შეეძლო ამ მანძილის გავლა.

როცა ტროლეიბუსების პირველი ხაზი გაიყვანეს, ივანე ერთ-ერთი პირველი ჩაჯდა ტროლეიბუსში.

სუფთად ჩაცმულმა კონდუქტორმა ღიმილით ახედა მოხუცს:

— რაო, ბაბუა, მოგწონს?

ივანემ ხმა არ გასცა. იგი სავარძელში ჩამჯდარი, ჩუმად, სათუთად სინჯავდა რბილი ტყავის სავარძლებს.

„კარგი ოსტატები ყოფილან! — ფიქრობდა მოხუცი, — მაინც, როგორ აკვანივით ირწევა ეს დალოცვილი“.

ბროწეულას სადგურიდან წინაველისაკენ გადაუხვია და რკინიგზას სადგურ რიონის მიმართულებით გაჰყვა. გელათისა და გოდოგნის გორაკებზე მზის შუქი თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. რკინიგზის გადაღმა, გეგუთის მხარეზე გადაიხედა, ახალ შენობებს შეხედა და გაოცდა. მოხუცმა კარგად იცოდა, რომ აქ გასულ წელს ერთი სახლიც არ იდგა. ახლა კი უზარმაზარი ფართობი ლამაზად შემოერაგვათ, შიგ ტრაქტორები და მანქანები დაქოთქოთობდნენ. ახლად აშენებული სახლების გვერდით ხარაჩოების მთელი ტყე მოჩანდა.

მოხუცმა მკლავებდაკაპიწებული ახალგაზრდა შეაჩერა:

— რას აკეთებთ, ბაბუა, აქ?

— აქ, ბაბუა, ტყის საცავის სანერგეა, — უპასუხა ყმაწვილმა. — აქედან ახალი ტყეების სხვადასხვა ჯიშები უნდა გავრცელდეს მთელ ამ ველზე.

მოხუცი ღობეს მიუახლოვდა, ნარგავებს დახედა. ფოთლებს დააკვირდა. თელა, ფიჭვი, კაკალი... რა კარგი ვქენი, რომ აქეთ წამოვედიო, — ფიქრობდა მოხუცი.

თამარის ნადარბაზევამდე თავი არ აუწევია მოხუცს. იგი ისევ ტყეების უზარმაზარ ფართობებზე ფიქრობდა.

წყალი მოწყურდა.

ნადარბაზევისაკენ გადავიდა. ომის დროს გეგუთელებმა წინაველი შუაზე გაკვეთეს და თავის ყანებისათვის მომცრო არხი გასჭრეს. ივანემ წყალი პეშვით შესვა, სველი ხელი წვერზე ჩამოისვა.

მის თვალწინ თამარის სასახლის ნანგრევი მთელი თავისი დიდებულებით იდგა. გადმონგრეული ქვები გროვად ეყარა მინდორზე. თურქების ხელით გუმბათჩატეხილი ნადარბაზევის კედლები ხავსმოკიდებული გამოიყურებოდა, კოლმეურნეებს დარბაზები გამოეხვეტათ და მონგრეული ქვები ერთად შეეგროვებიათ. აქედან ისევ მოსჩანდნენ ტყის საცავი ზონის ფართობებში მომუშავე ქალ-ვაჟები. ისინი მწკრივში რგავ-

დნენ ხეებს. მოხუცმა ისევ მიიხედა ნადარბაზევისაკენ და ჩაფიქრებით თქვა:

— დიდნი იყავით, ჩვენო წინაპრებო, დიდნი. აშენებდით და ამაგრებდით ქვეყანას. მაგრამ ახლა ჩვენს მიწა-წყალზე უფრო ძლიერი ადამიანები დაიბადნენ, ახალ ქვეყანას სხვა ძალით და ღონით აშენებენ.

გვგუთის კოლმეურნეობა „ახალი სხივის" საბავშვო ბაგის შენობა ულამაზესი იყო მთელ სოფელში: ლამაზად მოხარატებული აივნის მოაჯირით, ამოქარგული სვეტებით, წინ — ფართო ეზოთი.

აივანზე ხალხი შეკრებილიყო. ყველა სადღესასწაულოდ მორთულიყო. სუფთად და ლამაზად ჩაცმული ახალგაზრდა დედები, რომელთაც თავიანთი ჩვილები ეჭირათ ხელში, ბედნიერებით სავსე თვალებით შესცქეროდნენ ახალმოსულ სტუმრებს.

რაიკომის მდივანი მეზობელ რაიონების წარჩინებულ ადამიანთა მიღწევებზე ესაუბრებოდა. ივანეს ყველა პატივისცემით შეხვდა. რაიკომის მდივანი ეზოში ჩამოეგება, მიესალმა და აივნისკენ წამოიყვანა. კიბეზე ასვლისას ხელი მოკიდა მკლავზე, მაგრამ მოხუცმა ხელი არ დაანება, წელგამართული ამოვიდა და გეგუთელებს მიესალმა.

ხალხი მილაგ-მოლაგდა, ლამაზად მოხარატებული საწოლების გვერდით გაღებულ კარში ოცდაათი დედა იდგა. საწოლების რიკულზე ამოკვეთილ სხვადასხვა სახეებს დედები სიხარულით დასცქეროდნენ.

თავმჯდომარემ მიტინგი გახსნა. ილაპარაკა საბავშვო ბაგის მნიშვნელობაზე. შემდეგ მშვიდობის მოწოდებაზე ხელისმოწერისათვის მომხსენებელს სიტყვა მისცა.

მომხსენებელი უყვებოდა ხალხს ახალი ომის საშიშროების შესახებ:

— ამჟამად ომისგამჩაღებლები ახალი ომის აუცილებლობას ქადაგებენ. ისინი ამტკიცებენ, რომ დედამიწას არ ძალუძს გამოკვებოს ამდენი ხალხი. ამიტომ, მათი აზრით, საჭიროა ხალხის გაჟლეტა. ჩვენ საბავშვო ბაგებს ვაშენებთ, აკვნებს ვაკეთებთ, ისინი კი სიკვდილზე ფიქრობენ...

მოხუცი ოსტატი რაიკომის მდივნის გვერდით იდგა. და-

ფიქრებით უსმენდა მომხსენებელს და როცა მან სიტყვა დაამთავრა, წინ წამოდგა და ყრუდ თქვა:

— სათქმელი მაქვს, მეც მომისმინეთ.

ყველა გაინაბა.

— მალე ოთხმოცი წელი შემისრულდება,—დაიწყო მან.— არასდროს კრებაზე სიტყვა არ მითქვამს, — მოხუცი ღელავდა. სახე ოდნავ გაფითრებოდა, ცალი ხელით მოაჯირს ჩაჭიდებული მუხასავით იდგა. — ის ავაზაკები, რომლებიც ხალხის მოსპობაზე ფიქრობენ, ვარაუდში სცდებიან. ბიძიებო და შვილებო: ხალხი ბევრს მოითმენს, მაგრამ საზღვარიც იცის. ხალხის რისხვა აღელვებულ ზღვაზე უარესია. მე არასდროს ქათამი **ა**ო **დ**ამიკლავს, მაგრამ... — მოხუცმა თვალები ბავშვთა საწოლებს მიაპყრო, დედებს შეხედა. — აი, შეხედეთ, — განაგრძო მან, — ამათთვის ცეცხლსა და მახვილს ამზადებენ ისინი. თავს გავუჭყლეტდი მე იმ მხეცებს. მე ერთი საზიზღარი მეზობელი მყავდა ომის დროს, მირჩია, აკვნების მაგივრად კუბოები აკეთეო. სახელოსნოდან გამოვაგდე. ახლა მისი მსგავსი ავაზაკები ქვეყანას კუბოში ჩაწვენას უპირებენ. არა, ბიძიებო, ასეთ ავაზაკებს თავისი ადგილი უნდა მოუნახოს ხალხმა. ჩვენი მთავრობა დედებს აჯილდოებს მრავალშვილიანობისათვის, იქ კი შვილებისა და დედების დახოცვას ქადაგებენ თურმე.— ივანე ჯერ რაიკომის მდივანს მიუბრუნდა და მერე ისევ ხალხს. — არა, ხალხო, ყველა ქვეყნის კარგი შვილები არ მისცემენ მათ ნებას დაღვარონ პატიოსან ადამიანთა სისხლი, — მოხუცმა გაბრწყინებული თვალები მიანათა ახალგაზრდა დედებს და უფრო ხმამაღლა განაგრძო: — ბევრი გმირი გაზრდილა ჩემს აკვანში, ხალხო, ბევრი დიდება და გამარჯვება მოუტანეს მათ ჩვენს დიდ სამშობლოს, არასოდეს არ შეურცხვენია ქართულ აკვანს სამშობლო და არც მომავალში შეარცხვენს.

ხალხი სულგანაბული უსმენდა მოხუცს.

მეეტლე და შვილიშვილი

დათა მიქელთაძე დაკვირვებით ადევნებდა შვილიშვილის ცხოვრებას თვალყურს. როცა ზაზა პირველად ახალ ტანსაცმელში ნახა, მოხუცი გამოცოცხლდა. იგი დინჯად წამოდგა ტახტიდან და შავი მაუდის პალტოზე მიკერებულ ბრჭყვიალა ღილებს თითები გადაუსვა. როგორც ეტყობოდა, მოეწონა ისინი. შეიძლება თავისი ახალგაზრდობა გაახსენდა დათას. მაშინ თექვსმეტი წლის ბიჭმა ჩაიცვა საპნის ბუშტივით გაბერილი ვერცხლისფერ ღილებიანი მეეტლის ხალათი მოხუცმა კარგად იცოდა, რომ ახლა მეეტლეთ შვილს აღარავინ ზრდიდა და შვილიშვილის ტანსაცმელმა გააკვირვა.

— რკინიგზაზე ხომ არ მიგიღეს, ბიჭო?!

— არა, ბაბუ, საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში შევედი. ტანისამოსიც იქ დაგვირიგეს.

— ჰო-ჰო, — გაიკვირვა მოხუცმა, — უფასოდ მოგცეს?!

— კი, უფასოდ მომცეს. მხოლოდ კარგად უნდა ვისწავლო.

— სწავლით უნდა ისწავლო, — დაუდასტურა დათამ შვილიშვილს, — შრომა მოგიხდება. უშრომლად ამ ქვეყანაზე კარგი არაფერი გაკეთებულა.

მოხუცი ნელა გაბრუნდა უკან, ტახტზე ჩამოჯდა, ჯოხი სასთუმალთან კუთხეში მიაყუდა და წყნარად განაგრძო:

— ცხოვრება შრომის და სწავლის გარეშე, ბაბუა, წაბლის ბუძგივით იჩხვლიტება. ადამიანის შრომა და განათლება აცლის

მას კანს. მის სიკეთეს გიჩვენებს. მის სიმდიდრეს გადმოგიშ-ლის.

დათამ თავი მოაბრუნა და კედელზე ჩამოკიდებულ ზაზას მამის სურათს — მისი უფროსი შვილის სურათს შეავლო თვალი.

ჯარისკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი პირმშო პირდა-პირ უმზერდა მამას. დიდხანს უყურა მოხუცმა. ომში დაღუ-პული შვილის სურათს, დიდ ხანს, მერე თავი ისევ ზაზასკენ მოაბრუნა, თვალზე მომდგარი ცრემლი არ შეიმჩნია და შვი-ლიშვილს უთხრა:

— ცოცხალი ჩამოსულიყო მამაშენი კარგი იყო. ახლა რას იზამ, ბაბუ! მარტო ჩემი ოჯახის საძირკველს როდი მიუკა-კუნა იმ დასაქცევმა ომმა მტრულად, ბევრს ერთი კიდე მო-უმტვრია, ბევრს კიდევ სულ მთელი ფუძე მოუშალა. ი ბიჭს მაინც არაფერი დაემართებოდეს ცუდი და შენ კარგად მეყო-ლებოდე.

დათას მეორე შვილი ლევანი ავტოქარხნის საამწყობო სა-ამქროს უფროსი იყო. ზაზას თავისი ბიძა საამაყო კაცად მი-აჩნდა. ხუმრობა ხომ არ იყო, მისი მამის ღვიძლი ძმა პირვე-ლად დახედავდა ავტომობილის სხვადასხვა ნაწილებს, ააწყობ-და მას და სულს ჩაუდგამდა. ზაზას ფიქრში მარტო ის რად ღირდა, ახლად აწყობილ ცინცხალ მანქანას ბიძია ლევანი პირველი რომ შეავლებდა ხელს. პირველი გასინჯავდა საჭეს, ძრავის, მუხრუჭების სილაღეს. მის სისწრაფეს. ამიტომ იყო, რომ ზაზამ დედის შემდეგ ბიძას გაუმხილა თავის გულის ნადები.

— კარგი გიფიქრია, ზაზა. ამთავითვე სწავლასთან ერთად წარმოებასაც შეეჩვევი. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, — უთხრა ბიძამ.

ბაბუა დათა კი სხვანაირად უყურებდა ამ საქმეს. ავტო-მანქანა ჭირივით სძულდა დათა მიქელთაძეს. ამისი საბუთიც ჰქონდა. მოხუცს სწამდა, რომ ავტომანქანების გამრავლებამ ეტლების მაზანდა დასცა. მისი ცხოვრების გრძელ მანძილზე შეხვედრილი ამბებიც ამას ადასტურებდა.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი იყო დათა მიქელთაძე, რო-ცა ქალაქში ხმა გავარდა მდიდარმა ონანოვებმა ავტომობილი

ჩამოიყვანესო, — ეტლების ბირჟა მაშინ სწორედ ბაღის კიდეზე იყო. ქარიშხალივით გაირბინა კოფოზე მჯდარ მეეტლეების მწკრივებში ამ უცნაურმა ახალმა ამბავმა.

ახალგაზრდა მეეტლე სამსონ ჭანტურაია გულის წუხილით უყვებოდა თავის თვალით ნახულ ამბავს.

— არც ცხენი უბია და არც აქლემი. არც რკინიგზა სჭირდება. ისე გარბის გზაზე, თითქოს ალქაჯები ებას შიგ.

— ბორბლები აქვსო? — იკითხა ვიღაცამ.

— ბორბლები კი აქვს, მაგრამ ისე მისრიალებს, ის ოხრები ბრუნავენ თუ არა, ვერც კი გაიგებ, უღერძო უნდა იყოს.

— უღერძო არ იქნება, — თავი გააქნია ერთმა ჭარმაგმა კაცმა. — ალბათ სხვანაირად აქვს მოწყობილი.

— ამბობენ, ონანოვებს ხალხი გაუგზავნიათ ახალი მანქანების ჩამოსატანად. ეტლების მაგივრად უნდა ამუშაონ ქალაქში.

აი ამ ამბავმა კი ნამდვილად თავზარი დასცა მეეტლეებს. ცოტა ხნით ყველას ენა ჩაუვარდა. ისინი გამოლენჩებული იდგნენ და ერთმანეთს შეყურებდნენ. მათ დასაიმედებლად ვიღაცამ წყნარად თქვა:

— რამ შეგაშინათ, ჩამოიტანონ, იმაში ჩაჯდომა მამასისხლად ეღირება.

ამ ნათქვამმა მართლაც ცოტა იმედი მისცათ. ძალ-ღონე მოუმატათ.

მეორე დღეს დათა მიქელთაძე ბაღდათისკენ წაიყვანეს მუშტრებმა. შემოდგომის წვრილი გამჟონავი წვიმა სცრიდა. ტყეში გაჭრილი გზა რიონის პირს შორიახლო მისდევდა. მუხების ჩრდილი უფრო აბნელებდა ისედაც ჩამოღრუბლულ გარემოს. დათა უდარდელად მიაგელვებდა ცხენებს.

მოულოდნელად ონანოვების მანქანა წამოეწია. დათამ მტრულად გადახედა მოქიშპეს და სისხლის მოწოლა იგრძნო. ავტომობილმა ისე ჩაიქროლა, თითქოს შარაგზაზე მიქელთაძის ეტლი კი არა, ასანთის ცარიელი კოლოფი ეგდო ტალახში. ყურადღებაც არ მიაქციეს დათას და მის ეტლს.

ცხენებმა ყურები სცქვიტეს და განზე გაიწიეს.

„ამ სამგლეებს ჩვენზე უფრო შინებიათ მანქანისო,“ — გაი-

ფიქრა ახალგაზრდა დათამ. ცხენებს მათრახი სწყვიტა და აღვირებიც ისე ამოკრა ლაშებში, რომ კანკალი დააწყებინათ. მეეტლეს ბოლმა და ბრაზი ჩაუდგა გულში. წინ მიმქროლავ მანქანას გახედა, აღვირები დაამოკლა და ცხენებს დასჭყივლა. ცხენებმა იგრძნეს დათა აღარ ხუმრობდა. მწევრებივით გაიწიეს და ისეთი სისწრაფით გაქანდნენ, მგზავრებმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს.

შუაგზაზე წამოეწია დათა ონანოვებს. იგი ერთ ხანს გვერდი-გვერდ მიჰყვებოდა მანქანას. ცხენებიც და მეეტლეც მხეცებივით უბრიალებდნენ მანქანას თვალებს. მანქანა ნელი თუხთუხით მისრიალებდა შოსეზე. წვიმამ თანდათან უმატა და დათას ხელში აღვირები დაულბა. გამწარებულმა კაცმა ახლა ისე დასჭყივლა, რომ ონანოვების მანქანა უკან მოიტოვა.

ვარციხის სანაოზე შეაჩერა გასავათებული ცხენები. სანამ მებორნემ გაღმიდან ნავი მოაცურა, დათამ აკანკალებულ ცხენებს ყურები დაუქაჩა, მშრალი ჩვარით გავა და ბარძაყები გამოუმშრალა. ჯერ კიდევ კოფოზე არ შემჯდარიყო, მანქანა ქარივით მოსისინდა. არც დაღლა ეტყობოდა და არც ოფლი. დათამ ალმაცერად გადახედა და მიხვდა, რომ მისი ცხენები ამ ცხრა ფეხიან ეშმაკთან ვერაფერს გააწყობდა.

მანქანაში მსხდომნი, ინგლისური მაუდის ტანსაცმელი რომ ეცვათ, ძირს ჩამოვიდნენ. გრძელ-გრძელ პაპიროსებს ეწეოდნენ ისინი. დათა ზიზღით უყურებდა მათ. მან მეტი ვერაფერი მოახერხა ბოლმის გადმოსანთხევად, თავის მგზავრებს ხმამაღლა უთხრა:

— რამხელა პაპიროსები გაურჭვიათ პირში ამ ოჯახქორებს, ძაღლებს მოიგერიებს კაცი.

მუშტრებმა ღიმილით და გაოცებით შეხედეს ახალგაზრდა მეეტლეს.

მოულოდნელად ავტომანქანის მძღოლმა სანაოზე შესვლის დროს საყვირი დაბღავლა... უჩვეული ცხენები დაფეთდნენ. ერთმა მათგანმა ნახტომი გააკეთა და სანაოს მიაშურა. ტყავის შებმულობამ არ გაუშვა, უკან დაქაჩა და ცხენი ბოგირსა და ნავებს შუა ჩავარდა. ცხენმა ადამიანივით დაიგმინა, ცხვირიდან ღრუბლებივით სქელი ორთქლი ამოუშვა და პატრონს სველი თვალებით შეხედა. ახალგაზრდა

მეეტლე ერთი ნახტომით მივარდა მარჩენალს. დაგვიანებული გამოდგა მისი სისწრაფე. ცხენს ფეხი მოსტეხოდა. ონანოვები წყნარად იდგნენ.

დათას ცეცხლი ეკიდებოდა. თვალსა და ხელს შუა ნახევარი მისი ქონება დაიღუპა. ლუკმა ხელიდან გამოეცალა.

ორი წლის უკან მამამ მისი წილი მამული გაუყიდა. ეტლი და წყვილი ცხენი შეუძინა და შვილი დასახლებულად ჩათვალა. ჯერ თავნი არ ამოეღო დათას, ეს უბედურება კი უკვე შეემთხვა. ქარისგან აფორიაქებული ღრუბლები რიონის ხეობას შავი ზღვისკენ მიჰყვებოდნენ. ვარციხის ბორანიდან გურიის მთები აღარ მოჩანდა, მისი გორაკის წვერები ნისლში და ღრუბლებში გახვეულიყო.

დათა მიქელთაძე უაზროდ გაჰყურებდა გარემოს.

* * *

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. დრომ ბევრჯერ აამწვანა და გადაათეთრა კავკასიონის კალთები. ბევრი ადამიანი დაიბადა, და მოკვდა ამ ქვეყანაზე. დათას გუნება კი არ გამოიცვალა. ცხოვრებას დაკვირვებულ კაცს არც ის გამოეპარა, რომ მანქანების გამრავლებამ ეტლებისაგან დააცარიელა ქალაქის ქუჩები. ახლა მისი ხელობის ხალხი ზოგი ცხენურემზე გადაჯდა სამარცხვინოდ და ზოგმა სულ სხვა საქმე აირჩია თავის ხელობად. ჯერ კიდევ მაშინ, როცა მოხუცმა შვილის ავტოინჟინრობა გაიგო, სამი თვე უბრად იარა. შინ არავის ხმა არ გასცა. ძლივსძლივობით შეურიგდა დათა მიქელთაძე შვილს. ახლა ზაზას ავტოსკოლაში შესვლის საქმეს საიდუმლოდ ინახავდნენ.

* * *

შავთვალწარბა და გრუზათმიანი ზაზა მთელი სკოლის საყვარელი მოწაფე იყო. მასწავლებლებიც და მოწაფეებიც პატივისცემით ეპყრობოდნენ მას. მისი წიგნები და რვეულები სისუფთავით განსხვავდებოდნენ, მისი მომზადებული გაკვეთილი ყველას სიხარულს გვრიდა. მასაც ყველა უყვარდა, ამხანაგებიც და მასწავლებლებიც. ყველაზე დიდი პატივისცემით ის მაინც ქარხნის მთავარ კონსტრუქტორს ვასილ ბოი-

კოს უყურებდა. ხუმრობა ხომ არ იყო, მსოფლიოში განთქმული კაცი, სტალინური პრემიის მრავალგზის ლაურეატი, რასაკვირველია, ქუთაისის ახალგაზრდობის უსაყვარლესი ადამიანი იყო.

საფაბრიკო-საქარხნო სკოლის მოსწავლეებმა არა ერთხელ მოისმინეს კონსტრუქტორების შესახებ.

— ისეთი კაცია, — ამბობდნენ მუშები, — სულ ცინცხალი, ახალთახალი აზრები აქვს თავში...

საფაბრიკო სკოლის მოწაფეებს ჯერ კიდევ არ ენახათ იგი. უზარმაზარი საამქროების თავზე, მეორე სართულზე, სამმართველოს ერთ კუთხე'ში მოთავსებულია კონსტრუქტორების ბიურო. ახალგაზრდა ინჟინრები სახაზავებით ხელში დაფებივით დაკიდებულ მაგიდებზე აზუსტებენ დეტალებს, ვასილი ბოიკო ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა კონსტრუქტორებს. ერთ დღეს ზაზა ცნობისმოყვარეობით მიუახლოვდა მათ. გაღებული კარებიდან კაბინეტი მოჩანდა. ბოიკო ინჟინრებს რაღაცაზე ესაუბრებოდა. მისი მომაღლო შუბლი და ჩაფიქრებული თვალები უნებლიეთ პატივისცემას აგრძნობინებდა ადამიანს.

„რა უბრალო კაცი ჩანს და ქვეყანა კი გააკვირვაო," — ფიქრობდა ზაზა. ბიჭებმა გადაწყვიტეს კონსტრუქტორის დაახლოვება. საჭირო იყო მოლაპარაკება.

— კი, როგორ არა, ამ წუთში ფეხშიშველი გამოიქცევა და ორსაათიან მოხსენებას გაგვიკეთებს ახალ გამოგონებაზე!!

— ვითომ რატომ იტყვის უარს?!

— დრო სადა აქვს, ბიჭო, ხომ არ გაგიჟდი?!

— მოიცლის, არ შეიძლება ავტომობილის კონსტრუქტორს ახალგაზრდობა არ უყვარდეს.

ზაზას აზრი გამართლდა. ვასილი ბოიკომ არათუ უარი განაცხადა მოხსენებაზე, პირიქით, არა ერთხელ მივიდა სკოლაში და მათ ცხოვრებაში ჩაება.

— გახსოვდეთ,—ეუბნებოდა იგი ახალგაზრდებს,—თქვენც უნდა იფიქროთ მანქანის ნაწილების გაუმჯობესების შესახებ; ახალგაზრდებს ბევრი ახალი რამ შეგიძლიათ შექმნათ.

ბოიკოს დაახლოებამ ზაზას ცსოვრება სულ სხვანაირი გახადა.

* * *

ბაბუა დათა სწორედ იმ დღეს მიხვდა შვილიშვილის ხელობას, როცა ზაზამ სკოლა დაამთავრა და ქარხანაში დაიწყო მუშაობა. თექვსმეტი წლის ზაზა მიქელთაძე საამქროს ბეოთხე თანრიგის ხარატი გახდა.

კვირა დღე იყო. ბაბუა დათა აივანზე ფართო ტახტზე იჯდა. დაბლიდან კიბეზე ამოსულ შვილიშვილს პირველად შეხვდა მოხუცი.

— რა გიქნია, ბიჭო, ეს, შენც ბიძაშენის კვალზე გინდა იკვინტრიშო?

ზაზამ პირველად ვერ გაიგო მოხუცის წყრომა. შემდეგ კი, როცა ბაბუამ წაილაპარაკა, — ჩემს სახლში ყველა ჩემი აზრის მტერი უნდა გახდეთო, — მაშინ კი მიხვდა ყველაფერს.

— რატომ ფიქრობ, ბაბუა, ასე?!

— სხვანაირად როგორ უნდა ვიფიქრო, შენც მანქანით დაგიწყია სიარული.

ზაზამ ალერსიანი თვალებით შეხედა ბაბუას. ამან კიდევ უფრო გააბრაზა მოხუცი.

— არ მომეკარო, მე მეგონა შენ სხვა ხელობას შეისწავლიდი, სხვა სასარგებლო საქმეს მოკიდებდი ხელს, შენ კი ლევანის სულელურ აზრს აყევი არა!

მოხუცმა აივნიდან ეზოში გადმოაფურთხა და თავის ოთახში გულმოსული შევიდა.

— იცოდე, კარგი არ დაგემართება. ის ეშმაკის მოგონილი მანქანა ჩემს ოჯახს ხეირს არ დააყრის. — ეს სიტყვები, უკვე თავის ოთახში რომ შევიდა, მაშინ თქვა ბაბუა დათამ.

* * *

ვასილი ბოიკოს ცდამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ახლადკურსდამთავრებულ საფაბრიკო-საქარხნო სკოლის ახალგაზრდობას ათასგვარი ახალი წინადადებები შემოჰქონდა.

ზაზა მიქელთაძე თავის ნაფიქრალს თითონვე დახაზავდა და მანქანის ნაწილის ახალ ვარიანტს მიუტანდა ვასილს. განთქმულმა ინჟინერმა იცოდა, რომ ეს წინადადებები ჯერჯეობით დიდი სახარბიელო არ იყო. ერთი ცხადი იყო, — სახარატო დანადგარი იმთავითვე დაიმორჩილა ზაზამ. რკინის ნა-

ჭერს ისე თლიდა, თითქოს თავისი ჯიბის დანით ვაშლს აცლიდა კანს. შრომობდა, უბრალო ნაჭრებს მისთვის სასურველ ფორმას აძლევდა. ზაზამ იცოდა ამ შემთხვევაში სიზუსტე იყო საჭირო. ვასილი ყურადღებით ათვალიერებდა მის ნამუშევარს. გამოცდილი ინჟინერი ხედავდა, რომ ამ ჭაბუკში სასარგებლო ნაპერწკალი ღვივოდა.

ერთ დღეს ზაზამ ბიძია ლევანის და ვასილი ბოიკოს ლაპარაკს მოჰკრა ყური. ლევანი ამბობდა:

— სიჩქარის კოლოფის საამქროში კბილანსატეხი ჩარხები კარგად ვერ მუშაობენ, დავალების შესრულებას ვერ ასწრებენ.

ვასილი ბოიკომ დინჯად მოუსმინა საამქროს უფროსს, ჩაფიქრდა, პასუხი კი არ მისცა. ეს საუბარი გულში ჩარჩა ზაზას. ამის შემდეგ ჭაბუკი მთელი ერთი კვირა არ მოშორებია კბილანსატეხ ჩარხებს.

— რას ჩააცივდი, ბიჭო, ამ ჩარხებს, არაფერი გაუტეხო,— უთხრა ერთხელ ოსტატმა.

— არა, ოსტატო, საქმე მაქვს, ცოტა მაცალე, იქნებ რაიმე გამოვიდეს.

* * *

ვასილი ბოიკო ოთახში ჩაფიქრებული ხაზავდა. გაღებულ ფანჯრებში მზის სხივები ლივლივებდნენ.

კარები გაიღო და ზაზა შემოვიდა.

კონსტრუქტორმა ნელა აიღო თავი. ჭაბუკი აღელვებული ჩანდა.

— რამ შეგაწუხა, ზაზა?! — გაკვირვებით შეეკითხა ბოიკო.

— პატივცემულო ვასილ თედორეს ძევ, მე კბილანსატეხი ჩარხების შესახებ მოვედი, აი, ნახეთ.

ზაზამ სუფთა ტილოში გამოხვეული მანქანის ნაწილი გაუწოდა ბოიკოს. ვასილმა შეფუთული გამოხსნა, — მოდელი აღმოჩნდა.

ვასილ ბოიკო დაკვირვებით შეუდგა მოდელის დათვალიერებას. დიდხანს ატრიალა იგი მან, დიდხანს, ცნობისმოყვარეობა თანდათან გაუცხოველდა, ნაწილებს დაუკვირდა, შუბლი თანდათან გაეხსნა.

— ესე იგი, შენ ორი ჩარხი გინდა ერთით შესცვალო და პროდუქციაც მეტი მისცე არა?! ხომ ასეა?!

ზაზა გაჩუმებული იდგა.

— რას გაჩუმებულხარ?!

— მე ასე ჩავიფიქრე, რა გამოვა არ ვიცი, — დარცხვენით თქვა ახალგაზრდამ.

— ნახაზები თან გაქვს? აქ მომეცი! — კონსტრუქტორმა მრგვლად დახვეული ქაღალდი ჩამოართვა, მერე ხელები გაშალა, ზაზას ბეჭებზე მოეხვია და განაგრძო:

— კარგი ბიჭი ხარ. ნამდვილად კარგი კაცი დადგები. მოდელი დამიტოვე, კიდევ გავსინჯავ, ხვალ გამოიარე, როგორც ჩანს, სერიოზული საქმე გაგიკეთებია.

ზაზა ოთახიდან ნელა გამოვიდა, მაგრამ კარები მოიხურა თუ არა, თავის კანში ვეღარ ჩაეტია. თითქოს ფრთები გამოესხა. სირბილი მოუნდა. ეზოში ჩამოირბინა, გარემოს გახედა. ბრწყინვალე დარი იდგა. ახლად დარგული ლატანი ხეები ისე ირხეოდნენ, თითქოს მზის სხივებში ბანაობენო. გელათის და გოდოგნის ზურმუხტისფერი მაღლობები ამ ნათელ ელვარებაში ჩაძირულიყვნენ. ქალაქის ამ მხრიდან, მწვანე ქედების ყველაზე მაღალი გორაკი „ბროლის ქედი“ საახალწლო ნაძვის ხესავით მოჩანდა. ზაზამ იცოდა, რომ მისი კალთების ქვემოთ წყალწითელას მორევებში ახლა ტოლი ბიჭები ბანაობდნენ. იქ წასვლა მოუნდა ზაზას.

„ერთი გავგრილდები, ბიჭებსაც ვნახავო“, — გაიფიქრა მან. იგი ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა ქარხნის ჭიშკრისაკენ. მზე კორპუსების თეთრად აზიდულ კედლებს ხვდებოდა, მოასფალტებულ საცალფეხო გზას აცხუნებდა და სულის შემხუთველ ბუღს აბრუნებდა. ასფალტი დუღდა: ფეხის ნაკვალევი აჩნდებოდა მტვერმიყრილ ასფალტს.

„არა, ბაბუას ეზოში უფრო სიგრილე იქნება, — იფიქრა ახლა ჭაბუკმა. — ლევან ბიძიას აბაზანაში ვიბანავებ. მერე ნიგვზის ჩრდილში წამოვწვები. ცოტას წავიძინებ კიდეც“.

უკანასკნელ დღეებში ფიქრმა და მუშაობამ მოღალა ზაზა.

— არა, ბაბუასთან წავალ, — მტკიცედ გადაწყვიტა მან და ტროლეიბუსის კარებში შეაბიჯა.

* * *

ბაბუა დათა აივანზე იჯდა. რატომღაც მოუსვენრობა ეტყობოდა.

— ხვალ ხომ დასვენება გაქვს, ბიჭო, — იკითხა მოხუცმა.

ჭაბუკი მიხვდა დათა ბაბუა რაღაცას ავალებდა მას.

— კი, ბაბუა, საქმე გაქვს თუ?!

— სოფელში მინდა წახვიდე. კარგი სოფელია. ჩვენი გვარის საბუდარია.

— საბუდარი კი არა, ბაბუ, ნაბუდარია, ჩვენი გვარის კაცი იქ აღარავინაა ახლა.

— ვინღა დარჩება, ყველას ინჟინრობა და ექიმობა უნდა. მაინც ბევრნი არიან. მარტო ჩემი ძმის, ალმასხანის მოდგმა ცამეტი სულია. ეჰ, ისიც მოხუცდა. რვა წლით უმცროსია და მაინც მოხუცდა.

— კარგი, ბაბუ, წავალ, რას დამაბარებ?

— ალმასხანი ჩამომიყვანე, მომენატრა.

— ბაბუა ალმასხანი?

— ჰო, რას გაგიკვირდა. ძმა მომენატრა, სხვა ხომ არა?

— კარგი, წავალ, ბაბუ, წავალ.

* * *

კავკასიონის მთების სამხრეთის ფერდობზე, მდინარე სულორის ნაპირზე, პატარა სოფელი გაუშენებიათ. მწირი მიწები წინათ უსარგებლოდ იყვნენ მოტიტელებული. მხოლოდ იელის და გვიმრის გაუვალი ბუჩქნარები ხარობდნენ აქ. ახლა ჩაის მწვანე ბუჩქები მწკრივებად იმზირებოდნენ მისი გორაკებიდან. ამ სოფლის მოსახლეობას ყავრის ხდით ხელის გულები ჰქონდათ დახეთქილი. ორ საპალნე ყავარს ორ თვეს ხდიდა აქაური გლეხი და ამ ფულით საპონსა და ნავთს ძლივს იმარაგებდა. ახლა ჩაის ბუჩქების დოვლათმა ახალ-ახალი ოდა სახლები გაამრავლა სოფელში.

ალმასხანის სახლი მაღალ ფერდობზე იყო წამომდგარი. სოფლის საბჭოდან მის სახლამდე სამი კილომეტრი იყო. „ავტოტრანსის“ სამგზავრო მანქანა საბჭოსთან ჩერდებოდა. აქედან ვიწრო გზა იწყებოდა. ზაზა ფეხით წავიდა იქითკენ.

ალმასხანის კაცმრავალი ოჯახი სიყვარულით მიეგება ზაზას.

ვახშამმა დიდხანს გასტანა. დათა მოიკითხეს, ლევანის ამბები გაიგეს და სტუმარი გვიან დააწვინეს.

ღამით მოხდა ის, რასაც არავინ არ მოელოდა.

ნაშუაღამევს ზაზა მოულოდნელმა მუცლის ტკივილმა გამოაღვიძა.

ნაწლავებში თითქოს ხანჯალი გაეყაროს ვინმეს, ისე გაუარა რაღაცამ.

გულ-ღვიძლში ცეცხლი შემოეკიდა. საშინელმა კრუნჩხვამ აიტანა.

მასპინძლები შეშინდნენ.

ალმასხანის უმცროსმა ბიჭმა ექიმი სწრაფად ამოიყვანა. მთელი ოჯახი სულგანაბული უსმენდა ახალგაზრდა ექიმს. მან დაკვირვებით გასინჯა ზაზა და დაფიქრებით თქვა:

— ორში ერთი, ან ნაწლავების გადასკვნაა, ან კუჭი აქვს გახვრეტილი.

ალმასხან მიქელთაძე არ დაიბნა. მოხუცი საბჭოში ძუნძულით ჩავიდა და ლევანი ტელეფონით გამოიძახა. ლევანი სახლში იყო. ტელეფონის უდროო დროს რაწკუნმა დათაც გამოაღვიძა. როცა ზაზას სახელი გაიგონა, მოხუცი გაფითრებული წამოდგა ლოგინიდან.

— რა ამბავია ჩვენ თავს? — იკითხა დათამ.

ლევანი დაიბნა. არ იცოდა რა ეთქვა მამისათვის. მოხუცი მიხვდა, რომ შვილიშვილს უბედურება შეემთხვა.

— რას იღეჭები, თქვი, ხომ მაინც გავიგებ.

დათას იმ წუთშივე თავში მხოლოდ ერთი ფიქრი მოუვიდა: — ალბათ მანქანა გადაბრუნდა იმ ფრანტებზე და ბიჭი დამეღუპაო.

ფერდაკარგულმა ლევანმა მამას ვერ დაუმალა სინამდვილე.

— მე ახლავე მანქანით უნდა წავიდე, წელების გადასკვნა აქვს მგონი. ყველაფერი ავტომანქანის სისწრაფეზეა დამოკიდებული.

დათა მიქელთაძეს თითქოს ქვა დაკრეს თავში.

— ვაი ჩემს უბედურ თავს, რაღა მეშველება, ისევ მანქა-

ნაზეა ჩემი ოჯახის ბედი დამოკიდებული, — ისე დაიბღავლა მოხუცმა, რომ ეზო-გარემო შეძრა.

მთელი ღამე ძილი არ მიკარებია დათას. იჯდა მოხუცი თავის აივანზე და სივრცეს უაზროდ გაჰყურებდა. ლევანი არსად ჩანდა.

„ვაი, თუ მანქანა გზაზე გაუჩერდათ და დროზე ვერ მიასწრეს“, — ფიქრობდა იგი.

თენდებოდა. ცაზე ვარსკვლავებმა ფერი დაჰკარგეს. ეზოში, ნიგვზის რტოებში დაკიდებული სანათური მკრთალ ვერცხლისფერ სინათლეს აფრქვევდა. ამ შეთეთრებულ ცის გუმბათის ქვეშ დათა მიქელთაძის სახეც თეთრად მოჩანდა. მკერდამდე დაფენილი თეთრი წვერი კიდევ მეტ ელვარებას უმატებდა მის სახეს. ლაფაროში დარჩენილ ნაწვიმარ გუბეში ვარსკვლავები კანკალებდნენ. უცებ ჭიშკარი გაიღო, ლევანმა მანქანა შემოაგრიალა ეზოში, იგი დაღლილი სახით გადმოვიდა მანქანიდან და მამას შეხედა. დათა ერთ ღამეში სულ მთლად დაბერებულიყო. გაყვითლებულს ხელები უკანკალებდა.

მოხუცი ბრაზით წაიწია შვილისკენ.

— შენ ის მითხარი, ბიჭი ცოცხალია თუ არა.

— გადარჩა, პირდაპირ საავადმყოფოში მივიყვანე, ოპერაციამ კარგად ჩაიარა. მანქანა რომ არ გვყოლოდა დავიღუპებოდით. ზაზას სიცოცხლე მანქანის სისწრაფეზე იყო დამოკიდებული.

მოხუცს გულზე მოეშვა.

იგი ნელა ჩამოჯდა ტახტზე. წვერზე აკანკალებული ხელი გადაისვა, წყნარად გახედა ლევანის ავტომანქანას. მისი სიცოცხლის მანძილზე პირველად შეხედა დათა მიქელთაძემ მანქანას კეთილი თვალით.

* * *

ორი კვირაა, რაც ზაზა საავადმყოფოდან გამოიყვანეს. ბიჭი დღითი დღე ღონეს იკრებდა. დათა მიქელთაძე ახლა უფრო უკვირდებოდა შვილიშვილს. მამის ბეჭები უჩანდა, მამისვე სახის ნაკვთები. დათას ხანდახან ეჩვენებოდა, რომ შვილიშვილს კი არა, შვილს უყურებდა თვალებში.

ძველ თავლაში ლევანის მსუბუქი მანქანა იდგა. მოხუცი ღამით, სხვების ნამალავად გააღებდა ძველი თავლის კარებს. ახლა ცხენები აღარ ჭიხვინებდნენ იქ. არც მათი ლაგამის ხრამუნი ისმოდა. იდგა მანქანა წყნარად, გაზაფხულისფრად. ბროლის ფარები უელავდა. ძველი მეეტლე სიყვარულით დაჰყურებდა შვილიშვილის გადამრჩენელს. ახლა იცოდა დათა მიქელთაძემ, რომ ონანოვების მანქანა ონანოვებს ემსახურებოდა, ეს მანქანა კი მიქელთაძეების ოჯახს. მრავალ ჭირში გავლილი კაცი ცას და მიწას უბოროტო თვალით უყურებდა. იმან იცოდა, რომ მისი შვილი და შვილიშვილი მანქანებს აკეთებდნენ ხალხისთვის, მამულისთვის, ადამიანებისათვის. გუშინ მის სახლს ვასილი ბოიკო ეწვია. მოხუცი ყურადღებით ათვალიერებდა საბჭოთა მანქანების დიდ კონსტრუქტორს.

ბოიკომ პატივისცემით ჩამოართვა დათას ხელი და მიულოცა — შენი შვილიშვილის წინადადებამ გაიმარჯვა, ათეული ათასი მანეთის მოგებას მისცემს ქარხანას, ზაზა ნიკიერი ბიჭია, — ამბობდა იგი. — ქარხანაში გადაწყვიტეს უმაღლეს სასწავლებელში გაიგზავნოს. მალე საქვეყნო კაცი გახდებაო.

იდგა დათა ახლა შვილის მსუბუქი მანქანის წინ და დაკვირვებით უყურებდა მას.

ა გ რ ო ნ ო მ ი

რეზომ რკინის დიდი ჭიშკარი შეაღო.

ქაიხოსრო ლომთაძე ფრთხილად შეხვდა ახლად მოსულს. გამოცდილმა თავმჯდომარემ იცოდა, ჩამოსულ კაცს წვერ-ულვაშის სიდიდით ვერ გაზომავდა. ახსოვდა ქაიხოსროს, ერთმა პირტიტველა ბიჭმა ისეთი ცოდნა გამოიჩინა, ისეთი ცნობები მოითხოვა, რომ ის და მისი ბუღალტერი ერთი კვირა ოფლში იწურებოდნენ. კარგად ჩაცმული ახალგაზრდა ბიჭი თვალში მოხვდა ქაიხოსროს, კიბის თავზე შეეგება და კაბინეტში შეუძღვა. უცნობი მოკრძალებით მიესალმა და მაგიდაზე ქაღალდი დაუდო.

წაკითხვისთანავე ქაიხოსრო სკამზე ვერ დამაგრდა. არ შეიმჩნია თავმჯდომარემ, მაგრამ სახე მაინც წამოუჭარხლდა.

— რაიკომში ხომ არ გამოგივლიათ?

— გამოვიარე.

— პარტიის წევრი ხართ?

— არა, კანდიდატი. სოფლის მეურნეობის განყოფილებაშიც ვიყავი. აი, გამგემ წერილიც გამომატანა, — მან ფართო, ლურჯი პაკეტი კოსტუმის შიდა ჯიბიდან მოწიწებით ამოიღო. ქაიხოსრომ ახალგაზრდას გრძელი თითები უცებ შეამჩნია „ეს პიანისტს უფრო ჰგავს, ვინემ აგრონომსო", — გაიფიქრა.

— არ გეწყინოს, თუ ძმა ხარ, ის მითხარით, როდის დაამთავრეთ?

— სამი წლის წინ.

— ჯერ არსად გიმუშავნიათ?

— სამინისტროში ვმუშაობდი აქამდე.

— სამინისტროშიო?!—ვერ მოითმინა და ხმამაღლა თქვა ქაიხოსრომ, მერე უცებ შეცბა, რეზოს მიაჩერდა, ახედ-დახედა. ეს უხეში წამოყვირება რომ გამოესწორებინა, წყნარად დაატანა, — მით უკეთესი, რას აკეთებდით იქ?

— სამმართველოში ვიყავი. როგორც დავამთავრე, იმ წელსვე იქ გამგზავნეს.

„კიდევ კარგი უმუშევარი არ ყოფილა“, — ისევ თავისთვის გაიფიქრა ქაიხოსრომ.

— ძალიან ახალგაზრდა კი ხართ!

— ოცდაორი წლისამ დავამთავრე ინსტიტუტი, — გაიღიმა რეზომ.

თავმჯდომარე თითქოს დაკმაყოფილდა, დაწყნარდა. თვალები კი მოუსვენრად უწრიალებდა. როცა კოლმეურნეობის კანტორიდან გამოვიდა, ქაიხოსრო მაინც თავისას ფიქრობდა: „ალბათ დიდი კაცი ჰყოლია ვინმე მფარველი, სამინისტროში რა უნდა ეკეთებია პირზე რძე გაუმშრალ ჭაბუკს?! აგრონომია, სტატისტიკოსი ხომ არ არის?! რა ლამაზი ბიჭია!!“ ისევ შეათვალიერა ქაიხოსრომ მოსული, შემდეგ კანტორის ქვემოთ თავმოყრილ ქალიშვილებს გახედა. ისინი ეშმაკური ღიმილით უყურებდნენ ახლად მოსულს.

— აჰა, უკვე დაიწყო!—დაასკვნა ახლა თავმჯდომარემ. გულმოსული შემობრუნდა მათკენ და დაუტატანა:—თქვენ აქ რას აკეთებთ, ვინ მოგიწვიათ?!

ქალიშვილები ჯერ დაიბნენ, მერე თავმჯდომარე გაკვირვებით შეათვალიერეს და ერთმანეთს რაღაც უჩურჩულეს. მსხვილნაწნავიანმა ქალიშვილმა, დიდი შავი ბრიალა თვალები რომ ჰქონდა, წინ წამოიწია.

— თქვენ არ დაგვიძახეთ?! თუ საჭირო არ ვიყავით, რად გვაცდენდით?

ეს სიტყვები წყნარად თქვა მან და ქაიხოსროს პირდაპირ შეხედა. თავმჯდომარეს ახლა გაახსენდა მათი შეკრების მიზეზი.

— ოჰო, შენი ბრიგადაა? ამ წუთში მოვალ. არსად გაიბნეთ.

აგერ აგრონომს დავაბინავებ და... — უცებ სიტყვა გაუწყდა, ჩაფიქრდა, ქალიშვილს დაკვირვებით ახედა და ისევ განაგრძო: — თუმცა, მარინე, იცი რა გითხრა? შენ და დედაშენი მარტო ხართ იმხელა ოდაში, აგრონომი დაიყენეთ, ფულს კანტორა გადაგიხდით!

ქალიშვილებმა ყურები დაცქვიტეს, ფრთხილი ნაბიჯით წინ წაიწიეს. მარინემ დინჯად და დაკვირვებით შეხედა ჯერ თავმჯდომარეს და მერე რეზოს.

— არ ვიცი, ჩემი საქმე არ არის. დედას ჰკითხე, უფროსი ის არის ოჯახში.

***

მეორე დღეს თავმჯდომარე დილა უთენია ესტუმრა აგრონომს. რეზო პირს იბანდა, ზედა ტანი გახდილი ჰქონდა. ქაიხოსრომ გაოცებისაგან წარბები ასწია. გუშინ ტანსაცმელში ეს ბიჭი ტანთხელი ეჩვენა, ახლა როცა მის სხეულს უყურებდა, თვალს არ უჯეროდა. კუნთები მრგვალ-მრგვალად აჯდა ძვლებზე. ხერხემლის გარდიგარდმოც კი ისინი ძაფდახვეული თითისტარებივით გამობურთულიყვნენ.

„ამასთან მოჭიდავე ბიჭს ხეირი არ დაეყრება," — იფიქრა მან.

— გამარჯობა, რეზო!

აგრონომი არ ელოდა ასე ადრიან თავმჯდომარის სტუმრობას. იგი გაკვირვებით და მოკრძალებით დახვდა ქაიხოსროს.

— დამგვიანებია ეს ოხერი. ცხრა საათისათვის ვარ მიჩვეული ადგომას.

— არაფერია, მიეჩვევი, ერთი დღე, შე კაცო, დასვენებაც გეკუთვნის. ამ დილით ფართობები უნდა მოგატარო, საღამოს კრებაზე ხალხს თვითონ გაიცნობ.

ოდის კარი აჭრიალდა, აივანზე მარინეს დედა გამოვიდა.

— უსაუზმოდ არ წაბრძანდეთ, შვილო, დანაყრდით, მთელი დღე მშიერი ვერ გაძლებთ, ქაიხოსროც დაგვეწვევა.

ქაიხოსრო და რეზო ოდაში შევიდნენ.

კედელზე ფართოდ გადმოფენილ ნოხზე წყვილი ირემი ეხატა. ირმებს ცხვირის ნესტოები დაბერილი ჰქონდათ, ყურები დაცქვეტილი, თითქოს მონადირის სუნი აეღოთ შორი-

დან. ირმებს ზემოთ ორლულიანი თოფი ეკიდა, თოფს ზემოთ კი შავი აბრეშუმის ნახევით შემოხვეული საცრისხელა დაირა მოჩანდა. შავი ყაითნის წვრილი კედი გახსნილიყო და მოვარაყებული კარბა ზედ თოფის ლულის ქვეშ ოქროს ნამგალივით იყურებოდა. დაირა ისე ბრწყინავდა, გეგონებოდათ ახლავე შეირხევა და აყღერდებაო. რეზო დააკვირდა მას. მისმა თვალებმა ქაიხოსროც იქით მიახედა. თავმჯდომარის ფართო შუბლი შეიჭმუხნა, სახეზე ჩრდილი დაედო. თავმჯდომარემ დიასახლისს მოკრძალებით გააყოლა თვალი, როცა იგი მეორე ოთახში გასული იგულა, რეზოს ჩუმი ხმით წაუჩურჩულა:

— ცხრა წელია თითი არ მოხვედრია ამ დაირას. წინათ კი ეს ოჯახი სოფლის გამამხიარულებელი იყო. მარინეს დედა ჩვენს სოფელში განთქმული დამკვრელი ქალი გახლდათ.

რეზომ გაოცებით შეხედა ქაიხოსროს.

— ახლა რა დაემართა, ავად ხომ არ არის?

— ავად კი არა, მარინეს მამა აღარ არის ცოცხალი. იცი რა ვაჟკაცი იყო? პირველი ტრაქტორი მისი მეთაურობით შემოვიდა ჩვენს სოფელში. პირველი ტყვია მას ესროლეს კულაკებმა.

რეზოს თვალები გაუფართოვდა. მას მხოლოდ წიგნში წაეკითხა ასეთი ამბები. თავმჯდომარის ჩურჩულით შთაგონებულმა თვითონაც ჩურჩულით იკითხა:

— კულაკებმა მოჰკლეს?

— არა, რატომ! — გული მოუვიდა ქაიხოსროს. — ომში წავიდა, იქ დაიღუპა. მას შემდეგ ამ სახლში დასაკრავის ხმა არავის გაუგონია.

***

კოლმეურნეობამ არხის პირზე ათი ჰექტარი საბოსტნე მიწა გამოყო. ამ სოფლის ნიადაგი ძალზე ქვიანი იყო. სანამ თოხი მიწას მოხვდებოდა, მოფოლადებული რკინა ზარივით რეკდა. გაფიცხებული ქვები ერთმანეთს უმატებდნენ თაკარას. ბოსტანი კი საარაკო იცოდა. აქაური მწვანილი მთელს იმერეთში იყო განთქმული. პრასი რომ პრასია, სიმინდივით იყრიდა ტანს. საზამთრო და ნესვი კი, ნუ იტყვით, ის დალოცვილები სიმწიფეში ჭრელი ხბოებივით იწვნენ ბაღებში. იმ

დღეს ორი ტრაქტორი ბრუნავდა საბოსტნე ფართობზე. ცნობილი ტრაქტორისტები, მამა და შვილი, არჩილ და გია გორგიძეები გამოეგზავნა სამანქანო-სატრაქტორო სადგურს. ფიცხი გაზაფხული იყო. რბილარი მიწა ალაგ-ალაგ დახეთქილი იყო. არჩილს გაზინთულ მკლავზე ოფლი ჩამოდიოდა და საჭე უსველდებოდა. ხანდახან გვერდზე დაგდებულ ჩვარს დაავლებდა ხელს, ორივე მკლავს შეიმშრალებდა, შუბლს მოიწმენდდა და ოდნავ შენელებულ ტრაქტორს გაზს მისცემდა... გაგან-გაგანით მოძრაობდნენ ტრაქტორები და უკან შავი ხნულის ტალღებს ტოვებდნენ. არჩილს საფეთქლები შეთეთრებული ჰქონდა. იგი პირმოკუმული გაჰყურებდა წინ. მისი ძარღვიანი მკლავები საჭეს გამოცდილი ოსტატის ხელით მართავდა. გია კი მღეროდა. მისი წკრიალა, მაგრამ ომახიანი ტენორი აგუგუნებული ტრაქტორის ხმას სჯაბნიდა. ჯერ კიდევ თორმეტი წლის ბიჭმა ტრაქტორის ყოველი ნაწილი იცოდა. არდადეგების დროს მამას გვერდში უდგა, ვაჟკაცივით ეხმარებოდა, სატრაქტორო სადგურში ისე შეეჩვივნენ მას, რომ არჩილის ტრაქტორი ვერ წარმოედგინა გიას გარეშე.

საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, იმ წელიწადს მტს-ში ხმა გავარდა, გაზაფხულზე კომბაინს მივიღებთო. გიამ უარი თქვა ინსტიტუტში წასვლაზე. მშობელი შვილის განზრახვის წინააღმდეგ არ წავიდა.

— ახალგაზრდაა, ყველაფერს მოასწრებს, თუ მოინდომა.

ამ ბოლო დროს ერთი რამ არ მოსწონდა არჩილს თავისი შვილის. უხეში ბიჭი გახდა, უმიზეზოდ აფეთქდებოდა, ტოლებს ეჩხუბებოდა. პირველად ვერ მიხვდა ამის მიზეზს. ერთ დღეს ეზოში ისხდნენ. ჭიშკართან მარინემ გაიარა. გიამ უცებ შესწყვიტა ლაპარაკი და თვალებში სხვანაირი ნაპერწკლები ჩაუდგა. არჩილმა უნებლიეთ მოიხედა შარაგზისაკენ. კარგად დააკვირდა ლამაზ მარინეს და გიას გადახედა. ელვარე თვალებით უყურებდა ბიჭი მარინეს. მიხვდა არჩილ გორგიძე, მისი შვილი სრულ სიმწიფეში შესულიყო. სადღაც შორს სიღრმეში გული დაწყდა მამას, იგრძნო არჩილმა, რომ შვილის სიყვარულის მოზიარე გაუჩნდა.

აი, სწორედ ამის შემდეგ იყო, რომ გია პირველულ ადამია-

ნად გადაიქცა. ეტყობოდა ჰაბუკს ეეჰვებოდა, რომ მარინე მას თანაუგრძნობდა.

ტრაქტორები სვრელს სვრელზე აშავებდნენ. კაკლის ხის ძირში, იქ, სადაც ხნულებში ბენზინის კასრი იდგა, ორი ჭრელი თავსაფარი გამოჩნდა. მამა და შვილი მიხვდნენ, სადილი მოეტანათ. გიამ შორიდანვე შეამჩნია ქალიშვილები და ტრაქტორი ჩააქრო. მამამ ერთი წრე კიდევ შემოუარა, კაკლის ხის ახლო გააჩერა და მანქანიდან ჩამოვიდა. ხელის დაბანაც ვერ მოასწრეს, რომ გზის პირზე ვიღაც გამოჩნდა. იგი ხნულებში გადმოვიდა, ახალ სვრელებს ჩაუდგა და გულმოდგინედ სინჯვა დაუწყო. გიას არ მოსწონდა უდროო დროს მოსული ხალხი.

— ვინ ეშმაკია ნეტავი?! — გულმოსულად თქვა მან.

ქალიშვილებს თვალები გაუბრწყინდათ.

— ჩვენი აგრონომია, მარინეს მდგმური! — სიხარულით წამოიძახა ერთმა მათგანმა.

ახალგაზრდა ტრაქტორისტს გულმა რეჩხი უყო.

„მაშ ეს არის ის?!“—გაიფიქრა მან და მოსულს დააჩერდა.

— გამარჯობათ! — მიესალმა აგრონომი მამა-შვილს.

არჩილმა ხელი ჩამოართვა აგრონომს, გიამ კი თვალი აარიდა მოსულს. ხელზე ბენზინი დაისხა და საპნით ისე გაიქაფა ხელები, თითქოს ამით აპირებდა იგი ავი ფიქრების ჩაქრობას.

— კარგად გიმუშავნიათ, — წყნარად თქვა აგრონომმა, — მხოლოდ მეორე ტრაქტორი სვრელებს შორის ხარვეზებს ტოვებს.

გიამ გაოცებით შეხედა ჯერ აგრონომს და მერე მამას.

— როგორ თუ ხარვეზებს?!

— ისე, დაუხნავი რჩება. ასეთი მიწის ნარჩენები კუნძულებივით მოსჩანს ხნულებს შორის. მერე თოხს არ დაიკარებს, სარეველა ბალახიც გამრავლდება.

— თვალი ხომ არ გატყუებთ, — უხეშად შეეკამეთხნა გია.

— არა, რატომ, თვითონ ნახეთ!

აგრონომის ამ საქმიანმა კილომ კიდევ უფრო გააბრაზა გია. იგი, რომელიც ორიოდე წუთის წინ დაჯდა, ახლა სწრაფად წამოდგა და თავის ტრაქტორისკენ წავიდა.

მზეს უკვე გაეფიცხებინა გადაბრუნებული მიწა. დილის

ხნულების ზედაპირი უკვე შემშრალიყო, ალაგ-ალაგ მიწის ბოლქვები ახოროშებულიყო კიდეც.

— ნუთუ მართლა ხარვეზები მრჩება?! — თავისთვის ლუღლუღებდა გია და დაქანებული მიაბიჯებდა. ტრაქტორის ახლოს უკანა ხნულებში გადავიდა, სვრელს გაჰყვა. ერთი წრე ისე შემოიარა, ყველაფერი რიგზე ეჩვენა, როცა მეორეზე გადავიდა, ხნულებს შორის სამი ღერი თეთრი გვირილა შენიშნა. ისე იდგნენ ისინი და ისე თავმომწონედ ყელყელობდნენ, თითქოს იქ ტრაქტორს კი არა ჭიამაიასაც არ გადაევლოს. ამან კიდევ უფრო გააბრაზა ვაჟკაცი. ლოყებზე ცეცხლი მოენთო, მან შიშით მოიხედა უკან და მოეჩვენა, რომ ნიგვზის ძირიდან ყველა ამ ყვავილებს უყურებდა. ჩქარი ნაბიჯით მივიდა ახლოს და მთელი ძალით მოქნეული მარჯვენა ფეხი ყვავილებს ძირში გაჰკრა: გიას იმედი ჰქონდა ყვავილები გადაბრუნებული მიწის ზემოთ იყო დარჩენილი. მოტყუვდა ბიჭი. ყამირს ფეხი ისე მოხვდა, თვალებმა დაკვესეს. ფერი მაინც სხვა რამემ დაუკარგა; „რაღა მარინეს მდგმურმა შეამჩნია, — ფიქრობდა ის, — ქალაქელი ენატარტალა ბიჭი ჩანს, ტრაბახს დაიწყებს მარინესთან, — გიას დატოვებული ხარვეზები აღმოვაჩინეო“.

— ვაი, სირცხვილო!—თავის უნებლიეთ ხმამაღლა დაიძახა მან და ტრაქტორისაკენ ბოროტი თვალით გაიხედა.

მიწისგან გაფერილი მუხლუხა ფოლადის კვირისთავები მზეზე ლაპლაპებდა. ნაწიბურებიდან გლერტა ბალახის ახლად აგლეჯილი ღეროები მოჩანდა.

გიას გულში და თვალებში ბრაზი ჩაუდგა. იგი სირბილით მივარდა ტრაქტორს, ტანის ერთი მოქნევით მოექცა ზევით და მანქანა ცხენივით გაახტუნა ხარვეზებისკენ.

***

კვირა დღე იყო.

წინ ღამით ცვარმა ბალახი და ყვავილები დაასველა. მზის პირველი სხივებით განათებული ნამის წვეთები ფოთლებიდან ანთებული თვალებივით ბრწყინავდნენ.

მარინე ცვრიან ბალახში ფეხშიშველა ჩასულიყო. წვივებზე ბალახის მწიფე თესლის სველი მარცვლები და წვრილი

ფოთლები მიწებებოდა. ინდაურების მთელი გუნდი დასდევდა მის წითელ აბრეშუმის თავსაფარს.

— რა დაგემართა, გოგო, შენ დღეს. მთელი ეზო ააფორიაქე და არიე, იმ უცხო კაცის მაინც მოგერიდოს.

— არაფერია, დედა, კარგ ხასიათზე ვარ.

მართა კიბეზე ჩამოვიდა და ნიგვზის ჩეროში დადგმულ სკამ-ლოგინზე ჩამოჯდა.

— ის მითხარი, გოგო, ეს ერთი თვეა რამ შეგიცვალა ხასიათი, წინათ წარბს არ გაუშლიდი კაცს, ახლა კი სხვანაირად მეჩვენები.

მარინე ოდნავ ჩაფიქრდა. ეშმაკურად გაიღიმა და დედას ახლო მიუჯდა.

— არც ისეა საქმე, დედაჩემო, შენი ეჭვი, ეჰე, შორს დაფრინავს!

— მაინც მითხარი, დედას რა უნდა დაუმალოს ქალიშვილმა!

— იცი რა გითხრა, დედიკო? მოვა დრო და თვითონ გეტყვი. შენგან გამიგონია: ნაადრევად ნათქვამი სიტყვა მკვახე ხილზე უფრო სჭრის კბილსო.

მართა ქალიშვილის დიდ შავ თვალებს დააკვირდა, მერე მის მსხვილ ნაწნავებს დედური სიყვარულით ჩაუღიმილა და წვივებზე მიწებებულ კაბის სველ კალთას დაადგა თვალი.

— შინ შედი, გოგო, და კაბა გამოიცვალე, არ დამღუპო, არ გაცივდე!

მარინემ კალთები ხელში აკრიფა, გაწურა და ისევ ძირს ჩამოუშვა.

— დედიკო, იცი რა გითხრა? დაირა უნდა გავამზეურო, ობი მოვაშორო.

მართა, თითქოს ხელში ნაკვერცხალი ჩაუდესო, ისე წამოდგა ზეზე.

— რას ამბობ, ხომ არ გადირიე! ხომ იცი რა გვაქვს დათქმული. სანამ ჩემს ოდაში მამაკაცი სამოყვროდ ფეხს არ შემოდგამს, მანამ დაირას ხელს ვერავინ დააკარებს. უკაცოდ ჩემს ოჯახს ლხინი არ ჩვევია.

მარინე გულაჩუყებული წამოხტა, დედას მოეხვია და დადინჯებულმა თქვა:

— დედიკო, მე გათხოვებას არ ვფიქრობ. ჯერ უნდა ვისწავლო, მერე კი...

მართამ ქალიშვილს სიტყვა არ დაასრულებია.

— სწავლას ვინ გიშლის, გოგო! დაირას უშენოდ ჩრჩილს არ შევაჭმევ, ხომ იცი, როგორ უყვარდა მამაშენს მისი ხმა.

მართას ხმა დაურბილდა, მარინეს თავი მკერდზე მიიკრა და ისევ განაგრძო:

— მახსოვს, შენი დაბადების დღე იყო, მთელი სოფელი დაპატიჟა, ხელში დაირა მომცა და მითხრა: მართა ჩემო, ახლა ერთი ღამე უნდა მოგვილხინო, თუ მშვიდობა იქნა და მარინეს ქორწილს მოვესწარით, სამ დღე-ღამეს არ მოგასვენებ, მოხუცები ვიქნებით, მაგრამ მაინც არ მოგასვენებო.

თავმჯდომარე და აგრონომი თავიდანვე ცხარედ შეეტაკნენ ერთიმეორეს. ქაიხოსრომ რატომღაც გული აიყარა სიმინდზე. აიჩემა — სიმინდს რბილი ნიადაგი უყვარს, ჩვენი საყანეები კი ძალზე ქვიანიაო. ახალგაზრდა აგრონომს არ მოეწონა თავმჯდომარის ასეთი ახირება.

— რას ჩააცივდი ამ სიმნიდს, ფქვილის ღომი მოგენატრა?! ჩვენს სოფელს ახლა ხორბალი არ აკლია და ფული, — წყრებოდა თავმჯდომარე.

— ფქვილის ღომი კი არა, ხორცი და მჭადი უნდა კოლმეურნეს. ხომ იცი, ღონიერი საკვებია. ამას გარდა, არც მსხვილფეხი საქონელი ვარგა უიმისოდ და არც წვრილფეხი.

ეს წალაპარაკება მაშინ მოხდა, როცა საყანეებში მზრალად ხვნა დაიწყეს. ახლა ქაიხოსრო იდგა დამწიფებულ სიმინდებში და თვალს არ უჯერებდა. ისე იდგა ყანა, ცხენიან კაცს გაუჭირდებოდა გავლა. სიმინდს ფესვები ისე გაედგა მიწაში, თითქოს არწივის კლანჭი ჩამოფრენოდეს ნადავლს.

„მაჯობა, მაჯობა ამ ბიჭმაო“ — ფიქრობდა ქაიხოსრო ლომთაძე.

გასულ წელსაც ეთესათ სიმინდი, მაგრამ სირცხვილი ჭამეს. მოხნეს და სასუქი—ფოსფორმჟავას ორმაგი მარილები დათესის წინ მოაყარეს. როცა ეს რეზოს უთხრეს, ახალგაზრდა აგრონომს მწარედ გაეღიმა: ძალით გაგიბერწებიათ მიწაო, ჩაფიქრებით თქვა მან. აგრონომმა წელს მოხვნამდე სამი თვით

ადრე მოაბნევინა მინდვრებზე ეს სასუქი. მარგვლის წინ აზოტიც მოაყარეს. როცა სიმინდის ყანა მუხლის თავს აშორდა, თოხნის წინ წვიმის მომლოდინე ამინდში ისევ აზოტი შეიტანა. დედის რძესავით შეერგო ყანას სასუქი. დამსხვილდა და გაიზარდა. გათოხნის შემდეგ გვალვები დაიჭირა, აზოტმა მაინც სინესტე შეუნარჩუნა მიწას. ყანა გვალვას არ შეუშინდა და დაფოჩვა დაიწყო. წვიმის მოლოდინი აღარ სჭირდებოდათ. რეზომ აზოტი წყალში გახსნა და ბრიგადებს თუნუქის ჭურჭლებით მოასხმევინა ღერების გარშემო.

— სიმინდის ტანს არ მიეკაროს ხსნარი, თორემ დაწვავსო,— აფრთხილებდა იგი კოლმეურნეებს. ახლა სასუქი ტაროს ეხმარება, მარცვალს ზრდის და რძით ავსებს.

ამ გახსენებაზე ქაიხოსრომ ცერის ფრჩხილით გასინჯა სიმინდის ტარო. სქელმა რძისფერმა სითხემ თითები დაუწება.

იმ საღამოს თავმჯდომარე ძალზე მოწყენილი დაბრუნდა სახლში. ცოლი მიხვდა, რომ მის ქმარს რაღაც აწუხებდა.

— ცამეტი წელია თავმჯდომარედ ვმუშაობ და ჯერ ასეთი სისუსტე არ მიგრძვნია, — თქვა ბოლოს ქაიხოსრომ.

— რა დაგემართა, ავად ხომ არა ხარ, — შიშით იკითხა მაიამ.

— ავადმყოფობა სჯობია, მაია, ასეთ ყოფას, პირტიტველმა ბიჭმა საქმეში მაჯობა ამ მიწაზე გაზრდილ კაცს.

— ახალგაზრდა აგრონომზე ლაპარაკობ?

— ჰაი, ხომ მიხვდი, ისეთი სიმინდი მოიყვანა, მარტო ერთი დანახვა აგავსებს სიხარულით.

— მერე, რა გინდა კაცო? თუ კარგია, ის არ სჯობია! წინათ თავს იკლავდი — ყველა გლახას მე მიგზავნიანო, ახლა იმას დარდობ ნამეტანი კარგი აგრონომი მყავსო. რა გინდა ვერ გავიგე!

— რა და სასწავლებელში უნდა წავიდე.

— რა დროს შენი სასწავლებელია, ქაიხოსრო?

— რაო, ვითომ ძლიერ დავბერდი? არა მგონია, სამწლიანი კურსები დაუარსებიათ, პირობებიც კარგი ყოფილა.

— რაიკომი გაგიშვებს?

— აი, ამიტომ გკითხე შენ. უნდა ჩავიდე და მდივანს მოველაპარაკო.

გარეთ ძაღლმა ყეფა ატეხა, მაიამ კარი გამოაღო. ეზოში მოხუცი ტრაქტორისტი შემოვიდა.

ქაიხოსრო ღიმილით შეეგება ძველ მეგობარს. არჩილმა ფეხები კიბის კიდეზე ჩაკირულ რკინის საწმენდზე გაიწმინდა და აივანზე შევიდა. მაიამ სკამები გამოიტანა.

— ქაიხოსრო, — დაიწყო მან. — ოჯახში ცოტა უსიამოვნება მაქვს, უნდა მომეხმარო. ხომ იცი, ერთი შვილი მყავს... შენი ძმობა დამჭირდა.

— გამაგებინე, რის თქმა გინდა...

— ვერ მიმხელს ბიჭი, მაგრამ ის გოგო უნდა უყვარდეს.

— რომელი გოგო?

— მათხინე. დათას ქალიშვილი.

ქაიხოსროს გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა.

არჩილს არ გამოეპარა თავმჯდომარის შეკრთომა.

— რატომ გაიკვირვე, ქაიხოსრო? ნუთუ ჩემი გია ასე უღირსად მოგეჩვენა მარინესათვის.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე სულ დაიბნა.

— არჩილ, — ყრუდ დაიწყო მან, — შენი შვილი ჩემს შვილად მიმაჩნია, შენი კაცობა ჩემს კაცობად, მარინე მართლაც კარგი ქალიშვილია, ლამაზია და შრომისმოყვარე, ხელში საქმე მოსდევს, მაგრამ დედამისს უნდა მოელაპარაკო. ხომ იცი, მარინეზეა მთელი ოჯახის ბედი დაფუძნებული.

— მეც ამიტომ შეგაწუხე. მე რომ მივიდე, არ ივარგებს, ჩემს შვილს მე ხომ არ შევაქებ. შენ კი სხვა ხარ, სოფლის თავი კაცი ხარ.

ქაიხოსროს ამ სიტყვამ გულზე უკბინა.

— მალე აღარ ვიქნები, ჩემო არჩილ!

— როგორ თუ აღარ იქნები, — გაიკვირვა გორგიძემ.

— ასეთ საქმეზე, ჩემო ძმაო, აგრონომია საჭირო!

ტრაქტორისტი მიხვდა, ვისაც გულისხმობდა ქაიხოსრო.

— რეზო კარგი ბიჭია, აგრონომიც არის და ტრაქტორის საქმეც ესმის.

ამ სიტყვამ ქაიხოსრო ლომთაძეს გულის სიღრმეში მაინც რაღაც ატკინა. არ ეგონა არჩილ გორგიძე ასე უცებ თუ გაიმეტებდა მას; წყენა რომ არ შეემჩნია, ცოლს გასძახა: არაყი და ხილი მაინც მოიტანე ქალო.

მაიამ არაყი და ჩურჩხელები გამოიტანა.

ორივე მამაკაცი უხერხულობის თავიდან ასაცილებლად მაიასაკენ მიბრუნდნენ. ქაიხოსრომ მაიას ხელით დასხმული არაყი ისე გადაჰკრა, თითქოს იმით აპირებდა გულის ცეცხლის განელებას.

***

გია გულს ვეღარაფერს უდებდა. ეჭვით გათანგული იყო. სანამ რეზო სოფელში ჩამოვიდოდა, იმედი ჰქონდა, რომ ქალის გულს მოიგებდა. ახლა კი არ იცოდა სად წასულიყო, ვისთვის რა ეთქვა. „ის აგრონომია, მე კი ერთი უბრალო ბიჭი ვარ, მარინეს რაში ვეპრიანებიო“, — ფიქრობდა იგი.

კაკლის ხის დიდ შტოზე ელნათური იყო გადმოკიდებული, ფარდაგზე გულაღმა გაშოტილი გია ხედავდა, თუ როგორ ეხვეოდნენ ფარვანები მის შუქს. იქვე ნაცრისფერი მსუბუქი მანქანა იდგა. მისი ფარები და მონიკელებული ნაწილები ელნათურის შუქს უფრო გაებრწყინებინა. როცა ეს მანქანა იყიდა, გია ფიქრობდა: ამით მოვიყვან მარინესო. ახლა კი ყველაფერი ამაო იყო.

ჭიშკართან უცებ ძახილი მოისმა. გია ზეზე წამოხტა.

„რა უნდათ ნეტავი“,—გაიფიქრა მან და ჭიშკარი გამოაღო.

ეზოდან გასულმა სინათლემ ჭიშკრიდან მოსულის მღიმარი სახე გაანათა.

— გამარჯობა, გია! თავმჯდომარემ გთხოვა, სადგურზე შენი მანქანით გახვიდე. ექიმი ჩამოდის დილის მატარებელზე. თუ ძმა ხარ, არ გამაწბილოო, შეგეხვეწა, თვითონ კრება აქვს და ვერ მოიცალა.

გია გაილურსა. არც ისე სახარბიელო იყო ამ შუაღამისას მანქანით ხეტიალი.

„ჯანდაბას, დარდს მაინც გავიქარვებო“, — გაიფიქრა მან და მოსულს უთხრა:

— კარგი, ახლავე წავალ!

***

ჯერ კიდევ ბნელოდა, როცა გიამ მანქანა სადგურს მიაყენა, მატარებელი უკვე ჩამოსულიყო. გიამ ადვილად იპოვნა უცხო

ქალი, რომელსაც თავშალი ისე მოეხვია, მხოლოდ თვალები უჩანდა.

მოკირწყლულ გზატკეცილზე მანქანა მთელი ძალით მიქროდა. დილის ნისლი ნელინელ ზევით იწევდა. დაცვარული ბალახი და ჩირგვები უკვე სინათლეზე ბრწყინავდნენ.

მოულოდნელად თოფივით დაიჭექა და ბორბალმა დაუშვა.

არ ესიამოვნა ეს შეფერხება გიას. იგი მანქანიდან გადმოხტა, მარაგად წამოღებული საბურავი გადმოიღო და დაგება დაიწყო; თავჩაქინდრული მუშაობდა ბიჭი. როცა მოათავა, მხოლოდ მაშინღა აიხედა.

ახალგაზრდა ქალი მანქანიდან გადმოსულიყო და მაყვლის ბუჩქზე უკვე შეთვალულ ნაყოფს გადასწვდენოდა. ბეჭებზე შემოხვეულ თეთრ ფაფუკ ღაზლქვეშ მსხვილი ოქროსფერი ნაწნავები უჩანდნენ. დიდი ქლიავისფერი თვალები პირდაპირ უყურებდნენ გიას.

— რეზო რატომ ვერ წამოვიდა, ხომ კარგად არის?! — იკითხა წყნარად ქალმა. გიამ სული ძლივს მოიბრუნა.

— არა, ავად კი არ არის, მაგრამ კრება ჰქონდათ, რაიკომის მდივანი ესწრებოდა.

— ჰო, ძალიან გამიკვირდა, რომ სადგურზე არ დამხვდა, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ექიმმა.

— თქვენ მას უკვე იცნობთ! — ჰკითხა გიამ.

— როგორ თუ ვიცნობ, ჩემი ქმარია, — ლმობიერად გაიღიმა ქალმა.

— რა თქვით? რეზო, ჩვენი აგრონომი, თქვენი ქმარია?!

გია კინაღამ წაიქცა, მანქანას მიეყრდნო.

— დიახ, ჩემი ქმარია. მეც იმიტომ დავანიშვნინე თავი თქვენს სოფელში. მუშაობა გაგვიადვილდება.

გიას ტანში უცნაური სიტკბო და სითბო ჩაუდგა. იგი მზად იყო როგორც ღვიძლი და ისე გადაეკოცნა ეს ქალი. გადახვეოდა რეზოს. აი იმ ბუჩქს გადახვეოდა, ხორკლით და ეკლით რომ იყო სავსე. ჯანდაბას თუ ტუჩებს დაუკაწრავს და დაუსისხლიანებს. გული ხომ მთელი აქვს ახლა.

„ეჰ, მე კი ეჭვით გული მოვიკალი, მშობლები შევაღონე", — გაიფიქრა გიამ და ისევ შეხედა ექიმს. ქალს ბუჩქზე

გადაყოლილი თეთრგვირგვინიანი წვრილი ყვავილები დაეკრიფა და სოფლისაკენ დაჟინებით იცქირებოდა.

— დაბრძანდით, — ხმამაღლა სთხოვა ექიმს.

ქალი მანქანაში ჩაჯდა. გიამ მანქანა სოფლისაკენ ფრენით გაუშვა. თენდებოდა, სოფლის ბოლოზე მარინე თავის ბრიგადას მიუძღვებოდა. იგი ისე ყელმოღერებით მიდიოდა, თითქოს ეს მშვენიერი დილა მარტო მისთვის გათენებულიყოს ამქვეყნად.

გიამ საჭე მარჯვნივ მოაბრუნა და მანქანა მის ახლოს ისე დაამუხრუჭა, გოგოები წიწილებივით დაიფრინა აქეთ-იქით; მარინე გაანცვიფრა გიას ბედნიერმა სახემ. ქალიშვილმა იცოდა, რომ გია მას მოკრძალებით ეპყრობოდა და ახლა ასეთი გამბედაობა უხეშობად ჩაუთვალა.

— შენ რა, როგორ იქცევი? მთვრალი ხომ არა ხარ?!

ბიჭმა ამ სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია. იგი კაბინიდან გადმოვიდა. მარინეს წინ დაუდგა.

— იცი ვინ მოვიყვანე?!

მარინემ მანქანის ფანჯარაში ჩაიხედა, გულზე ეჭვმა უკბინა და სახე აელეწა.

— ვინ მოიყვანე, — თავისუნებლიედ ყრუდ წაილაპარაკა ბრიგადირმა.

— ვინა და რეზოს ცოლი, — ეს ისე თქვა გიამ, თითქოს ვიღაცის ჯიბრზე ამბობდა ამას,—სხვებს კი არა ჰგავს,—განაგრძობდა იგი.—ქმარი ისე უყვარს, ისე რომ...—სიტყვა აღარ დააბოლავა ბიჭმა, მანქანაში ჩახტა და სოფლისაკენ გააქროლა.

ქალიშვილს მისი სიცილი მოესმა. მარინე ჯერ გაშეშდა. დიდ ხანს უყურა გაფრენილ მანქანას. მერე თავი ასწია. გაიღიმა და ჩურჩულით თქვა:

— სულელი... უყვარსო, ამბობს. ერთი ჩემს გულსაც ჰკითხე, სიყვარულში ვინ დამიდგება წინ...

***

დადგა ქორწილის დღე. ქაიხოსრომ პირველი სადღეგრძელო დალია და მართას შეხედა. მართამ უსიტყვოდ გაიგო თამადის თვალებით ნათქვამი. მღიმარე სახით წავიდა კედლისა-

კენ. თოფი ნელა ჩამოიღო და დაირას გადასწვდა. ყველანი მას მისჩერებოდნენ.

მართამ დაირას შავი აბრეშუმის ნაჭერი შემოახია, აგიზგიზებულ ბუხარს მიუახლოვდა, აკანკალებული ხელები გაიწოდა და უსიტყვოდ ცეცხლში შეაგდო თალხი. მერე დაირა ცეცხლს მიუშვირა და გახურება დაუწყო. წუთის შემდეგ იგი დარბაზის შუაგულში იდგა. უცებ მისი გრძელი თითები შეირხა და დაირის ხმა მოისმა. ჯერ ნელა წამოვიდა ხმები, მერე თანდათან აჩქარდა და დარბაზი ლხენით გაივსო. ქაიხოსრომ ნელა უბიძგა გიას ხელი, მანაც თავისი მარინე გაიწვია საცეკვაოდ. იღიმებოდა მართა და თვალთაგან ცრემლები სცვიოდა.

როცა მოთამაშენი თავის ადგილებზე დაბრძანდნენ, ქაიხოსრომ კოლმეურნეობის ახალი თავმჯდომარე ადღეგრძელა.

ბუღბუღების ტყე

ვახტანგის მოსვლას კოლმეურნეები ზეიმით შეხვდნენ. ხუმრობა ხომ არ იყო ამ გახურებული ხვნის დროს, როცა ერთი მანქანა ათას კაცად ღირდა, ავტოქარხნის კოლექტივმა ახალთ-ახალი თვითმცლელი საცდელად გამოუგზავნა კოლმეურნეობას. ეზოში აბიბინებული კოინდრის სუნი ტრიალებდა. ალუჩის და ტყემლის კვირტები რტოებზე სკდებოდნენ. ვახტანგ გურგენიძემ მანქანა საწყობს მიაყენა. ყველამ დაინახა როგორ თავისთავად აიწია მანქანის ცალი მხარე. თვითმცლელმა ერთი გაიშრიალა და წისქვილის ღარის წყალივით წამოვიდა ძირს სასუქი. არც ცოცხი დასჭირებია და არც ბარი, ერთი ნამცეცი არ დარჩენილა მანქანის ძარში, ისე ჩამოიცალა. კოლმეურნეობის ბუღალტერი ეპვიანი კაცი იყო. იგი ვახტანგს 'შეეკითხა ავტოქარხნელებმა მართლა გვათხოვეს მანქანა თუ არაო. როცა დადებითი პასუხი მიიღო, თვითმცლელს ორჯერ შემოუარა გარშემო, სამხელ მოიხსნა და გაიკეთა სათვალე.

— ერთი მითხარი, შენ ვაჟკაცობას, ასეთ მანქანას მარტო თქვენი ქარხანა უშვებს?!

ვახტანგმა ძრავი ჩააქრო, კაბინიდან ძირს ჩამოვიდა, ბუღალტერს გამომწვევად ახედა:

— დიახ, მარტო ჩვენი ქარხანა, ჩვენს ქალაქში დაბადებული მანქანაა.

ბუღალტერმა ახალთახალ საბურავებს ჯოხი მიაკაკუნა,

ერთი კიდევ გარს შემოუარა და ვახტანგს თავისი ეპვი ისევ ხმამაღლა გაუმეორა:

— თუ ქირის ფულს მოგვთხოვთ, ახლავე იცოდეთ, ხელზე ვერ მოგცემთ, გადარიცხვით, რასაკვირველია, შეიძლება, მხოლოდ ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ.

ვახტანგი მიხვდა ბუღალტერის გულის წუხილს, ჭარმაგ კაცს ვერ წარმოედგინა, მანქანის განაცდური რა საშუალებით უნდა გაენაღდებინა ქარხანას.

ახალგაზრდა ინჟინერ-მექანიკოსმა ღიმილით შეათვალიერა დაეჭვებული კაცი.

— ჩვენ, ჩემო ბიძია, ახალ მანქანებს ყოველთვის ვცდით. ამით ჩვენი საქმეც კეთდება და თქვენიც. ნაწილების საფასურს კი გადმოგვირიცხავთ.

ვახტანგმა ამის დასადასტურებლად კაბინის კარი გამოაღო და ავტონაწილებით სავსე ყუთი გადმოსწია. გაზინთული ყუთი მძიმე აღმოჩნდა, მთელი კოლმეურნეობა უმზერდა, თუ როგორ ალაგებდნენ ბიჭები მანქანის ცინცხალ, ჯერ უხმარ ნაწილებს ფარდულის წინ.

შედედებულ ზეთში ამოვლებული ავტონაწილები ახალგაზრდებს ხშირად ხელიდან უცურდებოდათ და კოინდარში მიკოტრიალებდნენ. ბიჭები მზრუნველობით აცლიდნენ მწვანე ბალახის ღერებს და სათუთად ალაგებდნენ.

— ნუთუ ყველა ნაწილს თქვენ ქარხანაში ჩარხავენ, ბიძია? — ისევ ვერ მოითმინა ბუღალტერმა.

ვახტანგი მიხვდა, რომ ჯერ კიდევ არავის სჯეროდა ქარხნის სიმწიფე.

— რასაკვირველია, ყველაფერს ჩვენთან ჩარხავენ და აკეთებენ.

უფრო დამაჯერებელი რომ ყოფილიყო ნათქვამი, ბუღალტერს პირდაპირ შეხედა და ნელა განაგრძო.

— ერთ დღეს ყველამ უნდა ინახულოთ ჩვენი საამქროები, საკუთარ თვალს უფრო დაუჯერებთ.

ერთმა კოლმეურნე ქალიშვილმა უკანა რიგიდან წინ წამოიწია.

— ბიძია რაჟდენს არც თავისი ქალიშვილის სჯეროდა, სანამ „შავგვრემანი“ ბოსტანში არ გაუკოტრიალა.

ბულალტერი ბავშვივით წამოწითლდა სახეზე, სათვალე ცხვირზე ისევ გაისწორა, გოგონას თვალები დაუბრიალა და წყენით თქვა:

— შენ, ჩემო ბიძი, ჩემს ჭკუას ნუ ეპაექრები, რაც შეეხება ჩემი გოგოს „შავგვრემანს“, ნუ დაგავიწყდება და წელს ისეთები შენს ბოსტანშიც გაკოტრიალდება.

ვახტანგი ვერ გარკვეულიყო მათ საუბარში. იგი გაოგნებული უყურებდა ჭარმაგი ბულალტრისა და ქალიშვილის შეპაექრებას. „ეს რა დაურიდებელი ხუმრობა ცოდნიათო,“ — გაიფიქრა.

მზე ნელინელ ჩადიოდა დასალიერში. შავი ზღვიდან წამოსული ნიავი ფოთლებსაც აშრიალებდა და ბალახსაც სისინით არხევდა. სოფელში უკვე ისმოდა საძოვრიდან მოსული საქონლის ბღავილი, დასაბუდებლად აწრიალებული წვრილფეხას გნიასი.

კანტორის ეზოს ჭიშკარში კაპიტონ მიქელაძე გამოჩნდა. ყველა მისკენ მიბრუნდა. მან დაკვირვებით შეხედა უცხო კაცს, მანქანა შეათვალიერა და დინჯად ჩაილაპარაკა:

— შეფებმა გამოაგზავნეს ალბათ, აი, მესმის, ძმობა ამას ჰქვია, მართლაც გაჭირვების დროს მოგვეშველეთ.

ვახტანგ გურგენიძე იმ წუთსავე მიხვდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე. კაპიტონის სიდარბაისლემ, მისკენ პატივისცემით მიპყრობილმა თვალებმა ყველაფერი უთხრეს ახალგაზრდა ავტოინჟინერს.

— მე, მართალი გითხრათ, ავტომექანიკოსს ველოდი, მანქანები დადგნენ, შეკეთება სჭირდებათ, თქვენ კი ასეთი პატივისცემით მობრძანებულხართ, — ისევ წყნარად განაგრძობდა კაპიტონი.

— მე თვითონ გახლავართ ინჟინერ-მექანიკოსი, ნაწილებიც ჩამოვიტანე, ამხანაგო თავმჯდომარევ, თქვენ ავადმყოფები მიჩვენეთ, წამლობა ჩემზე იყოს, მძღოლები კი რამდენიც გყავთ, ყველანი უნდა მომიყვანოთ, ჩემ აქ ყოფნაში რამეს ვასწავლი კიდეც.

ხალხმა რომ გაიგონა ასეთი ახალგაზრდა კაცი ავტოინჟი-

ნერი ყოფილაო, ჯერ გაოცდა, მერე წინ წაიწია და კიდევ მეტი ყურადღებით დაუწყო თვალიერება ვახტანგ გურგენიძეს.

კაპიტონმა პატივისცემით ჩამოართვა ხელი ახალგაზრდა ინჟინერს და მძღოლების მოსაყვანად კაცი გაგზავნა. ცაცხვის რტოებს ფუტკრები ეხვეოდნენ, სანექტრე ისრებს ყვავილებს ისე უყრიდნენ, თითქოს ბუტკოებს იმით ხსნიანო. ფეხები ბუსუსოვან მოყვითალო ყვავილთა მტვერში ამოეგანგლათ.

***

ვახტანგმა იმ ღამით არც თვითონ დაიძინა და არც მძღოლები დააძინა. მანქანებს გაცვეთილი და გაფუჭებული ნაწილები შეუცვალეს და დილისათვის ერთი ავტომანქანა სამუშაოდ გაამზადეს.

საკოლმეურნეო გარაჟი წყლის პირას დიდი ნიგვზების ძირში იდგა. მდინარის წყნარ შრიალსა და კაკლის რტოების დინჯ რხევაში ახალგაზრდები ისე მოძრაობდნენ, თითქოს სიცოცხლე მარტო მათი სახით დადიოდა ამ ქვეყანაზე.

დილით ვახტანგმა მდინარეზე პირი დაიბანა და პირსახოცით სახეს იშშრალებდა, მოულოდნელად გარაჟის ფართოდ ნოფრიალებულ ჭიშკარში ახალგაზრდა ქალი შემოვიდა, თავზე სვახური საჩრდილობელი ქუდი ეხურა, ქალიშვილს მაჯის სიმსხო თაფლისფერი ნაწნავები წელამდე წვდებოდა. ზღვისფერი დიდი თვალები დანისლული უცქერდნენ ვაჟს. ვახტანგს ქალიშვილი მოეწონა, ხელები უნებლიეთ ჩამოუვარდა. შეუმშრალებელ ცალ ლოყაზე წვეთები ისევ კანკალებდნენ, შავ ულვაშებიდან წყლის წვეთები მარგალიტებივით მოციმციმებდნენ. დილის მზის სხივი მდინარის ზედაპირს. კიდევ უფრო სილურჯეს უმატებდა. ვახტანგს მოეჩვენა, რომ ჭიშკარში შემოსული ქალიშვილის თვალები ფერთა ამ ციალით კიდევ უფრო ზღვისფერი ხდებოდა. მისი შოლტივით მოქნილი ტანი კაბაში თავისუფლად ცურავდა. ქალიშვილმა კდემამოსილებით სავსე თვალები მოავლო გარემოს, ალბათ საცნობი ვერავინ ვერ შენიშნა და უცხო კაცის დანახვაზე სახე აუნაკვერცხლდა.

— მე გარაჟის გამგე მინდოდა, — მოკრძალებით თქვა

მან, — ჩითილები უნდა გადამიტანოს ბულბულების ტყისპირა ნაკვეთში.

ვახტანგ გურგენიძეს ასე ეგონა, იქნებ ყურმა მომატყუაო.

— რა თქვი, ქალიშვილო? — გაკვირვებით წამოიძახა ახლა ვახტანგმა.

ქალიშვილმა ისევ წყნარად შეხედა მას და წაიჩურჩულა:

— ჩითილები უნდა გადავზიდოთ ბულბულების ტყისპირა ნაკვეთში, — იგი ოდნავ შეჩერდა, მერმე მიხვდა დამსდურის გაოცების მიზეზს, გაიღიმა და წყნარადვე განაგრძო: — აჯამეთის ტყეს აქ ბულბულების ტყეს ვეძახით. ძალიან ბევრი ბულბული ბუდობს იქ.

ინჟინერი გაოცდა. მან კარგად იცოდა ბულბულების სიმრავლე აჯამეთში, მაგრამ თუ ამ ტყეს ბულბულების ტყეს ეძახდნენ, ეს არ გაეგონა. მან ნელა გადააბიჯა ქალიშვილისაკენ და ღიმილითვე უთხრა:

— აჯამეთი რომ ბულბულების სამეფო იყო, ვიცოდი, მაგრამ არ მეგონა, თუ იადონი მეტყოდა მათ ამბავს.

ქალიშვილს გულზე მოხვდა ეს სიტყვა. წამწამები დაუშვა და სიწითლე მოერია.

— ვითომდა მე რა იადონი მნახე?! — თითქოს გაგულისებით თქვა მან, ნამდვილად კი, როგორც ყოველ ქალს შექების დროს, მასაც გაეხარდა ვაჟის ნათქვამი. ვახტანგი მიხვდა ქალიშვილის ეშმაკობას.

— მართალი გითხრათ, ათას იადონში არ გაგცვლიდი.

კაკლის რტოებიდან კოდალას კაკუნი გაისმა. ხის კანის ნაფჩხვენები მდინარეში სცვიოდნენ და რგოლებად ალივლივებდნენ მის მდორე ზედაპირს.

ქალიშვილმა გამომცდელი თვალებით ახედა ვახტანგს. დიდხანს უცქირა, მერე თითქოს გაიღიმაო, ისე თქვა:

— თქვენ ალბათ ბევრი იადონები გყავთ ქარხანაში...

— მერე თქვენ საიდან იცით, რომ მე ქარხანაში ვმუშაობ?!

— იადონებმა მითხრეს, — ახლა კი ნამდვილად გაიღიმა ქალიშვილმა.

ვახტანგი მიხვდა, რომ მისი ჩამოსვლა მთელ სოფელს გაეგო. იგი სულ ახლო მივიდა ქალიშვილთან.

— მიცნობდეთ, ვახტანგ გურგენიძე! — ხელი გაუწია ქალიშვილს. — დროებით თქვენი სტუმარი ვარ.

ქალიშვილმა ხელი ჩამოართვა, მაგრამ სახელი არ უთხრა.

ვახტანგი დიდხანს უცქეროდა მიმავალ ქალიშვილს. როცა მოსახვევში მიიმალა, შუბლზე ხელი მოისვა, ხელზე შხეფი მოხვდა. ახლა გაახსენდა, სახე ნახევრად შეუმშრალი რომ დარჩა.

— რა ეშმაკი მომივიდა, — თავისთვის ჩაილაპარაკა მან და გარაჟისკენ შემობრუნდა, კარებთან მძღოლები იდგნენ და იღიმებოდნენ.

— ვინ არის ის ქალიშვილი? — უნებლიეთ იკითხა ვახტანგ გურგენიძემ. ერთმა მათგანმა ხმამაღლა გაიცინა და უთხრა:

— ჩვენი რაჟდენის ქალიშვილია, სასელექციო სადგურის აგრონომი.

ვახტანგი შეკრთა, თავში ელვასავით გაურბინა რაჟდენის გუშინდელმა საუბარმა ქალიშვილთან. — შავგვრემანი... ბოსტანში კოტრიალი...

თითქოს ხმამაღლა მოესმა ისევ ეს ნათქვამი.

— გათხოვილი ყოფილა, ალბათ შავგვრემანი ბიჭუნა ეყოლა, — თავისთვის ბოღმით ჩაილაპარაკა მან და ხელი ისე ჩაიქნია, თითქოს დარდის განდევნა მარჯვენის ჩაქნევით შეიძლებოდა.

— რაჟდენის ქალიშვილს სახელიც კარგი ქვია, — მოესმა ისევ იმ მძღოლის ხმა, — ქეთინოს ეძახიან. ხომ კარგი სახელია?

ვახტანგმა არაფერი უპასუხა. მხარზე გადაკიდებული პირსახოცი გადმოიღო და პირის შემშრალება დაიწყო.

* * *

სიტყვაძუნწი კაცი იყო კაპიტონ მიქელაძე. სათქმელს ძნელად იტყოდა, მაგრამ თუკი მისი სიტყვა ოცდათორმეტ კბილს გადმოსცდებოდა, დღე-ღამეს გაასწორებდა და ნათქვამს შეასრულებდა.

— სიტყვას, ჩემო ძმაო, გონიერება უყვარს, სათქმელს დაკვირვება უნდა, ნათქვამს შესრულება. როგორც გასროლილ ტყვიას უკან გაუციებლად ვერ დააბრუნებ, ისე ნათქვამ

სიტყვას გაუნაღდებლად ვერ მისცემ ძალას. სიტყვას შესრულება აძლევს ღონეს, იგი ათბობს და აცოცხლებს მას.

ამას არც ისე ხშირად ამბობდა კაპიტონი, მაგრამ მთელმა კოლმეურნეობამ იცოდა მისი ხასიათი და პატივისცემით ეპყრობოდნენ მის ნათქვამს.

ცალფად ნაქსოვი კაცი იყო, საშუალოზე მაღალს იტყოდით. სიარული წყნარი იცოდა. ისე მსუბუქად ირხეოდა, თითქოს უჩინარ მუსიკას აყოლებდა ნაბიჯს. როცა გაიცინებდა, მის გარშემო ყველაფერს გაახალისებდა, სიცოცხლეს და ჯანს მიუმატებდა. ამ გაზაფხულზე ორმოც წელს მიაბიჯა აგრონომმა კაპიტონ მიქელაძემ. ინსტიტუტი დაამთავრა თუ არა, ხოცვა-ჟლეტის მოსურნეები ჩვენი ქვეყნის ფუძეს და კედლებს მტრულად შემოესივნენ. შვიდი წელი ჯარში გაატარა. საბჭოთა ოფიცერი მიქელაძე გერმანიის სატახტო ქალაქამდე შეურცხვენლად და წაუბორძიკებლად მივიდა. მის მკერდს ახლაც ამშვენებს საბრძოლო ორდენები; როცა სახლში დაბრუნდა, ისევ აგრონომად დაიწყო მუშაობა. ყველა განზრახულსა და ნათქვამს საქმედ აქცევდა.

სოფელი უყვარდა კაპიტონს. მთელ სოფელში განთქმული მამამისი სერგო მიქელაძე საზრიანი და გამოჩენილი მეურნე იყო, მისი ვაზი ყველაზე უწინ ისხვლებოდა და იწამლებოდა, სხვები როცა სიმინდს სთესდნენ, იგი მაშინ მეორედ თოხნიდა აბიბინებულ ყანას. არდადეგებზე ჩამოსული ბიჭი მარგვლაში და თოხნაშიც მხარში მიჰყვებოდა მამას. შვილს ძლიერ უყვარდა მამა. სიდინჯის გარდა მეგობრობის სიმტკიცეც გამოყვა კაპიტონს მამისაგან. ომიდან ჩამოსვლის შემდეგ მასავით ომგადახდილ აგრონომს დაუმეგობრდა. მისი ძმაკაცი ვანო ბერიძე მეხილეობა-მებოსტნეობის სასელექციო სადგურს ხელმძღვანელობდა.

ჩუმი და ბეჯითი მუშაკი საოცარი ჟინით და დაკვირვებით მოყვებოდა საქმეს. მისი მოკრძალებული შემოქმედებითი შრომის შესახებ პირველ ხანებში არავინ არაფერი იცოდა. იგი ქალაქში ცხოვრობდა და გარეუბნელები ყოველ დილით ხედავდნენ გოდოგნისაკენ ფეხით მიმავალს. ვანოს არც პორთფელი ეჭირა მაშინ ხელში და არც სათვალე ეკეთა. მიდიოდა ისე, როგორც ბეჯითი სტუდენტი მიდის, უბრალოდ და საქ-

ბიანად. პირველად ბევრს გაუკვირდა, როცა გაიგეს სამეცნიერო ხარისხი მოიპოვაო, მერე თანდათან დაინტერესდნენ მისი შრომით და, როცა ახლოს გაეცნენ, პატივისცემით დაუწყეს ყურება.

კაპიტონ მიქელაძემ ადრე შენიშნა მცენარეებისა და ბოსტნეულის მოყვარე აგრონომი, მისი ნაადრევად შეჭაღარავებული ხუჭუჭი თმები, სანდომიანი სახე და ჭკვიანი თაფლისფერი თვალები, კაპიტონზე დიდ გავლენას ახდენდა. დილიდან საღამომდე ჩაკირკიტებდა ვანო თავის ნერგებს და ჩითილებს. ბადრიჯანი თუ პამიდორი, თუთის ჯიშები, ბროწეულის ათასგვარი ნერგები, მწვანე ბარდა და სხვადასხვა ბოსტნეული იყო მისი ცხოვრების აზრის და გონების მამოძრავებელი. წინა წლებში ცალყბად ექცეოდნენ ვანოს. პირდაპირ ვერაფერს ეუბნებოდნენ, მაგრამ ისე გულში კი ფიქრობდნენ: ქინძის და ოსრასუშის მეცნიერება ვინ გაიგონაო?! ახლა სხვანაირად დატრიალდა საქმე. ხალხის სუფრის გამდიდრებას მტკიცედ მოჰკიდეს ხელი. ვანოს დაავალეს თავისი მუშაობის შესახებ პლენუმზე ელაპარაკნა.

გარეთ ნათელი, ადრიანი გაზაფხულის ღამე იყო, ვარსკვლავები ბავშვების თვალებივით ხამხამებდნენ ცაზე. ქალაქის თეატრი ხალხით იყო სავსე. უზარმაზარი ჭაღიდან ელნათურის შუქი უხვად იფრქვეოდა. ვანო ბერიძე ენაბორძიკებლად და გატაცებით უყვებოდა პლენუმს მწვანე ბარდას გავრცელების, პამიდორისა და ბადრიჯანის ახალი ჯიშების გამოყვანის შესახებ. შეკრებილნი გალურსულნი უსმენდნენ ვანოს, შიპატიჟებული კაპიტონი ლოჟის კუთხეში ჩამომჯდარიყო. იგი ხშირად გადახედავდა ხალხს და მათ თვალებში კითხულობდა მისი მეგობრის გამარჯვებას.

— იცი რა გითხრა! — ეუბნებოდა სხდომის შემდეგ კაპიტონი ოდნავ შეფერმკრთალებულ ვანოს, — მიხარია, რომ გაიმარჯვე, პლენუმის მთელ შემადგენლობას სჯერა, რომ შენ შესანიშნავ საქმეს აკეთებ, ნეტავი მას, ვისაც ჩვენი პარტია დაუჯერებს, შეიყვარებს, შეისისხლხორცებს.

ცაზე სრული მთვარე ამოდიოდა, გარშემო ჰაეროვანი ნისლისფერი რკალი შემორტყმოდა. ღრუბლის თეთრი პატარა ნაფლეთები მსუბუქად მიცურავდნენ აღმოსავლეთისაკენ. ვე-

ებერთელა ცის გუმბათზე ისინი მატყლის ფთილებივით მოჩანდნენ და ამინდის შეცვლას არ ემუქრებოდნენ. ვანომ ისე შეხედა მეგობარს, თითქოს პირველად ენახოს იგი.

— მე ასეთი ჯერ არაფერი შემიქმნია, კაპიტონ ჩემო! პარტიამ რომ დამიჯეროს და შემიყვაროს, მეტად დიდი საქმეები უნდა გავაკეთო. მე მხოლოდ ჩემი პატარა ცხოვრების ანგარიში ჩავაბარე.

კაპიტონმა მეოცნებე ყმაწვილივით ახედა ცას. დიდხანს უყურა მთვარის სხივებით განათებულ ღრუბლის ნაფლეთებს, ისინი ახლა ალაგ-ალაგ ქარვისფრად მოჩანდნენ.

ეს პირქუში კაცი კიდევ უფრო მოიღუშა და წყნარად თქვა:

— ჩემი კოლმეურნეობისათვის უნდა წავიღო შენი „შავგვრემანი“ და „წყალწითელა“. მე მგონია კარგად მოვუვლით.

ვანო ოდნავ შეჩერდა. მერე ისევ გზა გაგრძო და სიარულშივე ჩაილაპარაკა:

— მწვანე ბარდაც დიდ სარგებლობას მოგიტანს, იცოდე. თავისი ღირებულებით ერთი ტონა ათ ტონა სიმინდს ცვლის. ქეთინოს მოგახსენარ; ხომ იცნობ, შენი ბუღალტრის შვილია, „შავგვრემანის“ თანაავტორია, არ დაივიწყო, მეგობარო, მწვანე ბარდა. მაშინ მწიფდება, როცა სიმინდი ითესება, მერე ხომ იცი, როგორი მოსავალი იცის სიმინდმა მის ნაყანევში: ლატან მუხებივით ჩაშავდება, ტაროები ვაქკაცის მკლავების ოდენები დაეკიდება.

მეორე დღეს ქეთინომ და კაპიტონმა აჯამეთის ტყის კიდეზე მიწა აირჩიეს. ტრაქტორი ჩამოიყვანეს და რამდენიმე დღეში გაუტეხელი ყამირი საუცხოო საბოსტნე ფართობად აქციეს. ერთი მარცხი დაემართა კაპიტონს. მანქანები დაუშავდა და დაუსუსტდა, ხუთი საბარგო ავტომობილიდან მხოლოდ ერთი მუშაობდა. ათეული ტონა სასუქი მოუტანელი დაურჩა. ამას დაერთო ისიც, რომ ჩითილები ფართობში უნდა ჩაეტანა და ჩაერგო. ამ გაჭირვებაში იყო, როცა ავტოქარხნელებმა თვითმცლელი გამოუგზავნეს და ნაწილებიც ჩამოუტანეს.

***

ალიონი ახლოვდებოდა. ტრაქტორმა სოფლის ბოლოზე გრუხუნით გადაიარა. მინდვრებიდან მისი ყრუ გუგუნი ისე ისმოდა, თითქოს სოფლის გულის ცემას იქით გადაენაცვლებინოს. ცოტა ხნის შემდეგ აღმოსავლეთის კიდე ოდნავ შეირხა, მიწის ჩუმ ქშენას დააყურა, კრიალა ცის გუმბათი შეღება და აჯამეთის ტყეში უკვე ყველაფერს გაეღვიძა, მუხები და ძელქვები შრიალებდნენ. ფრინველების ფრთების ფართქალი და გალობა მიწიდან ცამდე აერიალებდა გარემოს.

ხანდახან მუხის ფოთლებზე დამძიმებული ნამის წვეთები ბროლის ნაფჩხვენებივით სცვიოდნენ ძირს.

მინდვრებისაკენ მიმავალ ქალს კაპიტონი წამოეწია.

— დილა მშვიდობისა, ნინო!

ქალმა მარჯვენა მკლავზე ჩამოკიდებული კალათი მარცხნისაკენ გადაინაცვლა, თავი მსუბუქად მოაბრუნა და წყნარად თქვა:

— დილა მშვიდობისა, კაპიტონ!

— მომეცი კალათი, მე წამოგიღებ, ალბათ ტრაქტორის ნაწილები მიგაქვს.

კაპიტონი კალათს წაეპოტინა, ქალმა ხელი შორს გასწია და წყნარად ჩაილაპარაკა:

— არა, რატომ, მეც არ მიჭირს მისი ზიდვა.

მოულოდნელად მინდვრებში აგუგუნებული ტრაქოტრის ხმა ჩაქრა, თითქოს ყველაფერი გაყუჩდა, ქვეყნის სუნთქვა შენელდა.

— რა დაემართათ ნეტავი, რატომ გააჩერეს?—კაპიტონმა ნაბიჯი შეანელა, ყური დაუგდო და მერე თვითონვე დაატანა:

— მივალთ და გავიგებთ, არაფერია, როცა თქვენ ახლოს ხართ, არ მეშინია. ჰე, კარგი კადრები გვყავს ახლა ჩვენ. აი, თუ გნებავთ ავტოქარხნის მექანიკოსი. ნიჭიერი ახალგაზრდა ჩანს, ერთ კვირაში სამი მანქანა ამიწყო, რა ლამაზი ყმაწვილია! — თითქოს შეშურდაო, ისე ამოიხვნეშა კაპიტონმა.

ნინომ კაპიტონს შეხედა.

— სად დაამთავრა ნეტავი?

— არ ვიცი, ვახტანგი ჰქვია, გურგენიძეა გვარად.

— რას ამბობთ! — უცებ გამოცოცხლდა ქალი, — მერე ავტოქარხნის ინჟინერს აქ რა უნდოდა.

— დაგვახმარეს ჩვენმა შეფებმა, იცნობთ? შესანიშნავი ბიჭია, ახლაც აქ არის, ისეთი შავტუხა. ვინმეა, სოფელში შავგვრემანი ინჟინერი დაარქვეს კიდეც.

— თქვენს სოფელში შავგვრემანები ნამეტანი უყვართ.

კაპიტონი პირველად ვერ მიხვდა ნინოს ნათქვამს, მერე მანაც გაიღიმა.

— აჰა, ჩვენს ბადრიჯანზე ამბობ, გიორგის და ქეთინოს ახლად გამოყვანილ ბადრიჯანზე. მართლაც მასაც „შავგვრემანი“ ჰქვია.

უცებ ისევ აგუგუნდა ტრაქტორი. ახლა მისი ხმა უფრო ახლო ისმოდა.

— მოვედით კიდეც, — წაილაპარაკა ნინომ.

ტყის ბოლოზე მინდვრები იწყებოდა, ახლად აბიბინებული ბოსტნეული ნელა ღელავდა.

კაპიტონმა თვალებზე ხელი მოიჩრდილა, მზის სხივები უკვე ცის გუმბათზე გაშლილიყვნენ, იგი ოდნავ შეჩერდა და ბოსტნისაკენ გადაუხვია.

— მე აქ დავრჩები, ქეთინო უნდა ვნახო, თქვენ ალბათ ტრაქტორისაკენ მიდიხართ.—ნინომ ჩაფიქრებით შეხედა თავმჯდომარეს, თავი ნელა დაუქნია და ტრაქტორის ხმის მიმართულებით წავიდა.

* * *

ტყის პირას მანქანა მიჰქროდა. კაბინიდან ახლად მოასფალტებული დანამული შარაგზა არხში მოქცეული მდინარესავით ლივლივებდა. ვახტანგი ჩვეული სიმსუბუქით აბრუნებდა ხელში საჭეს.

გზის გაღმა-გამოღმა ასწლოვანი მუხები დინჯად შრიალებდნენ, მაისის ღამეს ხშირი ტყისა და მიწის სასიამოვნო სიგრილე ემატებოდა. ვახტანგმა საურმე გზაზე გადაუხვია. სიღრმეში ტყე უფრო დაბურული ჩანდა. კაბინის გაღებულ ფანჯარაში სიო თამაშობდა. ვახტანგს გრუზა, შავი თმა შუბლზე ჩამოშლოდა. მუხის ტოტებზე და ვაჟკაცის ბუნებაშიც გაზაფხულის კვირტები თითქოს ერთნაირად იშლებოდნენ და სუნ-

თქავდნენ. სანამ ტყის ნაპირი გამოჩნდებოდა, მანამ გააჩერა ვახტანგმა მანქანა. იგი ისე გაყუჩდა, კაბინიდან არც გადმოსულა. ტყის ამ სიჩუმეში დარდი მოსწოლოდა ვაჟკაცს. ახსოვდა მისი ქარხნის ყველაზე სუსტი მხარე, — დაკვეთებს ვერ ასრულებდნენ ავტოქარხნელები. მოდიოდნენ მოთხოვნები ურალიდან თუ ყარაყუმიდან, ალტაიდან და ციმბირის ველებიდან, ითხოვდნენ მანქანების სხვადასხვა ნაწილებს, ქარხანა კი დავალებას ვერ ასრულებდა. — შევრცხვითო, — ხმამაღლა წამოიძახა ვახტანგმა და ლოყებზე ალმური მოეკიდა.

ორი კვირის საქმე ერთ კვირაში გააკეთა ვახტანგმა. კოლმეურნეობის მანქანები ფეხზე დააყენა, ათეული ტონა სასუქი გადმოიტანა, და გულიც იმ ჩითილებივით გაეშალა, ქეთინომ რომ ბოსტანში აზიდვინა ბიჭებს.

ქეთინოს გახსენებამ ტანში ტკბილი ჟრუანტელივით დაუარა ჭაბუკს.

მოულოდნელად რტოზე რაღაც შეფრთხიალდა. ალიონის სიჩუმეში გაისმა წყნარი სტვენა. ჯერ დარდიანი და მკვნესარე, მერე სიხარულით სავსე და წყაროს წყალივით წკრიალა. სადღაც მეორე მგალობელმა ამოიკვნესა, შემდეგ მესამემ და სულ რამდენიმე წუთში ტოტებზე გამრავლდა მათი ჯადოსნური სალამურები. გაინაბა ტყე. ფოთოლთა შრიალიც შეჩერდა. რიონისა და ყვირილას დუდუნში ეს საოცარი ჰანგები ეფინებოდა ტყეს, გადადიოდა მინდვრებში და უერთდებოდა ტრაქტორის გულის ფეთქვას. თითქოს ყველა ტოტს კვირტების მაგიერ ბულბულები გამოსხმოდა, ისე მრავლად სტვენდნენ ისინი.

ზღაპრული ჰანგებით დამთვრალი ვახტანგი გულის ფანცქალით უსმენდა ტკბილხმოვან სალამურებს. უნებლიეთ თვალები მიენაბა, გაჩუმდა. როცა თვალი გაახილა, ტყეში უკვე განთიადი შრიალებდა. მინდვრისა და ტყის საზღვარზე ქალი შენიშნა. თვალები გაუფართოვდა. ნინო იცნო. ქალი ღიმილით უმზერდა მას.

— ნინო, — უნებლიეთ წამოსცდა ვაჟკაცს. — ეს თქვენ ხართ? საიდან, როგორ?!

— ჰო! მე ვარ, ვახტანგ, — მისთვის უჩვეულო სიწყნარით

თქვა მან. — ჩემ საქმეზე ვარ, ხომ არ დაგავიწყდა, რომ მეც მექანიკოსი ვარ...

ვაჟმა იგრძნო, რომ ქალი გამოცვლილიყო, სიდარბაისლე შემატებოდა, ხმა დარბილებოდა. ნეტავ რა დაემართაო, გაიფიქრა ვაჟმა.

ვახტანგი და ნინო თანაკურსელები იყვნენ. ნინოს შავი თვალ-წარბი, ნუშისფერი ტუჩები, ატმის ბუსუსოებში აფეთქებული ნაზი პირისკანი და აშოლტილი ტანი ყველას ხიბლავდა.

ახალგაზრდა ექიმს შეუყვარდა იგი. შეუღლდნენ. დაამთავრეს თუ არა ინსტიტუტი, ცოლ-ქმარი სოფელში წავიდნენ სამუშაოდ. ახლა ვახტანგი უკვირდებოდა ნინოს და გრძნობდა, რომ უბედურება შემთხვეოდა მას.

ქალი თითქოს მიუხვდა ვაჟს.

— ხომ გახსოვს, ვახტანგ, ქმრიანი ქალი ვიყავი, ამჟამად ქვრივი ვარ, ჩემს ბიჭიკოს მამა აღარ ჰყავს.

— რას ამბობ, ნინო! — გულამოკვნესით წამოიძახა ვაჟმა.

ქალს თვალები დილის ნამის მსგავსი ცრემლებით გაევსო.

— ასე მოხდა, ჩემო ძმაო! მის სიცოცხლეში ქარივით ვიყავი, პეპელასავით ვგრძნობდი თავს, ახლა სულ სხვანაირი გავხდი, სულ სხვანაირად მოეწყო ჩემი ცხოვრება.

ვახტანგი ჩუმად უსმენდა.

მან რატომღაც გაიფიქრა, რომ ნინო სულ მარტო დარჩენილიყო ამ ქვეყანაზე.

— ნუთუ არავინ გეხმარებათ? — ჰკითხა მან.

— ჩემი მეგობრები თავზე მევლებიან, მილოლიავებენ, ისინი რომ არა, ვერ გადავიტანდი მის დაკარგვას, ჩემო ვახტანგ!

მუხების თავზე ნიავმა გადაიქროლა, მზის სხივებმა უკვე შეანათა ცის გუმბათი; დილამ მინდვრებიდან ტყეში შემოიხედა. კუნელებზე უკვე შაშვები ჭახჭახებდნენ, შარაგზიდან მანქანების გრიალი ისმოდა.

— ბავშვი სად გყავთ, ნინო?

— წუხელ ქეთინოსთან იყო, იგი ჩემი მეგობარია, მეცნიერი მუშაკია. ამ დილით ბოსტანში ჩამოიყვანდა. ახლა აქეთ

სწორედ ამიტომ წამოვედი. ძალიან უყვარს ქეთინო ჩემს ბიჭიკოს, — ჩაფიქრებით დააბოლოვა მან.

ვახტანგს ქეთინოს ხსენებაზე ფერმა გადაუარა. ქალმა ეს ვერ შენიშნა.

— აბა წავიდეთ, ნინო! შენი ბიჭის ნახვა მინდა, მეც იქით მივდივარ, ტყისპირა ნაკვეთზე.

* * *

ბოსტნის შუაგულში, დიდი მუხის ქვეშ, კარავი იდგა, პამიდორისა და ბადრიჯნის გრძელი მწკრივები დაუსრულებლად გადაჭიმულიყვნენ ფართობზე. კარავში ვანო და კაპიტონი საუბრობდნენ, ქეთინო კი გარეთ ბავშვს ეთამაშებოდა.

— დიდები დაიზრდებიან თქვენი ბადრიჯნები? — კითხულობდა ბიჭუნა.

— დიდები დაიზრდებიან, აი, შენი მკლავის ტოლა დაიზრდებიან.

ბავშვმა მიამიტად დაიხედა აკაპიწებულ მკლავებზე.

— ოჰ, ბებომ როგორი საცივის გაკეთება იცის ბადრიჯნისაგან! მე ხომ შავტუხა ბიჭი ვარ?—მოულოდნელად იკითხა ბავშვმა.

— მეც მიყვარს შავგვრემნები, იმიტომ დავარქვი ჩემს ბადრიჯანს „შავგვრემანი“, — რატომღაც ჟინიანად თქვა ახლა აგრონომმა ქალმა.

ბავშვი ოდნავ ჩაფიქრდა, მერე იქვე დაგდებულ თუთის შტოს დასწვდა, ისე გადააჯდა როგორც ცხენს და ტყის პირისაკენ გაქუსლა.

შორს არ წახვიდე, მალე დედაც მოვაო, გასძახა ქეთინომ. ბავშვმა ერთი მოიხედა, გაუღიმა, თავი დაუქნია და ისევ გაქუსლა. ქეთინო დიდ ხანს უყურებდა ბავშვს, მერე თვალები დაუსევდიანდა. ფიქრმა წაიღო. მრავალი დღე-ღამე უთენებია ვანო ბერიძის ხელმძღვანელობით ქეთინოს „შავგვრემანის“ გამოყვანაზე. ათასი მეცნიერული საშუალება გასინჯეს და ბოლოს მიზანს მიაღწიეს. ზოგიერთს ახლაც არ სჯერა „შავგვრემანის“ დაკონსერვების რენტაბელობის ამბავი. გასულ წელს მისი თესლი კოლმეურნეობებმა მცირე რაოდენო-

ბით წაიღეს. წელს კი კაპიტონმა იძალა და ამხელა ფართობი დაუთმო მათ მიერ გამოყვანილ პამიდორსა და „შავგვრემანს“. დაიზრდებიან ისინი და დაეკიდებიან ყუნწებით რტოებს. მთელი გორაკი გადაშავდება; მართლაც რომ შავგვრემანია, შავგვრემანი. ქალიშვილი უცებ გაინაბა. ამ სიტყვებთან ერთად ვახტანგი დაუდგა თვალწინ. გაახსენდა მისი სწორი სახის ნაკვთები, საკინძეგახსნილი მკერდი, მდინარის წვეთებით დაცვარული შუბლი და ულვაშები. კარგი ყმაწვილია, ისევ განაგრძობდა ფიქრს ქეთევანი, რა ბეჭები და ტანი აქვს. მის შუბლზე დაყრილი თმები ისე ახლო მოეჩვენა ახლა ქალიშვილს, რომ თითქოს ვახტანგის თავი მის კალთაზე ყოფილიყოს. მან მუხლებზე ხელი უნებლიეთ გადაისვა, საკუთარი მუხლების სითბომ შეაკრთო და წამოაყენა ქეთევანი. თვალები გარემოს მოავლო, ტყის პირიდან ვახტანგი და ნინო მოაბიჯებდნენ. ნინო ჩაფიქრებით უყვებოდა რაღაცას ვახტანგს. ისიც საოცარი ბედნიერი თვალებით უცქეროდა და ესაუბრებოდა მას.

ახლა უკვე ისმოდა მათი საუბარი. ვაჟი ამბობდა:

— არ დაგიმალავ, ნინო, ქეთინო მომეწონა, მაგრამ მიუკარებელი მეჩვენა, გულცივი უნდა იყოს.

აგრონომ ქალიშვილს სუნთქვა შეეკრა, იგი ისე მიეკრა მუხის ტანს, თითქოს ხის ქერქზე ამოსული აბედი ყოფილიყოს.

— არა ხარ მართალი, ვახტანგ, ქეთინო შესანიშნავი ქალია, ნამდვილი ქალი, იგი არა მარტო ლამაზი და დიდი მომავლის ადამიანია, არამედ კდემამოსილებით სავსე ქალიშვილია, ბედნიერი იქნება მისი ქმარი.

ქეთინოს სიწითლემ გადაუარა სახეზე, ქალიშვილს ახლა მოუნდა დაეკოცნა ნინო, ჩახვეოდა და მადლობა ეთქვა მისთვის.

კარვიდან კაპიტონი გამოვიდა.

— ვანო, გამოდი, არწივი მოფრენილა, — შესძახა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და ვახტანგისაკენ წამოვიდა. ქეთინო ფეხის ხმაზე მიხვდა, რომ ამ დაძახებაზე ვანო ბერიძეც გარეთ გამოვიდა. ქალიშვილი ახლა ოთახში შეფრენილ ჩიტივით აფრთხიალდა. სად წასულიყო, არ იცოდა, კაპიტონი კი ისევ სიდარბაისლით განაგრძობდა:

— მადლობა უთხარი ავტოქარხნელებს, დიდი მადლობა, ასე ჩვენს კოლმეურნეობას ჯერ არავინ მოხმარებია.

უცებ ქშენა მოისმა და გაოფლიანებული ბიჭუნა გამოჩნდა. ქეთომ ბავშვისკენ ნამალავად გადაირბინა.

ქალიშვილმა ხელში აიტაცა ბიჭუნა; ნინოს მაგივრად მას აკოცა და კარვისაკენ წავიდა. იგი გავარვარებული სახით მიუახლოვდა ნინოს. ბიჭუნა გააოცა ვახტანგის შეხედვამ, ჯერ დედას მოეხვია, შემდეგ, ვახტანგის სახელი რომ გაიგონა, ქეთინოსაკენ გამოიხედა და უდარდელი მიამიტობით ატიტინდა:

— დეიდა ქეთინო! ძია ვახტანგი ხომ ჩემზე შავგვრემანია, შენ ხომ თქვი შავგვრემანები მიყვარსო; ძია ვახტანგი არ გიყვარს? ხომ გიყვარს?

ქეთინო მთლად აირია, მან სწრაფად გამოტაცა ბავშვი დედას, ისევ აიყვანა და პირზე ხელი დააფარა.

ყველას სიცილი შესკდა.

ქეთინომ არ იცოდა სად წასულიყო. ვანო ბერიძემ დაკვირვებით შეათვალიერა ახალგაზრდები.

— მართლაც არწივი ყოფილხარ, ავტოქარხნელო, გეტყობა მარტო მანქანის გაკეთება კი არა, ქალების გულის მოგებაც შეგძლებია.

ვახტანგი ბავშვისაკენ წავიდა. მან ხელი მოხვია ბიჭს და როცა ქეთინოს ცეცხლმონთებულ მკლავს უცაბედად შეეხო, ვაჟმა იგრძნო აგრონომი ქალიშვილის სხეულიდან ეს სითბო მარტო მისთვის იღვრებოდა ამ ქვეყანაზე.

ოქსანა

დილა იყო.

ოსტაპი ნელი ნაბიჯით მიდიოდა.

შორიდან ისმოდა მანქანების ხმაური, ჯაჭვების გრიალი, ადამიანთა შეძახილები. გუშინ აქ ტრაქტორებმა და ბულდოზერებმა ხეები ამოძირკვეს, დღეს სხვა მანქანებთან ერთად მიწისმთხრელი მანქანებიც მუშაობდნენ.

დნეპრის ნაპირზე უცნობი ახალგაზრდა კაცი ნიადაგს თხრიდა. იქვე მის ახლოს ტილოს პატარა პარკუჭანები ელაგა მიწაზე.

ოსტაპი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო.

ახლოს მივიდა. დააკვირდა. პარკუჭები სავსე იყო: მიწით, სილით, ხრეშით, ქვების ნატეხებით. უცნობი ისე იყო გართული თავისი საქმით, რომ ოსტაპის მიახლოვება, ვერ შენიშნა.

— გამარჯობა, ძმობილო!

ახალგაზრდამ პირი მისკენ მოიბრუნა.

— გაგიმარჯოს, ამხანაგო!

დნეპრის ნაპირი ნისლით იყო შებურვილი. ტალღები ნაპირს ეხეთქებოდნენ, ცერისოდენა მარგალიტისფერ შხეფებს ესროდნენ და უკან ბრუნდებოდნენ. უცნობს რეზინის ჩექმები ეცვა. ოსტაპისაკენ შემობრუნებულს ფეხქვეშ მდინარე ეტბორებოდა.

ახლა იგი თითონ უცქერდა ოსტაპს და თან ტანსაცმელზე მიყრილ მდინარის შხეფებს იფერთხავდა.

ოსტაპი მოხიბლა ახალგაზრდის ბრგე მოყვანილობამ და სახის უჩვეულო ვაჟკაცურმა სილამაზემ.

— რაო, ნიადაგს იკვლევთ?!

— დიახ, ნიადაგსაც და აი, ამ ქვასაც.

— როგორ თუ ქვას, ქვა რის მაქნისია?

— ჩვენ ბეტონის მასალებს ვეძებთ. ამ მიზნისათვის ადგილობრივი საშუალებები გვინდა გამოვიყენოთ.

ოსტაპი ნელა შეირხა. იგი ახლა დააკვირდა დნეპრის ნაპირს. ცოტა მოშორებით რამდენიმე კაცი პატარა ჭაბურღილს თხრიდა, ისინიც პარკუჭებში ყრიდნენ ნიადაგის სხვადასხვა ნიმუშებს, თავებს უკრავდნენ და იქვე ალაგებდნენ. ოსტაპი მიხვდა, რომ მთელი ექსპედიცია მუშაობდა ამ საქმეზე.

იგი უფრო ახლო მივიდა უცნობთან და ჩაფიქრებით თქვა:

— თქვენ დიდი საქმის გაკეთება განგიზრახავთ. მიცნობდეთ, მე ინჟინერი გავრილენკო ვარ, ოსტაპს მეძახიან. ბეტონის სარევ ქარხანას ვხელმძღვანელობ. ამ საქმით დაინტერესებული ვარ.

უცნობი წელში გაიმართა. რეზინის ხელთათმანები გაიძრო, ოსტაპს პირდაპირ შეხედა, რატომღაც მისი ჩაცმულობა შეათვალიერა და ღიმილით ჩაილაპარაკა:

— დიახ, გეტყობათ, რომ ბეტონის სპეციალისტი ხართ.

ოსტაპმა თითონაც უნებლიეთ დაიხედა ტანსაცმელზე. მასაც გაეცინა. ტანისამოსზე ცემენტის მტვერი უხვად შეკირულიყო, ალაგ-ალაგ გაურეცხავი მატყლის ფთილებივით ეკიდა.

— მეც ინჟინერი ვარ, — თქვა ,ახალგაზრდამ წყნარად, — მეცნიერი მუშაკი, არჩილ ჩარქესლიანი, თბილისიდან.

— ოჰო, — აღმოხდა ოსტაპს. — ვიცი, ვიცი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან ხართ მოვლინებული. კეთილი, კეთილი. თქვენ სტუმარი და ჩვენ მასპინძელი.

ზევიდან, მდინარეზე ნავები მოსრიალებდნენ. შიგ მსხდომი ახალგაზრდები ოსტაპს ხელს უქნევდნენ და უკრაინულად ეძახოდნენ:

— ოსტაპს გაუმარჯოს, ჩვენს ოსტაპ ბულბას!

არჩილი ამ უკანასკნელმა სიტყვებმა გააოცა და ახლად

გაცნობილს ეჭვნეულად შეხედა. — სხვისი გვარი რისთვის მითხრა?!. — გაიფიქრა მან. თითქოს ამ ეჭვს მიუხვდაო ოსტაპი, არჩილისკენ შემობრუნდა:

— არ გაგიკვირდეთ, — ეს მე მეძახიან ბულბას. მიზეზიცა აქვთ ამისი. ამას სხვა დროს მოგიყვებით. ისე კი იცოდეთ, ჩემი გვარი ნამდვილად გავრილენკოა.

ნავები ისე შორს წავიდნენ, რომ ნიჩბების ტყლაშუნიც აღარ ისმოდა. არჩილმა არაფერი არ თქვა. მიხვდა, რომ ახლად გაცნობილი არ სტყუოდა. ის ნამდვილად გავრილენკო იყო. იგი ნაპირზე ამოვიდა, ხრეშზე ფეხი დაადგა, პარკუჭანების შეგროვებას შეუდგა.

მოულოდნელად, თითქოს ქარმა ტალღებიდან ამოაფრინაო, შორიდან პატარა ნავი გამოჩნდა. ჰორიზონტზე შეატყობდით, რომ შიგ მხოლოდ ერთი მენავე იჯდა. იგი საოცარი სისწრაფით მოქროდა მდინარეზე, მიმართულება იქით აიღო, სადაც ოსტაპი და არჩილი იდგნენ. ნავი ისევ პირდაპირ მოსრიალებდა მათკენ, თითქოს ნაპირიდან ბაწრით ეზიდებოდნენ.

ნავი თანდათან მიუახლოვდა ნაპირს. არჩილი უფრო გაოცდა. მენავე ახალგაზრდა ქალი აღმოჩნდა.

— ოსტაპ! — ყვიროდა წკრიალა ხმით, — შენ გეძებთ.

ოსტაპი თვალს არ აშორებდა მოსულს. არჩილმა იგრძნო, რომ ოსტაპს ოდნავი მღელვარებაც დაეტყო.

მენავე ნაპირს მიუახლოვდა და ნავი ისეთი სიმძლავრით გამოაცურა წყლის ზედაპირზე, რომ მისი ნახევარი ფსკერი სილაზე და მშრალ ხრეშზე ამოცოცდა. გაწითლებული ქალი თითქოს ცხენზე მჯდარიყოს ისე გადმოხტა ნავიდან, ნიჩაბი ტარით მკვირცხლად ჩაასო სილაში, ნავის ცხვირიდან ბაწარი გადმოათრია, ერთი წვერი ნიჩბის ტარს მოახვია, მეორე კი ნავის ცხვირზე მიმაგრებულ რკინის რგოლს. ბაწარი მარყუჟად გასკვნა.

ქალს სქელი ტილოს წყალგაუმტარი კომბინეზონი ეცვა. ორი შავი ნაწნავი მოსწავლე გოგონასავით გადაეყარა უკან, ნიჩბის მოსმისგან შეშხეფებული წყლის წვეთები თმასა და სახეზე მარგალიტებივით დაფრქვეოდა.

როცა არჩილი მოსულს ახლოს დააკვირდა, მიხვდა, რომ სწორედ ამ ნაწნავებმა მოატყუეს იგი. ის ახლა ოცდაშვიდ-

ოცდარვა წლის დასრულებული ქალი ჩანდა და არა თექვსმეტისა, როგორც მას წეღან ნავიდან მოეჩვენა.

— ოსტაპ, ბეტონის ავტომატური ქარხანა გაჩერდა. რაღაც გაუფუჭდა. შენი თვალი და ხელია საჭირო. უნდა წამოხვიდე. — ამას იგი ყოველგვარი ოფიციალობის გარეშე ამბობდა, მაგრამ მის ხმაში იყო რაღაც მბრძანებლური და ნათესაურიც.

— ჰო, მართლა, — განაგრძობდა იგი, — ბავშვი თვალის ექიმთან მივიყვანე. მითხრა სიწითლე მალე გაუვლისო. საყმაწვილო ყოფილა. წამალი კი მაგარი ჩაასხეს, ქინაქინასავით მწარე.

ოსტაპმა მზრუნველად ჰკითხა:

— აეწვა?

— ძალიან! ალუბლისხელა კურცხლები აყრევინა.

— ქარხანა როდის გაჩერდა?

— ერთი საათი არ იქნება. — ქალი ჩაფიქრდა და შეშფოთებით დააბოლოვა: — ჩქარა უნდა მიეშველო, ოსტაპ!

ამ ლაპარაკის დროს მას არჩილისკენ არ გამოუხედია.

ახალგაზრდა მეცნიერი პარკუჭანებს ჩანთაში ფრთხილად ალაგებდა. დნეპრზე თოლიები დაფრინავდნენ. შავი ზღვისაკენ ცა თანდათან წითლდებოდა. ოსტაპი ქალს უსმენდა და ამ აცეცხლებულ ზეცას მისჩერებოდა. მან დიდ ხანს უყურა დაქინებით შავი ზღვის მხარეს, მერე უცებ შემობრუნდა და თქვა:

— გაიცანით, ჩემი მეუღლეა, ოქსანა ჰქვია. ეს კი ქართველი ახალგაზრდა მეცნიერია, — მიმართა მან ახლა ოქსანას, — ბეტონის საქმის ოსტატი.

ოქსანა ნელა შემობრუნდა არჩილისაკენ. მზით დამწვარი, ნაგრამ ქალური, ნაზი ხელი უბრალოდ გაუწოდა მას.

— მიცნობდეთ. ბეტონის საქმე ცოტა მეც მესმის, თუმცა მეცნიერებიდან შორსა ვარ.

ოსტაპმა ეშმაკურად გაიღიმა:

— ჰო, მართლა, ამხანაგო არჩილ, დამავიწყდა მეთქვა, ოქსანა ბეტონმდღვებავების ბრიგადირია. ვაითუ ბევრ რამეში შეგედავოს კიდეც.

ოქსანა გაწითლდა. მან ქალური კდემამოსილებით, მაგრამ ოდნავ სიმკაცრით უთხრა ქმარს:

— ნუ დამცინი, ოსტაპ! დამწვარს მზეს როდი უფიცხებენ.

ამ დროს უკანქცეულმა ტალღამ ისე მაგრად დაქაჩა ნავი, რომ სილაში ჩასობილი ნიჩაბი გადაზნიქა. ნავი მთელი ძირით წყალში შეცურდა.

ოსტაპმა დნეპრს გაკვირვებით გახედა.

— ქარი ძლიერდება, ოქსანა, უნდა ვიჩქაროთ. თქვენ კი, ამხანაგო არჩილ, ჩვენთან უნდა შემოიაროთ. ერთმა ფიქრმა გამიელვა თავში. იცოდეთ, ჩემმა მეუღლემ ბეტონის საქმე კარგად იცის. შეიძლება მისი აზრი გამოგადგეთ. იქნება ერთმანეთის გამოცდილება გამოიყენოთ.

ქებით უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ოქსანამ ქმარს სახელო ჩამოსწია — გაჩუმდიო.

მოძალებულმა ქარმა წყლის ტალღა შორს ამოისროლა ნაპირზე და არჩილს ორივე ფეხებში შეატბორა.

მდინარეზე ნავები ახლა ხშირ-ხშირად დაქროდნენ. ისინი ზოგი ზემოთ კაშხალისაკენ დატვირთული მიემართებოდნენ, ზოგი კიდევ ცარიელნი უკან ბრუნდებოდნენ.

საჭირო იყო ბეტონის უთვალავი კუბომეტრები. ამის გამო ქარხანას მთელი სიმძლავრით უნდა ემუშავნა. მასალა კი შორი მანძილით იყო დაშორებული საამშენებლო მოედანს. მშენებლები დიდ გაჭირვებაში იყვნენ. ამ მიზეზით ორი კვირის წინ ბეტონის ქარხანა რამდენიმე დღით შეჩერდა კიდეც...

ოსტაპი ნავში დაფიქრებული ჩაჯდა, ოქსანა კი ნაპირიდან ნავის ცხვირს ნიჩაბით მიაწვა. ნავი მსუბუქად ატივტივდა. ქალი მოხერხებულად ჩახტა შიგ, ქმრის გვერდზე დადგა. ოსტაპის ახლოს იგი ისევ გოგონას ჰგავდა. მისი თავი ოსტაპის უზარმაზარ ბეჭებს ძლივს სწვდებოდა, დიდრონი ლურჯი თვალებით კდემამოსილებით შეჰყურებდა ქმარს.

ისევ ახლოს ჩაიქროლეს ნავებმა.

— ჩვენ ოსტაპს გაუმარჯოს, ოსტაპ ბულბას, — ისევ მოისმა ნავებიდან.

ოქსანა თითქოს ამას ელოდა, ნავის შუაწელში ჩაჯდა, ნიჩბები მოუსვა და ნავი აღმა ლაღად გაასრიალა.

არჩილი იდგა და გაჰყურებდა ნავში მჯდომ ცოლ-ქმარს.

ქარი თანდათან ძლიერდებოდა. დნეპრის ზედაპირზე იგი ახლა ისე მოშხუოდა, თითქოს ზემოდან საფანტს ყრიდნენ წყალში. ნისლი სრულიად გაიფანტა. ღრუბლის ნაფლეთები სადღაც გარბოდნენ და მხოლოდ მაშინ გამოჩნდებოდნენ დნეპრის სიღრმეში, როცა ქარი ერთი წუთით მიყუჩდებოდა, სულს მოითქვამდა.

* * *

ოსტაპ ბულბა! — უცებ გაუელვა ამ სიტყვებმა არჩილს და უნებლიეთ თავისი ბავშვობა გაახსენდა. ზემო სვანეთში, მესტიაში სწავლობდა მაშინ. მასწავლებელმა, ივანე მარგიანმა წაუკითხა „ტარას ბულბა". მერვე კლასის მოსწავლეები მერხებზე ვერ ჩერდებოდნენ, ისეთი საოცარი გავლენა მოახდინა წაკითხულმა. წაკითხვის შემდეგ როლები უკვე განაწილებული იყო. ყველაზე მკლავმაგარმა ბექნუ ხერგიანმა თავი ტარასად გამოაცხადა. არჩილს ოსტაპის როლი ერგო. ანდრეს ნაცვლად კი ვერავინ იშოვნეს. ბექნუ თეთნულდივით ფესვმაგარი ბიჭი იყო. მთელი კლასი მოწიწებით ეპყრობოდა. მისი სარმა და მოგვერდი განთქმული იყო ტოლებში. სწავლითაც კარგად სწავლობდა. ეს აორკეცებდა მისდამი პატივისცემას. ბექნუმ ჯერ დაშინებით მოინდომა ტოლების ნებაზე დაყოლიება, ვერაფერს გახდა. გახელებული ჭაბუკი მერე ხვეწნით ეუბნებოდა ყველას:

— ჩვენ ახლა როლებს ვთამაშობთ, მართლა კი არ დაემგვანებით ანდრე-მოღალატეს!

ვერც ხვეწნამ და ვერც მუქარამ ვერ გაალხო ახალგაზრდობის სიჯიუტე.

მაშინ ბექნუმ სხვანაირ ხერხს მიმართა.

— ეს მაშინ იყო უკრაინაში ნებასუსტი ახალგაზრდები, თორემ, დედას გეფიცებით, ჩვენი ტოლები ახლა ყველა კომკავშირლები არიან, პანის ქალიშვილის გულისთვის სამშობლოს კი არა, დნეპრის ერთ წვეთ წყალსაც არ გაიმეტებენ, მოდით, ითამაშეთ.

არც ამ ეშმაკობამ გასჭრა. მაშინ ბექნუმ გამოაცხადა:

— მაშ მარტო ის ვითამაშოთ, ტარასი თუ როგორ შეხვდა სასწავლებლიდან დაბრუნებულ ოსტაპსო!

ამის შემდეგ ბექნუ და არჩილი მთელი საათი ერთმანეთს ზელდნენ მუშტებით.

ამ მოგონებაზე არჩილ ჩარქსელიანს ახლა სახეზე ღიმილი მოუვიდა. ისევ გახედა დნეპრს და ძლივს შენიშნა ნავი, რომელიც თეთრ თოლიასავით ფარფატებდა დნეპრის ზედაპირზე.

* * *

არჩილ ჩარქსელიანის ბინა მეჭურჭლის სახელოსნოს ჰგავდა.

შუშის ქილებიდან ნიადაგის ფხვიერი და წვრილი, ბელტებად ჩაყრილი მრავალფეროვანი ნიმუშები მოჩანდნენ.

ოთახის შუა ადგილას პატარა ბეტონსადღვები მანქანა იდგა.

არჩილი დაუღალავად მუშაობდა.

იგი ცდებს ატარებდა. სხვადასხვა ფერისა და წონის ნიადაგს ერთმანეთში ურევდა. მიღებულ ფაფისებურ ხსნარებს პატარა თუნუქის კოლოფებსა თუ ქილებში ასხამდა და თაროებზე გასაცივებლად ალაგებდა.

ოსტაპი და ოქსანა გამუდმებით მასთან იყვნენ.

საქმე თანდათან ფართო ხასიათს იღებდა. ოქსანა ბეტონის დღვების უბადლო ოსტატი გამოდგა. ოსტაპის რჩევით ყოველ კვირას მის ბრიგადასთან ეწყობოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ბრიგადის წევრები პირველად მორცხვად, შემდეგ კი მთელი თავისი ძალით და გამოცდილებით ჩაებნენ საქმეში.

ყოველ დღე მოჰქონდათ ახალ-ახალი მასალა. ურევდნენ ერთმანეთში, სინჯავდნენ, აკვირდებოდნენ. დაკვირვება თუ ცდები კამათს და შეხლა-შემოხლას იწვევდა.

— იცით რა ემჩნევა ამ მასალას? — ამბობდა ოქსანა და თან ერთ-ერთ ნარევზე მიუთითებდა,—გაშრობის დროს წებოვნება ემატება, მისი ნაწილები ერთმანეთს რკინა-მაგნიტით იზიდავენ: გაცივების შემდეგ უფრო მაგარი ხდება. აი, მეორე კი, პირიქით, უცებ ცივდება და იკვრება, მაგრამ მიწის ნაფშვენებივით ერთმანეთს არ ეკარება. ორივეს თვისება რომ ერთმანეთს შეედულოს, მაშინ... მაშინ გავიმარჯვებთ კიდეც.

არჩილმა იცოდა, რომ ეს იყო საჭირო, მაგრამ სწორედ ამაში იყო მთელი სიძნელე.

ოსტაპი ჩვეული სიდინჯით უსმენდა მათ. სქელი თაფლისფერი თმები მჯიღით გადაჰქონდა უკან. ქილებსა და პარკუჭანებზე გაკეთებულ წარწერებს იზეპირებდა.

ხანდახან იგი საათობით გადაიკარგებოდა და როცა აღარავინ არ ელოდა, მაშინ შემოვიდოდა, თან ახალ-ახალი მასალები მოჰქონდა.

* * *

ერთ დღეს ოქსანა და ოსტაპი მთელი დღით დაიკარგნენ. არჩილი იმ დღეს გარეთ არ გამოსულა. ახალი ხრეშისა და სილის ანალიზები უნდოდა დაესრულებინა.

საღამო იყო, როცა ოქსანა და ოსტაპი ოთახში შემოვიდნენ. ოსტაპმა მიწით სავსე ტომარა შუა ოთახში დააგდო.

როგორც კი ტომარა გახსნეს, ოქსანა სასწრაფოდ დასწვდა გაფხვიერებულ მიწას, იგი ნაცრისფერი გამოდგა, ბუნებრივი ცემენტის მსგავსი.

მიწა მსუყე ჩანდა, თითქოს ვისმეს ზეთში მოეზილოს და მერე მზეზე გაეშროს.

არჩილმა უსიტყვოდ აიღო მიწა და სავსე პეშვი სინათლეს მიუახლოვა. სინათლემ მიწას ბზინვარება მიუმატა.

— წისქვილში ხომ არ დაგიფქვავთ?! — იკითხა არჩილმა.

ოსტაპმა გაკვირვებით შეხედა.

— წისქვილში რა ეშმაკი გვინდოდა!

— წისქვილში დაფქვილს ბზინვარება ემატება, მეტისმეტად ბრწყინავს ეს თქვენი ძღვენი.

ოქსანა ტახტზე ჩამოჯდა. შეკეცილი კაბა გაისწორა.

— ეს თქვენ ცუდი გგონიათ? ჩემი აზრით, სწორედ ეს ფერი იძლევა საიმედო ნიშანს.

* * *

ოქსანას ბრიგადის წევრი ვასიუკ კიპარენკო ყველაზე ახალგაზრდა იყო ბრიგადაში. ხუტორში რვა კლასი დაამთავრა თუ არა, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გული და თვალი ამოუკენკა — მშენებლობაზე გამიშვიო. თავმჯდომარე პირვე-

ლად უარზე იყო, მერე იძულებული გახდა თავისი ცხენით ჩამოეყვანა კახოვკაში. ოქსანას ბრიგადაში გაგზავნეს ბიჭი.

ერთი კვირის შემდეგ მისი გვარი და სახელიდან გოგონებმა და ბიჭებმა მხოლოდ „...პარენკო" დატოვეს. ახლა მას არც ვასიუკს ეძახდნენ და არც კიპარენკოს. გვარი და სახელი მხოლოდ წელს მიღებულ პასპორტში ეწერა. მთელ მშენებლობაზე „პარენკოს" ეძახდნენ და ასე იცნობდნენ. თვალები ანტრაციტივით უბრწყინავდნენ. ოქსანას სიტყვა ვასიუკისათვის გარდაუვალი იყო. სულ მის გვერდში უნდოდა ყოფნა. ოქსანა უმცროს ძმასავით უყვარდა ბიჭს. ყოველმხრივ ცდილობდა მისგან ნამდვილი თანამედროვე ზაპოროჟიელი დამდგარიყო. საღამოს მოზრდილთა სკოლაში შეიყვანა, კომკავშირში რეკომენდაცია თითონ გაუწია. ოთახი მისი ბინის ახლოს უშოვნა.

ოქსანას სიტყვა არც კი დაემთავრებინა, რომ თავგაპარსულმა ყმაწვილმა შემოაღო კარი.

ოსტაპმა შეხედა მას და ღიმილით თქვა:

— ეს ხოროში მიწა, პარენკოს თავივით რომ ბზინავს, გამოდის რომ არ ივარგებს?!

ოქსანას გაეცინა, არჩილმა შეატყო, რომ ჭაბუკი ოქსანას სიცილმა გააოგნა და შეაცბო.

— პირიქით, ბრწყინვალება კარგი თვისებაა, — ნელა ჩაილაპარაკა მან.

ჭაბუკი მიხვდა, რომ არჩილმა მის შესახებაც კარგი თქვა და მანაც გაიღიმა.

ოქსანა ადგა და ვასიუკს მიუახლოვდა.

— იცი, პარენკო, სად ვნახეთ მასალა?! „რუხი კურგანის" ტაფობში. ხომ იცი, შენი საყვარელი ადგილი რომ არის!

ჭაბუკი გაკვირვებით მიაჩერდა ოქსანას. პირველად ვერ გაიგო რა მასალაზე და მიწაზე ამბობდნენ ისინი და იკითხა,— რომელი მიწაო.

— აი, ეს მიწა, არჩილს მოსწონს, ოსტაპმა მოსძებნა იგი.

ოსტაპმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— ეს კურგანი სწორედ პარენკომ გამახსენა გუშინ. სახელწოდება „რუხმა კურგანმა" ჩამაფიქრა. ხალხმა მას ეს სახელი

დაარქვა, მიწაც მისი ფერია, — რუხი ფერი. ფერით კი ბევრი რამ შეიცნობა ამქვეყნად.

არჩილი ზეზე წამოდგა.

გაღებულ ფანჯრიდან დნეპრის გრილი ნიავი ჰქროდა. სახლის წინ ახლად დარგული ხეები ირხეოდნენ, ნელა შრიალებდნენ ამ სიბნელეში. შორიდან ისმოდა მატარებლის ხმა. ახლახან გაყვანილ რკინიგზაზე, ფედეროვკიდან, კახოვკის ახალ სადგურს ტვირთმძიმე ეშელონი უახლოვდებოდა.

არჩილმა იგრძნო, რომ ახლა თითონ ისინიც ასე უახლოვდებოდნენ თავის მიზანს, თავის სადგურს.

დნეპრიდან ისმოდა მანქანების ხმაური და ადამიანთა შეძახილები. ოთახში გაჩირაღდნებულ სინათლის ქვეშ ოთხივე ერთი ფიქრით განათებულნი იდგნენ. ჭაბუკ პარენკოს, რომელიც ოქსანას არ შორდებოდა, რატომღაც სიმღერა მოუნდა. მან ჯერ გაუბედავად დაიწყო, მერე კი, როცა ოქსანა და ოსტაპი წამოეშველნენ, ხმას თანდათან აუწია.

ფანჯრის გადაღმა ფოთლები ირხეოდნენ. დნეპრის დუდუნში სიმღერა ტკბილად ეფინებოდა ტრამალს და იკარგებოდა სივრცეში.

არჩილი მთელი გულისყურით ისმენდა უტკბეს უკრაინულ სიმღერას.

გათავდა სიმღერა, სიჩუმე ჩამოვარდა.

ოქსანამ ქმარს მხარზე მიადო თავი და წყნარად თქვა:

— ოსტაპ, გახსოვს ჩვენ რომ ქართული სიმღერა „ლილე“ მოვისმინეთ? მაშინ შენ თქვი: ამ სიმღერაში კავკასიონის ცადმიბჯენილი ქედები მთელი თავისი ვაჟკაცობით მღერიან ქვეყნის დიდებასო.

არჩილი გაოგნებული მიაჩერდა ცოლ-ქმარს. თითონაც ოსტაპისაკენ მიიწია.

— არ ვიცოდი, თუ თქვენ ჩვენი სიმღერები იცოდით! — გაიკვირვა მან. ნათქვამმა სიტყვამ ახლა ოსტაპი აალაპარაკა.

— ჩვენ, არჩილ, ისიც ვიცით, რომ ეს სვანური სიმღერა, თავისუფლების მოყვარულთა სიმღერაა. სვანეთსა და ზაპოროჟიეში ბატონმოძულე ადამიანები ცხოვრობდნენ, თავისუფლების მძებნელნი და დამცველნი. ორივენი ძველთაგანვე ებრძოდნენ მონობასა და ჩაგვრას. არც ერთს ბატონი არ ჰყო-

ლია — არც ზაპოროჟიელ ყაზახებს, არც სვანებს. ერთნი ყინულოვანი კავკასიონის მისასვლელებთან მისი მწვერვალების დიდებას—„ლილეს“ მღეროდნენ, მეორენი ზაპოროჟიეს გაშლილი ველების სიმღერებს. ეს სიმღერა ყველამ ვიცით და არ დაგვავიწყდება — დააბოლოვა მან.

გაშლილი უკრაინის ველები მშვიდად სუნთქავდნენ. ზემოთ, ელსადგურის კაშხალის მშენებლობიდან, ღამის ამ სიწყნარეში ისევ ისმოდა ხმაური. დნეპრზე ისევ კატერები და ნავები დაქროდნენ.

ოქსანა ბეტონსადღვებ მანქანასთან მივიდა და ისე მოხვია ხელი, თითქოს ბავშვს ეფერებაო.

— თუ შენმა ნიადაგმა გაგიმართლა, ოსტაპ, — უთხრა მან წყნარად ქმარს, — იცოდე, შენ დაგვჯაბნი მაშინ.

არჩილმა გაუღიმა, იგი მიხვდა, ამ თქმაში ოქსანა მასაც გულისხმობდა.

ოსტაპის მოძებნილი ნიადაგი კარგი თვისებების მქონე აღმოჩნდა. ორი თვე იბრძოდნენ არჩილი, ოსტაპი და ოქსანა „რუხი კურგანის“ მიწის თვისებების გაუხვებისათვის. ამ მასალების ორგვარი ნაზავი შეამზადეს.

ამ დილით ოსტაპმა თავისი მანქანა აამუშავა.

საჭირო იყო მიღებული ნაზავი ესინჯათ.

— ოქსანა არ მოვა?! — იკითხა არჩილმა.

— ვერ მოვა, ბავშვი ვერ გვყავს კარგად, თვალები სტკივა.

არჩილმა იგრძნო, რომ ოსტაპს მეტად აწუხებდა ბავშვის ავადმყოფობა და გადაწყვიტა ამ საკითხზე აღარაფერი ეთქვა. იგი გაჩუმდა და პარკუჭანების გახსნა დაიწყო.

მანქანა მწყობრი რიტმით მოძრაობდა. უკვე გაივსო მასალების ნაზავით პატარა ხვიმერა. სადღვებ ყელში გადასული ხრეში წყალთან ერთად ხმაურით აშრიალდა.

ორივე გაფაციცებით უყურებდა მანქანის მილის ბოლოს. შეზავებული ხსნარი იქიდან უნდა წამოსულიყო.

მოულოდნელად ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

მანქანა გაჩერდა.

არჩილმა შეშინებით შეხედა ოსტაპს.

ოსტაპმა არაფერი თქვა. იგი მანქანას მიუახლოვდა და შემოწმებას შეუდგა, როგორც ეტყობოდა, დაზიანებული ად-

გილი ვერ მონახა, მარჯვენა ხელი დაუფიქრებლად წაიკაპიწა და მანქანის მილში ხელის ჩაყოფა დააპირა. მკლავი მანქანის ყელში გაეჩხირა.

არჩილმა უნებლიეთ შეხედა შიშველ მკლავს და კვნესა აღმოხდა.

სწორედ მაჯის ზემოთ, მკლავი ნიდაყვამდე ორ ადგილას ჰქონდა ოსტაპს ძველი სვანური საკრავივით მიხრილ-მოხრილი. როგორც ჩანდა ორივე ადგილას გადატეხილი იყო. ეწყინა ჩარქსელიანს, რომ ახალ მეგობარს გოლიათურ ტანზე ასეთი მკლავი აღმოაჩნდა.

„ეს რა ვნახეო", — იფიქრა არჩილმა და მეგობარს ხელი მოჰკიდა.

ოსტაპმა უხერხულობა იგრძნო, შეჩერდა, მერე შემობრუნდა, თითქოს ვინმეს ხმლით ებიძგოს მისთვის, საჩქაროდ მარცხენა ხელი გაიშიშვლა და მანქანაში ჩაყო.

არჩილმა მარჯვენა არ დაანება.

— სანამ ამის მიზეზს არ მეტყვი, არ გაგიშვებ, — შეეხვეწა მეგობარს. ოსტაპი ბავშვივით გაწითლდა. მარჯვენა სახელო ჩამოიწია და დაფიქრებით თქვა:

— ხომ გახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა? ალბათ, ისიც გახსოვს, ოსტაპ ბულბას რომ მეძახდნენ ახალგაზრდები. სწორედ ეს მაჯაა ჩემი შერქმეული სახელის მიზეზი. ცოტა მაცალე, არჩილ, ამ მანქანას ავადმყოფ ადგილს მოვუნახავ და მოგიყვები.

* * *

ცაზე შუაღამის სხივმომატებული ვარსკვლავები კიაფობდნენ, ჰიდროელსადგურის ხარაჩოებზე კი დნეპრის სანათურები. ხანდახან რცხილის ხმელი ტოტისხელა ჩინჩხლები სცვიოდნენ ზეციდან. ეს ვარსკვლავები წყდებოდნენ დასალიერში.

— ჩვენი ხუტორი ლამაზია, — დაიწყო ოსტაპმა, — ხალხი გულღია, ლაღი და შრომისმოყვარე.

ოქსანას ოჯახი ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა. მარტო ერთი ქალი ჰყავდა მის მშობლებს. თვალის ჩინივით უვლიდნენ. ჩვენ პატარაობიდანვე ერთად ვიზრდებოდით. ტყეში სოკოზე

დავდიოდით. პურის ჩანებში მწყერს დავდევდით. დნეპრზე ლიფსიტებს ვიჭერდით და ერთად ვბანაობდით.

თოთხმეტი წლის ვიყავი, ზაპოროჟიეში წავედი სასწავლებლად. ინდუსტრიული ტექნიკუმი დავამთავრე. როცა ჩამოვედი, ულვაში უკვე წაბლისფრად მიბიბინებდა. სოფლის საბჭოს კიბეზე შემხვდა ოქსანა. ლოყები ალუბლისფრად უღვიოდა და მკერდი კაბაში ველარ ეტეოდა. გვერდით ჩამიარა. ისეთი სითბო ვიგრძენი, ახლაც მისი მოგონება სულშებერილ ნაკვერცხალივით მაღვივებს. შევხედე და თითქოს დნეპრში მებანაოს იმ წუთს, ისეთი ჟრჟოლა ვიგრძენი ტანში. პირველად უცხოდ შემომხედა, ვერ მიცნო. როცა მიხვდა, ვინც ვიყავი, კისკისით ჩამომეკიდა. ხომ იცი, როგორი სიცილი იცის ახლაც.

— რა კარგი ვაჟკაცი დამდგარხარ, ოსტაპ! — მეუბნებოდა იგი, უდარდელად მკოცნიდა.

მე მაშინ წყნარად ვიდექი. არ ვიცოდი რა მექნა. ჩემს სიცოცხლეში ქალიშვილი პირველად მკოცნიდა.

ხომ გითხარით, პატარაობის დროს ჩვენ ერთად ებანაობდით. მაშინ ის ყოველთვის წინ მიცურავდა, მე კი მხარულით უკან მივყვებოდი. მისი ბავშვური სქელი, რბილი თმა, დნეპრის ტალღებისაგან გაშლილი და გაწეწილი, სახეში მებლანდებოდა. მაშინ არც მისი ტანის მიკარება მწვავდა და არც მისი ატმის ყვავილისფერი ტუჩები. ახლა კი საბჭოს კიბეზე ანთებულ ჩირაღდანივით ვიდექი. კიდევ კარგი, რომ არავინ გვიმზერდა. ტანი მზეზე დამწვარივით მიხურდა. სხვა ვერაფერი მოვახერხე, როგორ ცხოვრობ-მეთქი, ვკითხე.

ჩემმა კითხვამ ოქსანა შეაკრთო. ხელები მოსხეპილ ძეწნის ტოტებივით ჩამოუვარდა. მწიფე მზესუმზირასავით იდგა თავდახრილი, მერე თავი ასწია, თვალები ვარსკვლავებივით შემომანათა და მოწყენით მითხრა:

— ნუ მკითხავ, ოსტაპ, შენ რომ წადი მის შემდეგ მამა მომიკვდა. მე და დედა დავრჩით მარტო. სოფელი რომ არა, ძალზე გაგვიჭირდებოდა. ხომ იცი, დედა ისედაც ავადმყოფი ქალი იყო. მამის სიკვდილის შემდეგ ლოგინად ჩავარდა. ჩემს დაუხმარებლად გვერდზეც ვერ გადაბრუნდებოდა.

ძალიან შემაწუხა ოქსანას მწუხარებამ. არ ვიცოდი რითი მენუგეშებინა იგი.

მე და ოქსანა ისევ დავმეგობრდით. გავიდა ხანი. მე უმაღლეს სასწავლებელში წავედი. არდადეგების დროს დნეპრის ნაპირზე დავდიოდით, ვმღეროდით ჩვენს ხმაურუალა სიმღერებს.

ჰე, რომ იცოდე, რა კარგია სიმღერა დნეპრის ნაპირზე. თუ კარგი ხმა გაქვს, მენავეებიც კი გაყუჩდებიან, ნიჩბებს დაადგებენ და გალურსულნი ისე გისმენენ, თითქოს მთელი უკრაინის სიმღერა ამოდიოდეს შენი ყელიდან. მერე მოგისმენიათ ოქსანას სიმღერა? ცხვარზე მივარდნილ მგელს შეაჩერებს მისი ხმა. ალვის ხის წვერს მიწაზე ყურს დაადებინებს მოსასმენად. ატმის კვირტს კანს გაახეთქინებს და გარეთ გამოიყვანს.

არც ჩემს ხმას აძაგებდნენ ხუტორში.

მე გარმონი მეჭირა, მას კი ყვავილები. დასვენების დღეებში ადრე ვდგებოდით. ხშირად გათენებას დნეპრის ნაპირზე ვუსწრებდით. მზის სხივები ასი ათასი შიშველი ხმალივით ალაპლაპებდა მის ზედაპირს. ჩვენ მაშინ გვეგონა, რომ მზე აქედან იხედებოდა უკრაინაში. საღამოხანს გიშრისფერი ჩრდილები დაეყრებოდა დნეპრს. ნავებით მოსეირნე ჩვენი ტოლები ათასნაირ სახუმარო სიტყვებს გვესროდნენ.

* * *

ინსტიტუტი დავამთავრე თუ არა, სამამულო ომი დაიწყო. ვერაგმა მტერმა უკრაინის მიწა-წყალზე გადაიარა. მეც ჩემს ტოლებთან ერთად პარტიზანად გავედი. ოქსანამ მოხუცი დედის გამო წასვლა ვერ მოასწრო და ხუტორში დარჩა. ნახევარი ქვეყანა ბრძოლით მოვიარე.

მტრის სიველურემ გამაბოროტა და დაუნდობელი გამხადა. ჩემი სამშობლოს არა ერთ მტერს გავუთხარე საფლავი. ოქსანას ნახვის სურვილი ქვეყნის განთავისუფლების სურვილში მექსოვებოდა.

ჩვენი ქვეყნის აოხრებით გამწარებულს, მისი სახე მიორკეცებდა სამშობლოს სიყვარულს. დიდი ბრძოლების შემდეგ ჩემ რაიონს მივუახლოვდი. მაშინ ფაშისტები ამ მიდამოებში

ბატონობდნენ. ახალი შეღამებული იყო, როცა ხუტორში მარტო შევიპარე. უვარსკვლავო, უკუნი ღამე დგებოდა. ჩემს სახლს მივუახლოვდი. ოდესღაც ეზოში მტირალა ძეწნები იდგნენ. ბოროტი კაცის ხელს აეჩეხა ისინი. თითო ხემ თითო გულის ძარღვი ჩამწყვიტა. მამაჩემს ისინი ძალიან უყვარდა. მოხუცმა ხუმრობა იცოდა, — ქალიშვილები არა მყავს და ისინი დამიტირებენო. როგორც ჩანდა, ძეწნები ახალი მოჩეხილი იყო. ფოთლები ეზოში კიდევ მიმოფანტული ეყარა... ნამით დასველებული ფეხქვეშ არ ხმაურობდნენ და ასე მომეჩვენა, მამაჩემის ცრემლებით იყვნენ ისინი დამბალნი. ხომ იცი: ძეწნის ფოთლები ძალიან ჰგვანან ცრემლებს.

კარები დავაკაკუნე.

ხმა არავინ გამცა.

ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიგრძენი ასეთი შიში. საკუთარი ოჯახის სიცარიელემ შემაკრთო. კარების ხელმოსაკიდი რგოლი მოტეხილი დამხვდა. კარები მუხლისთავით გავაღე. უსახო ღამემ და სიჩუმემ შიგნიდან ცივად შემომხედა. შევატყვე, რომ ავკანკალდი. სრული სიჩუმე სიკვდილს გაახლოვებს კაცს, ალბათ, ამან უფრო იმოქმედა ჩემზე. ასანთი ავანთე. გაძარცული კედლები საცოდავად მეჩვენა. ყველაფერს თვალი მოვავლე. არაფერი აღარ დამხვდა. მხოლოდ ძველმანები მოჩანდნენ მიყრილ-მოყრილი. ვიდექი ანთებული ასანთით და მისი მკრთალი ალის თრთოლასთან ერთად, ჩემს ფეხქვეშ მიწა კანკალებდა. მივხვდი, რომ ჩემს მშობლებს ვეღარ ვნახავდი. ოქსანას ბედი იყო ამ წუთს ჩემთვის ყველაფერი. ასანთი ხელში ჩამეწვა. მეორე გავკარი. უცებ კარი გაჭრიალდა და ნელი კივილი შემომესმა. სანამ რასმე მოვიფიქრებდი, ვიგრძენი ოქსანა მეხვეოდა. ასანთის სინათლეზე ჩემი სახე დაუნახავს და უცვნივარ. მისმა ტანის თრთოლამ, ცრემლით დასველებულმა წარბ-წამწამმა და გავარვარებულმა ტუჩებმა უსიტყვოდ გამაგებინეს ჩემი ოჯახის უბედურება. მშობლები გერმანიაში გაერეკათ. სახლ-კარი გაეძარცვათ. ახლობლებიდან ამქვეყნად მხოლოდ ოქსანა დამრჩენოდა.

— შენ როგორა ხარ-მეთქი, — ვკითხე.

ტანში გამცრა, ისეთი ამბავი მითხრა ოქსანამ.

ერთი ფაშისტი ოფიცერი გადაკიდებოდა ოქსანას. საშველს

არ აძლევდა და რომ ვერაფერს გამხდარიყო, გერმანიაში გასაგზავნთა სიაში შეეტანა. გაქცეული ოქსანა მეზობლებში ინახავდა თავს. იმ ღამით სახლში მოსულიყო, უკანასკნელად დავხედავო, უფიქრია მას.

— ამაღამ ტყეში უნდა გავპარულიყავი, ჩემი ბედი, რომ შენ გნახე, — მითხრა ოქსანამ.

მთელი ღამე ლაპარაკში გავატარეთ, დილით გარეთ გამოსვლა შეუძლებელი იყო. მთელი დღე იქ დავრჩი. ოქსანა მეხვეოდა, მკერდით მეკვროდა.

მისი თმები სახეზე მეწებებოდა.

— ხომ ჩემი ქმარი იქნებიო? — მეკითხებოდა ასი ათასჯერ იგი.

* * *

დაღამდა. ეზოში გამოვედი. ფაშისტ ოფიცერს ოქსანას კვალისთვის მიეგნო. პოლიციელებით ეზოში შემომპაროდა. თავში მძიმე რაღაც მომხვდა. უგრძნობლად წავიქეცი. ჯალათებმა ალბათ წყალი მასხეს, ისე დასველებულმა გამოვიღვიძე.

— სად არის ოქსანა?! — მეკითხებოდა გერმანელი ოფიცერი. ჯერ უნდობლად ავხედე მას. ოქსანაც დაჭერილი მეგონა, მაგრამ, როცა დაკვირვებით შევათვალიერე ოფიცერი, მივხვდი, იგი გერმანელებს ხელიდან გასხლტომოდა.

სიხარულმა ძალა და ფერი შემმატა. იმ წუთში პირველად ჩემს ცხოვრებაში აზრად მომივიდა ოქსანა მეძაგებინა.

— ვინ ოქსანა? — გავიკვირვე მე.

ფაშისტი თავისი ჭროღა თვალებით ცივად დამაშტერდა. შევატყვე არაყნასვამი იყო.

— თვალს ვერ ამიხვევ, გავიგე, თქვენ ერთმანეთი გიყვართ; ალბათ, სადღაც გადამალე.

მე წეღანდელი ფიქრი უფრო გამიბოროტდა, თვალი თვალში გავუყარე: — ფაშისტ ჯალათის ხასა ჩემი საცოლე თავის დღეში ვერ გახდება-მეთქი.

თავზე ცულდაკრულივით შეინძრა, ფერი სულმთლად დაკარგა, მერე ახლო მოვიდა და სახეში ჩამაორთქლა:

— გათქმევინებ, ოსტაპ გავრილენკო, გათქმევინებ! იმასაც გვეტყვი შენი პარტიზანები სად არიან ახლა!

მის სიტყვებზე უფრო მისი პირიდან ამოორთქლებულმა სიმყრალემ გამაბოროტა. არც ვიცი ჩემი ძალით თუ ბაწრის მარყუჟის სისუსტის გამო, როცა წამოვიწიე, ვიგრძენი ხელი გამინთავისუფლდა, მარჯვენა ხელის მჯიღი ისე მივარტყი სახეში, იგი მორგვივით გადაბრუნდა.

ერთბაშად ყველანი დამესხნენ თავს. ორი დღე არაადამიანურად ბაწამეს. სიტყვა მაინც ვერ მათქმევინეს. მესამე დღეს მოედანზე გამიყვანეს.

კვირა დღე იყო.

საბჭოს წინ მთელი ხუტორი მოერეკათ. ვიცანი ჩვენი მეზობლები. დაყვითლებულნი და დაჩიავებულნი სულ ცოტანიღა დარჩენილიყვნენ. მიხრწნილი მოხუცები და შიმშილისაგან დასუსტებული ბავშვები ისე მიყურებდნენ, თითქოს მეუბნებოდნენ — ჩვენ ჩვენი გვეყოფოდა, რაღა შენც ამათ ჩაუვარდი ხელშიო. ფაშისტები გარს მერტყნენ. ოფიცერი განკარგულებებს იძლეოდა. მუხის ორი მაღალი ჯირკი მოიტანეს. ახლომახლო მიადგეს ერთმანეთს. როცა მჭედლის ურო თვალი მოვკარი, გუმანით მივხედი, რასაც მიპირებდნენ. წამომესივნენ. გავუძალიანდი. ერთი ორმოცთან რას გავაწყობდი! ოფიცერი როზგს მცემდა და ყვიროდა:

— თქვი, შენ ძაღლიშვილო, თქვი, სად არის ოქსანა. სად არიან შენი პარტიზანები?!

მე გაჩუმებული ვიყავი, ვგრძნობდი, რომ ხალხი, დასუსტებული ხალხი ვერაფერს დამეხმარებოდა. მარტო მე აბა რა უნდა მექნა?

ვისაც გაჭირვება გამოუცდია, მან იცის, რომ განსაცდელის ჟამს ყველაზე ახლობელი ადამიანი გაახსენდება კაცს.

საბჭოს წინ ფიჭვის და ნაძვის ხეები იდგა. ერთ დროს აქ, დღესასწაულების დროს, ჩვენები საზეიმო თაღს აკეთებდნენ. მაშინ სიცოცხლით და მხიარულობით სავსე ხუტორს დიდი სტალინის სურათი უცქერდა აქედან. აქ ყოველთვის გაშლილი დროშები ფრიალებდნენ და ისე ჩანდა, თითქოს სურათი დროშებს შუა მოძრაობდა, ცოცხლობდა. ახლაც ასე მომეჩვენა. შევხედე, რომ პირდაპირ მიცქერდა მისი სახე. ფრიალებდნენ დროშებიც და დნეპრის შრიალს ერთოდნენ ღელვით. სიამაყე ვიგრძენი. სამი გოლიათის ღონე ჩამიდგა

ტანში. ხალხს გადავხედე. ანთებული და მოსიყვარულე თვალებით მიყურებდნენ თანასოფლელნი. ვიგრძენი, ხალხს ნამდვილი სიყვარულით ვუყვარდი. აღფრთოვანებულმა ოფიცრის ყვირილს ამაყად ვუპასუხე:

— რაც უნდა მცემო, ვერაფერს მათქმევინებ-მეთქი. შემდეგ კი პირი ისე მოვკუმე, ქვაც რომ ერტყათ, არ გავხსნიდი.

ხელი მტაცეს. კიდევ უფრო შემკრეს. მკლავი გამიშიშვლეს და ამ ორ ჯირკზე გამადებინეს. ერთზე ნიდაყვი იდო, მეორეზე მაჯის სახსარი.

როცა ურო დამარტყეს და ძვლების მტვრევის ხმა გაისმა, ხალხმა ამოიგმინა. არ დამიკვნესია. მხოლოდ თვალებში ელვამ ისე ძლიერად გამკრა, რომ ერთ წუთში ჩემს გარშემო ყველაფერი ჩირაღდანივით აენთო. მარჯვენას დავხედე, სახსრებშუა მეორე ნიდაყვი გამჩენოდა. ძვალი შუაზე იყო გადატეხილი. დაწყვეტილი ძარღვებიდან სისხლი თქრიალით მოდიოდა.

ჩვენს სოფელში ერთი მეწისქვილე იყო — ვასილი ლაგვინენკო. ერთ დროს მოჩხუბარი, მაგრამ პირდაპირი კაცი. ასეთი ჩვეულება ჰქონდა: შეკრებილებაში თუ ქორწილში ტარას ბულბას გაიხსენებდა. ყველა მისი ნამოქმედარი ზეპირად იცოდა. ახლა შიმშილისაგან ძლივს დალასლასებდა მოხუცი. მიხრწნილი და ძვალზე ხორცშემოლეული. ჯოხდაბჯენილი წამოვიდა ჩემკენ. ეს უცებ მოხდა. ვერავინ მისი შეკავება ვერ მოასწრო. ალბათ მოხუცის ავარვარებულმა თვალებმა და სიმართლისაკენ გადადგმულმა ნაბიჯებმა შეაშინა ისინი.

იგი პირდაპირ მოვიდა ჩემთან. მხარზე ხელი დამადო, ხალხისაკენ შებრუნდა და აცახცახებულმა ისე დაიყვირა, თითქოს მთელ უკრაინას ეძახოდა:

— იცოდეთ, ეს ბიჭი ჩვენი მიწის ნამდვილი შვილია. ოსტაპია, ხომ არ დაგვიწყებიათ უკრაინელებს ოსტაპ ბულბა?! ვაი ჩვენ, რომ ჩვენს შვილებს მაშინდელივით ისევ უმტვრევენ ჩვენი მტრები ძვლებსო. — მერე კისერზე შემომეხვია და აქვითინდა. როცა ჯალათები მომვარდნენ და მოხუცს ხელი წაავლეს, იგი მკვდარი დაეცა მიწაზე. აღელვებამ სული ამოართვა ვასილ ლაგვინენკოს.

აი ამის შემდეგ მეძახიან ბულბას! — დააბოლოვა ოსტაპმა.

გარეთ სიჩუმე იდგა. სადღაც შორს ფრინველები ყიოდნენ. დნეპრის ზედაპირზე ისევ ფარშავანგის ფრთების მსგავსი მომწვანო პროექტორები კანკალებდნენ.

არჩილი სულგანაბული უსმენდა ოსტაპ გავრილენკოს. მან უნებლიეთ წამოიძახა:

— ოქსანა?! ოქსანას რა დაემართა?!

გავრილენკომ მანქანას შეხედა. მარცხენა ხელი ისევ ყელში ჩაუყო და რომელიღაც ჭანჭიკს მოსჭიდა. უცებ გაისმა შრიალი და მანქანა ამუშავდა. მისი რბილი და ერთნაირი ნელი გუგუნი ისე ისმოდა, თითქოს ოსტაპის გულის მაგივრად მოძრაობდა იგი.

გავრილენკო ახლა ღიმილით შემობრუნდა არჩილისაკენ.

— ოქსანა ტყეში გაქცეულიყო. — ისევ განაგრძო მან, — პარტიზანები წამოეყვანა. სწორედ სულზე მომისწრეს. ერთი ფაშისტიც არ გაუშვიათ ხუტორში ცოცხალი.

გაღებული კარებიდან შემოვარდნილმა ღამის ნიავმა ორივე იქით მიახედა. კარებთან სახეგაბრწყინებული ოქსანა იდგა.

— ბავშვი დავაძინე. მე შინ ვერ გავჩერდი. როგორ არის საქმე? — წყნარად იკითხა მან.

არჩილმა მანქანის ყელიდან ხის ყუთში ჩაღვრილ მასალას შეხედა. ხსნარი შედედებულიყო და ტყვიისფრად ბზინავდა.

ოქსანამ ცერი დააჭირა ხსნარს. მისი თითის ნაკვალევი ღრმად დააჩნდა შეციებულ ბეტონს.

— ნამდვილი ბეტონია, ნამდვილი! — წამოიძახა მან და ქმარს ყელზე შემოეხვია.

გაღებული კარებიდან დნეპრი მოჩანდა. მის მარჯვენა ნაპირზე ლენინის ძეგლი მაღალი კვარცხლბეკიდან გადმოყურებდა კახოვკის ხარაჩოებს.

განთიადის მაცოცხლებელ სხივებში ელვარებდა უკრაინის ტრამალებისაკენ გაშვერილი მისი ცხოველმყოფელი მარჯვენა.

დავაჟკაცება

— ხომ არ გამოსულა, გოგო?! — შეშფოთებით დაეკითხა ქალიშვილი თავის მეგობარს.

— არ მოჩანს, ჯერ არავინ არ მოჩანს!

— ცოტა წინ მიიწიე, კარგად დაათვალიერე, არ გამოგეპაროს.

— ჰი, ჰი, — გაიცინა მეორე ქალიშვილმა, — საქმროს გამოგაპარებ?

ეწყინა პირველს, — ნუ მაღიზიანებ ერთი... სანამ ეს მოხდებოდეს, ვინ იცის ამ ბაღნარს ცვარი რამდენჯერ დააცვივა და შეაშრება ისევ!..

სწორედ ამ დროს სოფლის საბჭოს კარები გაიღო და სინათლემ გზამდე გაანათა ხეივანი.

— შეიხედე, გოგო, შე სასიკვდილე, არ დამღუპო!

მეორემ ისევ წინ წაიწია, თითქმის კიბემდე მივიდა და ისევ უკან დაბრუნდა.

— დარაჯი იყო, ვახტანგი არ ჩანს.

— კრება ხომ არა აქვთ ნეტავი?! — წამოიძახა მანანამ.

— რა დროს კრებაა ამ შუაღამეზე, — გაიკვირვა დარეჯანმა, — კრება კი არა, მდივანმა გამოიძახა.

საბჭოს წინ ახლად გაშენებული ბაღი ნელა ირხეოდა სიბნელეში. უმთვარო ღამე იყო, მაგრამ ორივე გოგო, ხეებზე

მიყუდებულნი, კარგად ამჩნევდნენ ხეივნის გარდიგარდმო თეთრად გადაფეთქილ ყვავილებს.

„ვაითუ რაიმე წაახდინა და იმიტომ გამოიძახა მდივანმა?!“ — უცებ გაურბინა ფიქრმა მანანას და ეს ყვავილივით გოგონა ისე შეჩქვიფდა, თითქოს ეკალზე შიშველი ფეხი დაეკრას.

სოფლის საბჭოს ღია კარში გამოსული ჭაღების შუქი უხვად ეფრქვეოდა აივანს და ცაცხვის გვერდზე გრძელი ნოხივით გაფენილიყო. იმავე ბილიკზე გოგონები იდგნენ. სიბნელეში მყოფ მანანას ერთი ნაბიჯი სჭირდებოდა, რომ მიწაზე გაფენილი სინათლის ამ ზოლისათვის ფეხი დაედგა.

„სწორედ ასე იყო ჩემი და ვახტანგის საქმე, — ფიქრობდა იგი, — ერთი ნაბიჯი გვაკლდა ბედნიერებამდე. ახლა თუ რამე გააფუჭა, რა ვიცი როგორ წავა საქმე“.

დარეჯანი კი მეგობრის მღელვარებას ყურადღებას არ აქცევდა. იგი ჩრდილიდან გამოვიდა და სინათლეზე გაჩერდა. სახე ეშმაკურად უღიმოდა.

— მანანა, — მიუბრუნდა იგი დობილს, — თუ გინდა ამ წუთში გავიგებ, მალე გამოვა თუ არა შენი ვახტანგი!

მანანამ გაკვირვებით შეანათა თვალები დარეჯანს.

— ვის უნდა ჰკითხო? ივლიანემ ხომ არ გინდა ჩამოგიკაკლოს თავის გულის ნადები?!

— ჰმ, — ჩაიფრუტუნა დარეჯანმა და ბეჭები ისე აიკრიფა, თითქოს კრივისათვის ემზადებაო, სალოკი თითები გაშალა, ერთიმეორეს დაუმიზნა და მერე ისეთი სისწრაფით დააბრუნა ერთმანეთის გარშემო, თითქოს ორივე ხელში ფირფიტები უჭირავს და აბრეშუმის ძაფს ახვევსო.

— გამოვა, თუ არ გამოვა! — ჩურჩულებდა ახლა ეშმაკურად თვალმოხუჭული გოგონა. მერე ერთმანეთს დამიზნებული თითები ფრჩხილით ფრჩხილზე მიარტყა და სახეგაბრწყინებულმა წამოიძახა:

— გამოვა, გოგო, მალე გამოვა! — მანანას სიცილი წასკდა.

— არავინ შეგვხედოს ამ მარჩიელობის დროს, სულელი არავის ვეგონოთ!

დარეჯანს ახლა თითონაც გაეცინა. მან სიყვარულით შე-

ხედა მეგობარს და ისე გადაეხვია, თითქოს რამდენიმე წელი არ უნახავსო.

— ვინ ეშმაკმა უნდა შეგვხედოს ამ ღამეში, — თქვა გაწითლებულმა დარეჯანმა, — მერე, თუნდაც შეგვხედოს, ვინ დაიჯერებს, რომ ჩვენ ცრუმორწმუნენი ვართ. ჩვენ ხომ ვხუმრობთ, მანანა!

სადღაც ბულბული სტვენდა. იგი ისე გულთბილად გალობდა, თითქოს ამ ორი ქალიშვილის სათქმელს თითონ ეუბნებოდა ქვეყანას. საბჭოს შენობიდან კი ბაიბურიც არ ისმოდა.

* * *

შოლტივით ქალიშვილი იყო მანანა, მისმა მსხვილმა, შავმა ნაწნავებმა და ფართოდ გაჭრილმა თვალებმა არა ერთ და ორ ვაჟკაცს აუტოკა გული. მისი ტანი, უბრალოდ შეკერილ სუფთა ჩითის კაბაში, თვალ-გულ მიმტაცად ირხეოდა.

მანანა თამამი და ცოტა მიუკარებელი გოგონა იყო. ტოლი ბიჭები ადვილად ვერ შეჰკადრებდნენ კვიმატ სიტყვას; მარტო ვახტანგი ვერ მოიშორა მანანამ. ეს ბრგე ბიჭი სატრაქტორო სადგურის მექანიკოსად მუშაობდა. მანანას ისე აეკვიატა, მოსვენებას არ აძლევდა.

მართალი რომ თქვას კაცმა, სერიოზული და საქმიანი ბიჭი კი იყო. ტრაქტორისტები მანქანის ექიმს ეძახოდნენ. ხშირად, როცა სოფელს ეძინა, სამკითხველოდან გვიან გამოსული მანანა ტრაქტორების პარკში მარტო ვახტანგს ხედავდა ხოლმე. იგი გრძელ ზონარზე წამოგებულ ელექტრონათურას ტრაქტორის მუხლუხების შუა ჩაკიდებდა, ხან გულაღმა დაწვებოდა და მანქანას სინჯავდა.

ასეთ დროს ვახტანგი მანანას ვერ ხედავდა. ქალიშვილი კი მესერის ჭუჭრუტანიდან მის ჩაფიქრებულ და საქმიან სახეს უნებლიეთ აკვირდებოდა.

ვახტანგს მართალი სიტყვა უყვარდა; მარტო ის არ მოსწონდა მანანას, რომ მას შეხედავდა თუ არა, ღიმილით წამოვიდოდა მისკენ.

„გაბიაბრუებას მიპირებს, თორემ მაინცადამაინც ჩემ და-

ნახვაზე რა აცინებსო“, — ფიქრობდა იგი. ამიტომ იყო, რომ ერთხელ ვახტანგს უთხრა:

— იცოდე, ვახტანგ, ჭკუით ვერ მაჯობებ, ჩემთან ლაპარაკს, ცეცხლს რომ გადაახტე, ის გირჩევნია.

ბიჭი ჯერ თითქოს შეკრთა, მერე გაიღიმა და გულისმომწველად მიულექსა:

— ცეცხლს მაშინ გადავახტები, გაღმა რომ მეგულებოდეო.

მანანა წამოწითლდა. ათრთოლებული მიუახლოვდა ვახტანგს და თვალებში ისე შეხედა ბიჭი კინაღამ წაიქცა.

გაოგნებული ბიჭი მონუსხულივით იდგა. ქალიშვილის თვალების ცეცხლს გრძნობდა ვახტანგი და მანანასთვის თვალი ვერ გაესწორებინა.

„ქალს თვალი უნდა გაუმართო ვაქკაცმაო“, — თითქოს ვიღაცამ ჩასძახა მაშინ ყურში. მან იგრძნო, რომ ეს ისეთი წამი იყო, თუ ხელიდან გაუშვებდა, ვერასდროს ვერ დაეწეოდა.

— იცი რა, — წამოიძახა ვახტანგმა, — არ მეგონა თუ ასე ახლობელი გახდებოდი ჩემთვის.

ქალიშვილს თვალები გაუფართოვდა. იგი დარწმუნდა, ვახტანგის ხმა სიყვარულით და სიმტკიცით სავსე იყო. მანანამ თვალები მიუახლოვა ვაჟის თვალებს და ჩურჩულით თქვა:

— იცოდე, შენს მეტი არავინ მეყვარება, ძლიერ მეყვარები იცოდე, სიგლახე კი გულში არ გაივლო.

ეს მოხდა ექვსი თვის წინათ.

ახლა ყველა ამის მოგონებაზე მანანას ბედნიერების ღიმილი აეხატა სახეზე. მან ისევ გახედა სოფლის საბჭოს შენობას და ისევ აფორიაქდა.

დარეჯანი მის გვერდით აღარ იყო. სანამ მანანა ფიქრში იყო წასული, შეუმჩნევლად გაპარულიყო და სოფლის საბჭოს აივანზე ასულიყო. ახლა მანანა თავისკენ იწვევდა. ქალიშვილი ფეხაკრეფით მიუახლოვდა აივანს.

დარეჯანმა ჩურჩულით უთხრა:

— გოგო, ჩემი ყურით გავიგონე, ივლიანე ვახტანგს აგიტატორად გზავნის მევენახეებში, თითონ ყოყმანობს, მაგრამ არ გაუდის.

მანანას გაკვირვებისაგან თვალები კიდევ უფრო გაუფართოვდა. იგი კიბეს აჰყვა და მსუბუქი, შემპარავი ნაბიჯით წავიდა პარტბიუროს მდივნის კაბინეტისაკენ.

ფართო კარიდორი რომ გაიარა, კარებს მიუახლოვდა. ვერ მოითმინა და საკეტის ხვრელში შეიხედა.

მანანას გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, მკერდი ისე აუდიოდ-ჩაუდიოდა, შეეშინდა — ეგონა კარს იქით გაიგონებენო. სირბილით უკანვე გამოიქცა, კიბეზე ჩამოხტა და ბაღში გაუჩინარდა.

* * *

ხავერდოვან ცაზე ვარსკვლავები მკრთალად კიაფობდნენ. ვახტანგი მდივნის კაბინეტიდან გამოვიდა. კიბის თავზე სულისმოსაბრუნებლად გაჩერდა და ქვეყანას გახედა. სიამაყეს გრძნობდა ახალგაზრდა კაცი.

ხუმრობა ხომ არ არის, აგიტატორი გახდა ბიჭი. თავის გულში ახლა ხან უღონობას უჩიოდა ვახტანგი, ხან დიდ ძალას და ღონეს გრძნობდა.

როცა გაახსენდებოდა რამდენი რამ უნდა იცოდეს აგიტატორმა, რამდენი უნდა ისწავლოს და იკითხოს — გული თითქოს შეუკრთებოდა ხოლმე. ეგონა, რომ ამ საქმეს ვერ მოვერევიო. უცებ დაუდგებოდა თვალწინ მდივნის მომღიმარე სახე და მაშინ სიმხნევე ემატებოდა.

— ახალგაზრდა ხარ, ვახტანგ, ტექნიკუმი დაგიმთავრებია. ხელი მოკიდე, ძმაო, შენს თავსაც და ხალხის საქმესაც.

ეს სიტყვები ამაგრებდა ბიჭს.

„მოვკვდები მაშ, ვისწავლი და ვასწავლი კიდეც. შევძლებ კი?“ — უცებ ჩაუვარდებოდა ავი ფიქრი თავში. ძნელია, სოფელში ისეთი შეკითხვები იციან, ერთი თავის მაგივრად ათი თავი რომ გქონდეს, პასუხს მაინც ვერ გასცემ. ვახტანგს უცებ ელეფთერ ხონელიძე გაახსენდა, თვალწინ ისე წარმოუდგა, თითქოს აგერ, ამ წუთს მიწიდან ამოსულიყოს.

კვიმატი ენა ჰქონდა ამ ჭარმაგ კაცს. სარმასავით მომცველავი შეკითხვები იცოდა. ისეთ რამეს გამოიგონებდა და შეეკითხებოდა მომხსენებელს, რომ მთქმელსა და გამგონეს საგონებელში ჩააგდებდა.

დაჯდომა ყოველთვის წინა რიგში უყვარდა, გამოსაჩენ

ადგილას, პასუხი თუ დამაჯერებელი იქნებოდა, მეორე შეკითხვას არავის არ დაესესხებოდა.

ვაი მას, ვისაც სისუსტეს შეატყობდა; უცნაურად ჩაიქირქილებდა, იმ წუთში გამარჯვებულის იერს მიიღებდა, ცალ თვალს მოჭუტავდა და ხალხს ამაყად გადახედავდა, — აი, შეხედეთ, ესეც თქვენი მომხსენებელიო!

„შევრცხვები, ნამდვილად შევრცხვები", — ისევ განაგრძობდა ახალგაზრდა კაცი ფიქრს.

— რამ ჩაგაფიქრა, ვახტანგ?

ეს მანანას ხმა იყო. გაკვირვებული ვაჟი ფართოდ გაღებული თვალებით მიაჩერდა ქალიშვილს.

— აგიტატორად გამომყვეს, მანანა, როგორ ატყობ, შევაძლებ?

— რამ შეგაშინა, ბიჭო, — მოუჭრა ქალმა — სამკითხველო სავსე მაქვს წიგნებით. მოუმზადებლად პროფესორებიც კი არ კითხულობენ ლექციას.

ღამის სიბნელეში ვიღაცამ ჩაახველა. მანანას ახლა გაახსენდა დარეჯანის აქ ყოფნა.

— აქეთ მოდი, გოგო, რას გვერიდები?

* * *

მდინარე ძუისის სათავესთან, ფერდობებზე გაზაფხული ჯერ ისევ თებერვალში იწყება. ჯერ იის ფოთლები ამწვანდებიან, ყვავილს ამოიტანენ, სუნით გარემოს გააბრუებენ და ქვეყანას ამცნობენ — ზამთარი წავიდა, სიცოცხლე თავიდან იწყებაო. მერე ბალახებიც მწვანედ აბიბინდებიან და მარტის თვეში ვენახების კვირტებიც იფურჩქნებიან. მაღალ გორაკებს შუა ჩაჭრილი მდინარე ხევში მიქშუის. მთის წვერიდან ეს მდინარე ისე მოჩანს, თითქოს ცხენის თეთრი ძუა გდია ქვესკნელშიო. შეიძლება ამიტომ დაარქვეს ძუისა ამ მდინარეს. სოფლის ვენახები სწორედ მის ფერდობზეა გაშენებული. ვენახის ლერწები სამფა მავთულზეა გაბმული. ვახტანგი სწორედ ამ ვენახებში წამოჰყვა აგრონომს, მას შემდეგ, როცა აგიტკოლექტივის სემინარის მეცადინეობა დაამთავრა.

„მსმენელმა თუ ცოდნით დაგჯაბნა, სასაცილოდ აგიგდებს," — ფიქრობდა იგი. სირცხვილი რომ არ ეჭამა, ალალი

ბიჭი მთელი დღე ეხვეწებოდა აგრონომს — მევენახეობის შესახებ ცოტა რამ მაინც ამიხსენიო.

წინა ღამეს არ მოუსვენია. ტრაქტორებს მიხედა, ყოველი ნაწილი გაუსინჯა და ხვალისათვის საიმედოდ გაამზადა. დილით კი აგრონომს უთენია მიადგა სახლში.

აგრონომი ჩალისღერივით გამხდარი, მაგრამ დაუღალავი კაცი იყო. დილით ადგომას ვერავინ დაასწრებდა სოფელში და დაწოლით, შინაურების მეტმა, არავინ იცოდა როდის წვებოდა.

ვენახი გაგიჟებით უყვარდა. სანამ სხვები თვალს გაახელდნენ და ცას შეხედავდნენ, იგი უკვე საკოლმეურნეო ვენახში იყო და გუშინდელ ნამოქმედარს უმოწმებდა თვითეულ რგოლს. ვენახში ჩასული ნათოხარს თუ გასხლულს დახედავდა და შეუცდომლად გეტყოდა, ვისი ხელის ოსტატობა იყო იგი.

ახალგაზრდამ აგრონომის ჭიშკარი მოკრძალებით შეაღო.

— მასპინძელო, ჰე, მასპინძელო, — გასძახა დაცარიელებულ აივანს. აგრონომი ვენახიდან გალუმპული გამოვიდა. მუხლების ქვევით შარვლის ტოტები ისე მიწებებოდა, რომ კუნთები გამოკვეთილივით მოუჩანდა.

„ვენახში ხომ არ ეძინა ამ დალოცვილს“, — გაიფიქრა ბიჭმა და მასპინძელს მიუახლოვდა.

დაკვირვებულმა აგრონომმა აათვალიერა ტრაქტორისტი.

ვახტანგმა ყველაფერი დაუმალავად უამბო. იგიც ჩაფიქრებით უსმენდა და ღრმად ჩამჯდარ შავ თვალებს ხშირად ახამხამებდა.

— სწავლას როგორ დაგამადლი, ჩემო ვახტანგ... ოღონდ ახალგაზრდობამ ისურვეთ და მაგის დროსაც მოვნახავთ.

ამის შემდეგ ტრაქტორისტი აგრონომს თანაშემწედ გაუხდა. უმცროს ძმასავით სულ მასთან იყო.

აგრონომიც ვენახის ყოველ ჭირ-ვარამს უხსნიდა მას.

* * *

პირველი საუბარი ბრიგადაში უმარცხოდ ჩაატარა აგიტატორმა. მის ბედზე ელეფთერი აქ არ იყო. სიტყვა თრთოლვით დაიწყო, მორიდებულად, მერე თანდათან ზარი ჩაუდგა

ხმაში და როცა პარტბიუროს მდივანი ვენახის ბოლოზე შემოვიდა, აგიტატორის ხმა დამაჯერებლად რეკდა. საკითხი სოფლის მეურნეობის მექანიზაციას ეხებოდა. ეს კი მისი საქმე იყო. ტრაქტორზე და კომბაინზე ისე თავისუფლად ლაპარაკობდა, თითქოს თავის ძმის ამბავს უყვებოდა მეზობლებს. შეკითხვებიც იყო და პასუხიც კარგად გასცა აგიტატორმა.

მანანამ ამ საკითხზე დაწერილი პატარ-პატარა წიგნაკები შეარჩია სამკითხველოში და საუბრის დასასრულს მერგოლურებს დაურიგა.

ბრიგადის წევრები სიცილით ეუბნებოდნენ სამკითხველოს გამგეს:

— რაა, გოგო, საჩუქრები მოგვიტანე?

— საჩუქრების რა მოგახსენოთ... აგერ ხელი მოაწერეთ, რომ წიგნები მეორე საუბრის დროს ჩამაბაროთ. არ დამიკარგოთ, თორემ იცოდეთ სამკითხველოში არ შემოგიშვებთ.

პარტბიუროს მდივანი შუბლგახსნილი უყურებდა ამ ამბავს.

საუბრის დასრულების შემდეგ მანანა, ვახტანგი და მდივანი ერთად წამოვიდნენ. ახალგაზრდა გუმანით მიხვდა მდივნის ეშმაკობას. მისთვის ნაცნობი საკითხი განზრახ შეერჩია ივლიანეს.

— მერე რა არის ამაში ცუდი? ხალხს გაეცანი, შენც გაგიცნეს. შენ მათი ცოდნის დონე და უნარი მოსინჯე, მათ შენი სიძლიერე გაიგეს, ასე ჯობდა მგონი, — ჩაფიქრებით ამბობდა ივლიანე. ვახტანგს არ გამოეპარა, რომ მდივანი მისი დღევანდელი საუბრის გამო არც ისე კმაყოფილი ჩანდა.

— შენ, მგონია, არ მოგეწონა დღევანდელი ჩემი საუბარი, — ჰკითხა მან.

ივლიანემ დაკვირვებით შეხედა ახალგაზრდებს და წყნარად თქვა:

— მოწონებით მომეწონა, სხვანაირად არც ველოდი. ხალხის აქტივობა კი ნაკლები იყო. ცხრამეტი კაციდან მხოლოდ ექვსმა შემოიტანა შეკითხვა. ეს შემდეგისათვის დაიხსომე. შეკითხვების მიცემის დროს ადამიანში ცოდნის სურვილიც იღვიძებს. საერთოდ კი, — უფრო აუმაღლა ივლიანემ ხმა, —

ვინც თავის ნაკლს ამჩნევს და უცებ ასწორებს მას, იცოდე ის კარგი კომუნისტია.

„საიდან იცის ამ კაცმა ამდენი“, — თავისთვის ფიქრობდა ახალგაზრდა. მდივანი კი ისევ განაგრძობდა:

— ჩემო ვახტანგ, ერთი ყოველთვის უნდა გახსოვდეს: კარგად დაწყებულ საქმეს უფრო უკეთესი გაძღოლა უნდა. შენ ცუდად არ დაიწყე დღეს. იცოდე თანდათან მაღლა უნდა ასწიო, ძალა უნდა მიუმატო. ღონეგამოლეული კაცი ბრძოლას ვერ მოიგებს. ძალა კი ხალხისაგან უნდა შეიძინო. ხალხი, ჩემო ძმაო, ძალ-ღონის, ცოდნისა და სიბრძნის დაულეველი წყაროა.

ამ ლაპარაკში სამივენი ფერდობიდან ძუისის პირზე ჩაშოვიდნენ. დაკიდებული ხიდი მოლაღურის ბუდესავით ირწეოდა ხევში. ხიდის ქვემოთ, ოცი მეტრის დაშორებით ჩანჩქერი იყო.

ხიდზე შემდგარი ივლიანე ქალ-ვაჟს ღიმილით მიუბრუნდა:

— ერთი მითხარით, ერთი მეორეს რომ ასე ეფერებით, თამადობას როდის მაღირსებთ. ქორწილს ხომ არ გამომპარებთ, ან სხვა ხომ არავინ გყავთ ამ თანამდებობაზე შეგულვებული? არა, ბიძია, ამ სიამოვნებას ვერავის დავუთმობ!

დაიმორცხვეს ახალგაზრდებმა. მანანამ ისე შეხედა ვახტანგს, თითქოს შველას ითხოვდა მისგანო. ვაჟმა გაიღიმა. მერე თავი მაღლა ასწია და ხიდზე ისე შეაბიჯა, თითქოს საჭიდაოდ გასულიყოს მოედანზე.

შუბღნათელი ვაჟკაცები

ქუთაისის სამხრეთის კართან ძელქვიანის სასაფლაოა.

ყოველგვარი ხის ჯიშები შეიძლება ნახოთ აქ: ბროწეულის ლამაზი, ტანმაღალი ბუჩქები, ნიგვზის ახალგაზრდა ლორთქო ხეები, აკაციის წერწეტა ლატანები, ბზის ნორჩი ბუჩქები, მაგრამ ძელქვის ხეები კი არსად ჩანან.

ეს იშვიათი ქართული ჯიშის ხე ოდესღაც გავრცელებული ყოფილა ქუთაისის კარიბჭესთან გეგუთის ციხე-დარბაზებამდე.

ახლა კი მათ რიონის მარცხენა მხარეზე ნახავთ. შვიდფესვზე შემდგარი ცხრა მაღალტანიანი ძელქვა გაღმიდან ცხრა ძმასავით იყურება. წითელი ხიდის დასავლეთის ყურესთან, დასვენების პარკის შეფენილ ფერდობზე გამრავლებულა იგი. რიონჰესის კაშხალის დიდებული კედლების გაღმა-გამოღმაც დევებივით დგანან და ალამაზებენ რიონის ნაპირებს.

ძელქვიანის სასაფლაოსთან კი ძელქვები არ ჩანს. მხოლოდ სახელი დარჩა მათგან.

მაშველ არხში მოქცეული რიონი ოდნავ აჩქარებული ჩამოუვლის სამკერვალო ფაბრიკას, საკონსერვო ქარხნის ფიქალ კედლებს, მინის საჭურჭლე ქარხნის ახალ კორპუსებს და ეშვება ვაკისუბნის და ქვიტირის ბაღების მოსარწყავად. მისი სათავე გაღმა თვალდათვალ უყურებს აბრეშუმის მძლავრ სა-

წარმოს, ლიტოპონის შესანიშნავად ნაგებ ქარხანას, მის ახლად აშენებულ თეატრს და ბარიტის თეთრად შეფიფქულ წისქვილს. ოდესღაც ეს ადგილები ძელქვის ტყეებით იყო თურმე მოფენილი.

სწორედ იქ, სადაც მაშველი არხი ნინოშვილის ქუჩას გადაჭრის, იწყება სოფელი ვაკისუბანი. დაკვირვებული მგზავრი არხზე გადასვლისთანავე შეამჩნევს გზის პირას წამოწეულ ოდების უკან პატარა ბექობს, ძელქვებით გარშემორტყმულს. ამ არემარეში მხოლოდ აქ დარჩენილა ძელქვის რამდენიმე ხე.

წინათ აქ ნიში ყოფილა.

ნიში პატარა, მაგრამ იშვიათი მხატვრული ძეგლია. ეს ნიში ჩვენი მტრების სისხლიან მარჯვენას უხსოვარ დროშივე დაუნგრევია და ქვები მიმოუფანტავს.

ამ ნიშს „ჭაბუკის ჯვარს“ უწოდებდნენ.

პატარაობისას, ადრე დაობლებულ, ფეხშიშველა ბიჭს არ ერთხელ მირბენია აქ. ჩემი ტოლები სინაურიძეების ოჯახიდან, თუ ჩარკვიანის ქალ-ვაჟები, ამ ნიშის ოდნავ ამაღლებულ კვარცხლბეკთან ვთამაშობდით.

არხის პირზე ახლაც დგანან ასწლოვანი ვერხვები. ჯერ კიდევ მეც მახსოვს ეს ვერხვები და ეზოში გაშლილი ოთავის ბაღ-ბოსტნით იაკობ სინაურიძეს ეკუთვნოდა, ასი წლის მოხუცი გადმოდგებოდა აივანზე და ჩვენ ვთხოვდით ზღაპრებისა და ძველი ამბების მოყოლას.

გრძელ ჩიბუხს ჩვენ გავუტენიდით თამბაქოთი, რომელიც თუთის ხის კანისგან დაგრეხილ ბაწარზე იქვე, აივანზე იყო მუდამ გაკიდებული.

მოხუცი გვიყვებოდა სხვადასხვა ამბებს. ერთი მათგანი მეტად ღრმად ჩამრჩა ხსოვნაში. არ მინდა დაიკარგოს. ვინ იცის იქნებ ვისმეს გამოადგეს კიდეც.

• • •

გარდაიცვალა სიმონ მეფე, გიორგი აბაშიძე იმერეთის ტახტზე ავიდა. მისი მეფობის დროს ბეჰა და ახალციხის ფაშა საბუღრაოთი, ზეკარით და ლამაზგორით გადმოვიდნენ და

კაკას ხიდის გავლით ბაღდადში შეიჭრნენ. საპაიჭაოს ციხის აღებაც სცადეს, მაგრამ ჩიჯავაძემ სამჯერ დაირეკა ოსმალთა ჯარი. ბაღდადში გამაგრებულნი ქუთაისის მახლობლად მშიერი მგლებივით დაწრიალებდნენ. თავდასხმას ვერ ბედავდნენ. მხოლოდ ერთ ღამეს გაბედეს ქალაქის სამხრეთის კართან მოახლოება. — სწორედ აქ, სადაც ამჟამად ჩვენი სახლია; მაშინ მეფის ბაღები ყოფილა, — გვიამბობდა მოხუცი. — მეფის მებაღეს, ბიჭია სინაურიძეს ლეჩხუმელი ქალი ჰყოლია ცოლად, ლამაზი და დარბაისელი ქალი, ხელსაქმის ოსტატი. შრომის მოყვარე ცოლ-ქმარს ქალ-ვაჟი ჰყოლიათ — ჭაბუკა და ნიფადორა. დედა ადრე გარდაცვლილა და ბავშვები მარტო მამის მზრუნველობით იზრდებოდნენ. მოსიყვარულე მამას მეორე ქორწინებაზე უარი უთქვამს.

იმ საბედისწერო ღამეს ბიჭია სინაურიძე მეფემ იხმო სასახლეში. საგანგებო ხილისა და ბოსტნეულის მიტანა ებრძანებინა მისთვის. ბიჭიამ ნაადრევი ატმით, ორმოსავალი ლეღვითა და ბოსტნეულით დატვირთული გიდელები კოხტად დააწყო ურემზე და ქალაქისკენ გასწია.

ახალგაზრდა, ოცი წლის ჭაბუკა და თხუთმეტი წლის ნიფადორა შინ დარჩნენ.

ბაღი სავსე იყო სანიმუშოდ მოვლილი მწვანილეულით. ახალგაზრდა ვაჟი მამის დიდ ცოდნას თავის დაკვირვებას უმატებდა. თაფლივით ტკბილი ბროწეულის ნორჩფესვიანი ნერგებით შემოღობა მთელი ბაღი. მეორე წელს დანისპირით ისე ლამაზად მოქნა წამოზრდილი ბუჩქები, რომ ჩიტიც ვერ გაძვრებოდა ისეთი ღობე გაკეთდა. ვარდებივით იმზირებოდნენ ცოცხალ ღობეზე დაკიდებული ბროწეულები. კვლებს შორის ლამაზი ბილიკების გასწვრივ სარწყავი მილები იყო გაყვანილი.

ბაღში ერთ სარეველა ბალახს ვერ ნახავდით.

კვალში მამასთან ერთად თოხით ხელში ჭაბუკაც იდგა დღენიადაგ.

— ვივახშმოთ, დაო! — შეეხვეწა ჭაბუკა დას.

ნიფადორამ მუხლებამდე დაყრილი შავი დალალები თავის მოხდენილი გაქნევით უკან გადაიყარა და სპილოს ძვლის ყაისნაღს ხელი გაუშვა. თივთიკის ყაბალახს ქსოვდა დედასა-

ვით ხელსაქმის მოყვარული ნიფადორა ბიძაშვილისთვის. დღე-დღეზე ელოდნენ მის მოსვლას ცაგერიდან.

ჭაბუკას ღვიძლ ძმასავით უყვარდა ლებაოზ ჩარკვიანი. ტოლებიც იყვნენ. დედით დაობლებულ ქალ-ვაჟს ბიძაშვილიც სულითა და გულით მეგობრობდა.

ლებაოზი ბავშვობიდანვე დაუღლელი მონადირე იყო. ცაგერიდან საზამთროდ ჩამოსული მთელი დღეები ბიძაშვილთან ერთად ძელქვიანის ტყეში იყო გასული. სუროშემოხვეულ კურკანტელებზე ასობით დააგებდნენ მახეებს შაშვებისათვის.

რიონის ფშანებში იხვებს დასდევდნენ, ტირიფნარში — კურდღელს. არ ახსოვს ჭაბუკას, ლებაოზს თოფი აეცდინოს. ჭაბუკასაც მან ასწავლა თოფის ხმარება. ბიძაშვილები ხშირად ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სროლაში.

ვახშამი კეცზე შემწვარი ნიგვზიანი კვერცხით და ბოსტნეულით დაიწყო. ძველშავის სახარჯო ღვინო ხელადაში შხეფებს ისროდა. ვახშამი ჯერ კიდევ დამთავრებული არ ჰქონდათ, როდესაც ღამის სიბნელეში ჭიშკრიდან ომახიანი ძახილი მოისმა.

— მაინძელო, ეიი, მაინძელო!

ნიფადორა წამოდგა:

— ვენაცვალე, ლებაოზის ხმაა! — წაიჩურჩულა მან. ჭაბუკამ სიფრთხილისათვის თოფის საფალიე მოსინჯა და დის ხელით გამოღებულ კარებს რომ გასცდა, რბილ კოინდარს დაადგა ფეხი.

ბნელი ღამე იყო. ნიფადორას მინათებული ჩირაღდანი ახლო სივრცეში იკარგებოდა.

ნიფადორამ ახლა გარკვევით იცნო ლებაოზის ხავერდოვანი ხმა და იმ წუთსვე ძმისა და ბიძაშვილის ხელიხელ შემოკვრაც გაიგონა. შემდეგ სინაურიძის ქალმა გუმანით იგრძნო ორი ვაჟკაცის ტკბილი საძმო ამბორი. საყვარელი ბიძაშვილი სიხარულით მიიღეს მამიდაშვილებმა. ლამაზი გარეგნობის, უჩვეულო ძალ-ღონის მქონე და ამასთან ჭკვიანი ლებაოზ ჩარკვიანი შეუდარებელი მოჯირითეც იყო. ახლაც, აღვირამოღლიავებული რომ შემოუძღვა ცხენს, ჭაბუკას გაკვირვება აღმოხდა.

— სად გიშოვნია, ბიჭო, ეს მერანი?—შეეკითხა ბიძაშვილს ჭაბუკა.

— აფხაზეთში მაჩუქა ძმადნაფიცმა.

ნიფადორა ჩირაღდნით ხელში თვალგაბრწყინებული შეუძღვა ოდაში ორ ვაჟკაცს.

* * *

ახალგაზრდები გვიანღამემდე შეყვნენ სმას. ოჯახები მოიკითხეს. საქონლის და მოსავლის ამბები გაიგეს და, როცა სუფრიდან ადგნენ, გელათის თავზე ცა მზის სხივებით მოფენილი იმზირებოდა.

ნიფადორამ ბეღლებისაკენ გაიხედა, ძელქვიანის ტყის პირად რომ ჩაედგათ; ეზოს გადაღმა რაღაც ჩრდილები დალანდა.

იგი კიდევ უფრო გაიწია ხეივნისაკენ...

როცა ოდის აივანზე ამორბოდა, ადამიანის ფერი არ ედო...

ძმა უმალ მიხვდა ფათერაკს...

— რა მოხდა, ნიფადორა?

— ძელქვნარის ტყე თათრებითაა სავსე!

— თუ მოგელანდა, ჩემო დაო?

— რას ამბობ, ჭაბუკ, თეთრი ჩალმებითაა სავსე ჩვენი ტყე.

ლებაოზმა ჯერ ნიფადორას შეხედა, მერე ჭაბუკას.

— რისხვა მოგვდგომია თავს! სასახლეში, ალბათ, აინუნშიც არ არიან!

ჭაბუკამ თოფს ხელი დაავლო და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— თითონ ვნახავ ჩემი თვალით. — ფერდაკარგული, სასომიხდილი ნიფადორა ხელებში სწვდა ძმას:

— შემიბრალე, ძმაო, ერთი რას გახდები ამდენ ურჯულოსთან? შეგნიშნავენ და დავიღუპებით!

გაქვავებულივით იდგა ლებაოზი.

— იცი რა! — მოუბრუნდა იგი უცებ ჭაბუკას. — რაც თოფები გაქვს ყველა დატენე, მე კი ახლავ აქ გავჩნდები!

სანამ და-ძმა რაიმეს მოიფიქრებდა, ლებაოზმა ჩოხა-ახალუხი ვერცხლის ბალთიან ქამარში აიკეცა და ეს მუხასავით

ბრგე ვაქკაცი ცვარდაკარგულ ბალახზე უჩუმრად წაწვა და ნიავივით გასრიალდა.

დაბრუნებული ამბობდა, — თურქების ჯარია, საჩინოთი ან ახალციხით არიან შემოხვეწილნი. ბევრნი ჩანან. ჯერ კარგად არ გათვლებულა და ვერ დავითვალე. დროშები კი მრავალი მოჩანს, საუზმეს ამზადებენ. ან მალულად თავდასხმას გვიპირებენ, ან გაპარვას ფიქრობენ. პირველი ღმერთმა ნუ მოასწროთ, მეორეს კი ჩვენ არ გავაბედვინებთ! ნიფადორა!— მიუბრუნდა იგი მამიდაშვილს. — ცხენზე შეჯექ და სასახლისაკენ გასწი, ჯარი მოგვაშველონ!

და-ძმა მიუხვდა ლებაოზს.

ნიფადორამ ოდაში შეირბინა, ძმების ნამალავად, ყოველ შემთხვევისათვის, მოზარნიშებული პატარა ხანჯალი უბეში ჩაიდო.

ნიფადორა ისე მარდად მოახტა უნაგირს, რომ ქურანმა მისთვის ჩვეული გაჯიუტებაც ვერ მოასწრო.

— ნიფადორა! ცხენს სადავე ქვევით დაუჭირე. ქუსლები გვერდის არეში მოახვედრე, ყალყზე არ დადგება. აბა, შენ იცი, დაო, ქვეყნის ბედი შენთვის მოგვინდვია!

უკანასკნელი სიტყვები ნიფადორას ბურანივით ჩაესმა. ეზოს გასცდა თუ არა, ქურანს ცხენს შეზრდილი მხედარივით მიაგელვებდა. ცხენის ფლოქვის ქვეშ, თითქოს მიწა კვნესოდა, მთვარე კი, მზის პირველი შუქით შეფითრებული რომ ეკიდა, ცის კენწეროზე თანდათან გაუჩინარდა.

ცისკარდაკრულ ჩრდილებში თვითონაც განთიადის ჩრდილისფრად მოჩანდა ლებაოზის ბედაური.

ცუდი ამბავი მიჰქონდა მხედარს სასახლეში.

ნიფადორამ რიონის კლდოვან მარჯვენა ნაპირს ცოტა უგანა, აგურისა და თიხის ფიქალის ქურებს გასროლილი ისარივით ჩაუქროლა. ოსტატები უკვე აბრიალებულ ქურებს დასტრიალებდნენ.

მხედარი ქალის ნათქვამმა ხალხი ერთბაშად წამოშალა. მამაკაცები იარაღს ისხამდნენ, სათაფლიისაკენ გზავნიდნენ ბავშვებსა და მოხუცებს. მჭედლებისა და მწრთობელთა უბანში უიარაღონი უკვე იარაღს იძენდნენ. ცხენი კი მიჰქროდა ქუთაისის კლდოვან ვიწროებში.

ქორიკვით ჩაფრენოდა ნიფადორა აღვირს. ქარიშხალი დაბუდებოდა ქალწულს გულში. წინ სამშობლო და მამა, უკან— ძმების თავგანწირული, მღელვარე, ნაპერწკლიანი თვალები.

უნაგირიდან გადმოფრენილი ნიფადორა სასახლის ბზის ჭიშკართან შედგა, გუშაგს საქმის ვითარება აუხსნა. ეზოში უკვე დილის სიო აშრიალებდა ხეივნებს; სასახლის სარკმლიდან ასსანთლიანი კანკელის შუქი გარედან შენათებულ დღის სინათლეს დაეჯაბნა. ჭიშკრიდან სასახლის მარცხნივ, მარმარილოს დიდ კიბემდე, ყვავილნარი ღელავდა.

მეფის მარჯვენა ხელი — ქაიხოსრო იაშვილი გადმომდგარიყო კიბეზე, იგი შუბლს იგრილებდა ღამენათევი.

წუხელ დიდი ბჭობის შემდეგ დარბაზის ერმა დიდი საქმე გადაწყვიტა. მეფის უფროსი ქალი, კეკლუცი მარიამი, აფხაზთა მთავარს მიათხოვეს.

ხეივანში ქაიხოსრო იაშვილმა ნიფადორას მოჰკრა თვალი, სასახლისკენ რომ მიიჩქაროდა.

„ნეტავ რა უნდა ასე ადრიან დილით?“ —გაიფიქრა მან. დაკვირვებით შეათვალიერა ნიფადორა და გუმანით მიხვდა, რომ კარგი ამბავი არ მოჰქონდა.

— რა საქმისათვის გარჯილხარ ასე უთენია?

— ბატონო, მე ბიჭია სინაურიძის ქალი გახლავარ. ჩვენს ბაღებთან ძელქვების ტყე თათრებით არის სავსე. ჩემი ძმა და ბიძაშვილი იქ დარჩნენ... იქნებ ცოტა ხნით მაინც შეაჩერონ მომხდურნი... — ცრემლი წასკდა ნიფადორას.

იაშვილი სწრაფად შებრუნდა სასახლისკენ. ქალწულის ცრემლებს დასტური აღარ სჭირდებოდა.

* * *

ლებაოზმა და ჭაბუკამ გამზადებული თოფები ძელქვებს ქამრებით მიაკრეს. თუ მტერი ქალაქისაკენ დაიძროდა, უთანასწორო ბრძოლით უნდა დაეყოვნებინათ მათი წინსვლა.

თეთრ ცხენზე იჯდა ოსმალთა სარდალი. იგი ბრძანებებს იძლეოდა.

ლებაოზი და ჭაბუკა მათ მალულად და მოუსვენრად

უთვალთვალებდნენ. ჭაბუკას გამჭრიახმა თვალმა შენიშნა სასახლის მთავარ ქონგურზე გადმოშვებული საომარი დროშა.

* * *

ოსმალთა მოწინავე გუნდი ქალაქის მიმართულებით დაიძრა. ცხენებს ათი ნაბიჯიც არ გადაედგათ, რომ თოფების ხმამ მთელი ტყე გრიგალივით დაირბინა. სარდალი და სამი მისი მხლებელი მოცელილებივით გადმოეშვნენ ცხენებიდან. კიდევ ისროლეს და ხუთი ჩალმიანი გადმოვარდა ძირს. სანამ თათრები რამეს მოიფიქრებდნენ, აირივნენ, აფორიაქდნენ. თოფების მოულოდნელმა გრიალმა მტერი შეცდომაში შეიყვანა. ქალაქამდე ქურდულად მოსული მტერი დაიბნა, ჩასაფრებულებს შეუშინდა. ამ აბნეულობით მიზანმიღწეული ორი ვაქკაცი კი მტრის თვალწინ ისევ წარბშეუხრელად ტენიდა თოფებს.

სარდლის სიკვდილმა მათ ფიქრის უნარიც წაართვა.

ახლოს მისული ორი თავგანწირული მეომარი კი უმიზნებდა და უმიზნებდა დაბნეულ მტრის ჯარს.

მტერი საბოლოოდ შეკრთა. დამხდურთა სიმრავლის ფიქრი მიეცა. ახლად აფოთლილი ძელქვის ტოტები თოფების გრიალში თრთოდნენ და იმტვრეოდნენ. ძელქვებზე მოხვედრილი ტყვიებისაგან ახლეჩილი ნაფოტები ცხენებს უფრო აფრთხობდა. შეშინებული, ტყეს უჩვევი ბედაურები გახელებულივით დარბოდნენ ხეებს შუა და მხედრებიანად აწყდებოდნენ ძელქვის რკინასავით მაგარ ტოტებს.

მხოლოდ თავდამსხმელთა მარჯვენა რაზმი არ დაიბნა, ხმალამოწვდილნი მიეჭრნენ ისინი ჭაბუკებს.

ლებაოზ ჩარკვიანი დიდი ძელქვის ძირში მოიმწყვდიეს. თავგანწირულად ტრიალებდა იგი ხმლით ხელში. ზურგით ვეება ხეს მიყრდნობილი, დაუნდობლად ჟლეტდა მტერს. მაგრამ ერთი ასის წინააღმდეგ რას გააწყობდა.

უწყალოდ ჩეხდნენ გმირს. იგი მუხლებში ისე ჩაიკეცა, ზურგი ხისათვის არ მოუშორებია. ჩაიკეცა და მოწყვეტით დაეცა მიწაზე. ეს ვეება, ახლად წვერაშლილი ჭაბუკი, ბეჭებგაშლილი შეჰყურებდა ძელქვის კენწეროებს, საქართველოს ცას...

დროშა კი, საომარი დროშა, ქალაქის კედლებიდან ხალხს მტრის განადგურებისაკენ მოუწოდებდა.

* * *

ჭაბუკა თავის ბედის დასრულებასაც თვალდათვალ უყურებდა. ის მოფიქრებით გადახტა ლებაოზის მიერ მესამედ გატენილ თოფებისკენ. მზე უკვე ძელქვის წვერებზე ბრწყინვალებდა. მტრის ჯარმა ახლა შენიშნა თავისი შეცდომა. თათრები აფთრებივით შემოეხვივნენ ჭაბუკას. ყოველ გასროლას სიკვდილი მიჰქონდა ოსმალთა ურდოში. ისინი მაინც წინ მიიწევდნენ. პირველი ტყვია გულში მოხვდა ჭაბუკას და ვიდრე მიწაზე დაეცემოდა, მთელ სხეულში ცეცხლი მოედო. უმალ სიკვდილმა თვალები დახუჭა.

* * *

მოწინავე ლაშქარი, რომელსაც გიორგი მიქელაძე მეთაურობდა, თავგანწირვით ეკვეთა ოსმალოებს. მტრის ჯარი დაბნეულად მიაწყდა აჯამეთის ტყეს. მზაკვრულად შემოსეულ მტერს, ნიფადორას მიერ დროზე გაღვიძებული ქართველობა წამოესია. მოლაშქრენი ცხენდაცხენ მისდევდნენ. შვიდი ოსმალო ვარდციხეში გლეხებს კეტებით მოეკლათ. აუარებელი დოვლათი დარჩათ გამარჯვებულ მეომრებს, არაბული ბედაურებით აივსო იმერეთი.

* * *

მეფემ ორივ ჭაბუკის დასაფლავება იქ ბრძანა, სადაც ისინი გმირულად დაეცნენ.

იმერეთის კათალიკოსმა, გრიგოლ ლორთქიფანიძემ, მიწა აკურთხა. ძელქვების ტყის ნაპირას გათხარეს წყვილი სამარე. მთელი სასახლე მიაცილებდა მათ. გიორგი მიქელაძე და ქაიხოსრო იაშვილი წინ მიუძღოდნენ სამგლოვიარო ლაშქარს. მათ შუა შავებში ჩაცმულ ლებაოზ ჩარკვიანის უმცროს ძმას ოდნავ დახრილი საომარი დროშა მიჰქონდა. უკან ბიჭია სინაურიძე და ლებაოზის მამა მიჰყვებოდნენ. ნიფადორა კი მეფის ქალს, მარიამს მიჰყავდა კუბოების უკან.

ოცი წყვილი ხურო იცდიდა საფლავთან ახლოს. სამარის

გარშემო ბალავერი გაეკრათ და დუღაბი ჩაესხათ ნიშის ასაშენებლად.

ცაგერიდან ჩამოტანილი ქვის ჯვარი აღმართეს ნიშის თავზე.

ლებაოზის მამამ ცაგერში ცხოვრება აღარ ინდომა. შვილის საფლავის ახლოს, გზის პირას, ოდა ააგო და ახლა რომ ორი მოსახლე ჩარკვიანი ცხოვრობს, — დააბოლოვა მოხუცმა, — სწორედ მათი მოდგმისანი არიან.

„ჭაბუკას ჯვარი" დაურქმევია ხალხს იმ ნიშისათვის. იმ ადგილს ახლაც ამ სახელს უწოდებენ. ჩვენს ხალხს შემოუნახავს ეს სახელი. წინათ გზად მიმავალი მხედარი ცხენიდან ჩამოხტებოდა, თავდახრილი, მოკრძალებულად გაუვლიდა ნანიშარ ბექობს. ხუთიოდე ძელქვის ხე ახლაც დგას ამ ბექობის ახლოს. შრიალებენ მათი ფოთლები გაზაფხულიდან ზამთრის პირამდე. შემოდგომის მიწურულიდან კი, როცა მათ ეს მწვანე, ხშირი ფოთლები დასცვივათ, გაზაფხულამდე ნაბადმოხსნილი ვაჟკაცებივით დგანან ამ მაღლობზე.

ასწლოვანიაო, — ამბობენ მათზე აქაური მცხოვრებნი. შეიძლება ხუთასწლოვანნიც არიან!

დგანან ისინი ამაყად და ქვეყანას ამცნობენ მათი სიცოცხლის ჯანგაუტეხლობას. მათ ფოლადისფერ ტანზე ახლაც შენიშნავთ დაკორძებულ ადგილებს. შეიძლება რომელიმე მათგანი მართლაც იმ ღამის ნატყვიარია, როცა ორმა ჭაბუკმა ბტრის ურდოს დარბევისაგან ქუთაისი გადაარჩინა. მათი სახელები ხალხმა დღევანდელ დიდ დღემდე მოიტანა. ახლა კი ამ მოხუცის ნაამბობმა გაახსენოს ჩვენი დროის ბედნიერ თაობას ამ ორი თავდადებული ჭაბუკის შუბლნათელი და ვაჟკაცური ხახეები.

ყრმა ვაღოდიას დარდი

იმერული, სულმოუბრუნებელი, ცხელი დღე ბუღს აბრუნებდა მთელ ქალაქში. ქუჩებში უკვე გრიალებდა პირველი რევოლუცია.

რიონის მარჯვნივ და მარცხნივ ნაპირებზე კლდის თეთრი კირნარევი უზარმაზარი თხემები წამოწოლილიყვნენ.

კალაპოტშიაც კი, სადაც საუკუნეების დაულეველ მანძილზე წყლის მეტად ჩქარ და მშფოთავ დინებას თავისი გაეკეთებინა, მაინც ჩანდნენ ეს თხემები, ოდესღაც წყალში დაღუპული და ხელახლად აღმოჩენილი გემების ქიმებივით.

ჭადრის ტოტების შრიალი, რიონის ტალღების კლდეებზე ტყლაშუნი და ქუჩებში დაწყებული მღელვარება რაღაც თავისებურ აბობოქრებას იწვევდა რიონის პირას მდგარი ორი უფროსი მოსამზადებელი კლასის გიმნაზიელების ყრმა და ჩვილ ბუნებაში.

წინა დღეებში ისინი აქამდე უცნობი დემონსტრაციის მოწამენი გახდნენ. ახალგაზრდები გაოცებული უყურებდნენ ხალხის ამ უჩვეულო კრებულს.

ყველაზე უფრო მაინც ის დაამახსოვრდათ, თუ როგორ უქშინეს დემონსტრანტებმა პოლიციელებს.

ერთი ახმახი პოლიციელი, ხმალი რომ მუხლამდე ძლივს სწვდებოდა, თვალების ბრიალით მიყვებოდა გვერდიგვერდ მათ. თეთრ ხიდამდე არაფერი უთხრეს მას, მაგრამ აქ ალბათ

მოსძულდათ მისი ყურება და ყმაწვილებმა თავისი ყურით გაიგონეს, როცა ერთმა მუშამ ასე უთხრა: შენი ფეხის სარგო კალაპოტი არ გვეშოვება, მაგრამ შენი ტანის მოსარგებს, თუ ხელი გკარით, რიონი მონახავსო.

პოლიციელი შოლუშული გაშორდა დემონსტრანტებს.

ახლა ორივე, ვალოდია მაიაკოვსკი და აპოლონ მესხი, იდგნენ წყლით გაღარული კლდოვანი მდინარის პირზე და გაჰყურებდნენ თეთრ კლდეებშუა აქაფებულ და აღელვებულ ტალღებს.

ცურვის დიდი ხელოვნება იყო საჭირო ტალღების გადაჭრისათვის. ამ ადგილზე თუ მცურავი გარკვეულ საზღვრებს ოდნავ გასცილდებოდა, უცნაური სიმძლავრით დაქანებული ტალღა კლდეს შეამსხვრევდა არამცოდნეს. ეს წყლის ბილიკი იწყებოდა სწორედ იქ, სადაც ყოველ ექვს იანვარს იმერეთის ეპისკოპოსი, ქუთაისის მორწმუნე მოსახლეობით გარშემორტყმული, წყალზე ლამაზად ამოხარატებულ ხის ჩარდახის ჭრილში გადააგდებდა ჯვარს.

ახალგაზრდა ყმაწვილები ტანზე არაყწასმულები გადახტებოდნენ და მათ შორის ყველაზე უკეთესი მცურავი იხვივით ჩაიყურყუმელავებდა და ამოიღებდა ჯვარს.

ლეჩხუმიდან თუ რაჭიდან წამოსული მეტივეები ყველაზე მეტ სიფრთხილეს ამ დაუოკებელ და ქაფიან ტალღებში იჩენდნენ. ლატანი, ლორთქი რცხილის დაგრეხილი ღვლერჭები, რომლითაც ერთმანეთზე შეკრული იყო ტივის ხეები, მიმინოს ფრთასავით სწრაფ მოარულ ტალღებზე შემწვარი წაბლივით სკდებოდნენ: კლდის ცხვირებს ეხეთქებოდნენ და იშლებოდნენ. ასეთ შემთხვევაში მეტივეები ცურვით შველოდნენ თავს.

დაკაკალებული ხეები კი გეგუთის ჭალებისაკენ მიჰქონდა რიონს.

ახლა გიმნაზიელები სწორედ იმ ადგილას იდგნენ, სადაც ოდესღაც ოქროს ჩარდახიდან მარმარილოს კიბე იყო წყლამდე დაკიდებული, რომლის რამდენიმე საფეხურს მუდამ მღელვარე რიონის ტალღები ეტბორებოდა.

ვალოდია ღიმილით მიუბრუნდა აპოლონს:

— აბა შემომხედე და დამაკვირდი!

აპოლონმა განცვიფრებით შეხედა მეგობარს.

— რა იყო, ვალოდია?!

— რა და თუ მამჩნევ ლაპარაკში რასმეს?

— რა უნდა შეგამჩნიო, უდეგარო!

— პირი სავსე მაქვს კენჭებით, ლაპარაკის დროს კი არაფერიც არ მეტყობა.

წყლით მოშავებულ სველ სილაზე მოზრდილი კაცის ნაბიჯებით იწყებდა სიარულს და თან იმღეროდა:

მეგობრებო, წინ, წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული,
დე, მ.ერდს სისხლის დალი აჩნდეს
და შუბლს ოფლის ნაკადული...

რიონის ხმაურში და მოძალებულ ქარში მისი ბავშვური, მაგრამ მჭექარე ხმა, როგორც წყალში ქვაზე ქვის დარტყმა ისე ჯახუნობდა და შორს მიდიოდა.

აპოლონმა არ დაუჯერა და ჰკითხა:

— ნუთუ მართლა პირში კენჭები გაქვს, აბა, მაჩვენე, — იგი ვალოდიას ნიკაპში ავლებს ხელს და ქვედა ყბას ისე ქაჩავს ქვემოთ, თითქოს ზევით აწეულ ალუჩის ტოტს სწევდეს ძირს. ვალოდიაც მისთვის დამახასიათებელი გულიანი სიცილით ალუჩის სისხო კენჭებს ერთბაშად აყრის გაოგნებულ ამხანაგს მკერდზე. კენჭებიც გიმნაზიელის ბრჭყვიალა ფოლაქებზე წკრიალით რეკენ და ეჟვნებივით ჟღარუნობენ. რიონში გარეცხილი კენჭები ისევ მის სიღრმეში ცვივიან.

ვალოდია აპოლონს ყელზე ეხვევა და ისე ეკითხება:

— გამოიცანი, აბა, რისთვის არის საჭირო?

აპოლონი შეშინებული უყურებს თავის ახალ ხალათს და ბუზღუნით ამბობს:

— სისულელეა, შენსას საერთოდ ვერაფერს გაიგებს მართლმადიდებელი კაცი. ათასი კვიმატი აზრი და ფიქრი გაწუხებს. რომ დასვრილიყო ჩემი ხალათი, შინ ხომ მაგრად ბიმბერტყავდნენ.

— არა, შენ ვერ მიხვდი. აპოლონი გქვიან და დემოსთენეს კი არ იცნობ. ხომ გახსოვს, ამ ბლე კაცმა როგორ მოიხვეჭა მსოფლიო მქევრმეტყველი კაცის სახელი.

აპოლონი განცვიფრებით უყურებს ვალოდიას. მას აქამდე ეგონა ეს ოინი მისი ახალი ხალათის დასატალახიანებლად იყო გამოგონილი, მაგრამ ახლა, როცა სინამდვილეს ხვდება, სიცილით ეხვევა მეგობრის ბეჭებს.

— დემოსთენობა მოგინდა?! აი, შე ბაღდათელო რუსო, ძველი სამყაროსაკენ მიაბიჯებ.

ვალოდია უცებ დიდ წარბებს ჭმუხნის და გულმოსულივით ამბობს:

— არა, ტყუილია. ვერ მიმიხვდი. მე იქით არ ვაბიჯებ. მოწონებით მე ლასალი მომწონს. უწვერო კაცი ჩანს, ალბათ ჭკვიანი იქნება. საერთოდ რა გითხრა იცი? მე სხვანაირი მინდა ვიყო. აი, შეხედე! — იგი ისევ კრებს სილაში გაბნეულ სხვადასხვა ფორმის კენჭებს, გულმოდგინედ რეცხს რიონის ტალღაში და წენგოს მღეჭველი მამაკაცივით იყრის ენის ქვეშ. მერე სველ სილაზე ისევ. მედიდურად ფართოდ აბიჯებს და საოცარი სიზუსტით ისვრის სიტყვებს.

აპოლონი ხარხარებს.

უცნობი გიმნაზიელი, რომელიც კიბეების ზემოდან ამ სურათს უყურებდა, ნელ-ნელა მოდის მათკენ.

ვალოდია სხვა მოწმეს არ ელოდა ახლა აქ. ან რა ეშმაკად უნდოდა საიდუმლოს თანაზიარი?! ასეთ გულის ნადებს უახლოეს მეგობარს თუ გაანდობს ადამიანი.

მან აელვარებული თვალით შეხედა მოსულს.

იგი მათზე მოზრდილი იყო.

ვალოდიამ გადაშლილი წიგნის ფურცელზე, უცნობს რომ ეკავა, დემოსთენის სურათი შენიშნა.

„დამცინის ალბათ!“ — გაიფიქრა მან.

უცნობი კი მიუახლოვდა მას.

— აბა, გაიმეორე, — შეეხვეწა იგი, — გაიმეორე, მეც მაინტერესებს.

ვალოდიას არ მოეწონა ეს თვალებჩაღრმავებული, მეტად მდიდრულად ჩაცმული და ავადმყოფური სახის ბიჭი. მან მზაკვრულად ახედა არამკითხეს.

— სულ ერთია, შენ ასე ვერ ილაპარაკებ, ამას ნიჭი უნდა.

უცხო ბიჭი კიდევ უფრო ახლოს მიუახლოვდა.

— მასწავლე, — ბრძანების კილოთი უთხრა მან, — ორ

ცინცხალ, ჯვრიან კალამს მოგცემ, თუ გინდა აი, საღებავებსაც გაჩუქებ.

„მიბრძანებს კიდეც," — გაიფიქრა ვალოდიამ და ლოყები სიწითლისაგან აებურცა.

კაცმა რომ თქვას, საღებავები მისთვის მეტად საჭირო იყო. აკი მასწავლებელი განსაკუთრებული სინაზით ეპყრობოდა მის ნიჭს. მაგრამ ამ არასასიამოვნო ყმაწვილისგან ქრთამის შეძლევა და რაღაცნაირად მბრძანებლურად ნათქვამი სიტყვა „გაჩუქებ" აფორიაქებდა მის ბავშვურ სულს.

— მე ქრთამებს არ ვღებულობ, ჟანდარმის შვილი კი არა ვარ. არც არავის საჩუქარი მინდა.

ნათქვამმა მოსალოდნელზე მეტი შთაბეჭდილება მოახდინა.

უცნობს სიყვითლემ გადაჰკრა.

— მე მასწავლებელ იურკევსკის დისშვილი ვარ, — გაფითრებით, მაგრამ სიამაყით მიუგო ბიჭმა.

„ოპო, — გაიფიქრა ვალოდიამ — მით უარესი". ლოყები უფრო გაუწითლდა და ნესტოები გამოებერა.

ჯერ კიდევ ბავშვური თითები მოეკუმა.

უცებ გაახსენდა შავრაზმელი მასწავლებელი იურკევსკი, რომელმაც ჯერ კიდევ რამდენიმე ხნის წინათ გასცა წყალწითელას პირზე, „იაზონის გამოქვაბულში", შეკრებილი მოწაფეობა.

მის გონებაში ელვის სისწრაფით გაირბინა მთელი გიმნაზიის საყვარელი, მეშვიდე კლასის მოსწავლის, პავლე დავითის ძე საყვარელიძის სკოლიდან გარიცხვამ. მოწაფეები აქაც იურკევსკის ხელს გრძნობდნენ. ვალოდია ახლა სერიოზულად ჩაფიქრდა. აპოლონს მრავალმნიშვნელობით გადახედა და უცხო ბიჭს უთხრა:

— იცი რა, გასწავლი, მაგრამ რასაც გეტყვი, უნდა დამიჯერო!

უცნობს თვალები გაუბრწყინდა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

ვალოდიამ ოცამდე წვრილი კენჭი მოაგროვა და ბიჭს ბრძანების კილოთი უთხრა:

— აბა, ძამიკო, იქით გაიხედე!

ბიჭმა პირი იბრუნა. ვალოდიამ უცებ გარეცხა კენჭები და ისევ უბრძანა გამოეხედა მისკენ. მან უცნობის თვალწინ შეიყარა ენის ქვეშ კენჭები. უცნობმა ვერ შენიშნა ვალოდიას ეშმაკობა და ტალახით დასვრილი კენჭები, გაურეცხელად, გამოუცდელი ხელით ჩაიყარა ხახაში.

კენჭების სიმრავლით ყბები გამოევსო, აყოლილმა ტალახმა და თიხამ პირის ღრუ გამოუტლიზა, დათქმის თანახმად კი უცხო ბიჭს, როცა კენჭებით პირი გამოევსებოდა, ჰაერი უნდა ჩაესუნთქა.

— პირი ფართეთ დააღე და ჰაერი ბლომად ჩაუშვი ფილტვებში, — მბრძანებლობდა ახლა ვალოდია.

აპოლონი მთლად გაკვირვებული უყურებდა მეგობარს. იგი ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო, რა მოჰყვებოდა ვალოდიას ეშმაკობას.

იურკევსკის დისშვილს, პირში ჩაყოლილი ტალახისა და სილის ნამცეცების გამო, სწორედ მაშინ დააზიდა, როცა მან ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა. გაღებულ ყელში შესუნთქულმა ჰაერმა პირის ღრუში რამდენიმე კენჭი ჩხრიალით გადიყოლია. უცნობმა დანარჩენი კენჭები პირისღებინებით გადმოყარა. დამფრთხალი ბიჭი რიონის წყლით ირეცხდა ტალახით გამოსვრილ ხახას.

ვალოდია ხარხარებდა.

აპოლონი იღიმებოდა. იგი მხოლოდ ახლა მიხვედრილიყო მეგობრის განზრახვას.

— იცი რა! — კიდევ უფრო აჯავრებდა ვალოდია დამარცხებულს, — კენჭებმა ალბათ ჭაჭები უკვე გაიარეს და ხომ იცი ახლა სად გაგეჩხირება?

ბიჭს ცოტა ენიშნა თქმული და შიშისაგან თვალები კიდევ უფრო დააჭყიტა.

— ოჰ, ეს კი კარგად ვერ მოგივიდა, — ისევ უკიდებდა სიტყვას ვალოდია, — შესაძლებელია ასეთი კენჭების ყლაპვით გოგოდ გადაიქცე. თუმცა ბიძაშენს თუ ეტყვი, ისეთი მაძებარი მთელს ჟანდარმერიაში არ არის, მოგეხსენება, მოგიძებნის, სანამ ეს კენჭები უადგილო ადგილას გაგეჩხირებოდნენ.

ამ სიტყვებმა მთლად გადარია უცნობი. იგი მიხვდა, რომ

ვალოდია დაუნდობლად ამხელდა იურკოვსკის მიერ ჩადენილ დანაშაულობას. გიმნაზიელი თვალებგადმოკარკლული, აცახცახებული მიიწია მომავალ დემოსთენესაკენ. ბიჭი მოულოდნელად დაიხარა, თითქოს ვალოდიას ფეხებთან არხეინად მწოლმა ქვამ გაახსენა ყველა მიყენებული ტკივილიო, აიღო ეს კვერცხივით მრგვალი ქვა და შეურაცხმყოფელს თავში სთხლიშა.

სისხლმა ქვაც შეღება და დამრტყმელის მუჭიც.

— ეს კი ნამდვილად ჟანდარმულია, — ისევ გაღიმებით თქვა მან და მერე თავზე ხელი მოისვა. მთელი პეშვი სისხლით გაევსო. იმან შემკრთალი თვალებით შეხედა აპოლონს და ჯერ კიდევ ბავშვური მუჭი ისე მაგრად მიარტყა იურკევსკის დისშვილს, რომ ის მთელი ორი ნაბიჯით უკან გადავარდა.

აპოლონმაც შეამჩნია მეგობრის თავიდან მჩქეფარე სისხლი. ხელი მოხვია და ჭრილობას დახედა. ეტყობოდა ქვას მაგრად გაეხეთქა თავის კანიც და შეიძლება ქალაც. მან მამის ნაჩუქარი ქალაღაიას ცხვირსახოცით შეუხვია მეგობარს ჭრილობა.

შეშინებულმა მოწინააღმდეგემ ეზოში ასასვლელი კიბე სირბილით აირბინა და ქუჩაში გავარდა.

აპოლონმა შეფერმკრთალებული, თავგატეხილი ამხანაგი წყლის პირიდან ამოიყვანა და ჭადრის ძირში დასვა.

— დაისვენე, უდეგარო, ვაითუ ძვალია გატეხილი?!

— არაფერია, — ისევ ხუმრობდა ვალოდია, — ამ ჭადრის ჩრდილქვეშ არა ერთი ქართველი ვაჟკაცის თავი გატეხილა. ერთი რუსის თავიც მოემატება სათვალავს. განსხვავება ცოტაა, მაშინ მეფეების ბრძანებით უტეხდნენ თავს, ახლა კი ჟანდარმის ნაშიერმა გამიტეხა თავი.

საიდანღაც უფროსი კლასის გიმნაზიელი, მაიაკოვსკის ოჯახის მეგობარი, სტავრაკოვი გამოჩნდა.

— რა მოხდა?! — გაკვირვებით იკითხა მან.

— ცოტა მიმზილეს, მაგრამ ერთი მეც მივაყოლე.

სტავრაკოვმა და აპოლონმა თავშეხვეული ვალოდია შინისაკენ წაიყვანეს.

* * *

სევერიანე ჭითავას სახლი გეგუთის ქუჩის ჩასახვევში იდგა. ნიგვზის ტანმაღალი ხეების გვერდით; ლეღვის, ტყემლის, ატმის და ალუბლის სხვადასხვა ჯიშები ჰყვაოდნენ. წითლად გამოსული ბროწეულები ნიავისაგან ირხეოდნენ. ამ შესახვევში, რომელიც ბაღს უფრო ჰგავდა, ვინემ ქალაქის ქუჩას, ცხოვრობდა მაიაკოვსკების ოჯახი. სტავრაკოვმა და აპოლონმა გეგუთის ქუჩის გავლით წაიყვანეს ვალოდია. იგი პირმოკუმული მობრიალე თვალებით მორჩილად მიჰყვებოდა ამხანაგებს და იმას ფიქრობდა, თუ როგორ შეხვდებოდა დედა მის თავის გატეხას. დედაზე უფრო დის ერიდებოდა, რომელიც წმინდა ნინოს სასწავლებელში სწავლობდა და ასეთ რამეს ძმას ნაკლებად აპატიებდა.

— ვალოდია?! — თქვა აპოლონმა, რომელიც გუმანით მიხვდა მეგობრის იდუმალ ფიქრს, — ჩვენ ვიტყვით, თითქოს კიბეზე წაიქეცი და თავი იქ გაიტეხე, თორემ დედა და ოლია გაგიჯავრდებიან.

— დედას ვერ მოვატყუებ, — წყნარად, მაგრამ მტკიცედ თქვა ვალოდიამ, — სულ ერთია ოლია მაინც გაიგებს სიმართლეს და მერე არ ივარგებს.

სტავრაკოვს თვალები გაუბრწყინდა სიამოვნებისაგან. ის ოლიას მეგობარი იყო და ვალოდიას ასეთმა პასუხმა მოხიბლა ჭაბუკი.

* * *

ქართული გიმნაზია გეგუთის ქუჩაზე იყო. მთელი ქალაქის მოწაფეობა განსაკუთრებულად პატივს სცემდა ამ სკოლის დირექტორს იოსებ ივანეს ძე ოცხელს. ამ ადამიანზე მოსწავლეთა შორის ათასგვარი ლეგენდები დაიარებოდა. ზოგნი ამბობდნენ, რომ იოსებ ოცხელი ცოლს იმიტომ არ ირთავს, ეშინია საკუთარმა შვილმა მოწაფეები არ დაავიწყოსო. ზოგნი კი იმას ამბობდნენ: ისე გულით უყვარს ბავშვთა აღზრდის საქმე, სხვა ყველაფერი დაეწყებული აქვსო. ასე იყო თუ ისე, როცა ჩვენი სამეული ქართული გიმნაზიის კარებს გაუთანასწორდა, სკოლის ხის ფართო ჭიშკარში იოსებ ოცხელი და მისი მოადგილე სილოვან ხუნდაძე გამოვიდნენ. პირველი

ბეჭებგაშლილი, საშუალოზე მაღალი და სახებადრი კაცი იყო, სილოვანი კი პატარა, კაფანდარა და ჩია აგებულების.

იოსებ ოცხელმა თავგატეხილი ბავშვი რომ შეამჩნია, მისკენ წამოვიდა და დაყვავებით ჰკითხა:

— რა დაგემართა, ბიჭიკო?

ვალოდია დაიბნა. უხერხულობიდან სილოვან ხუნდაძემ გამოიყვანა. მან ვალოდიას ხელი კი სათუთად მოჰკიდა, მაგრამ საკმაოდ უხეშად ჰკითხა:

— რაო, იჩხუბე, თუ ყაზახებმა გესროლეს ყუმბარა?!

ამდენ ხანს ჩუმად გაჩერებულ სტავრაკოვმა ქუდი მოიხადა, წინ წამოიწია და ზრდილად მოახსენა:

— არაფერია, ბატონო დირექტორო. ერთმა მოწაფემ ქვა ჩაარტყა თავში, ახლა შინ მიგვყავს.

— როგორ თუ ქვა ჩაარტყა?! აბა, მიჩვენე, ბიჭიკო! — ხავერდოვანი ხმით ჰკითხა იოსებ ოცხელმა და ბავშვს ქალაღაიას ცხვირსახოცი აუწია. ჭრილობა ოდნავ შესიებულიყო.

— სილოვან! — მიუბრუნდა იგი მოადგილეს, — მე ნელა წავალ ფეხით. შენ კი აგერ რომ ეტლი დგას, იმაში ჩაჯექი და ბავშვი ექიმთან მიიყვანე. — შორს ცხოვრობ, ყმაწვილო? — შემობრუნდა იგი ვალოდიასკენ.

— აქვეა, ბატონო! — მიუგო აპოლონმა.

—მაშასადამე, გზაზე დამეწევი, სილოვან!—ეი, მეგობარო!— გასძახა იქვე გადაღმა მდგომ ეტლის კოფოზე მთვლემარე მეეტლეს. ყმაწვილებს თვალები ბედნიერებისაგან გაუფართოვდათ. ვალოდიას და აპოლონს სულ დაავიწყდათ თავის გატეხის ამბავი. აბა, რომელი სულელი იტყოდა უარს მთელ ქალაქში განთქმული მელიას ეტლში ჩაჯდომაზე.

— ბოდიში, ბატონო, მაგრამ ვერ წავალ, დაკავებული ვარ.

იოსებს ძალზე გაუკვირდა მეეტლის უარი. იგი ასეთებს ჩვეული არ იყო.

— ბიჭო! ბავშვია აგერ, თავი აქვს გატეხილი, ექიმთან უნდა გავატანოთ ბატონ სილოვანს.

— ვხედავ, ბატონო იოსებ! მეც ავადმყოფთან ვარ, ექიმი ნაზაროვი მოვიყვანე!

— ვინ არის ავად?

— აგერ, ბატონო, ამ სახლშია. წულუკიძე გვარად, ძალიან

ავად ყოფილა, ბატონო. ნამეტანი კარგი ახალგაზრდაა, მუშებს ზომაზე მეტად უყვართ.

სილოვანი მისთვის ჩვეული სწრაფი და ნერვიული მოძრაობით წამოდგა წინ.

— რომელი წულუკიძე, ბიჭო? ამ ხის აივნიან სახლში რომ ცხოვრობს, ხონიდან რომ არის, ხომ?

მეეტლემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— საშა წულუკიძეზე ამბობს, ბატონო იოსებ, — მიუბრუნდა სილოვანი იოსებ ოცხელს. — ხომ გახსოვთ, არჩილ ჯორჯაძეს რომ ეკამათება.

— ოჰო, ის მართლაც ნიჭიერი კაცია, მაგრამ მუშების გარდა არავინა სწამს. სოციალ-დემოკრატია და ისიც მემარცხენე, წარმოგიდგენიათ, ისიც მემარცხენე?! — მან უკმაყოფილოდ გაიქნია თავი, წულუკიძის სახლის რიკულზე გადმომდგარ მუშებს თვალები დააშტერა და კიდევ უფრო შეიჭმუხნა შუბლი.

საშა წულუკიძის ხსენებაზე სტავრაკოვი ეკალზე ფეხდაკრულივით შეინძრა. იგი ოდნავ გაფითრდა, გაბედულად წინ წამოიწია და ჩაილუღლუღა: — ბატონო დირექტორო, ეტლი საჭირო არ არის. ექიმთან მე მივიყვან და შინაც მე მივაცილებ. — იმან ისე დაავლო ვალოდიას ხელი და დაქაჩა, სანამ იგი რასმეს მოიფიქრებდა, კარგი მანძილი გაარბენია. იოსებ ოცხელს არ გამოეპარა სტავრაკოვის სახის ცვლილება, ის იმ წუთშივე მიხვდა ჭაბუკის ტკივილს და გულში მოეწონა კიდეც.

— ხედავ, სილოვან? როგორ ეტყობა საშა წულუკიძე გიმნაზიელებსაც მუშებზე ნაკლებად არ ჰყვარებიათ! ხომ მიხვდი, როგორ შეეშინდათ ეტლი არ წაგვეყვანა და უხერხულობა არ შეგვექმნა. თითონ არჩიეს ფეხით სიარული. ჰმ, ძლიერი დიდი სიყვარული ჰქონიათ მისი ახალგაზრდებს, ძლიერი.

ეს უკანასკნელი სიტყვები თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მან.

სილოვანმა სწრაფად გადააქნია თავი და ცქმუტავი წვრილი ნაბიჯებით ისე გამოეკიდა დინჯად მოსიარულე იოსებს, თითქოს მის სიცოცხლეში ვერ დაეწეოდა.

სტავრაკოვი კი ვალოდიას და აპოლონს ძალზე აღგზნებული ეჩურჩულებოდა:

— ვინ არის საშა წულუკიძე?! ყველაზე დიდი რევოლუციონერია ჩვენს ქალაქში, კობას მეგობარია. ჩვენ კი სულელებმა ეტლი კინაღამ გამოვაცალეთ ხელიდან. მერე იცი, რას ამბობენ: აუცილებლად მოკვდებაო. ჭლექი ჰქონია, ის დასაქცევი ჭლექი.

* * *

უჩვეულოდ შეშფოთებულიყო ქუთაისი იმ დილით. ცენტრალურ ქუჩებში, რამდენიმე ადგილას ბარიკადები გაემართათ მუშებს. დაჰქროდნენ ცხენოსანი კაზაკები.

გიმნაზიიდან მომავალმა ვალოდიამ სწორედ იმ დროს მოაღწია თეატრთან, როცა თმააბურდული ლადო მესხიშვილი ქუჩაში ბერდანით ხელში იდგა. მის ირგვლივ ახალგაზრდა მსახიობები და სცენის მუშები ირეოდნენ. მთელი თეატრი აფორიაქებულიყო: გამოჰქონდათ დეკორაციები და ქუჩის გარდიგარდმო აწყობდნენ, რიონიდან ტომრებით მოჰქონდათ სილა, საიდანღაც კასრებს და ათასგვარ ძველმანს მოათრევდნენ.

ლადო მესხიშვილი ვალოდიას ნახული ჰყავდა სცენაზე, იგი დაესწრო „კაი გრაკხის“ წარმოდგენას, რომელშიაც მთავარ როლს ლადო ასრულებდა. თეატრის დარბაზს გრიალი გაჰქონდა იმ ღამეს. ახალგაზრდებს ძლიერ უყვარდათ ნიჭიერი მსახიობი. ახლა, როცა იგი ჭალარა ლომივით იდგა ბარიკადაზე და ირგვლივ ხალხი ეხვია, ვალოდია მიხვდა, აქ რაღაც სერიოზული ხდებოდა.

ვალოდია თვალებგაფართოებული მიაჩერდა ბარიკადებს. ბაღის კუთხიდან ცხენოსანი პლასტუნების ათეული იყურებოდა; ისინი ნიშანს ელოდნენ, რათა იერიში მიეტანათ და ხიშტებზე აეგოთ მსახიობები.

ქუჩის თავში გამოჩნდა ცხენზე მჯდომი კაზაკი ოფიცერი; ჩაუქროლა პლასტუნებს, რაღაც გადასძახა მათ და მოსახვევში თვალს მიეფარა.

ვიღაც მოხუცი მანდილოსანი ვალოდიას მივარდა:

— ვერ წახვალ, შვილო, შინ?! შეიძლება სროლა ატყდეს, მერე?!

ვალოდიამ აღგზნებული თვალებით შეხედა ქალს. ბულვარზე ხალხი შექუჩებულიყო. ვიღაც ყმაწვილმა თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მსახიობებს როგორ ესვრიან ტყვიას!

ქალი ამ პასუხმა გააკაპასა:

— მსახიობებს კი არა, საკუთარ შვილებს ესვრიან, ვის დაზოგავენ, განა არ იცნობთ მაგათ?

ეს სიტყვები ბარიკადზეც გაიგონეს, მაგრამ არ შეშფოთებულან. ჭარმაგი ლადო ქანდაკებასავით იდგა ბარიკადზე. წარბიც არ შესტოკებია.

უცებ, ყველას მოულოდნელად, ბარიკადებიდან გადმოშვერილი თოფების შიშით, თუ რაღაც სხვა გაურკვეველი მიზეზის გამო, პლასტუნები მიბრუნდნენ და საჩქაროდ გაჰქუსლეს უკან.

არავინ ელოდა ამას. ყველამ შვებით ამოისუნთქა. ლადო მესხიშვილი კი თოფზე უჩვენებდა ხალხს და სიცილით ამბობდა:

— განა ეს თოფია?! აბა იარაღი ჩვენ ვინ მოგვცა, თორემ სხვაგვარად იქნებოდა საქმე... ამით ერთი გასროლაც არ შეიძლება, ბუტაფორული თოფია...

ამასობაში ვალოდიამ დაინახა, როგორ მიუახლოვდა მესხიშვილს თავზე ჩაბალახწაკრული კაცი. „იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის სახელით“ — წარმოთქვა უცნობმა. სხვა ვერაფერი გაიგონა ვალოდიამ, ეს კი მტკიცედ ჩარჩა ხსოვნაში.

* * *

ვალოდიას იმ ღამეს არ დაეძინა, თეატრის წინ აღმართული ბარიკადები და ლადო მესხიშვილი ელანდებოდა. ერთ წუთს მილულა თვალი და სიზმარმა გამოაღვიძა. თვალი რომ გაახილა, კედლის საათს შეხედა. ისარი თორმეტს უჩვენებდა. კედელზე საათის გვერდით მამის ბერდანა ეკიდა.

თითქოს უბიძგესო, ისე წამოდგა ლოგინზე. მეორე ოთახში დედას და დას სინათლე უკვე ჩაექროთ.

„სძინავთ,“ — გაიფიქრა მან. იგი ფრთხილად წამოდგა და

ჩაიცვა, ბერდანა ჩამოხსნა კედლიდან და კარი გამოაღო. გრილმა ნიავმა უფრო გამოაფხიზლა.

„თოფიანს ყაზახები რომ შემხვდნენ ქუჩაში, ხომ დამიჭერენ“, — გაუელვა მას და ისევ ოთახში შებრუნდა.

„რა ვქნა ახლა? — ჩაფიქრდა ვალოდია, — თოფები მათ სიცოცხლესავით სჭირდებათ... დღეს ხომ მე თვითონ ვნახე. უიარაღონი იდგნენ ბარიკადებზე“.

იქვე ჭარს უკან ახალი ცოცხი იყო მიყუდებული. უცებ ეცნაურმა აზრმა გაუელვა. განჯინიდან წვრილი თოკი და მახათი გამოიღო, ცოცხს ხელი დასტაცა და დაშალა. ათიოდე წუთის შემდეგ ცოცხის ბოლოში თოფის ლულა ისე გაჩხირა, რომ კონდახი დაშლილი ნაწილისაკენ მოაქცია. ხელმეორედ შეკრა. ნახელავი ვერ იყო მთლად კარგი, მაგრამ მის ჩანაფიქრს ნამდვილად ახორციელებდა. თოფის კონდახი და ჩახმახი არ ჩანდა, რადგან ცოცხის ღეროები ფარავდა გარედან, ლულა კი ცოცხის ტარს ჰგავდა.

„ახლა რომ შემხვდნენ, ტარდაგებული ცოცხი ეგონებათ, ვიტყვი: მეეზოვეს შვილი ვარ-მეთქი“, — ფიქრობდა სახეგაბრწყინებული ვალოდია. ჩუმად გამოაღო კარი და ჩუმადვე მიხურა.

მხარზე ცოცხგადებული, მამის თექაში გამოხვეული ვალოდია მართლაც მეეზოვესავით მიაბიჯებდა თეთრი ხიდისაკენ. მას ახლა აღარ ეშინოდა სამხედრო პატრულისა.

სოციალ-დემოკრატების კლუბი ხიდგაღმა იყო. ვალოდიაც თოფის მიტანას სწორედ იქ ფიქრობდა. ქუჩის ერთ კუთხეში ყაზახების ჯგუფი შენიშნა. იმ წუთშივე ცოცხი მხარიდან გადმოიღო და, თითქოს მეეზოვე ყოფილიყო, ისე დაუწყო დაგვა დუქნის წინ ქუჩას. — „თუ მკითხეს, ვეტყვი: მამა ავად არის და დღეს მე გამომგზავნა თავის მაგივრად-მეთქი“,—ფიქრობდა ვალოდია.

ყაზახების ოცეულმა ჩუმად ჩაუარა მას. როგორც კი ხიდზე ფეხი შედგეს, ვალოდიამ იმ წამსვე გაიდო ცოცხი მხარზე და კლუბისაკენ გაექანა. იგი სწორედ მაშინ მივიდა კლუბთან, როცა ორი კაცი იქიდან გამოვიდა და კლუბის დაკეტვა დაიპირა. ვალოდია აქოშინებული მივარდა ერთ მათგანს:

— არ დაკეტო, ძია. არ დაკეტო, საქმე მაქვს თქვენთან!

შავთვალწარბა კაცმა, თავი ჩაბალახით რომ ჰქონდა წაკრული, გაკვირვებით შეათვალიერა უცნობი ყმაწვილი და ჰკითხა:

— რა გინდა, ბიჭიკო, ვინ გამოგგზავნა?!

ვალოდიამ ამაყად ასწია თავი და ხმა დაიბოხა:

— მე თვითონ მოვედი, თოფი მოვიტანე.

მეორე კაცი, რომელიც ამდენ ხანს მდუმარედ უცქერდა მას, ახლა წინ წამოიწია:

— რა მოიტანე, ბიჭიკო?

— თოფი მოვიტანე, მამაჩემის თოფი, შინ უქმად ეკიდა, თქვენ კი ბარიკადებზე დაგჭირდებათ.

პირველმა მათგანმა ისევ გამოაღო კლუბის კარი, სანთელი აანთო და ვალოდიას წინ დადგა.

— აბა, სად არის შენი თოფი, ვაჟკაცო!

ვალოდიამ სწრაფად დაუწყო ცოცხს გახსნა.

ორივე დამხვდური კიდევ უფრო განცვიფრებით შეაცქერდა მას.

— დანა არ გაქვს, ბიძია? — შეეკითხა ვალოდია, — თოკებს დავჭრი, მაგარი თოკია, გაწყვეტა ძნელია.

შავგვრემანმა კაცმა ჯიბის დანა ამოიღო და თოკები დაჭრა. ცოცხის წვრილი ღერები აქეთ-იქით მიმოიბნა და დამხვდურებმა ბერდანის ელვარე ლულა დაინახეს.

ჩაბალახიანმა კაცმა ტოლივით დაჰკრა ხელი ვალოდიას.

— რა გვარი ხარ, მეგობარო?

— მაიაკოვსკი, ვლადიმერ ვლადიმერის ძე...

ჩაბალახიანი ნელა დაიხარა, შუბლზე აკოცა ვალოდიას და ჩასჩურჩულა:

— კაცი გამოხვალ, ძმაო, ნამდვილი კაცი!

* * *

[illegible] სოფელია ნერგეეთი. ბაღდადის ზემოთ, ხანის [illegible] ნაპირზე, ტყეში შეფენილი მოსახლეობა [illegible] გრძნობდა თავს, ვიდრე ბარში.

[illegible] ამ სოფელში, ყოველი არდადეგების დროს მე[illegible] ძე მაიაკოვსკი მთელი თა[illegible] ტყის მდუ-

მარებაში დააბიჯებდა ყრმა ვალოდიაც. ვინ იცის, დებთან და ტყისმცველის შვილებთან ერთად რა ოინებს არ იგონებდა.

თრითინებს დასდევდნენ მშვილდ-ისრით, შაშვებს უგებდნენ მახეებს და საღამოს დაღლილნი ჯანმრთელი ძილით იძინებდნენ.

ხანდახან მამა შემოისვამდა ცხენზე და მაშინ ვალოდიას უხდებოდა შორს, ტყის სიღრმეში სიარული. მამა აცნობდა ხის ჯიშებს, ფრინველების ათასგვარ მოდგმას, მცენარეების სხვადასხვა გვარებს. გარეული თხილითა და სურნელოვანი წაბლით უბეს ივსებდა, მსხალით და ვაშლით ჯიბეებს. ხეზე შეტოტებული ველური ყურძნისაგან აკიდოებს დაჰქნიდა და თავი ტყის რაინდად მოჰქონდა, ნამდვილ რაინდად.

ასაკით პატარა იყო, ტანად დიდი. ნაბიჯი მთისკაცივით ფართო და მტკიცე ჰქონდა. ტყისმცველის შვილებს, რომლებიც მასზე უფროსები იყვნენ, ფოთლებში დათვის ბელივით აკოტრიალებდა.

სათევზაოდ ტყისმცველი მიჰყვებოდა. კალმახებით ავსებდნენ თუნგებს, ბანაობდნენ ბავშვის ცრემლივით სუფთა ხანის წყალში.

კვირაობით მეგრელი მეჯოგეებისაგან ყიდულობდნენ ჭყლინტ სულგუნებს და ოქროსფერ ერბოს.

აქ, ნერგეეთში, სულ სხვა სამყარო იყო: ამაყი, თავისუფალი, წმინდა, დიდებულებით სავსე. ხანდახან წაიყვანდა ვალოდია დებს მახლობელი ხევის პირას მდგომ გორაკზე, გასძახებდა უღრან დაბურულ ტყეს. ტყეც ადიდებდა ხმას და დიდხანს ისმოდა ეხო ასწლოვან მუხებსა და ურთხმელებში.

თვალებგაბრწყინვებული ვალოდია ეჯიბრებოდა თავის დებს ხმამაღლა ძახილში, ლექსების თქმაში.

ქარიშხალი ტყეში გულად ვაქკაცსაც კი შეაშინებს. ჩაღამებულ ხევებსა და ტყეს უცნაური გუგუნი გააქვს. ელვის დროს ერთ წუთს განათებული ქვეყანა სიკვდილის პირას მიყენებულსა ჰგავს. საოცარი კანკალით ირხევიან ხეები და მათი წვეროები მიწამდე წვებიან. ხევებში სკდებიან კლდეები და ზვავებად მიქრიან ქვევით. ასეთი ქარიშხალის დროს კარის ზღრუბლიდან გადმომდგარი ვალოდია დაბოხებული ხმით გასძახებდა ბუნების ამ ორომტრიალს. მამას ეღიმებოდა

მის სითამამეზე, დები გაოცებული შეჰყურებდნენ მას, დედა კი ხელს მოხვევდა და შინ კოცნით შემოათრევდა. თითონ ვალოდიას კი ეჩვენებოდა, რომ მისი ხმა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ბუნების ეს წარღვნისნაირი ბუმბერაზობა.

ვალოდია საერთოდ დიდად გატაცებული იყო თავისი ხმის გამოცდით. ჯერ კიდევ ბაღდადში, ეზოში წამოგორებული ცარიელი ჭურების გვერდით დადგებოდა, დას შორიახლო დაყენებდა, ჭურს მიუახლოვდებოდა და ზღაპრული ყარამანივით დაიძახებდა. ჭური იმეორებდა მის ხმას და ეს ორმაგი ხმა ეფინებოდა ვენახებით მოხატულ მწვანე სერებს, ხანის წყლის ნაპირებს. იქვე ამბობდა ლექსებს და მონოლოგებს. მისი ბავშვური, მაგრამ მჭექარე შეძახილები რაღაც თავისებურ სიცოცხლეს მატებდა მიდამოს.

ლიდა და ოლია ნერგეეთში პეპლებისა და ყვავილების კოლექციებს აგროვებდნენ. ათასნაირი ლამაზი კოლოფები სავსე იყო სხვადასხვა პეპლებით, ყვავილებით და ფოთლებით. ამ საქმეში ვალოდია მონაწილეობას არ ღებულობდა. ერთხელ უცნაური ამბავი მოხდა. ლიდა და ოლია ხელსაქმობდნენ, როცა ვალოდიამ უცხო პეპლებითა და ყვავილებით ჩაწებებული სავსე რვეული აჩვენა. ოლია სიხარულისაგან წამოხტა და ძმას კოცნა დაუწყო. ლიდამ გამოსტაცა რვეული და უცებ იგი ხარხარით გადაეხვია ვალოდიას. ოლია ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარიყო საქმის შინაარსს. ნამდვილად რვეულში მხოლოდ ნახატები იყო. იგი ისე ფაქიზად და უზადოდ ჩაეხატა ვალოდიას, რომ ისინი ნამდვილ ცოცხალი პეპლებივით ჩანდნენ. ლიდამ ახლა ნათლად იგრძნო, რომ ვალოდიას ხატვის დიდი ნიჭი ჰქონდა.

ერთ დღეს მან შენიშნა, რომ უზარმაზარი კლდის ქიმზე რაღაც ღმერთის მსგავსი სურათი მოჩანდა. თმაგაჩეჩილი მოხუცი გაბადრულ სხივებში იყო ჩახატული.

— შენ დახატე?! — ჰკითხა ლიდამ.

— მე დავხატე, — უპასუხა ვალოდიამ და თან დაუმატა: — იცი, ლიდა?! ჩვენმა მღვდელმა სკოლაში გვიამბო, თუ რა შეემთხვათ სამოთხეში ადამსა და გველს; როცა გველმა ადამიანი შეაცდინა, ღმერთმა დასწყევლა იგი და ამ წყევლის შედეგად მუცელზე ხოხვა დაიწყო. მე მას ვკითხე — აბა მანამ-

დე როგორ დადიოდა-მეთქი. მღვდელი საოცრად გაცეცხლდა და მე კუთხეში დამაყენა. იცოდე, ლიდა, დედას არ უთხრა ეს ამბავი — ეწყინება, — დასძინა ვალოდიამ.

დები არასდროს არ გასცემდნენ ვალოდიას ანცობას, თითონ კი ბევრს არიგებდნენ უდეგარ ძმას.

ყველაზე უფრო გატაცებით ვალოდია ლიდას უსმენდა, როცა ის რუსეთისა და მოსკოვის ამბებს ჰყვებოდა. ჰყვებოდა მუშების დემონსტრაციების შესახებ, კრემლის კედლების სილამაზის, ეკლესიების გუმბათების სიმრავლეს.

ვალოდიამ იცოდა, რომ კავკასიონის ჩრდილოეთით, იალბუზის გადაღმა, იწყებოდა რუსეთის ვრცელი ველი და დაუსრულებლად მიდიოდა იგი ყინულოვან ოკეანამდე. ხშირად მარტო გაიქცეოდა მაღალ გორაკზე და იმზირებოდა ჩრდილოეთისაკენ, რუსეთისაკენ. რამდენად იზრდებოდა იგი, იმდენად იზიდავდა მას რუსეთი. მისი ცა, მისი ტრამალები თანდათან ძვირფასი ხდებოდნენ მისთვის. ეს უდარდო და მზესავით ნათელი ბავშვი მოსკოვის ხსენების დროს გულჩათხრობილი და ჩაფიქრებული ხდებოდა. კურინსკის პოლკის მეგობარმა ჯარისკაცებმაც ბევრი რამ მოუთხრეს რუსეთის შესახებ. ერთ დღეს მაიაკოვსკებს სტავრაკოვი ეწვიათ. ახალგაზრდა ყმაწვილი მათი ოჯახის სასურველი სტუმარი იყო. ვალოდიას ძალზე მოსწონდა იგი.

ჭაბუკი მგზნებარედ ყვებოდა ქუთაისის რევოლუციური ამბების შესახებ.

— ბაღდადშიც მოუვიდათ დახურული კონვერტები ჩინოვნიკებს, — ჩაურთო ვლადიმერ კონსტანტინეს ძემ საუბარს.— შიგ კუბოები ეხატა. ალბათ გააფრთხილეს ისინი, სიკვდილს ელოდეთო.

— მამა კი ძალზე უყვარს ხალხს. — წამოიძახა ვალოდიამ. ყველას სიცილი შესკდა.

ნასადილევს ახალგაზრდობა ხანის წყალზე წავიდა სასეირნოდ. ოლიამ სტავროკოვს ჰკითხა საშა წულუკიძის შესახებ.

— საშა გარდაიცვალა, ოლია, აღარ გვყავს ეს მგზნებარე რევოლუციონერი. ოჰ, რომ იცოდე როგორ გაასვენეს, რამდენი ხალხი იყო. თქვენი სკოლიდანაც იყო გვირგვინი. — იგი

ოდნავ ჩაფიქრდა და განაგრძო: — მეც დავესწარი გასვენებას, რომ იცოდეთ ვინ ვნახე?!

ვალოდია ლოყააწითლებული უსმენდა სტავრაკოვს და ახლა წინ წამოიწია, ხოლო ცრემლმორეულმა ოლიამ გაკვირვებით ჰკითხა, ვინ ნახეთ ასეთიო.

— დაწვრილებით უნდა მოგიყვეთ. ისე მეშინია ვერ გაგრძნობინოთ ის, რაც ხალხმა და მეც განვიცადეთ. ივნისის თორმეტში მოხდა ეს ამბავი. ზღვა ხალხი შეიკრიბა. ოთხმოცამდე გვირგვინი მოიტანეს შესანიშნავი წარწერებით. პროცესია ხონის გადასახვევს გასცილდა, კოკისპირული წვიმა წამოვიდა, მაგრამ ერთი კაცი უკან არ დაბრუნებულა. მე კუბოსთან ახლოს ვიყავი. ჩემ გვერდით მიდიოდა ერთი ახალგაზრდა შავგვრემანი, ჩაბალახიანი კაცი. ყველანი მოწიწებით უყურებდნენ მას. იგი დაღვრემილი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მიჰყვებოდა პროცესიას. ამხანაგები გარს ერტყმოდნენ. მე იმ წუთს მივხვდი, რომ ისინი ცდილობდნენ მტრის თვალს არ შეემჩნია იგი. ერთ ალაგს გააჩერეს კუბო. გამოაცხადეს სიტყვას იტყვის კობა ჯუღაშვილიო და სწორედ ეს ახალგაზრდა ავიდა სიტყვის სათქმელად. მე პირველად ვნახე იგი. ხომ იცი ვინ არის კობა?! ბაქოს და ჭიათურის გაფიცვების ხელმძღვანელი, ბათუმის დემონსტრაციის ორგანიზატორი, ციმბირიდან გამოქცეული, ამიერკავკასიის მუშების საყვარელი და ლენინის მოწაფე და მეგობარი.

ვალოდია აღგზნებული თვალებით უყურებდა სტავრაკოვს, იგი კი განაგრძობდა:

— ისეთი ტალახი დადგა, ფეხსაცმელებზე ლანჩები აგვძვრა, მაგრამ ხონამდე მაინც მივყევით. იქაც ვნახეთ კობა.

ლიდამ წყნარად თქვა:

— მოსკოვის მუშებს ლენინი ყველაზე უფრო უყვართ.

— ჰოდა,—განაგრძობდა დინჯად სტავრაკოვი, — კობა მისი ერთგულია, რომ შეხედავთ, იმ წუთში შეგიყვარდებათ.

— სად არის ახლა კობა?! — იკითხა ოლიამ.

— ეს არავინ არ იცის. იგი ყველგან არის: ქუთაისში, თბილისში, ბაქოში, ჭიათურაში. ახლა მგონი რუსეთში აპირებს წასვლას. ალბათ ლენინი უნდა ნახოს.

არავინ იცის საიდან მოიტანა ეს ცნობა სტავრაკოვმა, მაგ-

რამ ყველამ დაიჯერა და გაიფიქრა, კობა ლენინთან მიდის სანახავადო.

ვალოდია რუსეთისა და კობას ხსენებაზე ჩაფიქრდა, ჩაჩუმდა, მხოლოდ თვალები გაუხდა უფრო ბრიალა. იგი ნელა დაშორდა თავის ჯგუფს და ხანის წყლის პირას კლდის ქიმზე ჩამოჯდა. დიდხანს იყო ასე და შემდეგ თავისთვის თქვა: — გავიზრდები და მეც წავალ რუსეთში. მოსკოვს ვნახავ, ლენინს გავეცნობი, კობასაც ვნახავ, უსათუოდ ვნახავო.

ხანის წყალში თევზები ელავდნენ, მის ნაპირებზე კი ყვავილები ყელყელაობდნენ. თორმეტი წლის ბიჭი ბრიალა ფართო თვალებით უყურებდა ქაფქაფა ტალღებს.

ე თ ე რ ი ღ ა

ხუთი წელია შინ ვერ ამოსულიყო ჯოკია თამლიანი. ისე მოხდა, რომ ხუთივე წლის შვებულება სულ შავი ზღვის ნაპირებზე გაატარა. რაც ინსტიტუტი დაამთავრა, სვანეთისაკენ პირი არ უბრუნებია. ახლა, როცა მისი მანქანა რიონის პირზე ფართო, მაგრამ უფსკრულის პირას დაკიდებულ გზაზე მიქროდა, ტანში სიმსუბუქეს გრძნობდა. კავკასიონის მთის წვერებზე თეთრად მიმსრბოლი ღრუბლები და ეს უფსკრულებიც მეტად მშობლიური იყო მისთვის.

შემოდგომა იყო.

ორბელის წრიახებზე ნისლი იდგა. ეზოებიდან წაბლის მაღალ სარებზე ასული ლალისფერი ოჯალეში თვალს იტაცებდა. მურის ხიდიდან ლენტეხისაკენ შემოუხვია. ცხენისწყლის მაღალ თხემებზე გაყვანილ შარაგზაზე საოცარი სიძლიერით მიარღვევდა მანქანა ნისლს.

დედა დახვდება ახლა შინ ჯოკიას. სხვა არავინ არა ჰყავს. მამა ომში დაეღუპა. მთამსვლელთა ჯგუფის მეგზური იყო ჯოკიას მამა და გერმანულმა მესერშმიდტებმა მთების ტიტველ გადასასვლელზე მოუსწრეს.

ვაჟკაცები ვაჟკაცურად დაიხოცნენ.

ახლა ამ გადასასვლელზე მუდმივ ყინულიან მთასთან საძმო საფლავია. ექვსი რუსი და ექვსი ქართველი ვაჟკაცი წევს იმ საფლავში. ჯოკიას მამაც აქ წევს.

„ყინული შეინახავს გმირულად დაღუპულებს, მუდმივად უხრწნელი დარჩებიან“, — ფიქრობდა ჯოკია.

მამაზე ფიქრმა ისევ დედა გაახსენა.

გასულ წელს ზღვაზე ჰყავდა. ქმრის დაკარგვის შემდეგ სახლიდან არ გამოსულა დედა. ქუთაისში წამოსვლაზე უარი თქვა.

— სანამ ცოცხალი ვარ, შვილო, მამაშენის ეზო-გარემოს მოვუვლი, მის ჭიშკარს ყოველ დილა-საღამოს შევაღებ.

ზის ახლა დედა და ორ რამეზე ფიქრობს: შვილზე, ავტოქარხნის ინჟინერ ჯოკია თამლიანზე და ყინულში ჩაჭედილ ქმრის უსიცოცხლო ცხედარზე.

„ნეტავი ვინ მეზობლობს დედას“, — ისევ გაიფიქრა ჯოკიამ და ერეთილა გაახსენდა. მეზობლის პატარა გოგონა, დედასთან რომ ათევდა ხშირად ღამეს.

„თუმცა ახლა დიდი იქნება, დაქალდებოდა, როგორ არის ნეტავი?!“

ჯოკიას ისიც გაახსენდა, ზღვაზე ყოფნის დროს დედამისი როგორ უქებდა ეთერილას.

— მთელ ქვემო სვანეთში არ არის, შვილო, ისეთი ლაბაზი ქალიშვილი. მისი თვალები ნისლში დაბურულ სვანურ ღამესა ჰგავს, მისი ტანი ცხენისწყლის კალმახს მოგაგონებს. მისი ხმა ჩვენი წყაროების ჩურჩულივით ტკბილია. თითონ გოგო თავის დროზე მორცხვია და თავის დროზე გამბედავი.

ჯოკიას პირველად ეთერილას ასეთი ქება გაუკვირდა. მერე კი მიხვდა დედის გულის ნადებს. იგრძნო ახალგაზრდა ინჟინერმა დედამისს რძლად უნდოდა მისი თვალების წამწამის ქვეშ გაზრდილი ეთერილა.

ამ გახსენებაზე ვაჟკაცმა უნებურად ამოიოხრა.

ცხენისწყლის ნაპირზე საოცრად გრილოდა. მთის ჰაერი მოჰყვებოდა მდინარეს და ჯოკიას ბეჭებს უგრილებდა. აშოტილი, ბუმბერაზი ხეების შრიალსა და მთის მაღალ ორწოხებიდან გადმოვარდნილ წყაროთა ჩხრიალში იყო რაღაც ძლიერი და განუმეორებელი.

სოფელთან გზის ვიწრო ყელში წინ სატვირთო მანქანა შემოხვდა. ჯოკიამ თავისი მანქანა გვერდზე მისწია, გაჩერდა და

ძირს გადმოვიდა. მანქანამ ნელა ჩაიარა ვიწრო გზაზე. „ქუთაისის ავტოქარხანა" ეწერა ფრთებზე.

— ვისია მანქანა? — ჰკითხა ჯოკიამ შოფერს.

—კოლმეურნეობისაა, მოაშიდან მოვდივართ. დამსვენებელი მომყავს.

ჯოკიამ ტვიფრზე დახედა და გაეღიმა, მის მიერ აწყობილი და შემოწმებული მანქანა მისივე სოფელში შემოხვდა. ის ისე დაკვირვებით უყურებდა ახლა მანქანას, თითქოს პირველად ენახოს იგი. სინამდვილეში კი ყოველი მისი ნაწილი მის ხელში იყო გამოვლილი. ყოველი ხრახნილი იცოდა.

სხვას ვერაფერს გრძნობდა ახლა ჯოკია. მარტო მანქანაზე ფიქრს გაეტაცა.

რაღაცა შრიალი მოესმა.

უნებლიეთ გაიხედა.

მძღოლის კაბინიდან ქალიშვილი გადმოსულიყო და ჯოკიას ღიმილით უყურებდა. თამლიანი გაოცდა!

ნაცნობს ჰგავდა და უცნობი იყო, ახლო იდგა და შორეულს აგონებდა.

თავშალი მხრებზე გადაეგდო, ორი მსხვილი შავი ნაწნავი ბეჭებზე გადმოვარდნოდა, დიდი შავი თვალები ოდნავ შემკრთალი იყურებოდა. მძღოლს კაბინიდან თავი გადმოეყო და ისიც მოკრძალებული შეჰყურებდა ქალ-ვაჟს. ბოლოს სიჩუმე მაინც პირველად მან დაარღვია.

— თქვენ, როგორც ვხედავთ, ერთმანეთი ვერ იცანით!

ქალმა თავი ასწია და წყნარად თქვა.

— მე ვიცანი, ჯოკიამ კი, მგონი, მართლა ვერ მიცნო.

ჯოკია ყურებამდე გაწითლდა. მან ნელა გადადგა ნაბიჯი მისკენ.

— აი, რომ მართლაც ვერ გიცანი, ვერ მოვიგონე!

მძღოლს სიცილი წასკდა.

— ხი, ხი, ხი, — იცინოდა გულიანად იგი. — მე არ მეგონა, თუ ჯოკია მანქანას უფრო იცნობდა, ვინემ თავის მეზობელს.

ჯოკია სულ დაიბნა.

— ბიჭო! ამ მანქანის ყოველი ნაწილისათვის ჩემი ხელი ათასჯერ შემივლია, ის სხვაა...

ახალგაზრდა მძღოლმა კიდევ უფრო ხმამაღალი ხარხარი ასტეხა...

— სხვა კი არი... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად იძახდა იგი,—რაც შეეხება ხელის შევლებას, — ამ ქალიშვილისათვის ნაცნობია შენი ხელები. მაშინ პატარა იყო, ახლა კი ვერ მოგართვეს.

ქალიშვილი ალბათ ძალიან გააბრაზა მძღოლის თამამმა ლაპარაკმა და ისეთი თვალებით გადახედა მას, რომ ახალგაზრდა მოტიტინეს ნირი ეცვალა, სიტყვა გაუწყდა და დაბნევით მანქანის საჭეს დაუწყო წვალება.

ჯოკია კი მაინც გაოცებული იდგა. იგი პირდაპირ შეჰყურებდა მის წინ შველივით ყელმოღერებულ გოგონას და ვერ მოეგონებია მისი ვინაობა.

ქალიშვილი მიხვდა ჯოკიას გაწვალების მიზეზს და თვალდახრით თქვა:

— ალბათ ძალიან გულმავიწყი ხარ, ჯოკია... მე ეთერილა ვარ.

— ჰაუ, — აღმოხდა ჯოკიას, — ეთერილა ხარ? ჩვენი პატარა ეთერილა, დედაჩემის ეთერილა?

— ჰო, ეთერილა ვარ, დეიდა ძაძუს ეთერილა.

— სულ სხვანაირი გამხდარხარ, დაქალებულხარ, თვალსანატრელი ქალი გამხდარხარ.

ვაქკაცის ამ უნებლიე გულწრფელმა შექებამ ქალიშვილს სიწითლე და ელვარება მოუმატა. მძღოლი კი ახლაც უტიფრად იცინოდა.

* * *

ეთერილა გულბანის დედა მეორე შვილზე მშობიარობას გადაყვა. ჩვილი ბავშვიც და დედაც ერთად დაიღუპა. მამამ მეორე ქალი არ მოიყვანა და ბავშვს თვითონვე დაუწყო ზრდა. რვა წლის იყო ეთერილა, როცა სვანეთის მთის გადაღმა გრუხუნი გაისმა, მტერი კავკასიონის კარებთან იდგა. ეთერილას მამა სხვა ვაქკაცებთან ერთად ფრონტზე წავიდა, ბავშვი მეზობელს დაუტოვა.

ეთერილას მამაც ჯოკიას მამასავით დაეცა ბრძოლის ველზე. შეიძლება ეს იყო მიზეზი, რომ ჯოკიას დედამ, ძაძუმ,

ეთერილა უფრო შეიყვარა. კოლმეურნეობის კრებაზე მან საქვეყნოდ გამოაცხადა:

— ეთერილას მამა ჩემ ქმართან წევს საძმო საფლავში, დე, მისი გოგონა ჯოკიას მამის სახლში გაიზარდოსო.

მაშინ ჯოკია მესამე კურსზე იყო.

კოლმეურნეობამ ეთერილას ეზო-გარემოს მოვლა-პატრონობა იკისრა, ძაძუმ კი — მისი აღზრდა.

ალერსიანი ქალი იყო ძაძუ. ეთერილამაც დედად შეიტკბო მისი სიკეთე.

ჯოკია მას შემდეგ მხოლოდ ორჯერ იყო სოფელში. ეთერილა მაშინ ბავშვი იყო, ახლა კი მოწიფული ქალი დახვდა.

ეთერილამ გასულ წელს ლენტეხში დაამთავრა საშუალო სკოლა და კოლმეურნეობაში ხბორების მოვლას მოკიდა ხელი.

კოლმეურნეობის ბაგა ცხენისწყლის პირზე იყო გაშენებული. ფართო მინდორზე მუხლამდე ბალახი ბიბინებდა, ორმოცდათხუთმეტი ხბო ებარა ეთერილას. ზოგი ურწყვი წითელი იყო, ზოგი შუბლთეთრა, ზოგი მთლად ჩალისფერი.

დღეში სამჯერ გამოუშვებდა მოზარდებს ეთერილა მობიბინე მდელოზე სასეირნოდ. დაკვინტრიშობდნენ უდარდელად სუფთა ჰაერზე. ცხენისწყლის წვეთებს და ნამს უხვად დაეთქორა მინდორი. რძეჩამდგარ ბალახს სწიწკნიდნენ უმისოდაც დამაძღარნი და დახტოდნენ.

ერთმანეთს ერჩოდნენ, ებეჭავებოდნენ.

წყლის პირას დიდი წიფელი იდგა. ეთერილა მის დაკვართულ ფესვებზე ჩამოჯდებოდა და იქიდან უყურებდა მათ თამაშს. კარგი სანახავი იყო მაშინ მინდორი, მიწიდან ცამდე ყველაფერი თვალგახელილი იყურებოდა. გარშემო სიგრილე იდგა, მაგრამ მზის სხივებს მაინც ძალა ჰქონდა. მაღალ მწვერვალებზე თოვლი იყო, მისი თეთრი ფერი ელვარებას უმატებდა ფერდობებს.

როცა ეთერილა ბაგაში სამუშაოდ მივიდა, საქმე ვერ იყო კარგად.

ორ თვეში გოგონამ მოზარდთა მოვლის შესახებ საკმაო წიგნები გადაიკითხა და გულმოდგინედ მოკიდა მინდობილ საქმეს ხელი.

მთავარი იყო სისუფთავე და კვება. ეთერილას მოთხოვნით

პირველად სადგომს იატაკი დაუგეს, ორივე მხარეზე ცემენტის წვრილი არხები გაიყვანეს და გასასვლელში მოაგუდრონეს. ყოველ დილით, როცა მოზარდებს სასეირნოდ გამოიყვანდნენ, ყველაფერს რეცხდნენ და ასუფთავებდნენ. სიბინძურე არხებში ჩამოჰქონდა ონკანიდან მიშვებულ წყალს და მათი მეშვეობით მდინარეს უერთდებოდა. ყველაფერი სუფთად და ლამაზად იყურებოდა. ბაგაში მუდამ რძისა და სისუფთავის სუნი იდგა. ხანდახან ძაძუ ესტუმრებოდა ეთერილას, მასაც წიფელის ძირში უყვარდა ჩამოჯდომა.

— დაიგვიანა ჩემმა ჯოკიამ, — ამბობდა ძაძუ, — ალბათ კიდევ ბევრი საქმე აწევს თავზე. ხუმრობა ხომ არ არის, მთელი მანქანა მან უნდა ააწყოს და სული ჩაუდგას. ხომ იცი, პირველი სვანი ახალგაზრდაა ამ საქმეზე, არ უნდა შერცხვეს.

ეთერილამ იცოდა, რომ უკანასკნელი სიტყვები ჯოკიას ეკუთვნოდა.

„დიახაც პირველი სვანი მეავტომობილეა და მართლაც არ უნდა შერცხვეს, არც მე მინდა შევრცხვე. მეც მინდა ჩემი ხბოები სხვის ხბოებზე უფრო ლამაზები და ჯანიერნი იყვნენ“. — ამას ჩუმად თავისთვის ფიქრობდა ეთერილა. გული ჩუმად ელოდა ჯოკიას ჩამოსვლას. აინტერესებდა, ენატრებოდა მისი ნახვა. ეთერილამ იცოდა, რომ ჯოკია სოფლის საამაყო ვაჟკაცი იყო. ავტომობილის პირველი სვანი ინჟინერი. ეთერილა თავის გულის ღრმა ტკივილებს ჩუმად უსმენდა. მან იცოდა, რომ ეს ყველაფერი ძაძუ დეიდამ ჩაუნერგა. იმდენი უქო ჯოკია, რომ ქალიშვილს ფიქრის მთავარ სარჩოდ გაუხადა იგი.

— წელს კი აუცილებლად ჩამოვა. — აგრძელებდა თავის ამბავს ძაძუ, — სიტყვა მომცა, პირობა დამიდო, მან კი თუ სიტყვა თქვა — მორჩა და გათავდა. როცა სოფელში ამოვა, იცოდე, საქმე უნდა გავჩარხოთ.

ეთერილას შერცხვა.

— რა საქმე, დეიდა ძაძუ?!

— როგორ ფუ რა საქმე! ჯოკიამ ყველაფერი იცის. მართალია, აშკარად არ გვილაპარაკნია, მაგრამ ჩემი შვილის ამბავი მე ვიცი. მან ჩემი ფიქრი იცის, ის ჩემს გარდაუვალს არ იზამს.

— არა, დეიდა, ასე წინათ იყო, ახლა სხვანაირად არის. იქნება სხვა ვინმე უყვარს.

ძაძუს თითქოს ტანში დაცეცხლაო, ისე წამოდგა ზეზე, მან ჯერ გაკვირვებით შეხედა ეთერილას, მერე ცხენისწყალს გადახედა, ნისლი რომ ჩამოწოლილა და თქვა:

— ჩემ შვილს ჯანღი კი არ აწევს თვალებზე, არ შეიძლება შენ ვაქაცმა განახოს და არ შეუყვარდე.

ეთერილას სხეულში ტკბილმა ჟრუანტელმა დაუარა, გაინაბა, თვალებში ცრემლი ჩაუდგა.

* * *

ჯოკია თამლიანს ჯერ ცოლის თხოვაზე არც კი უფიქრია.

ბეჯითი ბიჭი ჯერ სწავლაზე ფიქრობდა, სწავლა როცა დაამთავრა, მერე საქმის დამორჩილებაზე.

სოფელში ჩამოსვლამ ააფორიაქა ჯოკია.

ეთერილას თვალებმა და აშოლტილმა ტანმა ჯოკიას მოსვენება დაუკარგა. გაიღვიძა სადღაც მიძინებულმა თუ ჯერ აუშლელმა გრძნობამ. სხეულში მეტი ძალა და ღონე იგრძნო. ეს აფორიაქება მეტად ტკბილი და ხალისით სავსე იყო. ეს მოხდა პირველად, მერე, როცა ჩაფიქრდა, შეღონდა ჯოკია. ახლა რატომღაც თავის თავში დაეჭვდა.

„იქნებ ჩემს გრძნობას არც კი უპასუხოს ეთერილამო“.

ასეთი ფიქრების დროს ყველაფერი ეზარებოდა ჯოკიას. ეგონა ეთერილას, თუ ის არ ეყვარებოდა, მაშინ ყველას საზარელი კაცი გახდებოდა იგი. ხასიათი უფუჭდებოდა ასეთი ფიქრის დროს.

ეთერილამ ჯოკიას ჩამოსვლის დღიდან ძაძუსთან სიარულს უკლო. გაოცებულმა ჯოკიამ ერთ დღეს ვერ მოითმინა დ> დედას ჰკითხა:

— ეთერილა რატომ არ მოდის ჩვენთან?

ძაძუმ ნელა ახედა შვილს და ჩუმად გაუღიმა:

— რაა, თუ ნახვა გინდა მაინცადამაინც, რატომ ის უნდა მოვიდეს შენთან?! შენ ფეხები ხომ არ გტკივა, ადექი და შენ თვითონ მიდი.

ამის შემდეგ ჯოკია საღამომდე ჩაფიქრებული იჯდა, სა-

ღამოს ბადე აიღო და თევზაობის მომიზეზებით ცხენისწყალზე გადავიდა.

ძაძუმ უცქირა მდინარისკენ მიმავალ შვილს და მერე თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ასე ვიცოდი, დედის გულს მიუხვდა, ჩემი გაიგო, უკეთესს სად მოძებნის?!

ვინც სვანეთში ყოფილა და მზის ჩასვლისათვის უყურებია, მას არასოდეს არ დაავიწყდება ბუნების ეს გამაოცებელი მოვლენა. უზარმაზარ კლდეებს შუა აქაფებული მდინარე მორბის. იგი მთელი ძალღონით ეხეთქება ნაპირებს და შხეფებს ცას აფრქვევს. თოვლის სითეთრე კიდევ მეტ ელვარებას უმატებს ძის ბრწყინვალებას, ზევით დღე არის, ხევებში კი ჯერ კიდევ ბნელა. ზევით, მწვერვალთა ახლოს არწივები ყივიან, ისინი ისე დანავარდობენ, თითქოს მზის სხივებში ბანაობდნენ.

ქვემოთ ცხენისწყალში წვრილი ვარსკვლავებით ტახდაჩითული კალმახები მწვერვალების ზემოთ გადმომდგარ მზეს ეთამაშებიან.

ჯოკიამ ფეხსაცმელი გაიხადა და წყალში შესტოპა. ცოტა სიცივე იგრძნო, მაინც ნელ-ნელა გაჰყვა მდინარეს, ბადეს ისროდა. ყოველ გასროლაზე ორი-სამი კალმახი მოჰყვებოდა. თანდათან გაიტაცა თევზაობამ. მისი ჩამოსვლის მიზეზიც კი გადაავიწყდა. წიფლის ქვემოთ მორევი იყო. ჯოკიამ ბადე ისე გაისროლა ზემოთ არ აუხედია. ნაგრეხმა ბაწარმა დაქაჩა და აკანკალდა. მეთევზემ იგრძნო, რომ ბადეს მსხვილი თევზი მოჰყვებოდა. ნელინელ მოსწია ნაპირთან და როცა მდინარეზე ამოაგდო კალმახებმა ნაკვერჩხლებივით შემოანათეს. ყველაზე დიდი მკლავისხელა იყო და ბადეს გლეჯდა.

— უიმე, რამხელა კალმახია, — მოულოდნელად გაისმა ქალიშვილის ხმა ზემოდან.

ჯოკიამ გაოცებით აიხედა. წიფლის ძირში ეთერილა იდგა. ჩვილი წაბლისფერი ხბო ქალიშვილს თითებს ულოკავდა. მასაც დიდი და შავი დანისლული თვალები ჰქონდა.

— ჰო, დიდი კალმახი მოხვდა ბადეს, — ნელა თქვა ახლა ბებადურმა. მან ბადედან გამოხსნა თევზი და ეთერილას ესროლა. კალმახი ბალახებში აფართხალდა. ხბო ცნობისმოყვა-

რე, სულელური, მიამიტი თვალებით დააჩერდა კალმახს, შემდეგ უცებ ათრთოლდა და დაფეთდა. რამდენჯერმე ერთ ადგილას შემოტრიალდა, კუდი აიპრიხა და ბღავილით ისე გაიქცა მინდორზე, თითქოს ქვეყნის დაქცევის წუთი ყოფილიყოს მოახლოებული.

ეთერილამ სიცილი ვერ შეიკავა.

— რა სულელი ხარ, — მიაძახა ხბოს და დიდ კალმახს დასწვდა.

ჯოკიამ თევზები ხის კანით მოწნულ ჩანთაში ჩაყარა. ბადე გაბერტყა და ზევით ამოვიდა.

ეთერილა კალმახის ტანზე ელვარე ბროწეულის წვეთებს ითვლიდა.

ჯოკია ნელი ნაბიჯით უახლოვდებოდა ქალიშვილს.

— გამარჯობა, ეთერილა! — ისეთი ხმით თქვა მან, რომ გოგონას თბილმა ჩქერმა ნაპერწკალივით გაკრა ტანში.

წაბლისფერი ხბო შუა მინდორში გაჩერდა, იგი თრთოდა და თვალების ბრიალით ეთერილასაკენ იყურებოდა. ეთერილამ ვაჟს თვალი აარიდა, ლოყაშეწითლებულმა ხბოს გადახედა.

— მშიშარა ხბოები გაგიზრდია, ეთერილა!

გოგონამ დარცხვენით ახედა ჯოკიას.

— ხბოებს მანქანის ეშინიათ. — წყნარად თქვა მან.

— მანქანა აქ სად არის მერე? — გაიკვირვა ვაჟმა.

ეთერილამ ახლა პირდაპირ და ღიმილით შეხედა ვაჟკაცს.

— მანქანის ოსტატი ხომ აქ არის, ჩემი ხბოები გუმანით გრძნობენ შენ აქ ყოფნას.

ვაჟს მოეწონა ქალიშვილის ხუმრობა.

— არა ხარ მართალი, ეთერილა! შენს წაბლას კალმახის უფრო შეეშინდა, ვინემ ჩემი.

ახლა ეთერილას გაუკვირდა.

— შენ საიდან იცი, რომ წაბლა ჰქვიან იმ ხბოს?

— მივხვდი, მივხვდი!

ეთერილამ უნებლიეთ მიმოიხედა და პატარა ხის კასრს დაადგა თვალი. მისი წაბლა სწორედ იმ კასრიდან სვამდა ყოველთვის წყალს, კასრს მსხვილი ასოებით ეწერა — „წაბლა“.

— აი საიდან მიმხვდარხარ, — გადაიკისკისა გოგონამ.

დაკიდებულ კლდეებშეა ქალიშვილის ეს უდარდელი კისკისი სასიამოდ მოეფინა პატარა მინდორს.

ჯოკიამ კიდევ უფრო მიიწია ეთერილასაკენ.

— იცი რა, მე სათქმელი მაქვს შენთან.

უცებ კისკისი შეწყდა, მინდორი თითქოს დაცარიელდა. ეთერილაც გაყუჩდა, გაინაბა.

— რა უნდა მითხრა?!

— სათქმელი მაქვს, მაგრამ ვერ მითქვამს. სიტყვა ყელში მადგება და ზევით არ ამოდის.

— ფიქრი თუ კარგი გაქვს, სიტყვაც ხვავიანად ითქმის, ჯოკიავ. — ოდნავ ეშმაკურად ჩაიჩურჩულა ქალიშვილმა.

მოულოდნელად ეთერილამ თევზს ხელი გაუშვა. კალმახმა მზის სხივებში ვერცხლის სურასავით გაიელვა და ბალახებში ჩაეცა. იგი ახლა ისე ძალ-ღონით ვერ ფართხალობდა. ლაყუჩებს აღებდა, მაგრამ ტანში სასიკვდილო შხამი ჩადგომოდა.

„მეც თევზივით ხომ არ ვკვდები, სიტყვას რომ ვერ ვამბობ", — გაიფიქრა ჯოკიამ და ისე მიიხედ-მოიხედა, თითქოს მშველელს ეძებდა. ეთერილას კაბის კალთა თევზს დაესვენებინა. აქა-იქ თევზის ქერცლი მრგვალი კომპლებით მიყროდა კაბაზე.

მდინარის პირიდან ახლა მხოლოდ ცხენისწყლის კლდეებთან ჯახილი ისმოდა. ხანდახან ეს ხმა უფრო ყრუდ მოდიოდა, თითქოს მამალი ჯიხვები ეჯახებოდნენ რქებით ერთმანეთს.

წაბლისფერი ხბო ახლა მისი კაბის კალთის ბოლოს სლექდა და ასველებდა ენით. გოგონა არაფერს არ აქცევდა ყურადღებას.

იგი ისევ განაბული ელოდა ჯოკიას სიტყვის დასრულებას.

— აუ, ეთერილა, — მოულოდნელად გაისმა ძახილი ბაგის ციშკართან. ეს მანქანის მძღოლი იძახდა, ჯოკიამაც იცნო მისი ხმა. ეთერილა შეკრთა, ნელა შეიშმუშნა და წიფელისაკენ წავიდა.

იგი მის კვართიან ფესვებზე ჩამოჯდა. ხმა მაინც არ მისცა მოსულს.

პატარა ხნის შემდეგ ძახილი ისევ გამეორდა.

მერე ლაპარაკი მოისმა, მეორე ხმა ქალის ხმა იყო. ჯოკიამ ახლა ამ ხმაზე დედამისი იცნო.

დაბნეული და გაოგნებული ვაჟი თითონაც წიფლის ძირს ჩამოჯდა.

ლაპარაკი უფრო და უფრო ახლოვდებოდა, ეტყობოდა ორივენი ბაგის სამხრეთ კედელთან იდგნენ. მინდორი წყლის ნაპირიდან ცოტა მაღლობზე იყო და ფესვებზე ჩამომჯდარი ქალ-ვაჟი იქიდან არ ჩანდნენ. მოლაპარაკენი კი ხმამაღლა საუბრობდნენ.

— შენ რა იცი, ბიჭო! — მოისმა ძაძუს ხმა.

— როგორ არ ვიცი, დეიდა ძაძუ, მე ვატყობ, რომ ჯოკიას არ უყვარს ეთერილა. ვერც კი იცნო, მე ხომ შევესწარი მათ შეხვედრას, თავისი გაკეთებული ავტომობილი კი ხელად იცნო.

— გაჩუმდი! — გაისმა ძაძუს მწყრალი ხმა.

— მე გავჩუმდე რა, ცუდს რას ვამბობ! ხომ გახსოვს ეთერილამ რა დღე დაათია კოლმეურნეობის კრებაზე. აიო, ჯოკიას გაკეთებული მანქანა პირველმა ჩვენმა სოფელმა უნდა შეიძინოსო.

— მერე რა არის ცუდი აქ! მას უნდოდა მისი ხბოები ამ მანქანით გადაეყვანა ახალ ბაგაში.

— ჰოო, — გაეხარდა მძღოლს, — სწორედ ამაშია საქმე. ეთერილას ჯოკია უყვარს, სულ იმაზე ფიქრობს, ჯოკიას კი ეთერილა არ უყვარს...

წიფლის ქვეშ მჯდომი ქალ-ვაჟი მონუსხულივით ისხდნენ. ვერც ერთი ხმას ვერ იღებდა. ჯოკიას გული ისე უცემდა, რომ ეთერილას ესმოდა მისი ბაგაბუგი. როცა უკანასკნელი სიტყვა გაიგონა ჯოკიამ, კინაღამ წაიქცა.

— ტყუის! — მის უნებლიეთ ისე წამოიძახა მან, რომ ეთერილას ტანში გაცრა. ქალიშვილმა გაკვირვებით შეხედა ვაჟს. შეხედა და მიხვდა, რომ ჯოკია ახლა არ ტყუოდა, ჯოკია ერთი ნახტომით მიუახლოვდა ეთერილას. იგი დასწვდა მას, წამოაყენა და მკლავი მოხვია.

— ეთერილავ... — ჩურჩულებდა ახლა ჯოკია. — ის ბიჭი ტყუის. მე მომეჩვენა, რომ შენ არ გიყვარდი, ასე დავიჯერე, იცი რამდენი ღამე გამითევია იმის ფიქრში, რომ ჩემი ნახე-

ლავი ავტომანქანა ჩემს სოფელში ამოსულიყო, ჩემს ხალხს დავხმარებოდი, ჩემს კოლმეურნეობაში გაევლო მას. ხომ იცი, წინათ გზები არ იყო, ახლა კი სხვაა. მაპატიე, ეთერილა, თურმე შენც ასე გიფიქრია, მე კი...

ეთერილა ახლა ჯოკიას მკლავებში გაყუჩებულიყო. იგი მახედან გამოხსნილი ჩიტივით თრთოდა და კანკალებდა. ლოყები დანაკვერცხლებოდა, სხეული ნაზად მოთენთოდა.

— აჰა, შეხედე, შე ენა ტარტალავ, შენი თვალით შეხედე და დარწმუნდი... — ეს ძაძუ გადმომდგარიყო ახლა ბექობზე და ქალ-ვაჟს გახარებული დასცქეროდა ზემოდან.

ახლგაზრდა მძღოლი გაოცებული შეჰყურებდა ჯოკიას და ეთერილას. არ იცოდა რა ექნა. მიელოცა თუ არა?!

შიშველი ხმალი

I

სანაოზე გაღმიდან ომახიანი ძახილი მოისმა.

„შენი ოჯახი დაიქცა, ამ წკვარამ ღამეში რა მოგარბენინებდაო", — გაიფიქრა მენავემ და კარავში კვარი აანთო. მერე კი ვინ არისო, გასძახა და, როცა პასუხი მიიღო, ნავი ახსნა.

ამ ბნელ ღამეში უსიამოვნოდ აჭრიალდა ბორნის ბორბალი და სამი ცხენოსანი ნავზე შემოდგა.

— რა ახალი ამბავი იცი, გიორგი? — იკითხა მომცრო კაცმა, რომლის თვალები ისე ბრწყინავდა, თითქოს ორი ვარსკვლავი ჩაბუდებულიყოს ამ წკვარამ ღამეში.

— რა იქნება, ჩემო ბატონო, ებრაელები მეწვრილმალობენ, თავადები თავადობენ, გლეხებს კი ვამეხ მაღლაკელიძე ჩიჯავაძეთ დაუჯდა, სადგომებში სიმინდი არ დააყენა და ოდებში ლამაზი ქალები. აიო და მამასახლისი ვარო, ქვეყანა უნდა შევჭამოო.

დაბალი კაცი უსიამოვნოდ შეიშმუშნა და თანმხლებლებს გადახედა.

— ქვეყანას, ჩემო ძამია, ვამეხი ვერ შეჭამს, მაგას კი, მალე მტერი დაგელიოს, მალე შეჭამენ, — დაასწრო ნაბადმოსხმულმა მაღალმა კაცმა.

— ეჰ, რა ვიცი, ახლა ასე კია და... — ჩაილაპარაკა მენა-

ვემ და ორთაყვირს ისეთი ჯანით მოუსვა, ნავი ბარჯგებს მძიმედ დაეტაკა.

სადავედაჭერილი ცხენები ნელა გადაიყვანეს. მომცრო კაცის ცხენი, ნავი რომ ბარჯგზე მიყენებული ვერ იგულა, გაჯიუტდა, მაგრამ ღამის სიბნელეში აშხვართული მათრახის ლანდს თვალი ჰკრა, მწევარივით გაიზნიქა და დამიზნებულ ადგილს ორი ადლით გადაახტა.

— ამას ღვინო არ ექნება, — კარავის წინ მიუბრუნდა დაბალი კაცი თანამგზავრს, — აბრამიძეებში გაირბინე ერთი და გამოიტანე.

ნაბდიანს ხმა არ ამოუღია. ცხენს მოახტა და ისე გაქრა ღამეში.

ძაძალმა დასავლეთის მხარეზე იყივლა და წამსვლელი მიხვდა, რომ ეს მამალი სულორის პირას ჩასახლებულ აბრამიძეებში ყიოდა გათენების მოახლოებას.

თხმელის წნელით შემოღობილ კარავში, გარედან აყალო მიწით რომ შეეთითხნათ, ცეცხლმა გაანათა. ჭყინტი სიმინდის ტაროები და კვახები მიაფიცხა მენავემ ცეცხლის პირს, მისულებმა ხურჯინიდან ხაჭაპურები და მჭადები ამოალაგეს, მოხარშული დედალიც ამოაყოლეს და ისიც კეცზე შეაგდეს შესათბობად.

— აქეთ ახალთაობის არაფერი ისმის? — იკითხა ერთმა.

— არაფერი ჯერ, — უპასუხა მენავემ, — თქვენზე ამბობენ, წითელიშვილი სურებში ხალხს აფიცებსო. აქეთ კი ჩამიჩუმი არ ისმის. კი მარა, — შეესიტყვა ისევ მენავე, — შენ ღმერთი რომ არ გწამდა, ხალხს მართლა აფიცებ?

— სიმინდი დაიწვა, შეაბრუნე, — ბანზე აუგდო სიტყვა წითელიშვილმა. მენავემ ალმაცერად შეხედა სტუმარს. ცალი თვალი ეშმაკურად მოჭუტა და სიმინდის ჭყინტ ტაროს გვერდი უცვალა. ღვინოზე გაგზავნილი კაცი სავსე დოქით დაბრუნდა. მალე კარავში შემწვარი სიმინდის და კვახის სუნი დატრიალდა. ვახშამს მადიანად შეექცნენ.

— ხვალ პარასკეობაა, ამხანაგებო, — განაგრძობდა წითელიშვილი. — ბაზარი ხალხით იქნება სავსე. შუადღემდის ნანაძეებში ვიქნები. შუადღისას კი ქვევით ჩამოვალ. თქვენ ხალხი შეამზადეთ. ვინც კი ნახოთ, ისრითიდან თუ დიხაშხო-

დან, სალხინოდან თუ ბზვანიდან, ამაღლებიდან თუ შუამთიდან, ყველას უთხარით, წითელიშვილი სიტყვას იტყვის-თქო. ერმილე ჩახუნაშვილის აივანზე გამოვალ, იქ უფრო ხელსაყრელია. შენ კი, ეთამიშვილო, — მიუბრუნდა იგი ერთ თანამგზავრს, ვამეხ მაღლაკელიძესთან მიდი და გააფრთხილე, ხელი არ შეგვიშალოს.

— რას ამბობ, სამსონ!.. — გაიკვირვა მენავემ. — ჩაფრებს დაგასევს და...

— წითელიშვილს მაღლაკელიძე ვაგლახად ვერ შებედავს! — ყრუდ გააწყვეტინა წითელიშვილმა.

მენავემ გაკვირვებით შეხედა, თავი დააქნია და ქათმის ბარკალს ხელი წამოუსვა. გარეთ კი, შორს, სულორის პირიდან მამლებმა ყივილს უმატეს, ძაღლებმა — ყეფას, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ჭალებზე ურმების ჭრიალიც გაისმა და როცა წითელიშვილმა კარავიდან თავი გამოყო, რიონი თალხში იყო გახვეული, ყანებშიც კი გამთენიის ხანის რძისფერი ელვარება ირხეოდა სასიამოვნო გამაგრილებელი ნიავით.

II

— ვინ შემოთვალაო?! — გაიკვირვა ვამეხ მაღლაკელიძემ, სამამასახლისოს წინ რომ ეთამიშვილი დაინახა.

— წითელიშვილმა შემოგითვალა, დღეს ერთობის ყრილობა გვექნება, ხელი არ შეგვიშალო, თუ გინდა სხვა სოფელში გადადი, ვითომ არაფერი იცი, — დაუმატა ეთამიშვილმა დანაბარებს.

— აი, ბიძია, — ჩაიხვიხვინა ვამეხმა, — წითელიშვილმა გურულები შეაშინოს. საჩინოში კი, ჩემო ეთამიშვილო, კაცები რომ მოისპოს, მწევრებით დავიჭერ მაგ მამაძაღლს.

— ვამეხ, ხუმრობა არ ივარგებს ჩვენთან.

— ვინ გეხუმრებათ, ბიძიებო, სამამასახლისოში ფეხი არ დაადგათ, თორემ...

— ჩვენ გაგაფრთხილეთ და აწი შენ იცი, — მოუჭრა ეთამიშვილმა.

— წითელიშვილს დავიწყებია, ძამია, რომ ყელზე მეფის ჯაჭვი და წელზე ქართული ხმალი მკიდია.

— ვამეხ, — შეესიტყვა ისევ ეთამიშვილი, — სულორი არ შეღებო საკუთარი სისხლით.

— ძაღლის ლეკვო, მექადნები კიდეც! — შუბლი დაუნაოჭდა მაღლაკელიძეს და მათრახმომართულმა მიაშურა ეთამიშვილს.

— მე წითელიშვილის მოგზავნილი ვარ და ერთობის ერთგული, ვამეხ, — გაახსენა ეთამიშვილმა.

აწეული ხელი უნებლიეთ ძირს დაუშვა მაღლაკელიძემ.

— მეორე, — განაგრძო ადგილიდან შეურხეველად ეთამიშვილმა, — ახლა სხვა დროა, გურიაში ხალხი მართავს თავის ბედს, მამასახლისები აღარ არიან. ოზურგეთიდან პრისტავი გამოაგდეს, შორაპანში მთელი როტა გაწყვიტეს, შენ მარტო რას გახვალ, აქაც ისე მოხდება დღეიდან.

— აქ რაც მოხდება დღეს, ეს შენზე და შენ ახალ ბატონზე უკეთ ვიცი, ბიძია. ახლა წადი და ასე უთხარი წითელიშვილს: შენი შიშით დღეს დვალიშვილების აბანოში დავიმალები-თქო. როგორმე რაზმი შეადგინეთ, ძამიებო, და მენაშიე ურიე ჩაწერეთ, არ დაგავიწყდეთ, გურიას აიღებს.

— დაგვცინი, ვამეხ? — შეელაპარაკა ეთამიშვილი, — ვნახოთ! ჩვენთან ჭიდილი არ გარგებს!

— წადი, ბიძიკონა, წელან გაპატიე და ახლა მეტს ვერ მოვითმენ. რატომ გინდა ნახევარი დღით ადრე შენი ცოლ-შვილის ატირება...

— შვილი არ გყავს, ვამეხ, და ნაშვილებს მგონი ხვალ დილას ობლად ნახავ.

ვერ მოითმინა მწარე სიტყვას უჩვევმა ვამეხ მაღლაკელიძემ ეს დაგესვლა და ეს ზვინივით კაცი გამოიქცა და ორჯერ ისე წყვიტა მათრახი ეთამიშვილს, რომ მათრახს წვერი მოსწყდა და ძირს დავარდა.

— ერთი საშუაკაცო იყო და მეორე ჩემი შეგინების. წადი, ეთამიშვილო, და წითელიშვილს უთხარი, საღამომდის შუაშთას აქეთ არ ვნახო გადმოსული.

ეთამაშვილმა ხანჯალზე ხელი იტაცა, მაგრამ გამზადებულ ჩაფრებს რომ თვალი კრა, თავი შეიმაგრა, კბილები გაახრჭიალა და ვამეხს თვალის ბრიალით უთხრა:

— არ შეგარჩენ, მაღლაკელიძე, შენ ვერაგობას, მალე გა-

გისწორდებიო. — შემოტრიალდა ეთამიშვილი, მაგრამ კაცის ფერი კი არ ჰქონდა სახეზე. ერთი მოკიდა რიკულს ხელი, ფეხი არც კი დააკარა, ისე გადმოხტა კიბიდან.

III

ვერხვებსა და ცაცხვებს, ალუჩებსა და ტყემლების ტოტებს ვარსკვლავებივით ეკიდათ წუხანდელი ღამის რთვილი. მზეს კიდევ ვერ შეეშრო ბუნების ეს მხიარული წვეთები, როცა ერემია ჩიჯავაძე, ფოსტლებში ფეხჩადგმული, ახალოხსამარა ღილებშეუბნევლად სახლიდან გამოვიდა. უზარმაზარი ცაცხვის ჩრდილი სწორედ ოდის შუაკარებში იდგა.

აბასთუმნის გადასავლიდან ფოთამდის ყოველ მდინარეში სათევზე ადგილები ზეპირად იცოდა მან. არჩვი სად ბუდობდა, ერემია გეტყოდათ. შველი სად იყო, არ დაემალებოდა. მთელი წელიწადი სანადიროდ იყო გასული. მისი სახლიდან ან სიმღერის შესანიშნავი ხმები ისმოდა, ან საუკეთესო ჯიშის ძაღლების ყეფა.

თევზის წამლით სავსე იყო მისი სახლი. გადმოხედავდა მორევს და გასაკვირველი სიზუსტით გეტყოდათ, ამდენი თევზი ამოვაო. დაჯდებოდა და აგროვებდა თვალებმოშხამულ თევზებს.

— თევზი საჭმელად კი არ ვარგა, ჩემო ბიძია, — იტყოდა იგი, — დაჭერაა მისი საქმე, დაჭერა!

მარტში კი მისი დღეობა იყო. ტობი რომ წამოვიდოდა, სამელნესავით მოწნულ ფაცერ-გოდრებს შუაწყალში ჩადგამდა, ნაპირებამდის გაღობავდა და დილით თევზებით ავსებულ ფაცერს ძლივს ამოათრევდა ნაპირზე. არც ამას ჯერდებოდა. ღამით ჟინჟილებით ფეხდაფეხ დაუყვებოდა თავთხელებს. მუცელნატკენ თევზებს, ჩქრიალა წყლებში რომ ხოხავდნენ ქვირითის დასაყრელად, სინათლეს დააჭერდა. თევზიც გაოგნდებოდა, და მაშინ იცოდა ერემიამ, თუ როგორ უნდა აეყვანა სინათლით გაბეცებული თევზი. ივსებოდა ჩანთები და კალათები ცოცხალით. მის ჭაში წყალზე მეტი თევზი მოყვებოდა საწყლე ჭურჭელს. თავქეიფა კაცი იყო ერემია, არაფე-

რი არ აწუხებდა. მართალი რომ ითქვას, მეფის მთავრობა არ უყვარდა, მაგრამ რევოლუციის მღვიძარე ძალებსაც არ ემხრობოდა. ვაჟკაცობა კი მოსწონდა ახალი თაობის. გამბედაობა და შეუდრეკელობა, თავდადება და გატანა, აი, რა ხიბლავდა და სწორედ ამიტომ იყო, რომ ამ დილით ნანაძეებში მიმავალ წითელიშვილს გზა გადაუღობა, ცხენის სადავეს ხელი უტაცა და ალაგზე გადმოიყვანა.

— სამსონ! საკაიკაცოდ არ ჩამოხვიდოდი, ალბათ გურიიდან ანთებული მუგუზლები საჩინოშიც ჩამოიტანე, — შეელაპარაკა ხუმრობით წითელიშვილს ჩიჯავაძე.

— შენ არაფერი გამოგეპარება, ერემია, — დაუდასტურა სამსონმა.

— ვამეხი არ იქნება კარგ ხასიათზე?! — შეესიტყვა ისევ ერემია და თან დაატანა: — სულორის წვერა მაქვს შემწვარი, ნიგვზის ნეშოსა და ომბალოში გახვეული, პატივი მეცი, უარი არ მითხრა. ნანაძეები ახლა უკვე ჭალაზე იქნებიან წასული. ისინი ყოველთვის გათენებას იქ ხვდებიან.

— საუზმის რა მოგახსენო. სანაოზე გეახელით, დასვენებით კი ჩავიმუხლებ პატარა ხანს, — მიიღო პასუხი.

ბალახზე სახელდახელოდ, გაშლილ თეთრ სუფრაზე დალაგდა კიტრები, ნიგვზის ნეშოში გახვეული წვერა, ახალი ყველი და ცხელი მჭადები. ცოლიკოური დოქებიდან შხეფებს ისროდა.

ლუკმა არ ჰქონდათ ჩადებული პირში სტუმარ-მასპინძელს, როცა ქვემოდან, ტყესთან, ჩიჯავაძის სახლს რომ ქვევიდან შემოცქეროდა, ყაზახების ათეული გამოჩნდა. ერემიამ ჯლიქვი წაკრა წითელიშვილს და ანიშნა, შეხედეო.

„ქვალი-მიუგნია მამაძაღლს," — გაიფიქრა წითელიშვილმა და ხმამაღლა დააბოლოვა:

— ნეტავი ეთამაშვილი ხომ არ დაიჭირეს. არ ადგე ზევით, — თითქოს უბრძანაო ერემიას, როცა შეამჩნია, რომ ადგომას აპირებდა, მერე თითქოს თავისთვის განაგრძო: — ისინი აქ ვერ შეგვხედავენ, ჩვენ კი თვალს ვადევნებთ. თუ ჭიშკარს გადმოცილდნენ, სამსონა წითელიშვილი ეყოფათ.

ერემიას თითქოს რაღაც გაახსენდაო, მიუბრუნდა.

— მე მგონია მენდობი, სამსონ. ასე არ შეიძლება, რომ

ჩამოვიდნენ, ხომ დავიღუპეთ? წინ შევხვდები, განიშნებ, ძაღლს დავუსტვენ და თუ საჭიროდ ჩათვალო, მაქვე ბურკაძის ეზოში გადადი.

— კარგი, წადი, — ჩაიღურღულა წითელიშვილმა, მაგრამ იცოდე, თუ რაიმე შეგამჩნიე, პირველ ტყვიას შენ გესვრი.

ერემია ვაფითრდა, მაგრამ არაფერი უთქვამს. ნელა გადააბიჯა ნოხს და ჭიშკრისაკენ გაემართა.

ესაული ნემსაძე ათეულს მიუძღვებოდა.

— გამარჯობათ, ბატონო, — მიაძახა ერემიას.

— გაგიმარჯოს, — მიუგო ერემიამ და თან წაეხუმრა: — ბიჭო, ამდენი ძაღლი მე არ დამყავს სანადიროდ! ალბათ დიდ ნადირს ეძებ.

— ახლა ადექი? — არ შეიმჩნია მისი გესლიანი სალამი ნემსაძემ და სიტყვა ბანზე აუგდო.

— ჯერ კიდევ ახალუხი არ შემიბნევია.

— წითელიშვილი ყოფილა ჩამოსული და, ხომ იცი ვამეხის ამბავი, არ დამაყენა კაცი. იმას მე კი არა, ასი ჩემისთანა ვერ დაიჭერს.

— მართალს ლაპარაკობ, ყმაწვილო, მე და ჩემმა ღმერთმა. — შეესიტყვა ისევ ჩიჯავაძე.—ვამეხს ურჩიე ჩემ მაგივრად, თავი დაანებოს ამ ახალთაობის ხალხს, ისინი თავზეხელაღებული ხალხია. ვამეხს კი არა, ბიძია, მეფეს ესროლეს ბომბი.

— ვინ გიჯერებს, ერემია ბატონო, ვამეხს გონია ჩინს მომცემენო და, ხომ იცი, შენ ხარ ჩემი ბატონი, — ენა წაებორძიკა ნემსაძეს, — ჩ... ჩ... ჩვენ გვკლავს იმ ოჯახდასაქცევის გულისთვის.

— ხანდახან, ყმაწვილო, ვამეხისთანა ადამიანები ჩინის მაგივრად ტყვიას ხვდებიან. ახლა მაინც სხვა დროა, ბიძია, სხვა!

— ჰე, ოხერი დროა, ჩემო ბატონო, — ისევ წაიბორძიკა ნემსაძემ.

— საით გასწიე, მერე?

— გაიარ-გამოიარეო, მიბრძანა და, ხომ იცი, მეც ვასრულებ ბრძანებას.

— შენ ისე ამბობ, რომ შეგხვდეს, არც ესვრი.

— ღმერთმა ნუ შემახვედროს, — დაფეთდა ნემსაძე, მერე

ახლო მიიწია ერემიასაკენ და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: — ნანაძეებში უნდა იყოს მგონი, მაგრამ თუ თითონ არ შემხვდა, რავა გავეკარები?! პატივი მეცი და გააგებიე ერემია, — დეეღრიჯა ნემსაძე.

ჩიჯავაძეს კინაღამ სიცილი წასკდა.

— არა, ბიძია, მე არც მეფის ღალატში ვერევი და არც კაცის. შენ შენი საქმე იცი და მე ჩემი.

— რაღა ვქნა ახლა, — სასომიხდილად ჩაილაპარაკა ნემსაძემ, — ხომ დამიღუპა ვამეხიამ ოჯახი.

ერემიას შეეცოდა ნემსაძე.

— ადი, ბიძია, და ხმაურობით იარე, იქნებ სხვა ვინმეს შეხვდე და იგი გააგზავნე, რუსები მაინც ვერაფერს გაიგებენ.

ბედზე გაღმიდან ყვირილი მოისმა. თითქოს გამოსავალს მიაგნოო, თვალები გაუნათლდა ნემსაძეს. „ცოფიანი ძაღლიო", — ერემიას ყურში უჩურჩულა და სწრაფად შემობრუნდა.

ჩიჯავაძე სიცილით კვდებოდა და წითელიშვილს უყვებოდა მომხდარ ამბავს.

— ცოფიან ძაღლს თოფს ვესვრი, წითელიშვილი ხმას გაიგონებს და დაიმალება, — დააბოლოვა ნემსაძის ნაჩურჩულები ერემიამ. სწორედ ამ დროს გავარდა ბერდანა და ჭიშურას ხევმა ხრიალი გაიღო.

— ვამეხი ხვალ მზეს ვერ შეხედავს, — დაატანა წითელიშვილმა გამომშვიდობებისას.

IV

წითელიშვილს შემოეთვალა დაბაში, დუქნები ადრე დაკეტეთ, ხმაურობა რომ გაიგოთ, გარეთ არავინ გამოვიდეს, ამღამ სოფლის მტერს მოგაშორებთ, თუ წითელიშვილი მქვიაო. ეს სიტყვები ყველას ენაზე ეკერა. დანაპირები შეასრულეს. დუქნებიც ადრე დახურეს და ჭიშკრებიც.

სიჩუმე ჩამოწვა მთელ დაბაში. მხოლოდ სულორის ჩხრიალი ისმოდა. ვამეხ მაღლაკელიძის სახლის უკან ძელქვის ხეები და ცაცხვებიც, სავაჭრო კარვების გარშემო რომ მთელი დღე შრიალებდნენ, ახლა თითქოს ჩუმად განაგრძობდნენ რხევას.

V

ერმილე ჩახუნაშვილის ცაცხვის ძირში ორი კაცის ლანდი შეხვდა ერთმანეთს.

— ეთამიშვილო, რა ქენი? — მიეგება წითელიშვილი.

— მათრახი დამკრა!

— აჰ! — გაიკვირვა წითელიშვილმა.

— ახლა ვასილი შალამბერიძე და გიორგი ნანაძე დაიჭირა. ჯერ გალახა და მერე ნაობახში ჩაამწყვდია, წითელიშვილი თქვენთან დაიარებაო.

— მართლა!.. — კიდევ უფრო გაიკვირვა სამსონმა.

— არც ამას დაჯერდა და ქუთაისს კაცი აფრინა, ყაზახები გამოგზავნეთ, წითელიშვილი დამეცაო.

— კარგი, ასე იყოს! — დაიქადნა წითელიშვილმა.

— ვასილიას თავი აქვს გაჩეხილი, ექიმი არ მიაყვანია ნაობახში.

— ვასილიასაც მოვარჩენ, ნანაძესაც გამოვუშვებთ და ქუთაისიდან ყაზახების ჩამოსვლამდის ვამეხსაც ვავახშმებთ, — ჩაილაპარაკა ისევ სამსონმა.

— ქუთაისს წასული კაცი დავიჭირე, — განაგრძობდა ეთამიშვილი, — იარაღი ავყარე და სანაოზე ჩავაბარე ნიკოლეიშვილს.

— ეს კარგი გიქნია, — მოუწონა წითელიშვილმა.

— ვამეხს თვალყური არ მოვაშორე და გავიგე, ეს არის შინ შევიდა.

— მარჯვედ მოქცეულხარ,—კვერი დაუკრა ისევ სამსონმა.

— ახლა რას აპირებ? — შეეკითხა ეთამიშვილი.

— ნაობახში მივიდეთ, ბიჭები გამოვუშვათ.

დღის სინათლეს სიბნელე შეეპარა, როცა ისინი ნაობახთან მივიდნენ.

— კარი გააღე, — მიუბრუნდა დარაჯს წითელიშვილი.

დარაჯმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ ხელის განძრევა ვერ მოასწრო, რომ წითელიშვილმა თოფი აართვა, მერე ლულა გაუყარა სარაზავში და რკინის ურდულს კარის ნახევარი თან გამოატანა.

ნანაძეს შალამბერიძე მკლავზე დაეწვინა, ახალუხის კალ-

თა მოეხია და მისთვის თავი შეეკრა. სისხლი მაინც სდიოდა დაჭრილს და მუხლები სულ დაესველებინა ნანაძესათვის.

— რა დაგემართათ, ბიჭებო? — შეელაპარაკა წითელი-შვილი.

შალამბერიძემ ჯერ ხმა ვერ იცნო და უაზროდ მიაჩერდა. მერე წამოჯდა და კიდევ დააკვირდა, როცა იცნო ვინ იყო, გაიღიმა, თავზე ხელი მოისვა და სისხლით გასვრილი ხელი აჩვენა სამსონს. წითელიშვილს ცრემლი გადმოვარდა უნებ-ლიეთ. დაიხარა, მეგობარს შუბლზე აკოცა და გარეთ გამო-ვიდა. გიორგი ნანაძეც უნებლიეთ გამოყვა და, როცა მიწაზე გართხმული დარაჯი დაინახა, მხოლოდ ახლა მიხვდა მომხდარ ამბავს.

— ექიმთან წაიყვანეთ, მეც მალე მოვალ, — გასცა განკარ-გულება წითელიშვილმა და შალამბერიძე ბავშვივით მიაწო-და ეთამიშვილს. თითონ კი სწრაფად შემობრუნდა ვამეხის სახლისაკენ.

მოულოდნელად გაისმა განწირული ხმა და ჟრუანტელი-ვით დაურბინა მთელ დაბას. ოდიდან ვეება კაცი გამოვარდა. უკან კაცი მოსდევდა. იგი შიშველი სატევრით მორბოდა, მაგ-რამ დამფრთხალი თვალებით უმზერდა მდევარს.

— გაჩერდი! — ეძახდა წითელიშვილი. ხალხი განაბული ისმენდა ხმაურს. გრძნობდნენ, რომ მდევარი თანდათან უახ-ლოვდებოდა გაქცეულს.

— შემობრუნდი და თავი დაიცავი, თორემ არ დაგინდობ! — ისევ გაისმა სიბნელეში სამსონის ხმა. მაღლაკელიძე მაინც არ შეჩერდა.

ყოველი ოდიდან თუ დუქნიდან ადამიანები გულის ძგე-რით ელოდნენ: მაღლაკელიძე მართლა არ შემობრუნდეს და წითელიშვილი არ მოკლასო. ვამეხი კი ისევ გარბოდა. მან მიაღწია ერთ დუქანს და გამწარებით დაუწყო ხელების ბრა-ხუნი დარაბებს, კარი გამიღეთო. შიგნიდან ხმა არ ისმოდა. სწორედ ამ დროს წამოეწია წითელიშვილი. იმის მაგივრად, რომ შიშველი ხმალი დაერტყა, იგი შემობრუნდა, სახეში ჩა-ხედა და შესძახა:

— შე ოხერო, სატევარი მომიქნიე, აკი სიკვდილს მპირ-დებოდი.

მაღლაკელიძე დაფაცურდა, თითქოს გამოცოცხლდა, სატევარი შემოუქნია, სამსონმა ხმლის ყუა შეაგება და რკინა ამ ბნელ, უმთვარო ღამეში წკრიალით დავარდა ძირს. ბინებში ყველა გაინაბა. მაინც არ მოხდა ის, რასაც ელოდნენ. წითელიშვილი დაიხარა და მიწაზე დავარდნილი სატევარი ისევ ვამეხს მისცა.

— კიდევ ერთხელ გამოგცდი, — ჩაუჩურჩულა.

ბაზრის ბოლოზე თეთრეულის ამარა ვიღაც გამოვარდა. ამ თეთრმა ლანდმა მთელ ბაზარს გადასძახა:

— ხალხო, გამოიხედეთ, ჩემმა ცოდვამ უწია მაღლაკელიძეს.

ყველამ იცნო ბელთაძის ხმა, იმ ბელთაძისა, რომლის ქალიშვილი სულ ორი დღის წინ ჭოკით მორევიდან ამოათრიეს. მთელმა სოფელმა იცოდა, რომ იგი ვამეხმა შეაცდინა და მერე კიდევ სასიყვარულოდ გატყუებული სულორში ჩაახრჩო. ყველამ იცოდა ეს და ახლა ამ დროს შურისძიების ცეცხლმა იფეთქა მათს გულში.

— მოკალი! — ისმოდა ყოველი დარაბიდან და ეზოდან.

მთელი დაბა იმას იძახდა და მოითხოვდა წითელიშვილისაგან სამაგიერო მიეზღო ერთობის კაცს სოფლის გამტიალებლისთვის.

შემობრუნებულმა ვამეხმა თავის სახლთან მიაღწია და ისევ წამოეწია წითელიშვილი.

— გეუბნები, ლაჩარო, თავი დაიცავი! — ისევ შეუყვირა სამსონმა. ვამეხი შემობრუნდა და, რაკი ეშორა მისი ლანდი, სატევარი სახეში ესროლა. წითელიშვილმა თავი გვერდზე გასწია. ფოლადი ძელქვას მოხვდა და ღრმად ჩაერჭო. წითელიშვილი ვეფხვივით მივარდა ვამეხს... ხმალმა მოქნევით გაიშხუილა ჰაერში და ვამეხის ტანმა ზღართანი მოიღო მიწაზე. ყველაფერი მიჩუმდა, მხოლოდ წითელიშვილის სუნთქვა ისმოდა ახლომახლო. ვამეხის ცოლი კივილით გამოვარდა ოდიდან, კალთაზე ნაშვილევი ბიჭი ჩაბღაუჭებოდა. იგი უაზროდ დაეჩერდა ქმრის უსიცოცხლო სხეულს.

— ჩემი ბრალი არ არის, ჩემო დაია, სოფლის შეჭმას არავინ შეარჩენდა, — წაილუღლუღა წითელიშვილმა.

ქალმა ერთი შეხედა, მერე ბავშვს მოეხვია და თავზე გადაეფარა.

— ნუ გეშინია, ქალო, მაგას ვინ ერჩის. ერთ დროს თვითონ მაგას შეეზიზღება მამობილის ნამოქმედარი, — წითელიშვილმა ხმალი ქარქაშში ჩააგო და დაბას გადასძახა:

— ხალხნო, კარები დააღეთ, მაღლაკელიძე სამტროდ ვერ შემოაღებს თქვენს ჭიშკარს.

ს ა ჩ უ ქ ა რ ი

მგზავრებმა ზეკარის უღელტეხილის გადასასვლელად ცხენები დაიქირავეს.

ცხენების პატრონი, ნერგეეთელი გლეხი, რომელსაც სახელად ივანეს ეძახოდნენ, ამ ხელობით იყო განთქმული: აბასთუმნიდან ბაღდადამდე დაჰყავდა მგზავრები. აღებული ფულით ოჯახს არჩენდა და ცხენებსაც ინახავდა.

შავგვრემანი კაცი იყო. რომ გაიცინებდა, თეთრი კბილები საოცარ იერს აძლევდა მის სახეს. ჯან-ღონით სავსე კაცს მეჯოგეები პატივისცემით ეპყრობოდნენ, სულგუნს, ყველს და ხორცს არ აკლებდნენ და თვითონაც ბევრ რამეს ავალებდნენ მუდამ გზაზე მოსიარულე ივანეს.

მას უთვალავი მგზავრი გადაუყვანია ამ გზაზე, მაგრამ არავის ისე არ გაუკვირვებია, როგორც დღევანდელ მუშტრებს.

ისინი საოცარ ინტერესს იჩენდნენ ყველაფრისადმი: ხეს ტანს უსინჯავდნენ, ნაყოფს შეათვალიერებდნენ. ქვა რა არის, ქვასაც ხელს შეახებდნენ.

ცხენებზე შეჯდომის დროს ხომ მთელი ჟრიამული ასტეხეს.

— არ ჩამოვარდე, კარგად დაჯექი უნაგირზე, — ეძახოდა სიცილით ცოლს ალექსეი მაქსიმეს ძე.

ივანეს ყველაზე ძალიან ეს თმებგადაყრილი და მაღალი ახალგაზრდა კაცი მოსწონდა. რომ გეკითხა რატომო, ვერ გე-

ტყოდა, მაგრამ გლეხის გამოცდილმა თვალმა ადვილად შეამჩნია ის, რაც მას სხვა ადამიანებში არასდროს შეუმჩნევია.— ეს კაცი სულ სხვანაირიაო, — ფიქრობდა იგი.

— ნუ გეშინია, მე არ ჩამოვვარდები, — სიცილითვე პასუხობდა ეკატერინე პავლეს ასული.

მესამე კაცი კი არავის ყურადღებას არ აქცევდა. იგი გულმოდგინედ ალაგებდა ბარგს ხურჯინში. ხურჯინს თავი კი მოუკრა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, თუ როგორ გადაეკიდნა უნაგირზე. ასეთი რამ მას, როგორც სჩანდა, თავის დღეში არ ენახა. ივანეს კი ახლა მისთვის არ ეცალა. იგი გზის პირად ამოქოჩრილ ბალახს ნამგლით სხეპდა და ცხენებს უყრიდა.

ალექსეი მაქსიმეს ძეს არ გამოეპარა მსახიობ პიატნიცკის გაჭირვება; მას ხურჯინის ხან ერთი თვალი ჩამოუვარდებოდა და ხან მეორე, ვერ მოეხერხებინა მისი გაწონასწორება, თანაც რცხვენოდა დასახმარებლად ვინმესთვის დაეძახა.

— აბა, ძმობილო,—მიუბრუნდა იგი ცხენების პატრონს, — მივეხმაროთ ჩემს მეგობარს, თორემ დაიღუპა კაცი. ხომ ხედავ, თქვენებურ ხურჯინს თავი ვერ უნახა და ბოლო.

პიატნიცკიმ ჯერ ხმა არ ამოიღო, მას არ უნდოდა ქილიკაობის საგანი გამხდარიყო, მაგრამ როცა ეკატერინა პავლეს ასულის სიცილი გაისმა, მაშინ კი ვეღარ მოითმინა.

— თქვენ მაინც ნუღარ დამცინით, ეკატერინე პავლეს ასულო! — ალექსეიმ კი დამცინოს რამდენიც უნდა. მან ხომ მწერლობა ამ ქვეყანაში დაიწყო... ცხენზე ხურჯინის გადაკიდება კი არა, მისი მოქსოვაც უნდა იცოდეს.

— კარგი ერთი, — იღიმებოდა ისევ ალექსეი, — გული არ მოგივიდეს, მეგობარო! ეს კი, აი, ასე უნდა. ხომ ხედავ, უნაგირის უკანა ბორცვთან რომ თასმებია, სწორედ ამ თასმებით უნდა მიეკრას შენი ხურჯინი.

მან სწრაფად ასწია სავსე ხურჯინი და უნაგირის უკან მოაქცია. თასმები მოხერხებულად დაამარყუჟა, მოახვია და ისე გამოსკვნა, თითქოს თავის სიცოცხლეში მეტი არაფერი ეკეთებინოს.

პიატნიცკი დარცხვენილი შეჰყურებდა გორკის.

— საოცარი კაცი ხარ, ყველაფერზე ხელი მიგიწვდება,

ყველაფრის გაკეთება შეგიძლია, — ნელი ხმით ლაპარაკობდა პიატნიცკი.

— აბა, აბა, ნუ ბურდღუნებ, მეგობარო!—ხუმრობდა ისევ ალექსეი მაქსიმეს ძე, — მე როგორც ექსპედიციის ხელმძღვანელი, გიბრძანებთ ფეხს აუჩქაროთ. იცოდე, ახლა საქართველოს ულამაზეს ნაწილში შედიხარ. აბა, კატია, გაგვიძეხ წინ!

ივანე წინ მიდიოდა და ნელინელ ღიღინებდა.

თავქვე დაიწყო. ცხენები თავდაკიდებული მიდიოდნენ. ასეთ დროს მგზავრებს უჭირთ უნაგირზე ჯდომა, ამიტომ ფეხით სიარული არჩიეს.

— ახლა რა სოფელი შეგვხვდება პირველად?—ეკითხებოდა ივანეს ალექსეი მაქსიმეს ძე.

— პირველად ზეკარი, ბატონო!

— წყალი არ შეგვხვდება?

— აქედან მეორე სოფელში, ხანში, ისეთი კრიალა წყალია, ბატონო, თევზებს დაითვლით ფსკერზე.

— თევზი ბევრი იცის?

— უთვალავი.

— რა ჯიშის თევზია?

— კალმახი, ბატონო.

— ოჰო, ეს კი კარგია. მსხვილი თუ იზრდება?

— ალუბლის ხელა წინწკლებს იყრის ტანზე.

— კატია! — აღტაცებით შესძახა ალექსეი მაქსიმეს ძემ,— ვიჩქაროთ, კალმახი უნდა ვჭამოთ!

* * *

ხანისწყლის პირზე შეისვენეს. ეს ფსკერნათელი და ნაპირმოკირწყლული მდინარე საოცარი ძალით მოჰქროდა დაქანებული კლდეებიდან.

მთების ორწოხებში, მწვანე წიწვნარშუა თეთრად მოჩანდა თოვლი, სოფელ ხანში კი სიცხე უკვე მთელი თავისი სიძლიერით იგრძნობოდა.

მხოლოდ ხანისწყლის ზედაპირზე მქროლავი, მთებიდან გადმოქცეული მჩქეფარე სიო აცოცხლებდა გარემოს.

— რა საკვირველი ქვეყანაა საქართველო, — ფიქრობდა

ალექსეი, — ერთ სოფელში რომ სიცივეს იგრძნობ, მეორეში სიგრილე მოგენატრება.

ეკატერინეს და პიატნიცკის ფეხები მოლზე მოერთხათ. ივანე ნერგაძეს შოთი და შემწვარი ახალი ქათამი ქალაღაიას მოქარგულ ცხვირსახოცზედ გაეფინა.

— შეხედეთ, — უეცრად წამოიძახა ალექსეი მაქსიმეს ძემ.

ყველამ იქით გაიხედა. წყალში მებადური იდგა. შავი თმა შუბლს უფარავდა, ულვაში ახლად უბიბინებდა. ბალის კანისაგან დაწნულს სველ პატარა ჩანთაში, რომელიც გვერდზე ეკიდა, წვრილი კალმახები მახეში გაბმული ჩიტებივით ფართქალებდნენ.

მებადურმა მწვანე მოლზე კალათი გადმოაპირქვავა და თევზები მიწაზე დაყარა. ბალახების სიმწვანეს და მზის თვალისმომჭრელ სხივთა ფერებში თრთოდნენ და ხტოდნენ ტანდაჩითული კალმახები.

— დედა, რა ლამაზებია; ალექსეი, ამის ჭამა როგორ შეიძლება, — განცვიფრებით ამბობდა ეკატერინე პავლეს ასული. იგი ბავშვივით ლოყებაწითლებული დასცქეროდა თევზებს, რომლებიც საოცარი სისწრაფით ხტოდნენ ბალახზე.

— იცოდე, ალექსეი, ისინი მალე დაიხოცებიან, — განაგრძობდა ისევ ეკატერინე, — ცოდვა არიან...

ალექსეი მაქსიმეს ძე ამ სიტყვებმა ჩააფიქრა. იგი უცებ მოიღრუბლა და ნაღველჩამდგარი თვალებით უყურებდა თევზებს.

ისინი კი ისე ხტოდნენ, თითქოს იცოდნენ, რომ მათ ერთი ნაბიჯი აკლდათ სიკვდილამდე, თუ კი მწვანე მოლზე დარჩებოდნენ.

ალექსეი მაქსიმეს ძემ უცებ მებადურს შეხედა, ჯიბიდან თუმნიანი ამოიღო, გაკვირვებულ მეთევზეს ესროლა და თვითონ კი საოცარი სისწრაფით დაიწყო მოფათქუნე თევზების წყალში გადაყრა..

— მომეხმარე, კატია, შენი ჭირიმე, მომეხმარე, ჩქარა, თორემ დაიხოცებიან ეს საცოდავები, — ყვიროდა იგი. ცოლქმარი ცალ-ცალკე ისროდა აქაფებულ ხანის წყალში კალმახებს.

ორი წუთის შემდეგ არც ერთი თევზი აღარ ჩანდა ბალახებში.

— ოჰ, მოვრჩით, მგონია აღარც ერთი არ მოკვდეს, — ამოხვნეშით თქვა გორკიმ.—თქვენ რას ფიქრობთ, გადარჩებიან?— მიუბრუნდა იგი მეთევზეს. მებადურმა თუმნიანი ოთხად გაკეცა და ალექსეი მაქსიმეს ძეს გულჯიბეში ჩაუდო.

— ფულს როგორ ავიღებ, ბატონო! — წყნარად თქვა მან. შემდეგ კი გორკის თვალებში ჩახედა და აღელვებით ჰკითხა,— თქვენ პოეტი ბრძანდებით?

პიატნიცკიმ გაკვირვებით შეხედა მეთევზეს, მერე გორკი შეათვალიერა. ალექსეი მაქსიმეს ძე თითქოს ოდნავ შემკრთალი იყო.

— პოეტია, მწერალია, — იძახოდა სიხარულით აღფრთოვანებული პიატნიცკი.

ივანე ნერგაძემ გაბრწყინებული სახით ისე წამოიწია წინ, როგორც ეს გლეხებმა იციან, როცა მათ რაიმე დიდი და საჭირო კითხვა უნდა მისცენ პატივსაცემ ადამიანს.

— თქვენ, ბატონო, აკაკის იცნობთ, ჩვენს პოეტს?

გორკიმ შეხედა გლეხს და წყნარად თქვა:

— ვიცნობ, მაგრამ შორიდან...

მებადური უფრო წინ წამოიწია, ალბათ იფიქრა, ნერგაძის თქმას განმარტება სჭირდებაო.

— ხალხს, ბატონო, სიტყვა პოეტი და აკაკი ერთი და იგივედ მიაჩნიათ, — როგორც თქვენთან, რუსეთში — პუშკინი და პოეტი.

გორკიმ გრძელი წამწამები გაკვირვებისაგან დაახამხამა.

— მაშ ხალხს ძალიან ჰყვარებია იგი, — ჩუმად თქვა მან.

პიატნიცკი კიდევ უფრო გააკვირვა მებადურის მიერ პუშკინის ხსენებამ. მან დაკვირვებით ახედა მეთევზეს და ახლა შენიშნა, რომ ეს ბრგე ვაჟკაცი არ ჰგავდა ჩვეულებრივ გლეხს.

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — კრძალვანარევი კილოთი უთხრა მან ახლად ულვაშაშლილ ვაჟკაცს.

— მე, ბატონო, მესხი ვარ გვარად, ბაღდადიდან გახლავარ, ქუთაისში ვსწავლობ, მომავალ წელს დავამთავრებ გიმნაზიას.

* * *

ბაღდადში ეტლი იქირავეს და ისე გაიარეს აჯამეთის უსიერი ტყე, მდინარე რიონზე სანაოთი გავიდნენ და სადგურ „რიონის“ ზემოთ, დახლართულ ვიწრო შარაზე ეტლი ძლივსძლივობით აიყვანეს.

აღმართით შეშინებული პიატნიცკი ფიქრობდა: ალბათ მთები იწყება ისევო და უმწეოდ იყურებოდა.

როცა მოულოდნელად მუხნარს შუა სწორი და ლამაზი გზა დაინახა, გაეხარდა.

— საოცრებაა ეს ქვეყანა, — ამბობდა იგი, — სადაც მთა გგონია, იქ ბარია, სადაც არ ელი, იქ კიდევ მთები აიმართებიან წინ.

ალექსეი მაქსიმეს ძემ ეტლი გააჩერებინა, მის წინ რიონის დაბლობი მთელი თავისი დიდებულებით გადაიშალა.

ეს მხარბეჭიანი კაცი მოჯადოებულივით იდგა, ფართოდ გახელილი თვალებით უმზერდა ორ მთას შორის მოქცეულ დაბლობს, რომელიც აქედან იწყება და შემდეგ ნელინელ უცნაური ფრინველის ფრთასავით ნაირფერებით მოხატული იშლება შავი ზღვის ნაპირებამდე.

რიონის გაღმა მუხნარში შეფენილი ვარციხე მოჩანს, ზეშოთ კი, — მის შუბლზე მწვანე გვირგვინივით, ვენახებით სავსე ბაღდადი.

ვარციხის კალთებამდე ფასის მთიდან დაქანებული რიონი აქაფებული მღელვარებს. აქ კი აღმართზე რომ ვეღარ ასულა, მარჯვნივ შემობრუნებულა, დამდორებულა და ისე ნელა მიედინება, თითქოს მთებში ამდენი სირბილის შემდეგ აქ ისვენებდეს.

მწვანე ლაჟვარდებში აწვდილი მოჩანს გეგუთის ციხედარბაზის გუმბათჩატეხილი ნანგრევი. ერთ დროს, ალბათ, რიონი მისი კედლების ბალავრებს ეფრქვეოდა და რეცხდა. ახლა კი მისი კლდისფერი კედლებიდან რიონის ნაპირებამდე სიმინდის მწვანე, ჯერ კიდევ ტაროდაუყრელი ყანები ზღვასავით ღელავენ.

ალექსეი მაქსიმეს ძე გაჩუმებული, ფიქრში წასული იდგა.

— წავიდეთ, ბატონო. — დაარღვია სიჩუმე მეეტლემ.

გორკიმ ჯერ მეეტლეს შეხედა, მერე თანამგზავრებს და გაღიმებულმა თქვა:

— წავიდეთ, ძმაო, თორემ ამ სილამაზეს კაცი თვალს ვერ მოაშორებს. აქ ბუნება ძლიერი და ჯადოსნურია. მე პოეტი კაცი ვარ, მწერალი. თუ წერა მომინდა, საწერად აქვე მოვირთხავ ფეხს და შემდეგ მიწიდან ვერ ამაგლეჯთ, დაგაგვიანებთ.

მეეტლეს თვალები ისე გაუბრწყინდა, თითქოს შუალამისას მზისათვის შეეხედოს.

— პოეტი, მწერალი ბრძანდებით?!—გაიკვირვა მან და თან მტკიცედ განაგრძო: — აბა, აკაკის იცნობთ, ალბათ!

ალექსეი მაქსიმეს ძე მეეტლისკენ მთელი ტანით შემობრუნდა. მერე თანამგზავრებს ისევ შეხედა და ჩაფიქრებით თქვა:

— მართალი გვითხრა მესხმა, აქ ხალხს პოეტი და აკაკი ერთნაირ ცნებად გაუხდიათ.

* * *

ქართული გიმნაზიის მასწავლებელი იასონ ნიკოლაიშვილი ძოწინავე ინტელიგენტი და ქუთაისის საყვარელი კაცი იყო.

იმ საღამოს იასონი ბაღში ისვენებდა. უცებ რკინის მოაჯირს გადაღმა ქვაფენილზე ალიოშა ჯაფარიძე და კალისტრატე ჩიკვაიძე დაინახა. როგორც ეტყობოდა ქუთაისში განთქმული ვექილი კალისტრატე ჩიკვაიძე, ალიოშა ჯაფარიძეს რაღაც ამბავს. მისთვის დამახასიათებელი ენამახვილობით უყვებოდა.

ალიოშა იღიმებოდა.

ორივემ ერთ და იმავე დროს შენიშნეს იასონი და მისკენ გაემართნენ. ალიოშამ მხურვალედ ჩამოართვა ხელი იასონს და უთხრა:

— იასონ, გორკი ამჟამად ქუთაისშია, მსახიობი პიატნიცკი ახლავს. გიორგი ჩხაიძის სასტუმროში არიან ბინად. შევიაროთ მასთან.

იასონს ძლიერ გაეხარდა, მან ნელა წამოიწია და ალიოშას მკლავი მკლავში გაუყარა.

კალისტრატე სასამართლოსაკენ ჩქარი ნაბიჯით წავიდა. ნიკოლაიშვილმა და ჯაფარიძემ კი სასტუმროსაკენ გასწიეს.

* * *

... როცა გიორგი ჩხაიძემ ახალმოსულთა წიგნში ალექსეი პეშკოვის გვარი ჩასწერა და გორკი მიუწერა, იმ წუთშივე აკაკისთან აფრინა კაცი. აკაკი საჩხერეში აღმოჩნდა წასული. გიორგის ძალზე ეწყინა ეს ამბავი და ახლა, როცა იასონი და ალიოშა ჯაფარიძე დაინახა, სიხარულით ულვაში აუთამაშდა. იგი დარბაისლურად მიეგება მათ.

— ვიცი, რუსი მწერლის სანახავად მოხვიდოდით. ალიოშას ბრალია ალბათ იასონის ჩემთან სტუმრობა, — წყნარად წარმოთქვა ჩხაიძემ.

იასონ ნიკოლაიშვილი ცხოვრობდა სწორედ იქ, სადაც ახლა კიროვის ქუჩას ცხაკაიას ქუჩა უერთდება. ცნობილმა მასწავლებელმა და მწერალმა ახლად შეძენილ სახლში მიიწვია ძვირფასი სტუმრები.

კიბეზე შესული გორკი და მსახიობი პიატნიცკი დიასახლისს მხურვალედ ართმევდნენ ხელს.

ეკატერინე პავლეს ასული ქუთაისიდან რუსეთში დედასთან გაემგზავრა. იქ დატოვებული ბავშვის ავადმყოფობის შესახებ დეპეშა მიეღოთ და არ დააყოვნა. გორკიმ ნოვოროსიისკამდე გემით მიიყვანა, იქ მატარებელში ჩასვა და ნიჟნინოვგოროდისაკენ გააცილა. ალექსეი მაქსიმეს ძე, ქუთაისით მეტად დაინტერესებული, პიატნიცკისთან ერთად ისევ აქ დაბრუნდა. გელათი ინახულა, ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს გაეცნო და ახლა იასონს გულწრფელ მოპატიჟებაზე უარი არ უთხრა.

მასპინძელი მთელი გულით ემუდარებოდა სტუმრებს ისიამოვნეთო.

ალექსეი მაქსიმეს ძე ლადო მესხიშვილს ესაუბრებოდა. გორკი გაკვირვებული იყო ამ კაცის არა მარტო სილამაზით, არამედ მისი საუბრის კეთილხმოვანებითაც. ლადო უყვებოდა, თუ რა ძლიერი გავლენა მოახდინეს ქართველ მკითხველზე გორკის მოთხრობებმა, რომლებიც ამდენხანს პერიოდულ.

გამოცემებში ისტამბებოდა, ხოლო გასულ წელს ცალკე წიგნადაც იქნა გამოშვებული.

საუბრის დროს, ფართო გაშლილ შუბლზე დაცვენილი ხუჭუჭი თმები თავის გაქნევით გადაჰქონდა უკან და მაშინ კიდევ მეტად მიმზიდველი ხდებოდა მესხიშვილი.

— ნეტავი ჩვენი მეგობარი რატომ არ ჩამოვიდა, — გაკვირვებით ჰკითხა ლადოს დიასახლისმა.

— ვის ელით კიდევ?! — იკითხა პიატნიცკიმ.

— ჩვენს აკაკის, დღეს უნდა ჩამოვიდეს, დეპეშა გავუგზავნე, იგი თქვენი პატივისმცემელია, — მიუბრუნდა გორკის იასონი, — თუ ავად არ არის, აუცილებლად ჩამოვა.

თითქოს ამას ელოდაო, კარები გაიღო და აკაკი გამოჩნდა. მისი ვეება ბეჭები. კარებში გაეჩხირა. აკაკიმ თვალები გორკის მიაპყრო და ჩვეული დარბაისლობით თქვა:

— ჩვენი ქალაქის უსაყვარლეს სტუმარს, დიდი ხალხის ბრწყინვალე მწერალს სიცოცხლე და ბედნიერება!

გორკი გაოცებული ისმენდა აკაკის სიტყვას. უკვე მოხუცებულობაში ფეხშებიჯებული აკაკი თავისი სილამაზით მნახველს ისევ აჯადოებდა.

გორკი წამოდგა და მღელვარე ნაბიჯებით წავიდა აკაკისაკენ.

თითქმის ორივე ერთი სიმაღლის აღმოჩნდნენ. ორივემ ერთ დროს გასწიეს მკლავები და ისე ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი, თითქოს გაშორებას არც კი ფიქრობდნენ.

აკაკიმ მიიყვანა გორკი სავარძელთან და წყნარადვე განაგრძო:

— საქართველოს უხარია თქვენი სტუმრობა. ჩემი სამშობლო თქვენს ნიჭს დიდ პატივს სცემს. თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხართ და ჩვენ გვწამს, რომ კიდევ ბევრს შემატებთ თქვენს ისედაც მდიდარ მწერლობას!

ალექსეი მაქსიმეს ძემ თვალები შეანათა აკაკის და თქვა:

—იცოცხლეთ, აკაკი, თქვენზე იმდენი რამ გავიგონე თქვენს ხალხში, რომ ბედნიერი ბრძანდებით. მიგულეთ თქვენს ახალგაზრდა მეგობრად.

აკაკიმ სიტყვა არ დაასრულებინა, ისევ მოეხვია და სავარ-

ძელში ჩასვა. ყველანი დალაგდნენ. აკაკი და გორკი ერთიმეორის გვერდით ისხდნენ.

იასონმა ზარნიშმოვლებული ჯიხვის რქა მოითხოვა. მეუღლემ მიაწოდა.

— ამ სასმისით ჩემს ოჯახში განსაკუთრებული ხასიათის სადღეგრძელოები ისმება. ამჟამად მე მინდა დიდი რუსი ხალხის სადღეგრძელო დავლიო. ლომონოსოვის, პუშკინის და ტოლსტოის ქვეყანა, ლერმონტოვის და ნეკრასოვის მშობელი მიწა ახლოს დგას ჩემს პატარა ქვეყანასთან. მისი კულტურით იზრდება არა მარტო რუსი ხალხი, ჩემს სამშობლოსაც ეს კულტურა თაობებს უზრდის. ალექსეი მაქსიმეს ძევ! ადამიანთა დიდი მომავლის შექმნის საქმეში რუსეთის ხალხს ბრწყინვალე და საშვილიშვილო საქმე აქვს დაკისრებული. ჩვენ გვწამს, რომ იგი ამ დიად საქმეს შეასრულებს. ამას ამტკიცებს თქვენი კალმის სიძლიერე. გაუმარჯოს რუს ხალხს, რომელიც ასეთ შვილებს ზრდის.

ახლა აკაკის ჯერი იყო. იგი ამბობდა:

— ჩვენი პატარა ერი რუსეთის დიდ ხალხთან ასეული წლების მანძილზე დამოყვრებულა და ნათესავი გამხდარა. გახსოვთ პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე? იგი სიმამრი იყო დიდი რუსი მწერლის გრიბოედოვისა. ეს ბრწყინვალე მწერალი ხომ სამშობლო მიწის კეთილდღეობისთვის ბრძოლაში დაეცა. ჩემმა ერმა მისი სიკვდილი საკუთარი შვილის სიკვდილივით იგლოვა. ქართველმა ხალხმა იგი თავის მიწაში დაასაფლავა. ჩვენ იგი გვიყვარს. დაე, ჩვენმა შვილებმა ეს სიყვარული და წმინდა კავშირი უფრო განამტკიცონ.

გორკი მიუბრუნდა სუფრაზე მსხდომთ:

— საქართველო, მეგობრებო, ჩემი შემოქმედების აკვანია, იგი ჩემი მეორე სამშობლოა ამ ვრცელ მიწაზე. მისმა ჯადოსნურმა ბუნებამ არა ერთ მწერალზე მოახდინა გავლენა და კალამი ააღებინა. იცოცხლოს რუსმა ხალხმა, იცოცხლოს ქართველმა ერმა, გაგიმარჯოთ.

უკანასკნელი სიტყვა მან ქართულად თქვა.

ტაშმა იგრიალა.

სწორედ ამ დროს სუფრას იასონის მეუღლე მიუახლოვ-

და. მან ალექსეი მაქსიმეს ძეს აბრეშუმის ნაქარგ ნაჭერში გახვეული საჩუქარი გადასცა და წყნარად თქვა:

— იცოდეთ, დიდო მწერალო, რომ ამ შეკვრაში, სხვა ნივთებს შორის, ქართული თავსაკრავი და ლეჩაქია. იგი ყველაზე საყვარელი სამკაულია ქართველი ქალისა. მე გთხოვთ იგი გადასცეთ ეკატერინე პავლეს ასულს, როგორც ქართველი ქალების პატივისცემა მისდამი — რუსი ქალისადმი.

მას ხმა ოდნავ უკანკალებდა მღელვარებისაგან. საჩუქარი გადასცა გორკის და წყნარად გაბრუნდა, ქმრის გვერდით დადგა.

ყველანი ტაშით შეხვდნენ ამ შესანიშნავ საჩუქარს.

პ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა

კარგა გათენებული იყო, როცა თბილისის მატარებელი სვირის სადგურში შევიდა. ვინც ამ პატარა სადგურზე ყოფილა, მან იცის მუხების ის მეტად ლამაზი ხეივანი, რომელიც ასე ამშვენებს სადგურს.

ხეივანში ჩავედი და მუხის ძირას ჩამოვჯექი. ჩემს წინ შევნიშნე ქალალდების კონა. აბრეშუმის ძაფი კოხტად იყო შემოჭერილი მრგვალად გახვეულ მოგრძო ფურცლებზე. დავინტერესდი და რადგან ახლოს ვერავინ დავიგულე, გარდა შორს, ხეივანში მოსეირნე რამდენიმე ქალ-ვაჟისა, გულისფანცქალით გავხსენი ნაპოვნი. გარდა სუფთად ნაწერი ქალალდებისა, შიგ ვერაფერი ვიპოვნე. ნაწერმა კი ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მინდა ეს ნაწერი არ დაიკარგოს. ამიტომ გადავწყვიტე დასტამბვა. დაე, მკითხველებმა თქვან თავიანთი აზრი ამ სტრიქონების შესახებ.

* * *

ჩემი ცხოვრება მოგზაურობაში გავატარე. ამ სტრიქონების წერის დროს ჩინეთში მოვხვდი.

ათას ცხრაას ათი წელი იყო.

კულულებდაწნული ჩინელი გოგონა ხელგოგორა ეტლით მიასეირნებდა ბატონის ქალიშვილებს. იგი ოფლის ცხელ წვეთებს შიშველი მხრებით იმშრალებდა, მაგრამ ისე კი,

რომ ეტლი არ დაეყენებინა. ალბათ ეშინოდა, ახალგაზრდა ქალბატონები არ შეეწუხებინა უადგილო შეჩერებით.

ეტლში მსხდომნი ბრინჯისაგან გაკეთებულ ტკბილ ნამცხვრებს შეექცეოდნენ. ჩინელი გოგონა კი ალბათ მშიერი იყო.

ხანდახან ის თითქოს რაღაცას გაიფიქრებდა. გეგონებოდათ, აი, ახლა გააჩერებს ეტლს, შეისვენებს, შვებით ამოისუნთქავსო, მაგრამ უცებ ისევ ახალი ჯანით გასწევდა ეტლს და ქლოშინით მიათრევდა მათ, რომლებიც დედამიწაზე ისევე დედისშობილა მოვიდნენ, როგორც ეს პატარა გოგონა.

აღმართზე გოგონას ფეხები აერია, სული შეუგუბდა, ორი ნაბიჯი კიდევ და... აქლოშინდა. პირი თავისთავად გაეღო და ჩაიკეცა.

ახალგაზრდა ქალბატონები გაანჩხლდნენ.

პალმის ტოტი რაღაცნაირი სიველურით დაუშინეს გოგონას... შიშველი ბეჭის კანი გასკდა და ყვითელ ნაოფლარ ტანზე სისხლი თავისებური ბზინვით წამოვიდა... გაჩნდა წითელი წვრილი ხაზი იარიდან და გაგრძელდა ხერხემლის მიმართულებით.

გოგონას შევხედე...

მისი სახე ბორბლებშუა მოჩანდა.

— მშია, — იძახდა გოგონა.

მან იარაზე ხელი მოისვა და პატარა, ლამაზი თითები სისხლით გაითხიპნა. გასისხლული ხელი ჩამავალ მზეს მიუშვირა და ნელი ხმით ჩაიჩურჩულა:

— ვინ მიშველის მე, საწყალსა და ობოლს?..

II

1914 წელი. ომი დაიწყო.

ძალიან სუსტად ვიყავი.

სულ სამი დღის გამოსული ვიყავი საავადმყოფოდან. ტყვიამ ბეჭის ძვალი გამიტეხა. ექიმებმა არ აცალეს ჭრილობას მოშუშება და ისევ ხელჩართულ ბრძოლაში მიკრეს თავი.

პირველი შემოტევისთანავე ჩვენი ნაწილი გაანადგურეს. მეც ტყვედ წამიყვანეს.

ჯაგნარებზე და გორაკებზე გადავლით ჩაგვიყვანეს გერმანელებმა ერთ პატარა სოფელში.

ჩვენი სადგომის მახლობლად ერთი გერმანელი მოხუცი დედაკაცი ცხოვრობდა.

მეტად ლამაზი ეზო ჰქონდა, ვაშლისა და მსხლის ხეებით იყო სავსე. ეს შესანიშნავი მოხუცი განსაკუთრებული პატივისცემით მოგვეპყრო. ხან ვაშლებს გადმოგვიყრიდა, ხან მსხალს, ხან კიდევ ცივი წყლით გაგვივსებდა მათარებს.

ჩვენც ენას ვუჩლექდით ამ პატივსაცემ მოხუცს და ისიც დედასავით მზრუნველად გვივლიდა.

სამი თვე გავიდა. ოდნავ ავიდგით ენა. ვისწავლეთ ზოგიერთი სიტყვა. გავიგეთ, რომ ამ მოხუცს ერთადერთი შვილი ომში ჰყოლოდა. ახლად დანიშნული იყო თურმე მეზობელ ლამაზ გოგონაზე. ალბათ ომის წამომწყებთ ეს არ ჰქონდათ გათვალისწინებული და ამიტომ იყო, რომ ვაჟი საცოლეს მოაშორეს და დედა — ვაჟს.

წერილები დედაბერს თითქმის ყოველდღე მოდიოდა.

ეს არც გასაკვირია. არსად ადამიანს დედა ისე არ უყვარს და ახსოვს, როგორც გასაჭირის დროს. მით უმეტეს ომში.

ჩემს გვერდით ათეული ადამიანი დაცემულა... ისინი სიკვდილის უკანასკნელ წუთში დედის სახელს უსათუოდ დაიძახებდნენ. გუმან ასაღები აქ უფრო ის არის, რომ ამ დროს ეს სიტყვა მეტად მგრძნობიარეა და ყველა ერის შვილისათვის მისახვედრია.

მახსოვს, შეტევაზე გადავედით. დახოცილებს შორის ერთი მომაკვდავი უნგრელი ერია. ის საშინლად წვალობდა. ბრგე და ლამაზი ვაჟკაცი კბილებმოკუმული ებრძოდა სიკვდილს.

ყველანი შემოვეხვიეთ. უკანასკნელად შეირხა უნგრელი და რაღაც სიტყვა თქვა. გულზე იმ წუთში ქართული სიტყვა „დედა“ მომვარდა. შემდეგ ერთმა ოფიცერმა (დედით უნგრელმა) გადაგვითარგმნა, მართლაც დედას ეძახდა თურმე.

ასეთია ყოველი გაჭირვების ჟამს დედისადმი შვილის დამოკიდებულება. ამიტომ იყო, ალბათ, რომ ეს ჩვენი მოხუცი ქალი მზის ყოველ ამოსვლასთან ერთად შვილისგან წერილებს შეუწყვეტლივ ღებულობდა.

ერთ საღამოს ტყვეები ეზოში აქა-იქ ვისხედით. ყველანი დაღონებული გავცქეროდით იმ მხარეს, საიდანაც ხანგამოშვებით საშინელი დამაყრუებელი გრუხუნი მოისმოდა.

ეს ხმები მთელი სიძლიერით ტანში გვაზრიალებდა.

ყველანი თავისთვის ფიქრობდნენ.

ჩვენი ეზო კარგი მოქანდაკის ატელიეს ჰგავდა, ისე ვიყავით სხვადასხვა პოზებში გახევებულნი.

ასეთ განწყობილებაში ვიყავით, როცა მოისმა ნელი და შწუხარე ქვითინი. ხმა დედაბრის ეზოდან მოდიოდა. ყველანი ღობეს მივცვივდით. მოხუცი ვაშლის ხეივანში ჩაკეცილიყო. ხელში ქაღალდი ეჭირა და ტიროდა.

იგი ქვითინებდა ერთადერთ დაკარგულ შვილზე. ეს ქვითინი ედებოდა ვაშლის ფოთლებს, მსხლის ხეივნებს და ისინიც შრიალებდნენ შებოლილ მთვარის ქვეშ.

.მოხუცი ტიროდა:

— ჩემი ძუძუები ტირიან, შვილო, აღარ მყავხარ შენ. ტირის დედის გულიც, ვეღარ ჩაეკვრები მას. საცოლეც გიტირებს, ჩემო ვაჟკაცო, როცა აღარ გიგულებს შენ. ვინ წამართვა შენი თავი, ჩემო ბიჭუნავ? ვინ დამღუპა? ვინ მომხედავს აწი საწყალს და უბედურ დედას? ვინ მიშველის?!

III

ომი დამთავრდა. ბერლინს მივაშურე, სულ ორი თვე ვცხოვრობდი ამ ქალაქში და იქ ნახულმა მთელი საუკუნე დამაწვინა ბეჭებზე.

ერთი მოქანდაკე გავიცანი. შესანიშნავი ყმაწვილი კაცი.

ლამაზი ღამე იყო. მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ.

ქუჩის ერთ პატარა შესახვევის კუთხეში ქანდაკების მთელი წყება იყო დალაგებული. ახალგაზრდა ყმაწვილი გამვლელებს ხელში აჩეჩებდა თავის ნაშრომს. ერთ მათგანს დავხედე და განვცვიფრდი. ჩემს წინ ნამდვილი ხელოვანის ნაკეთები ჩანდა.

გერმანელი ჯარისკაცი მიწაზე გართხმული ეგდო, მუზარადი შუბის წვერით შუაზე გაჩეხილიყო. შუბლიდან სისხლი

სდიოდა. სისხლი თითქოს ცოცხალი იყო და ფეთქდა, ტუჩები წყურვილისაგან გაფიცხებოდა, წყალს თხოულობდა. იქვე იწვა დაჭრილი რუსი ჯარისკაცი. ბარძაყზე შარვალი გადახეოდა და ჭრილობიდან გადმოსულ შედედებულ სისხლში ხელი ჩავარდნოდა. მეორე ხელში მათარა ეჭირა და გერმანელ ჯარისკაცისაკენ მიიწევდა წყალის დასალევად. მოახლოებულ სიკვდილს თუ ერთნაირ წუხილს შეერთებინა ორივე.

საფულე გავხსენი და უკანასკნელ გროშს დავუწყე ძებნა. მოქანდაკემ ფული არ აიღო, ალბათ შემატყო, ტყვე რომ ვიყავი, უცხო ქვეყანაში შეხიზნული, მისი ნამუშევარი კი შემომთავაზა.

მის შემდეგ დავუმეგობრდი. მან გული გამიხსნა. სურვილი ჰქონდა ახალი რამ შეექმნა.

მასთან ერთად ახალგაზრდა მხატვრები მუშაობდნენ. ისინი მუშაობდნენ ახალის, კარგი და ბედნიერი მომავლის რწმენით.

ერთ საღამოს ის თავის ადგილზე ვერ ვნახე. მეორე დღეს სახლში მივაკითხე. გადმომცეს, დაეტუსაღებინათ... შევწუხდი. მიზეზი ვერ მითხრეს...

წამოსვლის წინა დღით ბარათი გადმომცეს. გავხსენი: — ჩვენ დაგვაპატიმრეს, — იწერებოდა მხატვარი, — არ მოწონთ ჩვენი ქანდაკებანი. ჩვენ ყველანი დავიხოცებით და უარს არ ვიტყვით იმაზე, რაც ჩვენ ჭეშმარიტებად მიგვაჩნია. ნეტა ვინ გაგვიგებს? ნეტავ ვინ გვიშველის?

IV

თებერვლის ამბების შემდეგ ივლისის დღეებში მოვხვდი რუსეთში. ერთ სოფელში აბობოქრებული გლეხები ვნახე. ფიწლებით, პურის სალეწი ჯოხებით მისეოდნენ სოფლის სამმართველოს. ისინი ხის ქერქისაგან მოქსოვილ ქალამნებს ამ შიშველ მიწაზე აბარტყუნებდნენ. ბეჭების რხევით დარბოდნენ სოფელში და ერთმანეთს უყიოდნენ ბრძოლის ხმებს.

— ჩვენ ჩამოვაგდეთ მეფე, — ამბობდა ერთი მათგანი, — მაგრამ მიწები ისევ სხვის ხელშია. ჩვენ ვამუშავებთ მას, პუ-

რი კი ისევ სხვას მიაქვს... მოგვეცით ის, რაც ჩვენ გვეკუთვნის.

მოულოდნელად გამოჩნდა ჯარისკაცთა გუნდი... მათმა მეთაურმა ორატორს დაუმიზნა. მკერდგასისხლული დაეცა იგი მიწაზე. შემოფანტულ გლეხებს თვალი მოავლო და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიყვირა:

— ვინ გვიშველის ჩვენ?!

V

იმავე წლის სექტემბრის თვეში პეტერბურგში ვცხოვრობდი. ხშირად დაღლილი და დაქანცული მივდიოდი სახლში. ჩემი დიასახლისი ყოველთვის მხიარული მხვდებოდა. მისმა ერთადერთმა ქალმა ახლახან დაამთავრა სასწავლებელი. ქალი მეტად გამრჯე და ლამაზიც იყო.

ჩვენ წინ, იმავე ეზოში, ცხოვრობდა ჩემთვის უცნობი ვაჟი. მთელი ღამეები ფანჯარაში. მოსჩანდა მისი შავხუჭუჭთმიანი თავი, წიგნს რომ ჩაყურებდა დაჟინებით. დილით ოდნავ დარცხვენით მისცემდა სალამს დიასახლისს და წავიდოდა.

ვინაობა ვიკითხე. დიასახლისმა მაცნობა, ქარხნის მუშა ყოფილიყო. შევამჩნიე, ქალსა და ვაჟს ერთმანეთი მოსწონდათ.

ერთ დილას, კარები რომ გავაღე, დიასახლისი მოწიწებით შემომეგება და მთხოვა — კვირას ქალ-ვაჟის ქორწილი მაქვს, დაგვესწარიო. სწორედ შაბათს საღამოს ჩვენს ეზოს პოლიცია დაესხა. პირდაპირ ვაჟს მიუხტნენ და თოფის კონდახების ცემით წაათრიეს სადღაც...

ორი დღის შემდეგ დიასახლისის ქალიშვილიც დაატუსაღეს, ორივ გადაასახლეს.

პირველად სამი წლის მანძილზე ვნახე დიასახლისი მტირალი, იგი არ ტიროდა მარტო ქალ-ვაჟს, იგი ტიროდა სამი ადამიანის გამწარებულ ცხოვრებას. მისი ხმა ახლაც მესმის ყურებში.

— როდის გვეშველება, ან ვინ გვიშველის ნეტავ?.. — იმდუღრებოდა ცხელ ცრემლებში ქალი.

VI

ასე იძახდნენ უფლებაწართმეულნი და დაჩაგრულნი ათასეული წლების მანძილზე.

— რა გვეშველება ჩვენ?! — კითხულობდნენ ისინი ყოველ გამწარების ჟამს.

— ვინ გვიხსნის ჩვენ?! — გასძახოდნენ ისინი საუკუნეებს და პირველ შემთხვევისთანავე გადიოდნენ ბრძოლის ველზე მჩაგვრელების წინააღმდეგ.

ასეული წლების ყოველი წუთი გასვრილია სისხლითა და ტალახით.

სწორედ ოქტომბრის ღამეს პეტერბურგში მოვხვდი. ვნახე, თუ როგორ ამოდიოდა მდინარე ნევის გრანიტით შემოფენილ ნაპირებიდან ხალხი და ერტყმოდა ზამთრის სასახლის აქამდის მიუკარებელ კედლებს.

ვაკვირდებოდი მათ და არც ერთი მათგანის სახეზე მწუხრის ნაჯი არ შემინიშნავს. ისინი ნათელი სახეებითა და ვაჟკაცური ხმამაღალი ძახილით მოითხოვდნენ მთავრობის დანებებას... სასახლე დაეცა...

აი, ამ ბრძოლებში შევნიშნე სწორედ ისინი, ვინც საუკუნეების მანძილზე იძახდნენ და მოითხოვდნენ შველას. ისინი სრულიად გამოცვლილიყვნენ. ახლა ისინი კი არ თხოულობდნენ მას, არამედ თვითონ განაგებდნენ თავის ბედს.

ვნახე ყვითელკანიანი ჩინელი გოგონა (შეიძლება თვითონ ის იყო). ავტოზე იჯდა და ხელში ეტლის უღლის მაგიერ დროშა ეჭირა. დროშა იგი სისხლისფერი იყო.

ვნახე გერმანელი დედაკაცი (თუმცა ის არ იყო, მაგრამ განა სულ ერთი არ არის?!), რომელიც ბრძოლებიდან დაბრუნებულ შვილს თვალ-წარბს უკოცნიდა. შვილი კი უყვებოდა გამარჯვების ეპიზოდებს.

ვიხილე ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენელნი, რომლებიც უშიშრად აქანდაკებდნენ და თხზავდნენ ჰეშმარიტებას.

ვნახე იგივე რუსი გლეხები: ფიწლებით, ნიჩბებითა და თოფებით ამდგარნი, შემდეგში თავისი თავის პატრონები, თუ როგორ მართავდნენ საკუთარ სოფელს.

ვნახე ყინულის ქვეყნიდან დაბრუნებული ორივე ქალ-ვაჟი. ისინი გაჭაღარავებულნი იყვნენ. დედა კი ძალზე მო-ხუცი. რაც ამდენ ხანს ბედნიერება მოაკლეს, ახლა ივსებოდნენ შესანიშნავი ცხოვრებით.

ვიხილე ყველა ისინი და ჭეშმარიტებას მეც მივაგენი ჩემი მოქანდაკეებივით.

დაე, იდიდოს ოქტომბრის ბრწყინვალე მზემ, რომელმაც საუკუნოებრივად ტანჯული ადამიანები შრომისა და ბედნიე-რების კვარცხლბეკზე აიყვანა.

დიდება იმ გმირებს, რომლებმაც ნევის ბურუსიან ნაპი-რებზე აღმართული დროშა სიმღერით მიიტანეს უკრაინის ვე-ლებში, ციმბირის ტაიგებში, კავკასიის კლდეკალთებში.

დიდება შენ, ჩემო მზეო, ჭეშმარიტება ნათელი თვალებით რომ დამანახვე!

ოქროსა და ვერცხლის მარცვლის ამბავი

თქმულება

მაღალი და ცივი მწვერვალები აქვს დიდ კავკასიონს. მის მუდმივ ყინულოვან ფერდობებზე მრავალი მდინარე იბადება. ისინი კამკამით ეშვებიან დაბლა, გზადაგზა ერთმანეთს უერთდებიან, ჯანსა და ღონეს იმატებენ და კლდენაპირებს ისე ასკდებიან, ცას და მიწას გრიალი გააქვს. ყველაზე მრავლად ისინი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე ჩამორბიან.

თითქმის ყველა მდინარე სუფთაა და კრიალა, მხოლოდ ორი მდინარე არის მღვრიე. ცხენისწყალი და რიონი.

ეს მეორე დიდი ქართული მდინარე მთელი წლის მანძილზე ღრუბლისფრად მოღელავს მაღლიდან, ზათქით და ხმაურით ასკდება პიტალო კლდეებს და კოლხეთის დაბლობში ეშვება. მისი ტალღები მძლავრია და უდეგარი, მისი ჩქერები ბობოქარია და საშიში.

რაჭა-ლეჩხუმიდან წამოსული მეტივეები სულმოუთქმელად ებრძვიან მის ტალღებს. ვაი მას, ვისაც თვალი სუსტი აქვს. რცხილისაგან დაწნული და დაგრეხილი ღვლეჭები, რომლებითაც ტივებია შეკრული, კლდეზე შენარცხების გამო სკდება, ტივები იშლება და ხის მორები მდინარეს შავი ზღვისაკენ მიაქვს. მხოლოდ გეგუთის და ვარციხის მინდვრებიდან დინჯდება რიონი. ამ მიდამოებიდან ტანგაშლილი მდინარე ქვემოთ მდორედ მიიზლაზნება. აქ უკვე აღარ ეშინიათ მეტი-

ვეებს. ახლა ერთი მათგანი მხართეძოზეც წამოწვება, დანაყრდება და წაიძინებს კიდეც. გეგუთის თუ ვარციხის ჭალებიდან ფოთამდე ცალი ორთაყვირით შეიძლება ტივის დაცურება. აქ, ორივე ნაპირზე წინათ გაუვალი ტყეები იყო. გაღმაც და გამოღმაც უხვად ხარობდა ხის სხვადასხვა ჯიში. ვარციხის, გეგუთის და საყულიის ახლომახლო ძელქვის, რცხილისა და მუხის ტანმაღალი ხეები სჭარბობდა, ორპირის, დაფნარის და ქვალონის მიდამოებში თხემლისა და ვერხვის აშოლტილი ტევრები იყო. უხსოვარი დროიდან ბეოლის ტკბილნაყოფიანი ხეებიც მრავლდებოდა ტყეებში. წყნარ ღამეში მდინარის ზედაპირი უფრო მდუმარე ხდებოდა. ჭალები თუ ტყეები ჩუმად და პირქუშად იყურებოდნენ. ხანდახან ჭავლები დაეყრებოდა რიონის ზედაპირს. უჩინარი წყაროები და ბინადარი თევზები სუნთქავენ მის ფსკერზე.

ეჰ, რა კარგია მაშინ რიონის ყურება. ასე გეჩვენებათ, თითქოს მის ფსკერზე თვალუნახველი მოხუცები ისხდნენ, ჩიბუხს აბოლებდნენ და კვამლის თეთრ რგოლებს რიონის ზედაპირს საკმეველსავით უკმევდნენ. ხანდახან წყნარი ჩქაფანი მოისმის, ეს ლოქოს ან ზუთხის მოქნეული ბოლო შეარხევს მის დამდორებულ ზედაპირს. ასეთ ღამეში მის უტეხ ჭალებს მაშინ ნავების ნიჩბის ხმა და მეთევზეთა შეძახილი თუ შეაღვიძებდა. ადიდების შემდეგ დარჩენილ ნოყოებში კობრი იცოდა. ადამჟამობიდან გაუჩეხავ ტევრებში შველი და ირემი, გარეული ფრინველები გუნდ-გუნდად დაფრინავდნენ მის ნაპირებზე.

ბევრი რამ იცოდა ამ მიდამოებმა, მაგრამ ერთი დიდზე დიდი უბედურებაც სჭირდა: პურის მოსავალი ცოტა იყო. ხალხი ფეტვით და ღომით იკვებებოდა.

შემოდგომაზე დათესილ პურს ადიდებული რიონი გაზაფხულზე წალეკავდა. თუ ადამიანი წლის ადრიან თბილ თვეებში ჩააგდებდა ხნულში ხორბლის მარცვალს, აპრილის თვეში ლამქერად მოვარდნილი აბობოქრებული მდინარე ისევ თავისას იზამდა. ხან კაცის სიმაღლე შლამს გადააფარებდა და ხან ქვა-ღორღით აავსებდა ყანებს. წვალობდა გლეხკაცი, არ იცოდა, რა მოემოქმედა. განა შეიძლებოდა უპუროდ ცხოვრება?!

თონეში გამომცხვარი თბილი პურის სუნი სანატრელი გამხდარიყო რიონის ჭალების ბინადარი ქართველი კაცისათვის. მდინარის მარჯვენა ნაპირზე, სადაც ადამიანის თვალის სინათლის მანძილზე ფართო ჭალებია გადაშლილი, დიდი ხნის წინათ ერთი ოჯახი ცხოვრობდა.

ქმარს ბეგთა ერქვა, ცოლს — ვარსკვლავისა. ქმარი თევზს იჭერდა, ცოლი ბაღ-ბოსტანს უვლიდა.

განთქმული მეთევზის მეუღლე ვარსკვლავისა ენით აუწერელი სილამაზისა ყოფილა.

თურმე ლორთქო ჭადარივით აშოლტილი ტანის ქალი იყო. მისი მრგვალი და პატარა მხრები ერთობ უხდებოდა მრგვალსავე, საკმაოდ ღონიერ თეძოებს. თმები ოქროსფერი და ხშირი ჰქონდა, თვალები — ისეთივე ლურჯი, როგორც იმ შორეული ზღვის ფერი, რომლის ნაპირებიდანაც მოიყვანა ბეგთამ ვარსკვლავისა. საოცარ ამბავს ჩურჩულებდნენ რიონჭალელები ვარსკვლავისაზე. ჯერ თუმცა თვალით არავის ენახა, მაგრამ სოფლად ნამდვილად სწამდათ, რომ მას ერთი ძუძუსთავი ოქროსი ჰქონდა, მეორე — ვერცხლისა. არავინ იცოდა, სად შეეყარა ბეგთა ასეთ ქალს?! ან კი საიდან გაიგებდნენ?! მეთევზე კაცი იყო ბეგთა და, როგორც ამბობდნენ, მისი შორსმსრბოლავი ნავის ძირი ქვეყნის ყველა ზღვაზე იყო ნაბორიალევი. მის ძროზე ძველი მეთევზეები უცხო ზღვების კენჭებს ცნობილობდნენ.

სიჭაბუკიდანვე წლობით იკარგებოდა რიონჭალელი მეთევზე.

სოფელში ხმა იყო დარხეული, მას შავი ზღვის გაღმა, დიდი ზღვების ქალაქ-ბოღაზებზე ყველგან ძმაკაცი და მასპინძელი ჰყოლია.

იმასაც დასძენდნენ, ხონთქარისა და იმპერატორების ზღვათუფროსები მისი ფიცნაჭამი მეგობრები არიანო... ასე იყო თუ ისე, ბეგთას სწორუპოვარი ქალი ჰყავდა.

სხვანაირი ვარსკვლავები იცის რიონჭალების ჩავერდოვანმა ცის გუმბათმა. ამ მობრდღიალე მნათობთაგან ზოგი დიდია და ზოგი პატარა. ზოგ მათგანს შვიდი მოლაპლაპე სხივი აქვს გაწვდილი სივრცეში, ზოგსაც თერთმეტი. ბევრი მათგანი ყოველღამ ერთი ადგილიდან გიცქერის, ზოგი ხან მოჩანს და

ხან არა. ღამით, როცა ჭალები კალიების გამაყრუებელი ხმებით ივსება, გეჩვენებათ, ვარსკვლავებიც ჭრიალებენ და ჭრუჭუნობენო. ბეგთაც სწორედ ვარსკვლავთა ამ ციალით იკვლევდა გზას უცხო ქვეყნებში.

სოფელს ყოველთვის დიდი ფიქრი და აზრი აქვს, და ამბობდნენ, ვარსკვლავისა მის მეუღლეს სწორედ ამიტომ შეარქვესო.

თუ კაცი უფრო ბეჯითად ყურს დაუგდებდა რიონის ჭალების მცხოვრებლებს, იმასაც გაიგონებდა, თითქოს ვარსკვლავისა ციური ქვეყნებიდან მოეყვანოს მის ქმარს.

„ჩვეულებრივს ქალს რა უგავს?! — ჩურჩულებდნენ სოფელში;—იგი იმ ვარსკვლავის ქალიშვილი ყოფილა, რომელსაც ერთი სხივი ოქროსი აქვს, მეორე — ვერცხლისა, ჰოდა, ვარსკვლავისას ძუძუსთავები ოქროსი და ვერცხლის გამოჰყოლია.“

სოფელმა კარგი ქალის სიყვარული იცის და ამიტომ სოფლის ვაჟკაცებს დღისა და ღამის ფიქრად გადაექცათ ვარსკვლავისას სახე და ტანი. შავწამწამებიანს ყელზე გიშრის კრიალოსანი ეკიდა, კაბის საყელო ოდნავ დაბალი ჰქონდა თურმე და მისი ყელ-კისერი ანთებული კელაპტარივით ღვრიდა სითბოსა და ელვარებას მთელ სოფელში. შენიშნა ზღვაგაღმელმა ქალმა, ახალგაზრდები რომ ეტრფოდნენ, მაგრამ აინუნში არ ჩააგდო, წარბიც არ შეიხარა. თავდაჭერილი ჩანდა; ცუდად არავის გაუღიმებდა. მისი თვალის შუქი ქმრის მკლავებს იქით ჩრდილით იყო დაბურული. ბეგთას სახის იქით ღამე ეგულებოდა, ეგეც რომ არა, ვაგლახად ვინ შეუბედავდა ბეგთას მეუღლეს ავი თვალით შეხედვას?!

დრო გადიოდა. ცხოვრობდნენ პატიოსანი შრომით. ხვალინდელი დღის ჭირსა და სიხარულს მომზადებული ხვდებოდნენ.

ერთ დღეს ვარსკვლავისამ იგრძნო ის, რასაც ყოველი დედა ბავშვის პირველი განძრევის დროს გრძნობს. ცას სინათლე მოემატა, მის ტანს კი სიმხურვალე. სახეალანძული მოეხვია იგი ქმარს და ეს სანატრელი ამბავი აცნობა.

ვარსკვლავისას ტყუპი ქალ-ვაჟი დაებადა.

ორი აკვანი დაიდგა სახლში. ერთი ვერცხლისფერი იყო,

მეორე — ოქროსი. ვარსკვლავისაც პატარა სამფეხა სკამს ჩაიდგამდა შუაში და ერთს ერთ ძუძუს აწოვებდა, მეორეს — მეორე ძუძუს, ერთი ხელით ერთ აკვანს არწევდა, მეორეთი — მეორეს. მეზობლებმა ახლა საკუთარი თვალით დაინახეს გაგონილი. ზღვაგადაღმელ ქალს ძუძუსთავები მართლაც ოქროსფერი და ვერცხლისფერი ჰქონდა.

ჭალებიდან ისმოდა ბულბულების სტვენა და კაკბების კაკანი. ხოხბები ეზოში დაფრინავდნენ, მერცხლები აივნის თავზე ბუდობდნენ. ეზოს გადაღმა, უტეხ ჭალებში, ირმები და შვლები ფრუტუნებდნენ.

დღითი დღე იზრდებოდნენ ბავშვები. რიონის ტალღების დუდუნში, ტევრების შრიალში და ათასგვარ ფრინველთა ჟღურტულში მათი სხეული და აზრი თანდათან მწიფდებოდა.

* * *

წინაღამით რიონის ჭალებში ქარიშხალი დატრიალდა: ღომისა და მჭადის ყანები ისე მიაწვინა, მოსამკელად აღარ ვარგოდა. ნაპირზე მიბმული ნავები დაწყვიტა. ზოგი სად მიაყარა და ზოგი კიდევ შავი ზღვისაკენ გაიტაცა. დილით გასავათებული მეთევზეები მდორე ადგილებში გაფაციცებით ეძებდნენ წუხანდელ დანაკარგს.

ბეგთას კი მთელი ღამე ყურიც არ გაუბერტყია. თავთხელ ფშანებში შეფარებული მისი ნავები კაუჭა ბოძებზე იყო მიბმული. იცოდა განთქმულმა მეთევზემ, როგორ მოევლო თავისი სარჩო-საბადებლისათვის...

— აბა, ჩემო თვალო, — ეტყოდა იგი მეუღლეს, — მკლავის სისხო ყაჭი დაგრიხე, არ გაწყდება, თორემ წყალს მინდობილი კაცი სიცოცხლესაც წყალს თან გაატანს!

ვარსკვლავისაც დაუზარებლად გრეხდა ყაჭის თეთრ შულოებს და ქმარს სურვილს უსრულებდა. ამის შემდეგ ბეგთა თავისი ხელით სინჯავდა აბრეშუმის ბაწრებს. ორფად ამარყუჟებდა და ნავის ქიმებს გამოუსკვნიდა ხოლმე.

— აი, შენი ჭირიმე, ვარსკვლავისა, რიონი ამირანის წყარო-ფესვიდან ამოჩხრიალებს თურმე, თვითონაც ამირანის ძალისაა, მასთან ხუმრობა არ გამოდგება. — ვარსკვლავისას ქმრის ხუმრობაზე ვარდი გადაეყრებოდა სახეზე. იცოდა ცოლმა, მუდამ ჩუმი კაცი მასთან იჩემებდა ენაწყლიანობას.

იმ დილით გათენებას ერთი ძილისპირი უკლდა, როცა ბეგთამ ნავები ახსნა და პალიასტომისაკენ ჩაიქროლა.

წუხანდელი ღრუბლები აღარსად ჩანდა, სუფთა ლურჯი ცა ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. დილას ნიავი ქროდა და მდინარეებში ნავის ძირის ქვემოთ ვარსკვლავები ისე კანკალებდნენ, თითქოს ზემოდან ცას ვიღაცის უხილავი ხელი არხევდა. მეორე ნავზე ბეგთას თავისი ბიჭი ეჯდა.

შვილი თან დაყავდა ბეგთას, არ იშორებდა.

ჩვიდმეტი წლის შალვა მამას ეჯიბრებოდა მენავეობაში. ამ დილასაც ფეხმორთხმით დამჯდარიყო ნავის ბოლოზე და ნიჩბებს გამოცდილი ვაჟკაცივით უსვამდა.

— მამი, შეხედე, რამხელა ფრინველი ზის ეგერ იმ ტირიფზე!

— ტირიფი კი არა, თხმელაა, შვილო, ხომ ხედავ, ფართო ფოთოლი აქვს. — ეშმაკურად იღიმებოდა ბეგთა.

— არა, ტირიფია, მამა. ახლავე დაგიმტკიცებ. — სანამ ბეგთა რაიმეს მოიფიქრებდა, შალვას ნავი ისარივით მიცურავდა ნაპირისაკენ. ფრინველს ხელის აქნევით ააფრენდა, ნავიდანვე ჩამოტეხდა ტოტს, მამის ნავს ისევე წამოეწეოდა და ნოტანილს გადაუწვდიდა.

— აი, შეხედე, მამიკო, ხომ ტირიფია, ხომ კარგი თვალი მქონია?!

მამა ეშმაკობას არ დაიმჩნევდა და თავისთვის ჩაიბუზღუნებდა:

— კარგი, შვილო, კარგი, ღმერთმა მისი სინათლე გაგიმახვილოს.

ასე თამაშ-თამაშით მისრიალებდნენ ნავები დანიშნულ ადგილამდე. ნაპირებზე გალმა-გამოღმა ისევ ღამე იყო. მხოლოდ რიონის ზედაპირი ლაპლაპებდა. ეს ალბათ დღიური ცისგან მოცემულ სინათლეს რიონის გასარკული ზედაპირი ახლა უკან უბრუნებდა ქვეყანას. რამდენად უფრო ნათლდებოდა ცის გუმბათი, იმდენად ვერცხლის ფერს იღებდა მდინარე. მალე ფშანებიდან ფრინველთა ხმებმა იმატეს. ტევრებში ცხოველთა ფრუტუნი მოისმა და ცოტა ხნის შემდეგ კავკასიონიდან მზის სხივებმაც გადმოიხედეს. რიონი ვარციხიდან, ვიდრე შავ ზღვამდე, ამ დროს ვერცხლისწყლის მდი-

ნარეს ჰგავდა. ასეთ დროს ყოველთვის ვერცხლისფერი ნისლი რომ ეხვია თავზე. წინაღამით დაგებულ ანკესებს დილამდე ამოუარა ბეგთამ. ზოგი ცარიელი დახვდა, ზოგს კიდევ ღლაპურტები ამოხსნა. ერთმა ანკესმა ისე ძლიერ დაქაჩა, მკლავებმა ლაწალუწი დაუწყო.

— აბა, 'მალვა, — დაუყვირა ბეგთამ შვილს, — ნავით მომეშველე!

შალვამ ნავი იმწამსვე წისქვილის ქვასავით ადგილზე შეძოაბრუხა და მამისაკენ წამოვიდა. შეხედა ბიჭმა: ბაწრის დაქაჩავებისაგან ბეგთას შუბლის ძარღვები წურბლებივით დაბერვოდა, გაშავებოდა. მან თავისი ნავი სწრაფად გამოაბა მამის ნავს და თვითონაც მასთან გადაჯდა. ახლა ორივენი ჩააფრინდნენ ბაწარს.

— დიდი ღლავია, ბინადარი ღლავი. — ჩაუჩურჩულა მამამ შვილს.

— რა იცი, შეიძლება სხვა რამე მოედო ანკესს! — არ დაიჯერა შვილმა.

— არა, ასე ძლიერად მხოლოდ მან იცის ჭიდილი, ნელ-ნელა უნდა გავიტყუოთ ნაპირისაკენ...

ბიჭს მამისაგანვე ჰქონდა გაგონილი, რომ ბინადარი ღლავი ძალიან იშვიათად მოეკიდებოდა ანკესს და ამიტომ, ეტყობოდა, მაინც არ დაიჯერა მამის ნათქვამი.

— აკი ამბობენ, ადგილის ლოქო ანკესს არ ეკიდებაო.

— ათასში ერთხელ ტყუვდება, ეს მაშინ, როცა ძალზე მშიერია და ანკესის თევზი ახლო დაუწყებს ფართხალს.

შვილმა ნელინელ გააცურა ნავი ნაპირისაკენ, ბეგთა ხან მიუშვებდა ანკესს და ხან მოკლედ აიკაფავდა ხელში ბაწარს. როგორც იქნა, წყლის კიდეზე გააღწიეს.

ბაწარი ნელ-ნელა დაიმოკლეს. თევზი ახლა უფრო თვინიერად მოჰყვებოდა ყაჭის გამწელავ ბაწარს. ცოტა ხნის შემდეგ წყლის ზედაპირზე ვეება თავი გამოჩნდა.

— აბა, სწრაფად წალდი მომაწოდე! — დაუყვირა მამამ შვილს. თვითონ იქვე მდგომ ტირიფს შემოახვია ბაწარი და მერე მისი ბოლო შალვას მიაწოდა.

ნელინელ წყალში წელამდე შეტოპა ბეგთამ. თევზის ვეება შავი თავი ნავის გადაბრუნებულ ძირს რომ მოჰგავდა

ისევ წყლის ზედაპირზე ქანაობდა. მიხვდა ბეგთა, მთელი ღამე ებრძოლა თევზს და ახლა ძალზე გასავათებული იყო. იგი ნელა მიეპარა მას და თავში მთელი ძალით დაჰკრა გაალ-ძასებული წალდი. მეტს ვეღარაფერს შეხედა შვილმა. მოუ-ლოდნელად წყლის უზარმაზარი ტალღა სვეტივით ავარდა ცაში. შალვამ ხელებში კარგად იგრძნო, თევზმა ისე გაიწია, ტირიფმა თრთოლა დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაწყ-ნარდა რიონის ზედაპირი. შალვამ შეხედა, მამამისი ტალღას შორს გადაეგდო და ახლა ცურვით მოიწევდა ნაპირისაკენ. მდინარე სისხლით იყო შეფერილი. მიხვდა ბიჭი, ეს თევზის ჭრილობიდან იყო. მალე ორივემ ნახევრად მკვდარი ღლავი წყლის ნაპირას გამოათრიეს.

შვიდი წყრთა გადაზომა ბეგთამ თევზის თავიდან ბო-ლომდე.

— ორ კოდ ღომს ვიყიდი ამის საფასურით და დედა-შვილს კარგ საკაბეებსაც ჩამოვუტან! — სიამაყით თქვა წყლის ტალღებით გალუმპულმა ბეგთამ.

დილით ისევ ბადეები დააყარეს წყალს და თევზით სავ-სე ორი ნავი შავი ზღვისაკენ გააქროლეს.

ვეება ღლავმა მთელი ნავსადგური გააკვირვა. ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდა ხალხი მის სანახავად. ბეგთამ ახალგაზრ-დების დახმარებით თევზი მაღლა, ვერხვის ტოტზე ბაწრით გადმოკიდა, ათასი ჯურის ადამიანი მოაწყდა მეთევზეს. ევა-ჭრებოდნენ, ვერ რიგდებოდნენ, ქოთქოთებდნენ.

ნავსადგურში შორეული თეთრი გემი იდგა. კარგად ჩაცმული ახალგაზრდა გოგონა კისკისით გადმოვიდა გემის ხიდიდან და ხალხისაკენ წამოვიდა. მისმა უდარდელმა სიცილ-მა ყველას ყურადღება მიიპყრო. მამა-შვილს ეწყინა, ხალხის ყურადღებამ რომ გადაინაცვლა და თვითონაც ქალისაკენ შებრუნდნენ.

ორივე გაშეშდა. გოგონა შუაზე გახეული ფოთოლივით ვარსკვლავისას ჰგავდა. არა, მარტო ვარსკვლავისას კი არა, ცაბუსაც ჰგავდა, შალვას ტყუპს, ბეგთას ქალიშვილს.

როცა გოგონამ რაღაც ჩაიჟღურტულა, მამა-შვილს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ხმაც დედისა და დის იყო.

შალვამ უნებლიეთ თვალებზე მოისვა ხელი, ბიჭს ჯერ

ეგონა მომელანდაო, როცა თვალი გაახილა, გოგონა უკვე ვერხვის წინ იდგა და თევზს ათვალიერებდა. სქელი თაფლისფერი თმა ბეჭებზე ეყარა, წარბ-წამწამიდან დიდრონი ლურჯი თვალები უკამკამებდა.

— ჰაუ, — გაიკვირვა გოგონამ და ღლავს ბოლოზე ხელი მოუცაცუნა. შლამივით სქელმა ქონმა ლამაზი თითები გაუტლიზა. ეს კი უცხო ქალიშვილს არ მოეწონა. იგი სხარტად შემობრუნდა, ცვრიან ბალახზე ხელი გაუსვა, ქონი მაინც ვერ მოიშორა. შალვამ თავისი ახალუხის კალთა გაუწოდა.

— შეიმშრალე, — წყნარად უთხრა მან. — სველი ბალახი თევზის ქონს ვერ მოაცილებს.

უცხო გოგონამ პირდაპირ შეხედა ვაჟს.

— ეს თქვენ დაიჭირეთ?! — ღიმილით ჰკითხა მას და ახალუხზე თითების წმენდა დაიწყო.

— მამაჩემმა და მე ერთად ვინადირეთ, — სიამაყით მიუგო ბიჭმა, — ბევრი კი გვეომა, მაგრამ მაინც ამოვათრიეთ.

სადღაც შორს, ზღვის ჰორიზონტზე, ნავები გამოჩნდა. მეთევზეების ძახილი ნაპირამდე აღწევდა. ეტყობა, გოგონას ეგონა ისინი შალვას ამხანაგები იყვნენ:

— იმათაც იმნაირი თევზები მოჰყავთ? — კვლავ ღიმილით იკითხა ქალიშვილმა.

შალვამ ჰორიზონტისაკენ გაიხედა, კარგა ხანს უცქირა და ისევ ქალიშვილს მიუბრუნდა.

— ვინ იცის, მაგრამ ასეთ ღლავს ისინი ვერ დაიჭერენ. ეს მდინარის თევზია, სხვა გემო აქვს, შეუდარებლივ გემრიელია.

— მდინარის თევზია?! — უფრო გაიოცა გოგონამ, — არა, ეს ტყუილია, მდინარეში ასეთი თევზი სად იცხოვრებს.

შალვას სიწითლემ გადაკრა სახეზე.

— ტყუილი რა საკადრისია, ჩვენთან ტყუილს ქალებიც არ ამბობენ.

გოგონას თვალები აუბრიალდა. ეტყობოდა, ეწყინა ვაჟის ნათქვამი.

— ჩვენთან კი, პირიქით, ვაჟებიც არ ამბობენ ტყუილს. — წამოსცდა გოგონას უცებ. ბეგთა ამასობაში ხმას არ იღებდა. იგი გულდასმით უსმენდა ქალ-ვაჟის საუბარს.

უკანასკნელმა პაექრობამ სიცილი მოჰგვარა.

— აი, აი, უკვე ჩხუბი დაიწყეთ, მე მეგონა ერთმანეთს მოეფერებოდით, დამეგობრდებოდით, თბილ სიტყვას ეტყოდით.

უცხო ქალიშვილი მკვირცხლად შემობრუნდა მისკენ და დააცქერდა მას.

— თქვენ მამა ხართ? ეს თევზი მართლა მდინარისაა?!

— სწორედ ისევე, როგორც ეს ბიჭი ჩემი შვილია.

გოგონა გაჩუმდა, ტუჩები მოეკუმა, დაიჯერა ნათქვამი, მერმე შალვასკენ შებრუნდა და თითქოს თავისთვის თქვა:

— არ მეგონა, ასე დიდი თევზი მდინარეში თუ დაეტეოდა. თქვენ მართალი ყოფილხართ.

გემზე ზარი ჩამოკრეს. უცხო ქალიშვილი შეკრთა.

— მე უნდა წავიდე, მშვიდობით. — მან თავისი პატარა ხელები მოჩქარებით ჩაუდო შალვას ხელებში.

— მიდიხართ?! — შეეკითხა ბეგთა.

— მამობილს ვაცილებ. უცხო ქვეყნებში მიდის სავაჭროდ.

— სადაური ხარ, შვილო?

— არ ვიცი. აი, იმ კაცმა გამზარდა.

გემის ცხვირზე ფართო წვერულვაშიანი კაცი გადმოდგა. მისი მდიდრული ტანსაცმელი მზის სხივების ქვეშ ბზინავდა და ბრჭყვიალებდა.

— მზია, სად დამეკარგე, გოგო? — მოისმა მისი ხმა.

გაიგონა თუ არა ეს ძახილი, მზია სირბილით გაექანა გემისაკენ.

ბეგთა და შალვა ნაპირიდან შესცქეროდნენ, თუ როგორ ეამბორა მზია მამობილს და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

მამობილი შემოტრიალდა და დაჟინებით დააცქერდა მეთევზეებს, მერე ხიდზე შედგა და მათკენ წამოვიდა.

— გამარჯობათ! — დინჯად მიესალმა იგი ბეგთას და შალვას. ორივემ პატივისცემით დახარა თავი.

— კარგი ნადავლით ჩამოსულხართ. — დაუკვირდა მოსული თევზს, — რიონის ბინადარია?

— დიახ, ქვალონს ზემოთ მოვიხილეთ, ბატონო ჩემო. — დინჯადვე უპასუხა ბეგთამ.

— რას აფასებთ?

— რასაც ინებებთ, რასაც თქვენი სინდისი გეტყვით, — ახლა მამის მაგივრად თქვა შვილმა.

ბეგთამ შვილს არაფერი უთხრა. ვაჭარი კაცი კი ღიმმორევით დააცქერდა შალვას.

— რა გქვია, ვაჟკაცო, სიტყვა-პასუხი კარგი გქონია, ვაჭრობის ენა გცოდნია.

— ვაჭარი პირველად თქვენ გნახათ, ბატონო, — გაიცინა ბეგთამ.

— შალვა, ბატონო ჩემო! — სხარტად მიუგო მან.

მამობილის უკან მდგარი მზია ისევ გაოცებით უყურებდა შალვას.

— რა ლამაზი ყმაწვილი ხარ, — ამბობდნენ მისი თვალები, — შენნაირი მე არავინ მინახავს. თევზიც მიტომ ვიყიდე შენი ნანადირევი.

— ჯაბანი ბიჭი არა ვარ, მაგრამ შენ უკეთესი ხარ, — ამბობდა შალვას სახე.

— ჰა, აიღე, — გაუწოდა ვაჭარმა ბეგთას შავი პატარა ქისა. — შიგ საკმაო ვერცხლია. მომეწონე და, როცა დავბრუნდები, გინახულებთ. თევზი კი აი იმ სახლში მიიტანეთ. — (ზღვის პირას მდგარ დიდ ოდაზე მიუთითა). — მზია გაგიძღვებათ. აბა, შენ იცი, როგორ უდიასახლისებ სტუმრებს, — მიუბრუნდა იგი შვილობილს.

გემზე ისევ დარეკეს.. ვაჭარმა მამა-შვილს ხელი ჩამოართვა და კიბეზე ავიდა.

— აბა წავიდეთ, — მიუბრუნდა გემის წასვლის შემდეგ მზია შალვას. — ურემი მოვიყვანოთ.

ორივენი სახლისაკენ წავიდნენ. ბეგთამ სიყვარულით გააყოლა თვალი მიმავალ ქალ-ვაჟს.

ვარსკვლავისამ და ცაბუმ რომ ამ გოგოს შეხედონ, თავის თავი სარკის წინ ეგონებათ. ნეტავი ვარსკვლავისას ქვეყნიდან თუ არის?! ვინ იცის, — თვითონვე უპასუხა ბეგთამ თავის ნაფიქრალს, — შეიძლება ესეც ზღვის იმ ნაპირიდან არის მოყვანილი, საიდანაც მე ვარსკვლავისა გამოვიტაცე.

* * *

არა ერთხელ ჩაიტანეს თევზით სავსე ნავები ნავსადგურში მამამ და შვილმა. მზია ყოველთვის დანიშნულ ადგილზე ხვდებოდა შალვას.

— დედა და ცაბუ ხომ კარგად არიან, — შეხვედრისთანავე ეკითხებოდა მზია ჯერ კიდევ უნახავ სადედამთილოზე და მულზე.

— კარგად არიან, მოგიკითხეს, მოსაკითხიც გამოგიგზავნეს. — სუფთად გახვეულ ტკბილისკვერს და ჩურჩხელებს გადასცემდა მზიას და თან დაატანდა: — მამობილის რა ისმის?

— ვერაფერი ვერ გავიგეთ, რაღაც უბედურება უნდა იყოს ჩემს თავზე. — ნაღველით იტყოდა მზია.

მართლაც, ერთხელ მზია მათ შავებში ჩაცმული დახვდათ. მამობილის გემი აღელვებულ ზღვას ჩაენთქა პატრონთან ერთად.

დარჩა მზია მარტოდმარტო.

ბეგთამ გადაწყვიტა, სასძლო შინ წაეყვანა.

— გატყობთ, ერთმანეთი გიყვართ, — ეუბნებოდა ბეგთა დამორცხვებულ ქალ-ვაჟს. — ქორწილს გადაგიხდით, თქვენც გაბედნიერდებით და მეც გამაბედნიერებთ.

* * *

ცაბუს სილამაზეზე ლექსებს თხზავდნენ გამოღმა საყულიელი და ბაშელი ახალგაზრდები, წყალგაღმა ვარციხელი და საჩინოელი ვაჟკაცები. „დედის სილამაზეს მამის ეშხი და მარილი დაემატაო“, — ამბობდნენ სოფელში რიონჭალელები. თვითონ ცაბუ ჯერ კიდევ გულგრილად უყურებდა ახლად წვერ-ულვაშშლილ ყმაწვილებს. იმ დღეს ცაბუ ღომს ცეხვავდა ეზოს ბოლოში, წყლის საცეხველზე დროგამოშვებით მოისმოდა ქვის როფზე მძიმედ დაცემული, დაკუნძული ხის ბაგიბუგი. ჭიშკართან ცხენოსანი გაჩერდა. სტუმარს თეთრი დარაიის ჩაბალახი ისე მოეხვია, თითქოს ვინმეს სახეს უმალავდა.

— წყალი დამალევინე, ჩემო დაია, — მოესმა ხმა.

ცაბუმ ჭიდან ახალი წყალი ამოიღო და ნისკარტა დოქით მიართვა უცხო სტუმარს.

თეთრჩაბალახიანი ჩამოქვეითებას არც აპირებდა. დოქს ხელი მოჰკიდა და, პირთან რომ უნდა მიეტანა, თითქოს ქარი გადგომოდეს, ისე გაუშეშდა მკლავი.

— ვისი ხარ ასეთი ლამაზი! — უნებლიეთ აღმოხდა სტუმარს.

ცაბუს ლოყები მწიფე ბროწეულის კაკლისფერი გაუხდა.

— თუ ლამაზი ვარ, ჩემთვის ვარ, შენ რას გიშავებ. — წამოიძახა ქალიშვილმა.

— ვაი ჩემს თავს, კი არ მიშავებ, თვალი ამიხილე, ქალო!

ცაბუს წყენა დაეტყო.

— ჭკვიან კაცს ენამ წინ არ უნდა გაუსწროს.

— შენს შემხედავს ენა კი არა სულიც ამოძვრება, გენაცვალე!

ბეგთა და ვარსკვლავისა ბოსტანში მწვანილს მარგლიდნენ, ლაპარაკი რომ შემოესმათ, ალაგაზე გადმოაბიჯეს და წინ ეზოში გამოვიდნენ.

სტუმარმა შეხედა თუ არა ბეგთას, ფერი ეცვალა. სახეზე ჩაბალახი ჩამოეშალა.

— აჰუ, — აღმოხდა გულიდან ცხენოსანს, — ახლა მივხვდი, ვის ეზოში ჩაფლულა ჩემი ბედი. ცაბუ ყოფილხარ, ცაბუ!

ქალიშვილმა ბრიალა თვალები შეანათა სახეშიშველ ვაჟკაცს და მოულოდნელად გაყუჩდა, გაირინდა. ან როგორ არ გაყუჩდებოდა! მის წინ ულამაზესი ვაჟკაცი იდგა. წაბლისფერი ასირსვილებული ულვაში ტუჩ-კბილებამდე ჩამოშლოდა. ავარვარებულ ლოყებზე და შუბლზე ოფლი ცვარავდა.

— ავად ყოფილა, საწყალი, — გაიფიქრა ცაბუმ და შეეცოდა ვაჟკაცი.

— მობრძანდით, დაისვენეთ, — ჩაიჩურჩულა ახლა ქალიშვილმა.

ვაჟი მიხვდა ქალის მოთვინიერების მიზეზს.

— ავად ვარ, ცაბუ, სამი დღეა, სიბრძნის კბილმა ამომჭრა და გამათავა კაცი, დალაქთან მივდიოდი ამოსაღებად.

— სიცხე თუ გაქვს, დალაქი კბილს არ ამოგთხრის. — ახლა გულშემატკივრად უთხრა ცაბუმ.

ბეგთა ცოლთან ერთად მიუხალოვდა სტუმარს. არც

ვარსკვლავისა ენახა ალბათ ახალგაზრდას. იგი გააოცა ბეგთას მეუღლის სილამაზემ და დედა-შვილის საოცარმა მსგავსებამ.

— თქვენი სიცოცხლე, ბატონო ბეგთა.

— ეზოში შემოსული სტუმარი ცხენიდან როდი ამბობს, ყმაწვილო, გამარჯობას, — გაიღიმა ბეგთამ. — ძირს უნდა ჩამოხვიდე, პური უნდა გატეხო, მოიჩრდილო, ღვინო უნდა დალიო.

ვაჟმა დაიქვეითა. იგი თავდახრით მიესალმა მეთევზეს და მის მეუღლეს. მერე თვალი გამართა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: — ქალბატონო ვარსკვლავისა! გამეგონა, ღვთისმშობელს მხოლოდ ერთადერთი ვაჟი ჰყოლია, თუ ქალიშვილიც ჰყავდა, ეს კი აღარ ვიცოდი.

ბალახებში ციცრებმა დაიჭახჭახეს და ღობეზე გადაიფრინეს. შორიდან რიონის დუდუნი ისმოდა.

ბეგთა აუძღვა სახლში ახალგაზრდა სტუმარს.

— შენი სახელი გამეგონა, — ეუბნებოდა იგი კიბეზე ყმაწვილ კაცს, — ისე კი არ გიცნობდი.

* * *

იქ, სადაც მდინარე სულორი რიონს ჩაერთვის, გრძელი და ვიწრო ჭალებია გაშლილი. ღომის ყანები შრიალებდნენ ორ წყალშუა. დილიდან, ვიდრე დაღამებამდე გლეხების შეძახილები მოისმოდა ნიადაგ.

სოსო ნაფეტვარიძის ოჯახი სწორედ ამ ჭალის ნაპირზე იდგა. ახალგაზრდა გლეხი მთელ საჩინოში განთქმული მეურნე იყო. მისი ღომისა და მჭადის ყანები სხვის ყანებზე უფრო მძიმე თავთავს ისხამდა. მისი წყვილი წაბლისფერი ხარები, ორორწყრთიანი კერასხებივით მაღლა აწეული რქებით, სოფლის სიამაყე იყო. მისი ბედაური — მარულების პირველი ფალავანი — ახალგაზრდა ყმაწვილების სანატრელ ცხენად იყო მიჩნეული. როცა იგი ღომით დატვირთულ ჩელტიან ურემს კოფოზე დაუჯდებოდა და „ჰი — მოოს“ დასძახებდა ხარებს, სოფლის ულამაზესი ქალწულები მხოლოდ ერთ რამეს ნატრობდნენ: ნეტავი სოსოს ცოლობის ღირსი გაგვხადაო. ბეგთასავით აზატი გლეხი იყო სოსო.

ბშობლები ადრე დაეხოცა და ობოლმა ბიჭმა თავისი შრომით გაიკაფა ცხოვრების გზა. კოხტად ამოქობილი მისი ქალამანი თეთრი თასმით, თეთრ ღაზლის წინდებზე ამოსხმული, მნახველს თვალს გაუჩერებდა.

ხვნის დროსაც სხვა ეშხი ჰქონდა და მკის დროსაც.

ოცდაორი წლის ახალგაზრდას მეზობელი გლეხები რჩევა-დარიგებისათვის მიმართავდნენ. კავ-ურემსაც თვითონ თლიდა და ღობე-ჭიშკარსაც თავისი ხელით აკეთებდა. შქერის წნელისაგან მისი ნაქსოვი ღობე სხვა ღობე-ყორესაგან განსხვავდებოდა. მუდამ სუფთა ახალუხზე ხუთღარიანი ხანჯალი 'შავი ქარქაშით ლამაზად ეკიდა. ჭიდაობის დროს მისი გარეკაური მუხას მოტეხდა. ამიტომ ეამაყებოდათ სოფლის ახალგაზრდებს მასთან მეგობრობა. არა ერთი ქალიშვილი ოხრავდა ჩუმად მის შეხედვაზე. მართალია, სოსო ნაფეტვარიძე თავადაც ბევრს უღიმოდა, მაგრამ მისი გული ჯერ მართალი და ნამდვილი გრძნობით არ შერხეულიყო. და აი, მოვიდა მოსასვლელი. რაც მან ცაბუს თვალი დაადგა, ძილი წაერთვა, მოსვენება დაჰკარგა. დილით ეზოში გამოვიდოდა და ცაბუ ელანდებოდა. ეგონა ღობის წინ ჩარგულ ალვის ხეებს კიდევ ერთი მომატებოდა. ეს ალვის ხე ცაბუს ტანი ეგონა. ყვავილებს დახედავდა და ცაბუს ყელ-კისერი ეჩვენებოდა... ცას შეხედავდა და ეგონა — ისევ ცაბუს ლურჯ კამკამა თვალებს უყურებდა. ერთი რამ არ შესცვლია სოსოს: საქმეს უფრო დაუდო გული. დღენიადაგ შეუსვენებლივ შრომობდა და თავის გულში ყველაფერს ცაბუს სახელს არქმევდა. ერთ დღეს ვერ მოითმინა და ბედაურით ისევ ბეგთას ჭიშკარს შიადგა.

ამჟამად ალაყაფი თვითონ ძველმა მეთევზემ გაუღო. ქალის შამა გრძნობდა, როგორ დაეჯაბნა ქალიშვილის თვალწარბს სოსო, და გულში უხაროდა კიდეც. ბეგთას ეგონა, ნაფეტვარიძე მოკრძალებით შუაკაცებს მიუგზავნიდა, მაგრამ ამჯერად მოტყუვდა გამოცდილი მეთევზე.

ჯერ კიდევ ხის ქვეშ გრძელ სკამზე არ ჩამომჯდარიყვნენ, სოსომ სასიმამროს რომ თვალი თვალში გაუყარა.

— ბეგთა ბატონო, ბევრის მნახველი კაცი ბრძანდები და ნუ დამძრახავ, სათქმელი უნდა გითხრა.

ძველმა მეთევზემ გამომცდელი თვალებით ახედა ახალგაზრდას, ოდნავ ჩაფიქრდა და წყნარად უთხრა:

— სათქმელს დრო უნდა, ჩემო შვილო. დროს კიდევ არ ეჩქარება, სიდინჯე უყვარს.

ნაფეტვარიძე ოდნავ შეცბა, შეჩერდა, მაგრამ ეტყობოდა, გადასაწყვეტი გადაწყვიტა და ისევ თვალგამართულათვე უთხრა:

— პირდაპირ გეტყვი, ბეგთა, ჩემი სიცოცხლის ავ-კარგი შენს ხელთაა.

— მე რა შუაში ვარ, ბიჭო!

— შუაში შენი ცაბუა, მაგრამ მე შენი მოყვრობა მინდა და, ვისაც ქალი გულით უნდა, მამაც ახლობელ კაცად უნდა მიიჩნიოს. არ მინდა შენი გარდაუვალი ვქნა.

ბეგთამ თუმცა იცოდა, რას ეტყოდა სოსო, მაგრამ მაინც გაჩუმდა. ცოლის და ქალიშვილის გარეშე პასუხის მიცემა ძნელზე ძნელად მოეჩვენა მებადურს.

— იცი რა გითხრა! ცოლ-შვილს უნდა მოველაპარაკო! ქალს თუ არ უნდიხარ, ჩემო შვილო, სიცოცხლე სულ ჩრდილში მოგექცევა. ცაბუ უჭკუო გოგო არ არის, უნდა შევეკითხო.

ნაფეტვარიძე მოიღუშა, ზე წამოიჭრა, გაიარ-გამოიარა და ბეგთას წინ დაუდგა.

— კარგი, ასე იყოს. თუ მას არ ვუნდივარ, ისე ცხოვრება რაღად მიღირს, მხოლოდ ახლავე დაუძახე, ჩემი თანდასწრებით შეეკითხე.

ბეგთა მიუხვდა, სასიძო არ ენდობოდა. ისიც არ გამოეპარა, თავის ძალას რომ გრძნობდა ყმაწვილი, და ეშმაკურად გაიღიმა. მერე წამოდგა, მეუღლეს გასძახა:

— ვარსკვლავისა, ჰა, ვარსკვლავისა, ცაბუს დაუძახე და ერთი წუთით ორივენი ძირს ჩამოდით!

ნიგვზის ხის ჩრდილის ქვეშ ფერდაკარგული სოსო რომ დაინახა, ცაბუს გულმა რეჩხი უყო. „კიდევ ავად თუ არისო“, — გაიფიქრა ქალიშვილმა.

— აბა, გვერდზე მომიჯექი, ჩემო შვილო — მოელაპარაკა მამა და თან დაატანა: — შენ კი პირდაპირ დამიჯექ, ვარსკვლავისა, დიდი საქმე უნდა გადავწყვიტოთ.

ცაბუ ახლა უკვე მიხვდა სოსოს მოსვლის მიზეზს. იგი ჯერ შეჩერდა, შემდეგ სწრაფად მოტრიალდა და სირბილით გაიქცა სახლისაკენ.

— სად გაიქეცი, ვოგო, უშენოდ ეს საქმე არ გადაწყდება! — მიაძახა მამამ.

— დედა გეტყვის, დედა, — გადმოსძახა აივნიდან ცაბუმ და კარებში გაუჩინარდა.

— შენ რა იცი, ქალო! — შეეკითხა მეუღლეს ბეგთა.

ვარსკვლავისამ მხრები აიჩეჩა. იგი, ეტყობოდა, ვერაფერს მიმხვდარიყო.

— მაშ კარგი, თქვენ აქ ილაპარაკეთ, შენ უთხარი, შვილო, რაზედაც მოსულხარ, — მიუბრუნდა იგი სოსოს, — მე კი იმ გოგოს დავეთათბირები.

ბეგთამ მტკიცე ნაბიჯით გასწია აივნისაკენ.

რიონის გაშლილ ჭალებს ღამის ფრინველები დაჰყიოდნენ, როცა სოსო ნაფეტვარიძემ ბეგთას ჭიშკრიდან თავისი ცხენი გამოაგელვა.

ცაზე უთვალავი ვარსკვლავები კაშკაშებდნენ. სოსოს კი ეგონა ციდან მომავალი სხივები მის გულში ჩაბუგებულ ნათელს ვერ დაჯაბნიდა. ხუმრობა ხომ არ იყო: თავისი ყურით გაიგონა ცაბუს სიტყვები: „თუ ვინმე ქმრად მიწერია, ღმერთმა. სოსოს გარდა. სხვა ნურავინ მაფიქრებინოს!“

* * *

ორი ქორწილი ერთად გადაიხადა ბეგთას ოჯახმა. სამი დღე-ღამე რიონის ჭალების მცხოვრებლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ღვინის სმაში და ცეკვა-თამაშში. კავკასიონის ორ კალთებშუა გუგუნი გაქონდა იმერელი კაცივით ტკბილსა და საამო იმერულ სიმღერებს, ეზოში დანაკვერცხლებულ ცეცხლზე გოჭები და ბატკნები იწვებოდა. კეცებში სკდებოდა მწიფე ვარიების შებრაწული კანი, სუფრა ყველითა და კვერცხით გატენილი ცხელ-ცხელი ხაჭაპურებით ივსებოდა.

მეოთხე დღეს ლხინი მეზობლებში გადავიდა. ალიონზე გადასული მაყრები ულმობელად დასდევდნენ ქათმებს, იჭერდნენ, თავს აგდებინებდნენ და ახალ სუფრას შლიდნენ მოფუსფუსე ქალიშვილები.

მეაუთე დღეს მიწყნარდა ყოველივე. ბეგთას ოჯახს ორი ახალგაზრდა შეემატა. ცხოვრებაც თავისი გზით წავიდა.

ვარსკვლავისას ეგონა, ბედნიერება მხოლოდ ახლა შემოსულიყო მის ოჯახში. ორმოცი წლის ქალი კიდევ უფრო დამშვენდა და გალამაზდა. რძალი ქალიშვილში ვერ გაერჩია და სიძე თავის ვაჟს ეცილებოდა მის გულში დედაშვილურ სიყვარულს. ეზო-გარემო უფრო გასუფთავდა და გალამაზდა. ბოსტან-ვენახი უფრო უხვი მოსავლიანი გახდა. ყაჭ-აბრეშუმმა იმრავლა; ხეხილსაც მსხმოიარობა მოემატა. „თქვენ გენაცვალეთ, დილით ადრე არ ადგეთ, კარგად გამოშუშდითო". ისინი კი სიცილ-ტკრციალით დაუძვრებოდნენ საბნებიდან და ორი წუთის შემდეგ იწველებოდა ჯერ კიდევ საბალახოდ გაუდენელი ძროხა და თხები.

ორივე რძალ-მული ისე ჰგავდნენ ვარსკვლავისას, ორივე მისი შვილი გეგონებოდათ. სამივე ერთფერი მტრედებივით დაგოგავდანენ ეზო-გარემოში. მზია და ცაბუ ყოველთვის ჭიშკართან შეეგებებოდნენ სამუშაოდან მოსულ მამაკაცებს.

სანამ ისინი ეზოში ხელ-პირს იბანდნენ, ვარსკვლავისა ვახშამს აწყობდა ხის პატარა სუფრაზე.

პირველად ცხელ ღომში ბეგთა ჩაფლავდა ერთ კბილ ყველს, დოქიდან ღვინოს დაისხამდა და დაილოცებოდა. მერმე ყველანი შეუდგებოდნენ ვახშმობას.

* * *

ცუდი დღე ადგა მაშინ საქართველოს. ყოველმხრივ მტერი ესხმოდა. მოულოდნელად შემოსეოდნენ ჩვენს ჭალებსა და გორაკებს! ქალაქ-სოფლებს ააწიოკებდნენ, დაარბევდნენ, ოთხფეხს წალალავდნენ, ხალხს ამოხოცავდნენ, შერჩეულ ქალ-ვაჟს ტყვედ გარეკავდნენ. კოდში ღომის მარევალს ამოხვეტავდნენ, ხალმებში წათხეს ამოაშრობდნენ, ჭურ-მარანში მთხლესაც არ ტოვებდნენ. ქვეყანა გაძარცული და დამშეული იყო. ცოტა ხნით დასვენებული და სულმოთქმული მამული ისევ გაპარტახებული და გავერანებული რჩებოდა. მართალია, ცაზე ვარსკვლავები ისევ კიაფობდნენ, რიონიც ისევე წყნარად დუდუნებდა, მაგ-

რამ უკაცრიელი სოფლები თვალს არ ენახვებოდა. ხეხილი რა არის, მასაც კი ჩეხდნენ და იავარყოფდნენ. ხალხი შიმშილობდა, სათესლე მარცვალიც კი არ იშოვებოდა.

* * *

ერთ უბედურ დღეს ბეგთა მარტო წავიდა სათევზაოდ. ღომის ყანას თავთავები დამძიმებოდა, მარცვალი ცვიოდა და ოჯახი სამკელად გაგზავნა.

შვიდი დღე-ღამე ითევზავა, შვიდი სავსე ნავი ჩაიტანა ნავსადგურში და მუშტარიც მალე იშოვნა. საყიდელი იყიდა, საახალუხე და საკაბეები, საპონი და ფერუმარილიც კი წამოიღო ქალებისათვის. ისევ დღისული იყო, როცა მისი ნავი რიონხპალის ნაპირებს მოადგა.

გაუკვირდა მეთევზეს, რომ ახლომახლო არავინ შეხვდა. არც ცოლი შემოეგება და არც შვილები. ნავი ნელა მიაბა და სანაოს დაუკვირდა. ბორანის ქოხი ცეცხლისაგან დაფშუტულიყო, ნავები წყალს წააღო. ბეგთას ტანში გასცრა. სოფლის გზაზე ავიდა. არც ურმები ჩანდა, არც საქონლის ბღავილი ისმოდა. ჭალებისაკენ მიიხედა და სულ მოიშალა კაცი: ყანები გადამწვარი დახვდა და აქა-იქ ისევ ბოლავდა დანაცრებული თივის ზვინები. სოფლის მისასვლელთან ვიწრო გზა მიჰყვებოდა აღმართს. ამ ადგილს რიონჭალელები ხორხს ეძახდნენ. სანამ ამ გზას აივლიდა, მუხლი ეკვეთებოდა ბეგთას. ტრიალზე გავიდა და სოფელს გახედა. ყველაფერი გატიალებული ჩანდა. ადგილ-ადგილ ცამდე კვამლის სვეტები აღმართულიყვნენ. სახლები იწვებოდა, ვენახები და ბაღები აჩეხილი ჩანდა. ოთხფეხის ჩამიჩუმი არ ისმოდა. ჭიშკარი შეაღო. გაოცდა: ოდა თავის ადგილზე აღარ იდგა. ხულა და ბეღელი გადაყირავებული დახვდა. არც ვარსკვლავისა ჩანდა და არც შვილები.

— ვარსკვლავისა! — ამოიგმინა ბეგთამ და რატომღაც თავის ხმას თვითონვე დააყურა.

პასუხი არავინ გასცა.

დაცარიელებული და მოოხრებული ეზო უხმოდ უმზერდა თავის პატრონს. გარშემო მიმოიხედა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ხანგამოშვებით ეზოში ჩუმი შრიალით მხოლოდ ნია-

ვი გადაირბენდა. ვაშლისა და ატმის ხეები ნახანძრალ თეთრ ფერფლს დაეფარა. ახლა ამ ნელ-თბილ ფერფლს ნიავი აცლიდა და ყვავილთა მტვერივით აბრუნებდა ეზოში.

„სულ დავღუპულვარ კაცი, — გაიფიქრა ბეგთამ და ღობისკენ მიიწია. მეთევზემ სოსოს ხელით ახლად გაკეთებული ღობის ძირას რაღაცას თვალი ჰკრა. ახლოს მივიდა, ბალანგატრუსული ძაღლი ჯერ კიდევ სუნთქავდა, ვიღაცას წაბლის სარი ჩაეჩრა ხახაში და შიგ ჩაეტოვებინა. შიგნეული ჩაგვემილი ჰქონდა. აკანკალებული ხელი წაავლო სარს და მთელი ძალით გამოქაჩა. უცებ ძაღლი ცოცხალივით წამოდგა, სარს წამოჰყვა, პატრონისაკენ წამოვიდა. ბეგთამ კიდევ უფრო მაგრად მოუჭირა თითები სარს და მისკენ მოსწია. სარი ძაღლის ხახიდან როგორც დგუში ტუმბოდან, ისე ამოვარდა. გაისმა რაღაცნაირი ხმა... ძაღლმა მიწაზე ზღართანი მოადინა. მისი სხეული ახლა სასიკვდილოდ აძიგძიგდა. მეთევზეს თვალებში ელვამ გაჰკრა. იგი მიხვდა, რამდენი ეტანჯა ძაღლს. უცებ სარი ზევით ასწია, მოზომა, მერმე თვალები დახუჭა და სულთმობრძავ ცხოველს მთელი ძალით დასთხლიშა თავში. ძაღლი იმ წუთშივე მოკვდა. ბეგთამ სარი ზიზღით მიაგდო ღობის ძირში და სახლისაკენ წავიდა. სახლის დაფერფლილი საძირკველი აღარ ბოლავდა. ზემოდან მხოლოდ დამსხვრეული ჩაშავებული კრამიტები ეყარა, ყველაფერი მიწასთან იყო გასწორებული. ქვის კიბეღა დარჩენილიყო დაუნგრეველი.

„ბუხარი მაინც რამ დაარღვია, ის ხომ ყოველთვის ხელუხლებელი რჩება ამ დროს!“ — უნებლიეთ გაიკვირვა მან და კიბეს გადახედა. ხანძრის დროს ჩამონგრეული სახლის სახურავი კიბის საფეხურებს დასცემოდა და ზედ დამწვარიყო. სიცხისაგან გაშავებული ქვები დამსკდარიყო. „ამ საფეხურებით შევიდოდი ჩემს ოჯახში, ჩემს ბედნიერ ოჯახში, ახლა კი ყველაფერი გათავდა“, — სასოწარკვეთით ჩაიჩურჩულა მან და ქვაზე ჩამოჯდა.

ნიავს ჯერ კიდევ ფერფლი ვერ გადაეხვეტა. ბეგთა არეული დააკვირდა სიოშეხებულ ნაცეცხლარს. კრამიტებშუა საძირკვლები გარდიგარდმო ელაგა.

უცებ ბეგთას თვალი გაუშტერდა. კიბის უკან დამწვარი

საძირკვლების ზემოთ ორი კაცის ფერფლი შეამჩნია. თავის ქალას ძვლები თეთრად ჩანდა.

„ჩემი შალვასა და სოსოს ფერფლია!“ — გაუელვა ანაზდეულად. მუხლის კანკალით წამოდგა... ელდანაცემი ჩააწტერდა ორ დაფერფლილ ცხედარს.

„ახალუხების ამარა ყოფილან“...

აი ფოთლები, აბრეშუმის ახალუხებზე მიხატული ფოთლები. ახლა გაახსენდა ბეგთას: სიძემ და ცოლისძმამ ერთ დღეს იყიდეს ფოთლოვანი აბრეშუმის საახალუხეები და ერთ თერძს შეაკერინეს ქუთაისში. აგერ ქამრების დანახშირებული კვალი. იგი ნაცრისფერ ქობასავით შემოჰყოლოდათ წელზე. ახლა ისიც მოაგონდა ბეგთას. ამ ახალუხებს მხოლოდ უქმე დღეებზე იცვამდნენ ბიჭები.

„კვირა-დღე ყოფილა“. — ისევ გაუელვა ფიქრმა. დღეს უბედურების მესამე დღეა, დაასკვნა. ცოტა ხნის შემდეგ ქამრის ბალთებიც შენიშნა. ისინი ფერშეცვლილნი, მაგრამ თავთავის ადგილას ელაგნენ. ლითონის სიმძიმის გამო ფერფლი ჩაზნექილი მოჩანდა. თითქოს ახლა შეიგრძნოო, უცებ ბეგთას გარშემო ყველაფერი დატრიალდა.

„ვაი ჩემს მოსწრებას!“ — დაიბღავლა მან.

იგი ნელა დაიხარა და ფერფლს ხელი შეახო.

როცა წამოდგა, თითები შავი ფიფქით ჰქონდა გაშავებული.

ეზოსკენ ნაბიჯი რომ გადადგა, ცრემლები მაშინ წასკდა ბეგთას. მწუხარებაუჩვეე კაცს სახე ხელებში ჩაებღუჯა და ისე ტიროდა, თითქოს ვინმესი რცხვენოდა. გარშემო კი სიჩუმე იყო, ისევ არავინ ჩანდა.

საიდანღაც მამალმა დაიყივლა. ბეგთას შემაძრწუნებლად გააჟრჟოლა ტანში, როგორც მისი უბედურების პირველად შეგრძნობის დროს. შეშინდა კიდეც. მამლის ყივილმა სიცოცხლის არსებობა გაახსენა. თვალცრემლიანმა იქით მიიხედა.

მამალი ეზოს ბოლოზე იდგა და მას პირდაპირ უცქეროდა.

მიხედა ბეგთა, რომ ამ შუადღისას ადამიანის დანახვამ დააყივლა მამალი. „ეჰ, ალბათ ბევრი იყივლა მამალმა, მაგრამ ადამიანის გარეშე გათენება ვერ იგრძნო. მე რომ დამინახა, იფიქრა, ნამდვილად გათენდაო და იმიტომ დაიყივლა საწყალმა“.

* * *

ორი დღის შემდეგ ვარსკვლავისა, ცაბუ და მზია ერთად მოლასლასდნენ სახლში.

ჩამოხეულნი და დაკაწრულნი, სისხლგამშრალნი და დაყვითლებულნი სულ უცხო ადამიანებს ჰგავდნენ. არავინ იცოდა, ამ ოთხ-ხუთ დღეში რა გადახდა მათ. ბეგთა სიცხისაგან გათარანებული კიბის ქვაზე დახვდათ დაწოლილი.

მეთევზემ უაზრო თვალები მიაშტერა მოსულთ. ტუჩები გააცმაცუნა, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ კისერი მოიწყვიტა და ისევ ბურანს მიეცა.

ცაბუ სიტყვის უთქმელად მიუწვა მამას გვერდით. არც ის ამბობდა არაფერს. ბაგე გაფიცხებოდა, თმები აბურცოდა, საკინძე ჩამოგლეჯოდა. შიშველი სხეულიდან ადგილ-ადგილ სისხლის შეჰხმარი წვეთები მოჩანდა.

გაბეცებული მზია კი ხელმოხვევით მოჰყავდა ვარსკვლავისას.

„გამიშვით, შალვა იწვის, ჩემს შალვას თავი გაუტეხეს“,— ჩურჩულებდა თვალების ბრიალით მზია და სადღაც უაზროდ იწევდა. სახეგამშრალი ვარსკვლავისა მკლავში ჩაფრენოდა და ძლივს აკავებდა ჭკუაზე გადასულ რძალს.

* * *

ლოგინიდან პირველად მაინც ბეგთა წამოდგა. ცოლისთვის არაფერი არ უკითხავს, არც ვარსკვლავისა მოჰყოლია თავისი უბედურების ამბავს. ბეგთა აღარ ჰგავდა წინანდელ ბეგთას, მობრილი ბეჭები უძიგძიგებდა, თმა ერთბაშად გაუთეთრდა, თვალებში კირწლი ჩაუდგა. ყოველი ათი ნაბიჯის შემდეგ გული უჩერდებოდა. ჯოხდაბჯენილმა კაცმა ერთ დღეს სანაომდე ძლივს მიაღწია. ნავები აღარ დახვდა. ერთი ნიჩაბი იპოვნა ნაპირზე მიგდებული. შეატყო, მისი მოსმა გაუჭირდებოდა. დიდხანს უყურა ძველმა მეთევზემ მდინარეს, დიდხანს, და მერმე ისევ უკან გამობრუნდა.

— რაღა ვქნათ, თვალო? — შეეკითხა იგი ვარსკვლავისას. — საჭმელი ხომ უნდა ამ ქალებს, რა ვაჭამოთ?!

ვარსკვლავისა მიხვდა, ბეგთა თევზაობაზე უარს ამბობდა. იგი

წყნარად მიაჩერდა ქმარს, თითქოს პირველად უყურებსო, ისე დააკვირდა და მერმე მაინც გულისგასამაგრებელი სიტყვა უთხრა:

— ღომს დავთესავთ, მჭადს მოვიყვანთ, მინდვრის მხალს ხომ ვიმოვით, შე კაცო!

— სათესლეც რომ არ დაუტოვებიათ, სად გავაჩინოთ მიწაში ჩასაგდები მარცვალი?!

მეთევზის ცოლი მიხვდა, ქმარი მართალს ამბობდა. მან თვალები უიმედოდ მიაპყრო ეზო-გარემოს.

— რაღაცა გაჩნდება, კაცო, იკითხოს დაღუპულმა ჩემმა შვილებმა, თორემ ჩვენ რა გვიჭირს. ცოცხლად დარჩენილი ადამიანი საშველს ყოველთვის მონახავს.

საშველი კი არსად ჩანდა.

ვარსკვლავისა გარეული მხალით კვებავდა ავადმყოფებს. ხან კაკალს ჩამობერტყავდა ხანძრისაგან გადარჩენილ ხეებზე და ხან პანტა ვაშლს მოიტანდა კალთით. პური, ღომი და მჭადი არსად იშოვებოდა. ერთ დღეს ბეგთამ სადღაც მიწა ვაშლს მიაგნო და ერთი ჩოხის კალთა მიიტანა სახლში.

ვარსკვლავისას თავისი სამშობლო გააჯსენდა. მოაგონდა ქალიშვილობა, მისი ქვეყანა, სადაც მიწა ვაშლის მსგავს ნაყოფს ხარშავდნენ. მისი გემო ახლაც პირიდან არ შორდებოდა ზღვაგაღმელ ქალს.

მთელი ღამე არ დაეძინა. გათენების ჟამს წასთვლიმა. საოცარი სიზმარი ნახა. თავის ქვეყანაში იყო. დატაროვებული ყანები ტევრივით შრიალებდა. თითო ღეროზე ბეგთას მკლავის სისხო სამი-ოთხი ტარო აწვდილიყო. ფოჩების ნაცვლად ულვაშები გადმოჰკიდებოდათ სწორედ ისევე დაგრეხილი, როგორც ეს ბეგთას ჰქონდა ახალგაზრდობაში. მხოლოდ ფერი აღარ ჰქონდა შავი, ხან მისი თმებივით ოქროსფრად ელვარებდნენ, ხან ბეგთასავე შეთეთრებული, გამოხუნებული ულვაშის ღერების ფერს დაიკრავდნენ.

ყანის კენწეროებიდან ყვავილთა მტვრის ნაცვლად ვარსკვლავებივით ჩინჩხლები სცვიოდა და ზევით ცისკენ მისრიალებდნენ. უამრავ ვარსკვლავთა სრბოლაში შალვა და სოსიკოს სახეები გამოჩნდენ. ამ ციურ სხივოსან ციალში ისინი ფოთლოვანი აბრეშუმის ახალუხებში ისე დაცურავდნენ,

თითქოს ფრთები ესხათ. ხელში ტაროები შიშველი სატევრებივით ეჭირათ. ყანის კენწეროებიდან ამოცვენილ მნათ ჩინჩხლებს ხვეტდნენ და აიძულებდნენ მათ ტაროებში ჩამძვრალიყვნენ.

— მალე დამწიფდება, დედი, ყანები, — ღიმილით ამბობდა შალვა.

— სულ მალე, — აგრძელებდა სოსო ცოლის ძმის ნათქვამს, — სულ მალე. ცაბუს აღარ მოშივდება მაშინ. ბეგთასაც ჯანი ჩაუდგება ტანში.

— შიმშილით ვიბოცებით, — უნებლიეთ აღმოხდა წუხილი ვარსკვლავისას.

— ნუ შიშობ, დედი. ეს ყანები ჩვენია, ხომ ხედავ, რამდენ სხივოსან ვარსკვლავებს ვიჭერთ და ტაროებში ვაბუდებთ, თითო ვარსკვლავი თითო მარცვალია. სულ მალე დამწიფდებიან ისინი, თქვენც დაპურდებით და ხარ-კამეჩიც დასუქდება. მზია არ მომიშიოთ, ჩემი მზია, — ეუბნებოდა შალვა ვარსკვლავისას.

— რამ გადაგრია, შვილო, — ეწყინა ვარსკვლავისას, — ფეხმძიმე ქალს როგორ მოვაშიებ, ოღონდ რაიმე გვეშველოს, ოღონდ ყანები დამწიფდეს.

აკანკალებულ დედას გულშეწუხებული გამოეღვიძა. სახლში ღამე, უსახო ღამე იდგა. გარეთ რიონი ისევ ნელა დუდუნებდა.

მეორე ლოგინზე მზია ბორგავდა.

„ვაიმე, მშობიარობამ თუ მოაღწიაო", — გაიფიქრა მან და რძალს თავსასთუმალთან მიუჯდა.

დილით მზიამ ბორგვას უმატა. ტკივილებს ხმა ააყოლა, ჯერ ისევ უაზროდ მოჰყვა ბოდვას, მერმე კივილს აუმაღლა და მზის ამოსვლასთან ერთად ბეგთას ოჯახს შვილიშვილი შეეძინა.

პატარა ბიჭის ხმამ ბეგთაც ფეხზე წამოაყენა.

ცაბუ ცრემლმორეული დატრიალებდა რძალს თავზე. მისი გავარვარებული მკლავები ხელში ეკავა. დაბურდულ თმებს თაესაფრით უკრავდა. გატანჯული მზიას კივილი ეზოგარემოს ედებოდა. მშობიარობის შემდეგ გასავათებული ქალი დაწყნარდა. ძილი მოეკიდა. ეს პირველი შემთხვევა

იყო იმ უბედური დღის შემდეგ. ძილის დროს სახე დაუამდა. ლოყები აუვარდისფერდა.

ბეგთამ გაოცებით შეხედა ცოლსა და ქალიშვილს.

„იქნებ გვეშველოსო“, თავისთვის ჩაილაპარაკა მეთევზემ. მთელი დღე იძინა მზიამ და საღამოს, როცა გამოიღვიძა, ძუძუებზე მოისვა ხელი, რძით სავსე მკერდი ხელში დაუმ-ძიმდა.

ვარსკვლავისამ ბავშვი მიუწვინა რძალს.

ჩვილმა სიხარბით გაიწია დედის მკერდისაკენ.

მზიამ უნებლიეთ წაივლო მკერდზე ხელი და ბავშვს ძუძუსკვირტი პირთან მიუხალოვა.

მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა.

ბავშვი და დედა გაინაბენ. ცოტა ხნის შემდეგ ჩვილმა ძუძუ გადაინაცვლა, ხოლო კიდევ პატარა ხნის შემდეგ მზიას ცრემლები წასკდა.

ეს იყო პირველი ცრემლი ოთხი თვის უაზრო ბოდვების შემდეგ. მამამთილმა თვალებში ჩახედა რძალს და ძიხვდა, რომ მშობიარობამ განაწამებ მზიას აზრი და გონება დაუ-ბრუნა.

* * *

გაზაფხული მოახლოვდა. გამთბარი, გაღუღუნებული მიწა თესლმარცვალს ითხოვდა.

აჩეხილი ტევრები ჯერ კიდევ ძალას სუსტად იკრებდნენ, მერმე ერთბაშად სივილით მიაფრქვიეს მწვანე რტოები ლურ-ჯი ცის გუმბათს. ამღვრეული რიონი კალაპოტში არ ეტეოდა, ნაპირებს ასკდებოდა და შლამით ფარავდა საყანე მიწებს.

ბეგთა ჩაღამებული თვალებით გასცქეროდა გარემოს. ხანდახან ეჩვენებოდა კობრების და ღლავების ბოლოების ტყლაშუნი. არც ნავი ჰყავდა ძველ მეთევზეს და არც ბადის გადასროლა შეეძლო. რა უნდა ექნა?!

მიწის მოხვნა უნდოდა. თესლმარცვალი კი არსად იყო. იჯდა ჯოხით ხელში და დილიდან საღამომდე გასცქეროდა აფორიაქებული რიონის ტალღებს.

მერცხლები უკვე მოფრინდნენ, ფეხმაღალი ყანჩები ტბო-

რებში კისერგაწვდილები იდგნენ. ერთ დღეს ერთი მათგანი სულ ახლო დაუჯდა მოხუცს.

იმ ადგილას შეგუბებული წყალი იყო. მოფრენილი ყანჩა წყალში ისე ჩადგა და გაინაბა, მოხუცს ყურადღებაც არ მიაქცია. „იცის, ვნება არ შემიძლია და არაფრად მაგდებსო“, — გულისტკივილით ჩაილაპარაკა ბეგთამ. თვალებგაბეცებული ყანჩა ერთ ადგილას მისჩერებოდა. უცებ ნისკარტი დაჰკრა და ბეგთამ თავისი თვალით დაინახა მოზრდილი თევზის ბოლო და ფარფლი. ერთ წუთს გაიელვა ჰაერში თევზმა და ყანჩამ არც კი მოიხედა მისკენ, ისე გადასანსლა ნანადირევი. „ღორმუცელა!“ ისევ ჩაილაპარაკა ძველმა მეთევზემ.

შუადღემდე უცქირა ბეგთამ ყანჩას. დაითვალა კიდეც თხუთმეტჯერ, დაჰკრა ნისკარტი წყალს ფრინველმა და თხუთმეტჯერვე შეუცდომლად ამოიყვანა თევზი.

ვეღარ მოითმინა ბეგთამ, ზეზე წამოდგა, ჯოხი დაიბჯინა და ბუზღუნით სახლისაკენ წამოვიდა.

„ეს გამოყეყეჩებულიც მე მჯობნის! ღმერთიც ხელს უწყობს და ჩემი უძლურებაც. ისე ოჩაფეხასავით მაღლა ფეხებზე დგას, ბუმბულსაც არ ისველებს, ჰმ, იქერს და იქერს თევზებს. შენ კი, განთქმულო მებადურო, დაჯექი და უყურე. ვაი, ჩემს ძალ-ღონეს! რაღად ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე!

ეზოში ვარსკვლავისა ატირებულ ბავშვს აჩუმებდა.

— რა დაემართა, ქალო, მუცელი ხომ არ სტკივა?!

— დედამისი ცაბუსთან ერთად ტყეში წავიდა. შეხედე, ბეგთა, ალმასივით კბილებმა ამოსჭრა ბიჭს. — ბებიამ ბავშვს ტუჩ-ბაგე გამოუჩინა. ბაბუამ შვილიშვილს დახედა. ორი თეთრი კბილი ორი მარგალიტის კაკალივით ამობურცულიყო ჩვილ ნუნებზე.

— შია ალბათ და იმიტომ ყვირის, ქალო, ეს ბავშვი,

ვარსკვლავისამ არაფერი არ უთხრა ქმარს. საკინძე გაიხსნა და გამშრალი ძუძუ მოსატყუებლად მიაწოდა ბავშვს. პატარა ქოშინით მოეპიდა ბებიას მკერდს და ენინით დაუწყო ქაჩვა.

ეტყობოდა, რძე რომ ვერ დაიგულა, გაბრაზდა და კბილე-

ბი ისე მოუჭირა, ვარსკვლავისას სისხლი წასკდა ძუძუსკვირტიდან.

— ოჰ, შე ეშმაკის დროში დაბადებულო, — აღმოხდა საყვედური ვარსკვლავისას.

ბავშვი სულ გადაირია. ახლა მეორეს წაეპოტინა, მეორე ძუძუსაც ის დღე დააყენა, რაც პირველს.

— თხა მაინც დაეტოვებინათ იმ ქვეყნის დამქცეველებს, — წაიდუდუნა ბეგთამ და ბავშვის ხმას რომ დამალვოდა, ლაფაროს ამოეფარა. დანახშირებული საძირკვლის თავზე ჩამოჯდა.

სანამ მზია მოვიდოდა, ბავშვს ტირილი არ შეუწყვეტია. მოტანილი მინდვრის მხალი ქვაბში ჩაყარეს თუ არა, რძალი დედამთილთან მივარდა, ბავშვი გამოართვა და ბიჭუნა სლოკინით მოეჭიდა დედის მკერდს.

ერთ კვირას არ დაუყუჩდა ვარსკვლავისას მკერდის ტკივილი. ძუძუ-მკერდი დაუჩირქდა და გაუმიზეზდა.

რიონის ტალღები ნელინელ დაწყნარდა, მდინარემ დაიწია, თავის კალაპოტში ჩადგა. სქლად მოშლამულ ნაპირებზე ჯერ მოსილულ თხმელის ძირებიდან ამოიწვერა მწვანე ფოთლებმა, მერმე გაფიცხებული მიწიდან ათასი ბარდი და ბალახი წამოვიდა. ცის გუმბათი გალურჯდა, ამაღლდა და ზევით აიწია. ღრუბლები აღარ დაქროდნენ მდინარის ზემოთ, საყანე მიწები ისე გაღუღუნდა, ფრჩხილიც რომ გადაგეგდო, ისიც კი დალბებოდა და სანაყოფო გზას იშოვნიდა. ბეგთა ნაღველით სავსე თვალებით უმზერდა მინდვრებს. მიწა მოხვნას და თესლს ითხოვდა.

ერთ დილას ვარსკვლავისა ძველ ნასახლარებში გადავიდა. სად იყო სად არა, დანგრეულ-დამწვარი წისქვილები თუ ბეღლები გადაჩხრიკა და ერთი ბათმანი მარცვლეული იპოვა. ბეგთას გულში იმედი და სინათლე ჩაუდგა.

მეორე დილით ყველანი მინდვრად გავიდნენ. იმ დღეს. ამდენი შიმშილის შემდეგ, ვარსკვლავისამ ხუთი პეშვი კაკალი ჩაყარა ქვაბში და სქელი ღომი მოადუღა. ბეგთა ლასლასით მიჰყვებოდა ხნულს. ვარსკვლავისა წინ უძღოდა ხარებს, ცაბუ კი პეშვით თესავდა ღომის მარცვალს. მზია ალაყურტისათვის ნიგვზის ზეთს ხდიდა და თან ჩეროში ჩვილ ბიჭს ეფერებოდა. შუადღემდე მეოთხედი ქცევა ძლივს მოხნეს. მზე

ფიცხად აჭერდა ზემოდან. ვარსკვლვისას დაიარებული ძუძუსკვირტები დაუხმა და დაუქერქეშდა. პერანგი მკერდზე ეწებებოდა, ტკივილები სულს უხუთავდა. ქმარ-შვილი რომ არ შეეწუხებინა, მოთმინებით იტანდა ყველაფერს.

— ცუდი ფერი გადევს, თვალო?! — შენიშნა ბეგთამ მეუღლეს.

ვარსკვლავისამ ხმა არ გასცა, მინდორს გახედა და თავის მხრით შეეკითხა:

— ნახევარ ქცევას რომ ეყოფოდეს ეს თესლი, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაუყეფს.

სიტყვა არ ჰქონდა დასრულებული, რომ მათ ზემოთ წეროების მთელმა წყებამ გადაიქროლა. ისინი ღაღან-ღაღანით მიფრინავდნენ დასავლეთისაკენ. მოულოდნელად ტევრებიდან არწივი აფრინდა. იგი საოცარი სისწრაფით ავარდა ცის გუმბათში, ერთხელ ირაო გააკეთა და როგორც ისარი, ისე წამოვიდა ბაწრად გაბმული წეროებისაკენ. უდარდელად მოგზაურმა ფრინველებმა მაშინ გაიგეს მტრის სივერაგე, როცა ერთ მათგანს ბრჭყალები გაუყარა ონავარმა. მოისმა საშინელი წივილი. წეროები ერთბაშად შემობრუნდნენ და თავზე დაესხნენ მტერს. არწივი ნადავლით იქვე ახლო დაეშვა, ბუჩქნარში. წეროები გააფთრებით დაედევნენ თავდამსხმელს.

ცაბუს თვალები აუელვარდა, ეტყობოდა, რაღაც მოისაზრა, მამას ხელიდან გამოსტაცა ბზის ხელსაბიჯი ჯოხი და იქითკენ გაიქცა. ფრინველების ყივილზე მათ საომარი ყივილის ადგილს მალე მიაგნო ცაბუმ. არწივს ნადავლი ისევ კლანჭებში ჰყავდა მომწყვდეული, ფრთები გაეფაფრა და თვალების ბრიალით იგერიებდა წეროებს.

ვაი მას, ვისაც მისი რკინის ჩანგალივით მოკაუჭებული ბასრი ნისკარტი ჩაესობოდა სხეულში. გარშემო ბურტყლის კორიანტელი იდგა.

ცაბუ ჯოხმომარჯვებული დაესხა არწივს თავზე. არწივი არ შეშინდა. სისხლიანი თვალებით იგი ნადავლის მიტოვებას არ ფიქრობდა. იგი ფრთებ გაშლილი და ნისკარტ მომარჯვებული ელვარე თვალებით უყურებდა ცაბუს.

— მე მშია, — თითქოს ამბობდა იგი, — ამასთანავე, მხეცი ვარ, დაუნდობელი და სისხლისმოყვარე.

—მეც მშიერი ვარ,—უპასუხებდა ცაბუს თვალები. შიმშილი კი ამ ქვეყანაზე ყველაზე მეტი მხეცია, ყველაზე მეტი გამბედავი და დაუნდობელია. მხოლოდ შიმშილია მკვლელობათა საწყისი. თუ ნადავლს არ დამანებებ, მე ჯოხით გაგიქუ-ლეტ თავს!

არწივი 'მეაშინა გააფთრებული ადამიანის თვალების ბრიალმა. იგი ზლაზვნით აფრინდა ცაში და ტევრებისაკენ გადაიქროლა. წეროებმა იგრძვნეს არწივზე უფრო საშიში მტერი. ისინი მწუხარე ყივილით და ფრთების ფათქუნით გაშორდნენ იმ ადგილს. მიწაზე მხოლოდ არწივის მსხვერპლი დარჩა. იგი. ბურტყლისაგან გაცლილი და დასისხლიანებული, მკვდარი ეგდო ბუჩქის ძირას.

ბეგთა ძალიან გაახარა ცაბუს ნანადირევმა, მას გუშინდელი ყანჩა გაახსენდა, ტბორებში თევზებს რომ დაუნდობლად, მსუნაგად ყლაპავდა.

— ახლავე გაფატრეთ და ჯოხზე წამოაგეთ, — ბრძანა მან და საშამფურე ჯოხს დაუწყო გათლა. ქალებმა წერო ამოკუჭეს და ნაწილ-ნაწილ აქნეს. როცა გაფატრეს, კუჭიდან ფრინველს ხუთიოდე უცხო მარცვალი გადმოუცვივდა. მარცვლები ჩვილი ბიჭის ფრჩხილების ტოლები ჩანდნენ, ზოგი თეთრი იყო, ზოგი ყვითელი. ვარსკვლავისა გაოცებით დააჩერდა უჩვეულო მარცვლებს. ზღვაგაღმელ ქალს სამშობლო და სიზმარი ერთად მოაგონდა. იგი დაიხარა, მარცვლები მოკრიფა და ხელისგულზე დაიწყო.

— სწორედ ის მარცვლებია, — ჩუჩრულით თქვა მან და ქმარ-შვილს გადახედა.

ბეგთამაც იცნო მარცვლებია. ეს თეთრი და ყვითელი მარცვლები, ახლა ვარსკვლავისას ხელისგულზე რომ ბრჭყვიალებდნენ, არა ერთხელ უნახავს თავისი მეუღლის ქვეყანაში. ძველ მეთევზეს თვალწინ დაუდგა ტევრივით ჩაღრუბლული და ფართოდ გაშლილი შრიალა ყანები. მოაგონდა მისი დაფქვილისაგან გაკეთებული ღომი და ნამცხვარი. ახალი თბილი მჭადის სუნმა თითქოს ცხვირში შეუღიტინა ბეგთას. მოხუცმა მეტი ძალ-ღონე იგრძნო ტანში. იგი მეუღლის ხელისგულისაკენ დაიხარა.

— აი, რა უნდა წამოგვეღო, თვალო, რიონჭალაში, —

მტკიცე საყვედურით თქვა მან და თანვე დაუმატა: — ხალხი სულს მოითქვამდა, სოფელს გავამდიდრებდით, ქვეყანას დოვლათს შევძენდით. როგორი მოსავალი იცის მერე?! ბეღლებს ავავსებდით, ხარ-კამეჩს დავასუქებდით.

ცაბუმ და მზიამ ერთად დახედეს მარცვლებს.

— დედიკოს ძუძუსკვირტების ფერის არისო, — გაიღიმა ცაბუმ და ვარსკვლავისას შეანათა თვალები.

დედას თვალებში სინათლე აერია. სახეზე ალმური მოეკიდა. იგი იქვე ხნულში ჩაჯდა და გულის საკინძე გადაეღეღა. სამშობლოსა და ძუძუსკვირტების გახსენებამ, ეტყობოდა, მკერდი უფრო აუწვა და ატკინა.

მინდვრებზე შუადღე აჭერდა, სიცხე თანდათან მატულობდა, ტყის ჩრდილოებქვეშ შეფარებული ფრინველები ჩაჩუმებული იყვნენ. მხოლოდ რიონის დუდუნი არღვევდა ალმურმოდებული ჭალების მდუმარებას. ცაბუმ დახედა დედის მკერდს და შეჰკივლა. ვრსკვლავისას ბავშვის კბილდანადგამი ძუძუსკვირტები ჩამოსცვენოდა. დედის უბეში ისინი წეროს მოტანილ მარცვლებივით ეყარნენ. თვითეულ მათგანს ჩვილი ბიჭის თეთრი ქათქათა კბილის ნაკვალევი ისე აჩნდა, თითქოს შიგ ჩარჩენოდეს იგი.

— არაფერია, შვილო, — წყნარად თქვა დედამ. — ქალთა შორის ამქვეყნად, მგონი, ყველაზე კარგი მზითვი მე მომყოლია.

იგი კაბის შრიალით ადგა, ხელისგულზე დაპნეული და უბიდან ამოკრეფილი მარცვლები სათითაოდ გააკაკალა.

— რას აპირებ, დედიკო?! — გაიოცა ცაბუმ.

— ქვეყნის სიკეთეს, შვილო. ეს თესლმარცვალი მიწას უნდა მივაბარო, იქნებ ჩემი მკერდის მწუხარებამ და პატიოსნებამ, ჩვენი შთამომავლობის უცოდველობამ თუ სინათლემ გაამრავლოს იგი რიონჭალის ნოყიერ მიწაზე.

ბეგთა ჯოხდაბიჯებული უყურებდა მეუღლეს.

ვარსკვლავისამ ცალ-ცალკე ჩაფლა გაპოხიერებულ თბილ ხნულში მარცვლები. როცა წამოდგა, ქმარს პირდაპირ შეხედა და თქვა:

— არ შეიძლება, ბეგთა, ამ მარცვალმა არ გაიხაროს.

— ჩვენმა დიდმა სიყვარულმა ძალა და ღონე უნდა მის-

ცეს ამ თესლს. ღომის მარცვალი ჩიაა და პატარა, ეს კი ხვავრიელია და ძლიერი. იგი ჩვენს ხალხს დოვლათს შემატებს, ძვალსა და რბილს გაუმაგრებს, ოთხფეხს გაამრავლებს და დაასუქებს.

დასავლეთიდან ზღვაურმა დაბერა. ტევრები შეშრიალდნენ. რიონის ტალღებმა ნაპირებზე შეაფრქვიეს ქარვისფერი მზეფები და მდინარის სიღრმიდან ისევ მოისმა ტყლაშუნი ლოქოების და ზუთხების ბოლოებისა. ტყეში ირმებმა და შველებმა დაიფრუტუნეს: ეზოებში ათასფერმა ფრინველებმა იწყეს ფარფატი.

ბეგთა ვარსკვლავისას მიუახლოვდა, ათრთოლებული ხელები მოხვია და ისე ჩაიხუტა, როგორც ახალგაზრდობის ჟამს დიდ ზღვებგადაღმა, მისი ცხოვრების პირველი გაზაფხულის დილას.

* * *

დრომ ისევ თავისი ქნა. ხანძარგადავლილ ადგილებში ახალმა ყლორტებმა ამოწვერა, ტევრებმა ისევ დაიწყეს შრიალი. ნასახლარებზე ახალი ოდები გაიმართა, ტყეში შველ-ირემი გამრავლდა, ეზოებში ხარ-კამეჩის ფრუტუნი გახშირდა.

მოხუცი ცოლ-ქმარი სასოებით შეხაროდა შვილიშვილის ზრდას.

სიმინდის ყანამ თანდათან დაიპყრო სათესი მიწები, წელში მოხრილი ბეგთა ღიმილით გაჰყურებდა ცისკენ აზიდულ ვაქკაცის მკვლავის ოდენა ტაროებს. პატარა ბიჭი ბაბუას ყოველთვის თან დასდევდა. ხელიხელჩაკიდებულნი მიუყვებოდნენ ისინი მდინარის პირას.

— აი, შეხედე, ბაბუ, როგორ მარგალიტისფერ ჭავლებს იყრის რიონის ზედაპირი. მის ფსკერზე ისევ სუნთქავენ მოჩუხჩუხე წყაროები, ისევ სულს ითქვამენ ბინადარი ლოქოები. — პატარა ბიჭი სახეგანათებული უსმენდა ბაბუას.

მერე მოხუცი ყანის პირას ფიჩხის ცეცხლს დაანთებდა, სიმინდის ტაროს მოსტეხდა, გაფრჩხილავდა და, სანამ შესაწვავად ნაკვერჩხლებს მოუფიცხებდა, შვილიშვილს ეტყოდა:

— აი, დაიხსომე, იგი ბებიაშენის რძეა, შვილო, ტკბილიც არის და ნოყიერიც.

ჭყლინტი ტაროდან მართლაც რძისფერი შხეფები ვარსკვლავებივით ამოცვიოდა და ბაბუას თითებს და ბიჭის სახეს თეთრად დასცვარავდა. როცა ტარო კარგად შეიბრაწებოდა, ბეგთა ისევ დააჭერდა მარცვალს ბებერაფრჩხილს და დააბოლოვებდა:

— ეს კიდევ შენი კბილია, როცა ჩვილი იყავი, ბებოს ძუძუზე უკბინე, არ დაივიწყო, ბაბუა, ამ მარცვალმა ჩვენ სიმდიდრე და დოვლათი შეგვძინა. სიმინდის შემწვარი მარცვლიდან მართლაც ბავშვის კბილის ტოლი თეთრი სათესლე ამოვარდება, — ბიჭს ნამდვილად სჯეროდა ბაბუას სიტყვები.

— ეს რა არის, ბაბუა? — შეეკითხებოდა თავის მხრით ბიჭი და სიმინდის ფოჩებს უჩვენებდა ბეგთას.

მოხუცი მეთევზე მაშინ ბღუჯად ამოგლეჯდა სიმინდის ფოჩს შენამულ ფაფუკ გრძელ-გრძელ ღერებს, გადაგრეხდა. შვილიშვილის ულვაშივით მიაწებებდა და ღიმილით ეტყოდა:

— ეს კი ჩემი ულვაშია, ბიჭო. მალე შენც მოესწრები, შვილო, ამას, ვინძლო არ შეარცხვინო!

* * *

ეს ამბავი მე რიონისა და გუბისწყლის ნაპირებზე გავიგონე.

— იმერელი კაცი დედის ძუძუს რომ ტუჩს მოაშორებდა, მერმე სიმინდი იყო მისი საზრდო, — მითხრეს კოლმეურნე გლეხებმა.

ჭეშმარიტად ეს ასეა. ახლა კი, ვისაც ჭყლინტი სიმინდის რძით სავსე ტაროზე კბილი დაუდგამს და დაჭკვირვებია, შეამჩნევდა თითქოს ბუნებას მის თვითეულ მარცვალში მართლაც ჩვილი ბავშვის თეთრი კბილივით ნაწილი ჩაუტანებია. შეიძლება ვარსკვლავისას ძუძუსკვირტების თეთრი და ყვითელი ფერიც იმიტომ აქვს მის შებაყებულ მარცვლებს, რომ ისიც დედის მკერდივით თბილი რძით არის ყოველთვის სავსე.

ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ სიმინდის მწიფე ტა-

როებზე გადმოშვებული ფოჩები ბეგთას ულვაშის ეშხს აგონებდეს ამ ამბის შემქმნელს.

ყველაზე მართალი კი მაინც ერთია: ბეგთას და ვარსკვლავისას შთამომავლობა—კოლმეურნე გლეხები სასოებით თესავენ და ზრდიან მის ხვავიან და ბუნებით მდიდარ ყანებს.

დაე, მათი გამარჯვებისა იყოს!

კავკასიონის კალთებზე

— თვითმფრინავში არ მოგწყინდებათ, მექორწილენი მოგყვებიან სვანეთში, — მითხრა აეროდრომის ერთმა მოსამსახურემ და იქვე, ბაღში, გრძელ სკამზე ჩამომსხდარ ახალგაზრდებზე მიმითითა.

მე მათკენ გავიხედე. ყველანი კარგად ჩაცმულები და წარმოსადეგნი იყვნენ. ერთი ქალ-ვაჟი ძალიან მომეწონა. სწორედ ისინი აღმოჩნდნენ ახლად დაქორწინებულნი.

ცოტა ხნის შემდეგ 'თვითმფრინავი ცას შეაფრინდა. ქალაქს გადაუარა და რიონის ხეობას გაჰყვა. ზევიდან თვალნათლივ მოჩანს ქუთაისის ახალი მშენებლობანი: ავტომობილისა და მანქანათმშენებელი ქარხნების მაღალი კორპუსები, ახალი თეატრის თეთრი კედლები, ქარხნების ცათმიბჯენილი საკვამურები და ახალი საცხოვრებელი სახლები. გუმათჰესის მშენებლობის ზემოთ თვითმფრინავი კვლავ მაღლა და მაღლა ადიოდა. მექორწილენი მხიარულ გუნებაზე იყვნენ. ერთმა მათგანმა „ლილე“ წამოიწყო, სხვებიც აჰყვნენ და ისე ძლიერად დააგუგუნეს ეს სიმღერა, რომ ძრავის ხმაური დაფარეს. მფრინავმა გაკვირვებით გამოიხედა ჩვენსკენ.

სიმღერა ჯერ კიდევ არ დაემთავრებინათ, რომ ჩვენ წინ აღიმართა თეთნულდის მაღალი, მარად თეთრი მწვერვალი. თვითმფრინავმა ისე ახლოს გაუარა მას, მეგონა ყინულის კლდეებს ფრთას გაჰკრავდა.

მე პირველად მივფრინავ სვანეთისაკენ. თანდათან ზევით მივიწევთ. მალე თვითმფრინავი ალპური ზონის საბალახოებს გაუსწორდა. საქონლის ჯოგები გაშლილან საძოვარზე, ეტყობათ თვითმფრინავისა არ ეშინიათ. ჩვენსა და საბალახოს შორის ასი მეტრი მანძილი არ იქნება, საქონელი კი მშვიდად სძოვს ბალახს. გამოჩნდა ზემო სვანეთიც. სიძე მფრინავთან მიდის, რაღაცას ყურში ეჩურჩულება. მე ჯერ გამაკვირვა მისმა ხელების ქნევამ (თვითმფრინავში ყურთა სმენა არ არის), მერე კი მივუხვდი ახალდაქორწინებულ ვაქკაცს; ქვევით მისი სოფელია, მას უნდა თვითმფრინავმა სოფლის თავზე ერთი ორჯერ შეჰკრას წრე, მერე მივიდეს შინ და თქვას: ქალი თვითმფრინავით მოვიყვანე, ჩემი სახლის თავზე საზეიმო წრე გავაკეთებინეო. ვინ იცის, შეიძლება უფრო შორსაც იხედება. შეიძლება მას უნდა შვილიშვილებში დაიტრაბახოს. ბებია-თქვენი რომ მოვიყვანე, სოფლის თავზე სამჯერ შევკარი კამარა თვითმფრინავით, პირველი სვანი ვიყავი, მაყრიონი ცისფერი გზით რომ მოვიყვანეო. ვერ გავიგე, შემოუარა თუ არა თვითმფრინავმა სოფელს, რადგან მე თვითმფრინავში ვერ გავერკვიე მხარეებში, რატომღაც მაინც მჯერა, მფრინავი არ გააწბილებდა მის ბედნიერ მგზავრებს!

***

ზემო სვანეთის ცენტრი — მესტია მთელი ზაფხულის განმავლობაში სავსეა ტურისტებით. საბჭოთა კავშირის ყოველ მხრიდან მოდიან აქ. ათვალიერებენ კოშკებს, ეწაფებიან მჟავე წყლებს, განცვიფრებულნი შეჰყურებენ მყინვარებს. ყველაზე უფრო თვალსაკვირველი სვანეთში მაინც კოშკებია. იმიტომ კი არა, რომ ისინი ასე მრავლად აუშენებიათ. ეს ბუნებრივიცაა. სვანეთის ისტორიული ვითარება აიძულებდა ადამიანებს ციხე-კოშკებს შეფარებოდნენ. ზემო სვანს ყველაზე მეტად თავისუფლების წართმევის ეშინოდა, ამიტომ ის გულდაგულ აშენებდა ქვიტკირის სახლებს და მაღალ კოშკებს. სვანი ცდილობდა, რომ არც სხვა კუთხის ბატონი შემოჰპარვოდა სვანეთში და არც მეზობელი გამხდარიყო მისი დოვლათის მოდავე. აქაურმა მკვიდრმა კავკასიის მწვერვალების მკაცრი ბუნება თავისუფლების შენარჩუნებისათვის მოხერ-

ხებულად გამოიყენა. ახლა როცა ახალ სახლებს ვხედავთ, გვიხარია, რომ ასე კარგად მოეწყო სვანის ცხოვრება. ორსართულიანი ქვიტკირის მაღალი სახლები, ფართო აივნებითა და მაღალი კიბეებით, ამაყად გადმომდგარან ფერდობებზე. ძნელია გარჩევა, რომელია სკოლის შენობა და რომელი კოლმეურნე გლეხის საცხოვრებელი სახლი. თითქმის ყველა სოფელში არის სრული და არასრული საშუალო სკოლა, სამკითხველო, კლუბი, იშვიათად შეხვდებით მესტიის მცხოვრებს, რომელსაც ამ ოცი წლის მანძილზე ახალი სახლი არ აეშენებინოს. შორიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს კოშკები სჭარბობენ, მაგრამ, როცა სოფელში შეხვალთ, სურათი იცვლება. სართულ-ნახევრიანი თუ ორსართულიანი თეთრად შეფთქილი შენობების ელვარებაში ხავსმოდებული კოშკების ფერები მუქდება და ღარიბდება.

მესტიაში ახალი ბაღიც გაუშენებიათ. მის გარშემო ნაძვები, ფიჭვები და არყის თეთრტანიანი ხეები მწკრივად დაურგავთ. ბაღის შუაში აუზია. კვარცხლბეკზე, რომელიც ცხვირწამოწვდილ კლდეს გამოსახავს, ქვისგან გამოკვეთილი ჯიხვის ქანდაკება უნდა დაიდგას.

მესტიიდან კავკასიონის ჰაღარა მთები ერთ ხელის გაწვდენაზე მოჩანს. ლურჯ ჰორიზონტში კოშკების წვერები ამაღლებულან. ბანგურიანის მთის ფერდობებზე ნისლი ისე ბოლავდა, თითქოს წუხელი იქ ხანძარი ჩაექროთ. მზე თანდათან ზევით იწევდა. კარგ ამინდში მუდამ თოვლით დაფარული მწვერვალები მზესთან ერთად უხვად ჰფენენ ნათელს მესტიის საცხოვრებელ სახლებსა და კოშკებს.

ამ დროს მესტიაში ჩამოსული იყვნენ მხატვრები. ისინი ხატავდნენ ახალ საკოლმეურნეო შენობებს, ძველისძველ კოშკებს და სვანეთის მომხიბვლელ ბუნებას.

საბალახოებზე უნდა ავსულიყავი. მხატვრებს ვთხოვე ჩემთან ერთად წამოსულიყვნენ. სიხარულით დამეთანხმნენ. მეორე დღეს, დილით, გამგზავრების წინ, მთელი სივრცე მიწიდან ცამდე ღრუბლებით აივსო. არათუ მყინვარწვერები, ახლომახლო გორაკები და გზებიც კი არ ჩანდა. ლეგა ღრუბლების უზარმაზარი ფთილები მწვერვალებს გარს შემოჰკროდნენ. ელვა ხაზავდა მთის წვერებსა და ფერდობებს. ისმოდა

შორი ქუხილი. ავდრის მოლოდინში ყველაფერს იერი შესცვლოდა. ჩვენ მაინც გავუდექით გზას. მივდიოდით მანქანით. გამოცდილი შოფერი გვყავდა, იქაური გზა-კვალის კარგი მცოდნე. მანქანა ნელა მიჰყავდა, საჭეს მარჯვედ მართავდა. სვანმა კარგად იცოდა, რომ საჭის ერთი უხეირო შობრუნებით არა მარტო ჩვენი, არამედ მისი ცოლ-შვილიც ქვრივ-ობლად დარჩებოდა.

ქვევით, უფსკრულში, კლდეებზე წყლის ჯახანი გვამცნობდა, რომ იქ ენგური მოქუხდა.

სოფელ მულახიდან უღვირის გადასასვლელისაკენ გზა სულ ზევით და ზევით მიიკლაკნებოდა. რამდენადაც მაღლა მიიწევთ, და სოფელს შორდებით, უფრო ლამაზი მოჩანს იგი. მდინარის მარჯვენა ფერდობზე პურისა და ქერის ყანები ბიბინებს, სათიბები ღელავს, შორიდან ამ დაკიდებულ მინდორ-ყანებზე ფერები უხვად ლივლივებს.

უღვირის წვერიდან გზა კვლავ დაბლა ეშვება. სოფელ იფარში ენგურის ნაპირას ქალები საკალოოდ ემზადებოდნენ, მიწისპირი მოეწმინდათ და ახლა გულდაგულ ტკეპნიდნენ.

იფარში ცა მოწმენდილი დაგვხვდა. ალბათ უღვირის ქედი ღრუბლებმა ვერ გადალახეს.

ენგურის მარცხენა ნაპირს მივყვებით. სოფელ კალისაკენ მივიჩქარით.

სოფელ კალის კოლმეურნეობის თავმჯდომარე — ილია ხარძიანი მაღალი და თეთრყირმიზი ახალგაზრდაა. თვითონაც და მის მეუღლესაც ტურფა კეკელიძესაც სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაუმთავრებიათ. რამდენიმე წლის წინათ ამ სოფლის კოლმეურნეობა სუსტი იყო. ილია მაშინ რაიკომში მუშაობდა. ცოცხალი და საზრისიანი ახალგაზრდა სოფელმა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მოითხოვა.

„კა“ სვანურად თხელ ფიქალ ქვას ნიშნავს. ასეთ ფიქალს სვანეთში წინათ სახლის სახურავად ხმარობდნენ... ილიამ გვითხრა, რომ აქ ფიქალის მთები ყოფილა. იმასაც ამბობენ, ამ სოფელში ოდესღაც კალასაც ადნობდნენო.

სოფელი კალა ძალიან მაღალზეა გაშენებული. მის ზემოთ, ხალდეს მინდვრებიდან, ალპური საძოვრები იწყება. ამ სოფელს საკუთარი ელექტროსადგური აქვს. მდინარე ხალდე-

შურა აქ უერთდება ენგურს. ეს პატარა, მაგრამ მეტად ღონიერი მდინარე ამ ადგილზე ტურბინებიდან პირდაპირ ენგურში ვარდება. ელსადგურის გვერდით რადიოსადგურია. ამ წყნარი და მაღალი მთების ფერდობებზე მომაჯადოებლად ჟღერს საბჭოთა საოპერო და ხალხური სიმღერები. დიდი თოვლის გამო ეს სოფელი ზამთრობით მოწყვეტილია გარე ქვეყანას და ამიტომ რადიოსადგური ხან მეგობარივით ქვეყნის ამბებს უყვება მათ და ხან ბულბულის მაგივრობას უწევს.

იქვე მახლობლად ხე-ტყის სახერხი ქარხანაა. ენგურის ტალღების ბუბუნს და მთის კალთებზე შეფენილ ტყეთა შრიალს ხერხის გუგუნი ერთვის.

***

რობერტ სტურუა და შალვა ცხადაძე ხან ფანქრით, ხან ზეთით ხატავენ რაც კი მოეწონებათ.

სვანეთში თითქმის ყველა სოფელი მდინარის ახლოს მდებარეობს. მდინარეზე ქვიტკირის ხიდები ან ბოგირებია გადებული. დილით წვრილ ოთხფეხს საძოვრად წყალგაღმა მიერეკებიან პატარა გოგო-ბიჭები. ისინი ბოგირებზე დგანან, რომ საქონელი სოფელში არ დაბრუნდეს და ჭირნახული არ გააფუჭოს. ოსტატურად მოთელილ პატარა სვანურ ქუდებში ყმაწვილები მეტად ლამაზები ჩანდნენ. ჩემი თანამგზავრი მხატვრები გულდასმით ხატავდნენ მათ მშვენიერ სახეებს. კალის ზემოთ მანქანა ვერ მიდის და ამიტომ ილიასთან ერთად დილით საძოვრებისაკენ ცხენებით გავემგზავრეთ. კარგად მოვლილი ცხენები ციცაბო გზებზე ფრთხილად მიაბაკუნებდნენ. ფრიალო კლდეზე ნალს ნაპერწკლები სცვიოდა. გზა უფსკრულის პირას მიიკლაკნებოდა, ხევის ფსკერზე მდინარეები ზემოდან თეთრი ცხენის ძუა-ფაფარივით მოჩანდნენ. უჩვეულ ადამიანს ხევში გადახედვაც შეეშინდება.

სვანებს ცხენი ძალიან უყვართ, კარგი ცხენოსნობით ამაყობენ კიდევაც, ჩვენ კი აბა რომელი მხედრები ვიყავით, მით უმეტეს ასეთ კლდე-ღრეებში.

სოფელ ხალდემდე, სადაც აღარავინ ცხოვრობს, რვა კილომეტრია, აქ ნიადაგი მეტად მწირი და კლდოვანი ყოფილა. კლდე, რომელზედაც სოფელი იდგა, შუაზე გამსკდარა. ნიადა-

გი თურმე ხშირად შევავდებოდა. მოსალოდნელი იყო დიდი უბედურება. ხალდელები შავი ზღვის პირას გადასახლებულან.

ახლა ნასოფლარის ბოლოზე, იქ, სადაც ნიადაგის დაცურების საშიშროება არ არის, კალელმა კოლმეურნეებმა საქონლის ფერმა ააშენეს. ფერმის გამგე ირიდი ხარძიანი გზაზე გამოგვეგება და ხალისით დაგვათვალიერებინა უზარმაზარი, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი შენობა.

— აქ გამოვაზამთრებთ საქონელს, თივა ახლოსაა, მოსაზიდად ადვილია, წყალიც შესანიშნავი გვაქვს, გასაკეთებელი ცოტაღა დარჩა. თვრამეტ დღეში ავაგეთ ამოდენა შენობა. მალე იატაკს დავაგებთ, მილებით სასმელ წყალს პირდაპირ ბაგასთან მივიყვანთ საქონლისათვის. — ხარძიანს ეღიმებოდა, ახარებდა კარგად მოწყობილი საქონლის ბინა.

ზემო სვანეთში ჩვენ გაგვაკვირვა მერცხლების სიმრავლემ. ჯერ კიდევ მესტიაში თვითეული სახლის აივანზე მერცხლების უთვალავი ბუდეა მიშენებული. ასევეა ყველა სოფელში. ხალდეში, მიუხედავად იმისა, რომ სახლები ისევ თავის ადგილზეა, მერცხლის ბუდეები აღარ არის. შევნიშნეთ კი, რომ აივნის თავებზე წინათ ბუდე ბევრი ყოფილა.

ილია ხარძიანი გვიამბობს: რადგან ხალდელები შავი ზღვის პირას გადასახლდნენ, მერცხლებმაც მიატოვეს ეს სოფელი. ჩვენი მოძმეები გვწერენ: როგორც კი გაზაფხული დადგა, ჩვენი მერცხლებიც მოფრინდნენ და ჩვენს აივანზე ბუდეები გაიკეთესო.

ამ სოფლიდან ხალდეს მთამდე პატარა მანძილია, მის კალთებზე საბალახოებია. აქ სამყურა ბალახი სჭარბობს. თვალით გაუზომავი ალპური ველები მწვანედ ბიბინებს. ახლად მოთიბული თივის ზვინები კოშკებივით დგას ფერდობებზე. საერთოდ იშვიათია ისეთი საძოვრები, როგორიც სვანეთს აქვს. ბალახი წელამდე წვდება კაცს. აქაური სამყურა განსაკუთრებით რძიანია და ნოყიერი.

დაღლილი, გაოფლილი ცხენებით საქონლის სადგომებამდე შუადღისას მივედით. ფერმის საქონელი საძოვარზე იყო გაშვებული. სადგომში მხოლოდ სეპარატორზე მომუშავე ქალიშვილი პუკურია მარგველანი დაგვხვდა. რძის გადასამუშავებელი ოთახი ფაქიზად და სუფთად გამოიყურებოდა. ყო-

ველი ქვაბი თუ სხვა ჭურჭელი თბილი წყლით ირეცხება და ახალთახალივით პრიალებს. გაკრიალებული კასრები ყველით და სულგუნით არის სავსე. კარაქს სუფთა ქაღალდებში ლამაზად ახვევენ და ყოველ საღამოს მესტიაში მიაქვთ.

ხალდეს ყინვარი მარად გაუდნობელია. იქ, სადაც საბალახოები თავდება და მწვერვალის მისადგომებია, ყინულის ზვავები იწყება. ყინულის სისქე ივლისის თვეშიც ხუთიდან ათ მეტრამდე აღწევს. მისი ფსკერიდან ამოქუხს მდინარე ხალდეშურა. ჩვენს თვალწინ იბადებოდა მდინარე... ხელები წყალში ჩავყავით. ანკარა, ჯერ კიდევ მზეთუნახავი და ხელშეუხები მდინარე ძალიან ცივია.

ხალდეშურას ნაპირებზე, წიაღიდან მრავალი მჟავე წყლის წყარო ამოქუხს. ეტყობა ბევრი რკინაა ამ წყლებში და ამიტომ მათი ნალექები რკინის ჟანგს მოგვაგონებს. იშვიათად თუ ნახავთ სადმე ამდენ წყაროს. მათი უმეტესობა ბუნებრივად გაზიანია. მჟავე წყლის მარგალიტისფერი შხეფები ენაზე იკბინება. ხალდეშურა, როგორც ჩანს, თითქმის ასეთი წყლებისაგან შედგება. მჟავე წყლებს შინაური ცხოველებიც ხარბად ეწაფებიან. საქონელი თვე-ნახევრის წინათ ამოუყვანიათ აქ და სიმსუქნისაგან კანში აღარ ეტევა. ნაზამთრი ბალანი გასცვენიათ და სპილოებივით მძიმედ ბაჯბაჯებენ. კოლმეურნეებს მთაში ბევრი ბალახი რჩებათ მოუთიბავი. ილია ხარძიანი წუხს: — წელს თიბვას კი მოვასწრებთ, მაგრამ ჩამოტანა გაგვიძნელდება, თოვლი მოგვისწრებსო; თუ მომავალ წელს რაიონი მომეხმარა, თივის დაწნეხვა აქვე მინდა მოვაწყო; ასე გადამუშავებული თივა ორ-სამ წელიწადს სძლებს, ადვილი გადასატანიც არის.

კარგი აზრია. მე მინახავს ასეთი მანქანები. სულ ორი ცხენი სჭირდება და რამდენიმე კაცი. მანქანაში გატარებული მშრალი ბალახი აგურივით იწნეხება. შესანახავადაც და გადასაზიდადაც ადვილია.

ამ მწვანე მინდვრებიდან იწყება ხუთი მწვერვალის კალთა. ცის გუმბათში შეტყორცნილი მათი ყინულის ჩაჩქნები გოროზად დასცქერიან სვანეთს. შხარა, აილამა, ცურანგალი, ნამყვამი და რუსთაველის მწვერვალი ერთიმეორეს შეჯიბრებიან, ცის ლურჯ სივრცეში ღრმად შეჭრილან და თეთრად

გაქვავებულან. მათ მწვერვალზე და ფერდობზე მუდმივი ყინულეთის დაულეველი ზვავები გაწოლილა. ეს ვეება ყინულები გაზაფხულზე და ზაფხულში აქა-იქ სკდება და უფსკრულში გამაყრუებელი ხრიალით ეშვება. ამ მწვერვალების თვალისმომჭრელ ელვარებაში, ქვემოთ გაშლილი მწვანე საძოვრები განსაცვიფრებელი სილამაზით მოჩანს. საქონელი დაფანტულად სძოვს. მთავარი მწყემსი (18 — 19 წლის ჭაბუკი) უჩა მარგველანი კომბალზე დაყრდნობილი გასცქერის საქონელს. მეორე მხრიდან უმცროსი კაკო ფანგანი უვლის ჯოგს. ადვილი არ არის ოთხასი სული მსხვილფეხა საქონლის მოვლა! კარგად აბალახო, მერე შუადღისას მდინარეზე ჩარეკო წყლის დასალევად, წველის დროს (ხშირად სამჯერ წველიან დღეში) სადგომებზე ჩამოიყვანო და, რაც მთავარია, გაუფრთხილდე საქონლის ჯანმრთელობას...

ბალახს შორის შხამიანი ჯიშებიც ურევია. საქონელი ძოვის დროს სცნობს ამ ბალახს და პირს არ აკარებს. ასეთი ბალახის ორი სახელწოდება მითხრეს მწყემსებმა: „მაჯავრ“ და „ჰად“. თუ ის საქონელს ჩაჰყვა, გაბერავს და მოკლავს.

თიბვის დროს ალბათ ეს ჯიშებიც ხვდება ცელს და შესაძლებელია ამას ცუდი შედეგი მოჰყვეს.

უჩას და კაკოს თავი მოსწონთ რაიონის რეკორდსმენი ძროხა — „მელანიათი“ და ბუღა — „ქვიშერაით“. პირველს ცური რუმბივით ჰკიდია, ბუღას კი კისერზე ვაქცაცის მკლავები ვერ შემოსწვდება. როცა მათ ვუცქეროდით, მწყემსები სიამაყით გვიყურებდნენ, — დახეთ, სტუმრებო, საქონელი როგორი მოვლილები გვყავსო.

უჩას ორი და მწველავია. ერთს ნინო ჰქვია, მეორეს გუშა. სამივე და-ძმა კოლმეურნეობის სული და გულია.

წვრილფეხა საქონლის ფერმის გამგეა შალვა მარგველანი. ოთხასი თხა, სამოცი ცხვარი და ოთხი ათეული ღორია მის ფერმაში. ერთგულად უვლის შალვა თავის პირუტყვს.

— წელს კილოგრამზე ორი კილოგრამი წონა უნდა მოვუმატო და ისე ჩავიყვანო ქვემოთ ოთხფეხიო! — მიზნად დაუსახავს მარგველანს.

ერთი მეტად გასაკვირველი რამ ვნახეთ საძოვარზე. როდესაც შხარას კალთებთან მეავე წყალზე ავედით, მეზობელი

კოლმეურნეობის თხის ჯოგს წავაწყდით. ისინი მეავე წყალს დასწაფებოდნენ.

მოულოდნელად ფერდობიდან სტვენა გაისმა. თხის ჯოგს ერთი მოზარდი გამოეყო და გამაოცებელი ხტომა-ხტომით წავიდა იქით, საიდანაც ხმა მოესმა.

ცნობილია თიკნების თამაში და ხტომა, მაგრამ ეს მაინც სხვა იყო. ღრანტეებში და კლდის გაუვალ ნამსხვრევებში ეს საკმაოდ მოზრდილი „თიკანი" ტანის არაჩვეულებრივი მოქნევით მიქროდა. კისერი ოდნავ წაეგრძელებინა, სატევრებივით რქები სწორად კვეთდა ჰაერს, გავა სქელი უჩანდა, ტანი კი ჩვეულებრივ თხაზე გრძელი ჰქონდა. მისი ქათიბი ყავისა და აგურის ფერის შენაზავივით ბზინავდა, ხერხემალს კალმახივით იქნევდა. ნაპრალიდან ნაპრალზე გადარბოდა. არ ერიდებოდა არც წყალს, არც კლდე-ღრეს. თვალი მივატანე თუ არა ამ არაჩვეულებრივ თიკანს, უნებლიეთ წამოვიძახე:

— ჯიხვი ხომ არ არის-მეთქი.

ილიამ შეხედა მას და ნელა ჩაილაპარაკა: „ნამდვილად ჯიხვია!" მე და შალვა ცხადაძე სირბილით წავედით იქით, საიდანაც სტვენა მოისმა. ფერდობზე ირაკლი გასვიანის პატარა ქალიშვილი იდგა. გოგონა იმ დღეს მამას ამოეყვანა საძოვრებზე. ხელში მარილი ეჭირა და ჯიხვი ფრუტუნით ულოკავდა თითებს. ჩვენს მისვლაზე ჯიხვი გვერდზე გახტა, დაგვაკვირდა, კარგად გაგვსინჯა და მერე მშვიდად განაგრძო მარილის ლოკვა. ადამიანთა შორის ასე თავისუფლად მონავარდე ჯიხვს სიზმარშიც ვერ ვნახავდი. შალვამ ხელი გაუწოდა. იგი ერთი კამარით რამდენიმე მეტრზე გადახტა. მას თხასავით უფერული თვალები როდი აქვს. ჯიხვს ფართო და მრგვალი შავი თვალები საოცრად უელვარებდა. ამ ელვარებაში ჩანდა ველური ბუნების სიძლიერე. ახლოს დავაკვირდი და შევამჩნიე, მკერდი უფრო ფართო ჰქონდა, ვიდრე ჩვეულებრივ თხას, ბეწვი კი — სუფთა და ფაქიზი.

ჩვენი თხოვნით, გოგონამ ჯიხვს თავი დაუჭირა და ყელზე მოვეხვიე. ერთმა ამხანაგმა უკანა ფეხზე წაავლო ხელი. ბედზე გადავრჩით ორივენი ფათერაკს. კიდევ კარგი, რომ თავი ახლოს მეკავა მკლავებშუა. ნადირმა ერთი დაიფრუტუნა და ისეთი ძალით გამკრა თავისი ბასრი რქები, რომ ორ მეტრზე

გადამაგდო. ცოტა დაშორებით რომ ვყოფილიყავი, გამომფატრავდა.

ვიკითხე და გამოირკვა, რომ ირაკლი გასვიანს დურაყი (ერთ წლამდე ჯიხვს დურაყს ეძახიან) გასულ წელს ნადირობის დროს მთაში დაეჭირა.

— დედა ჯიხვს თოფი ვესროლე, დავჭერი და გამექცა, ეს ნუკრი დამიტოვა, — გვითხრა მან. — გავზარდე. სახლობას შეეჩვია, გოგონა შეუყვარდა, არც ახლა შორდება მას, ბავშვის ხმის გაგონებაზე ქვესკნელიდან ამოძვრება.

ილია გულდასმით ისმენდა ირაკლის ნაამბობს.

— ხომ არ გაიქცევა? — იკითხა მან.

— არ გაიქცევა, — მიუგო გასვიანმა. — ერთ ღამეს ბაკებს გარეთ დაგვრჩა, მეორე დილით გავიხედე, აი, იქ ასულიყო!— ირაკლიმ დაგვანახვა შხარას ფერდზე დაკიდებული კლდის ქიმი. ხმა მივაწვდინე. შევატყე, ძალიან შეეზარა, მაგრამ მაინც შურდულივით წამოვიდა ჩემსკენ. თვისებები კი მაინც ჯიხვისა აქვს. როგორც წესი, შუადღისას იგი არ ბალახობს, ძოვს მხოლოდ დილას და საღამოს. შუადღისას მჟავე წყალს სვამს და ქვებს ლოკავს. ერთი რამ დასჩემდა: ხანდახან გაუჩინარდება, შხარის კალთებს აუყვება, კლდის მაღალ თხემზე გადმოდგება და ნისლეთისაკენ იცქირება, მაშინ მგონია ფრუტუნებს კიდეც.

— ნამდვილად გაიქცევა, — ახლა მტკიცედ უთხრა ილიამ.

— არა, არ გაიქცევა, ძალზე შეგვეჩვია, უნდა შევაჯვარო, ვნახო, რა გამოვა. — თქვა ირაკლიმ.

მართლაც საინტერესო ცდა იქნება.

ხალდეშურას ნაპირს გამოვყევით. ილია ჩაფიქრებული მოდიოდა.

— როცა ჯიხვისა და კოშკის სახელს გავიგონებ, ან მათ სურათს შევხედავ, რატომღაც სვანეთი გამახსენდება-მეთქი,— ეუთხარი ილიას.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დასტურის ნიშნად თავი დამიქნია.

— მართალი ხართ, — მითხრა მან. — ჯიხვი და კოშკი ძალიან უყვარს სვანს. ეს ბუნებრივიც არის, ბევრი თქმულება

მეუქმნია სვანეთს კოშკებსა და ჯიხვებზე, მეც ბევრი გამიგონია ჩვენს სოფელში.

მე ვთხოვე, ერთი თქმულება მაინც ეამბნა.

იქვე ქვაზე ჩამოვსხედით. ილიამ მობალახე ნახირს თვალი მოავლო. ცოტა შეფიქრიანდა და დაიწყო:

— ვინც სოფელ იფარში ყოფილა და ენგურს აღმა აჰყოლია, მას უნახავს ის კოშკი, რომლის შეხედვა ახლა თვითონ სვანებსაც აკვირვებთ. უხსოვარ დროს უზარმაზარი ლოდი მოხეთქია კლდეს და ენგურში ჩაგორებულა. ენგურის ვიწრო ღრმა ხეობაში გახერილა ის ლოდი. ამ ვეება კლდის ნაგლეჯს აქაფებული მდინარე შეუგუბებია, მისი კალაპოტი შეუვიწროებია და ენგური ერთ კლდეზე მიუგდია. ჩამოსხლეტილ კლდეს გარშემო ენგურის მღელვარე ტალღები ასკდება და ამიტომ მისი პიტალო, ფრჩხილმოუკიდებელი კიდეები მიუვალი გამხდარა. ნიჭიერ და გონებამახვილ ადამიანს ამ მიუვალი ლოდის ქიმზე ლამაზქონგურებიანი კოშკი აუშენებია. ამ კოშკის შესახებ კარგი და ლამაზი თქმულება დარჩენილა ხალხში.

აი ეს თქმულებაც:

უშიშარი და გამჭრიახი კაცი ყოფილა მონადირე ბექნუ პირველი. ყველაზე მაღალ საჯიხვეებს მისი მუხლი სწვდებოდა. ქარაფების ბინადარ ნადირს მისი ნასროლი ტყვია არ ასცდებოდა. სახლში გამოულევლად ჰქონდა მარილი და ქერის ფქვილი, არჩვისა და ჯიხვის ხორცი. ხევში მობალახე მისი ხარების რქები მთის წვერებზე შემორჩენილ ნისლს არ ხევდაო, ამბობს თქმულება. ადრე დაქვრივებულ ბექნუს ერთი ქალიშვილი ჰყოლია, სახელად მიაგულ. მისი თვალები სვანეთის კამკამა ცის ფერი ყოფილა; წამწამები ჩამოღრუბლულ ენგურის ხევზე უფრო შავი. მიაგულის სილამაზის შესახებ სვანი ვაჟკაცები თავიანთ საკრავებზე ლექსებს მღეროდნენ.

სიმღერას დიდი ძალა აქვს და ამიტომ მთელ ზემო სვანეთში გასულიყო ქალის ქება.

ბევრი ლამაზი და ბრგე ვაჟკაცია სვანეთში, მაგრამ მიაგულს ჯერ კიდევ გულის ტოლი ვერ მოენახა.

კვირიკედღეს უნახავს ოტიას მიაგულ. თეთნულდის თოვლზე თეთრი ფერის კანი ჰქონდა და ნაძვის ხესავით აშოლტი-

ლი ტანი. დევის ბეჭებიანი ოტია თოფის ლულაზე დაყრდნობილი იდგა. ახალგაზრდა კაცი ანთებული თვალებით მისჩერებოდა ბექნუ პირველის ასულს. ნანადირევი მოეტანა ვაჟკაცს. ვეება ხარ-ჯიხვი გაუტყავებლად ეგდო მის ფეხებთან. სამ-სამი წყრთა დაგრეხილი რქები ქარისაგან დალეწილი მუხის ტოტებივით ეყარა მიწაზე. მონადირეები გაოცებით ათვალიერებდნენ ნანადირევს.

— ჰაუ, — გაიკვირვა მიაგულმაც ჯიხვის სიდიდე. მისი თითები ისე შეეხო ჯიხვის რქებს, რომ პატრონისათვის არც შეუხედავს. როცა წამოდგა და ზევით აიხედა, ქალიშვილს ტანში გააჟრჟოლა.

სიტყვა არ უთქვამს მიაგულს, თრთოლვით გამობრუნდა და ნისლეთში აზიდულ ყინულოვან მთებს დაუწყო ცქერა. ამ ცქერამ მონადირეს გულში ადუღებული ტყვია ჩაასხა. იგი არც ნანადირევის ქებას უგდებდა ყურს და არც მისი სილამაზით გაოცებული სხვა ქალების ჩურჩულს.

ხანგამოშვებით ოტია გრძნობდა მიაგულის მზერას და ბავშვივით წითლდებოდა.

გათენებისას ფერხული გაბეს, მერე სავაჟკაცო ქვები ასწიეს. შუბლგახურებული ოტია მარგველანი ძნელად ასაღებ ვეებერთელა მრგვალ ქვებს ბურთივით ათამაშებდა.

ხალხში აღტაცების ხმები ისმოდა. როცა „ლილე“ დააგუგუხეს, ოტიამ ისეთი ბახი თქვა, ხმამ ხალდეშურას სათავეს უწია.

გულდაკოდილი წამოვიდა მიაგულ სოფელში, ხალისი დაეკარგა, მის სახეს ღიმილი მოშორდა.

მშობელს უკვირდა აქამდე დაუდეგარი ქალიშვილის თვინიერება. ჯიხვივით ლაღი მიაგულ საბელჩაბმული ცხვარივით მიჰყვებოდა ახლა მამას. გუშანი აიღო ბექნუ პირველმა: მისი ქალიშვილის გული სხვა ბუდეში გადაფრენილიყო.

— რა მოგივიდა, გოგო? — ყრუდ ჰკითხა ქალიშვილს.

ბექნუს ეგონა მიაგულ მოკრძალების გამო მაინც დაუმალავდა მეხზე უფრო საშიშ სიტყვას. ქალიშვილმა პირდაპირ შეხედა მშობელს.

— მამას ვერ მოატყუებს მიაგულ. ოტიას თვალებმა და ვაჟკაცობამ მომხიბლა! — ჩაიჩურჩულა ქალიშვილმა.

ბექნუ პირველს თავზარი დაეცა.

იგი ნაღვლიანად მიაჩერდა მიაგულს, სიტყვა კი მაინც არ უთხრა და სატკივარი გულში ჩაიხვია. მამა-შვილი უბრად ჩავიდა სოფელში. ძველმა მონადირემ მიაგული შინ დატოვა, თვითონ საქმე მოიმიზეზა და ისევ უკან დაბრუნდა.

გულბოღმიანი მიდიოდა ბექნუ ხალდესაკენ. ისე იყო დარდისაგან შეკრული, რომ დანა კბილს არ უხსნიდა. იცოდა იფარელმა მონადირემ, ოტია მარგველანი ცოლშვილიანი კაცი იყო, ცოლის მოღალატე კაცი კი მისი სიძე ვერ გახდებოდა. ისიც სწამდა ძველ მონადირეს: ვაჟკაცის თვალი ჯიხვსა და ქალის გულს ერთნაირად სჭრიდა და ნუსხავდა.

„მოვკლავ, როგორ გაბედა და მიაგულ მომინუსხა ცოლშვილიანმა კაცმა?“ — ფიქრობდა გზადაგზა.

შხარას და აილამას წვეროებზე ჯერ კიდევ სინათლე არ ჩანდა. ხავერდოვან ცაზე ისევ ვარსკვლავები კამკამებდა. ამ სიბნელეში ხევები უფრო ცივად და პირქუშად გამოიყურებოდნენ. ცაში აზიდული ყინულის მწვერვალები თეთრ ნაბადწამოხურული მდევებივით იდგა. ხანდახან ცაში მოწყვეტილი ვარსკვლავი გაიელვებდა და ბექნუს ეჩვენებოდა, თითქოს იგი წვერვალებს ეცემოდა.

სოფელ ხალდეს მისასვლელებთან ბექნუმ მინდორზე მიშვებული შეკაზმული ცხენი დაინახა. ახლოს მივიდა. ცხენიდან ჩამომხტარი ოტია მარგველანი გულ-მკერდით მიწას დამხობოდა და ოხრავდა. დამხვდურმა მიმსვლელი ვერ შენიშნა.

სხვა საშველი არ იყო, ბექნუს გამარჯობა უნდა ეთქვა.

ძველ მონადირეს მის სიცოცხლეში პირველად გაუძნელდა გამარჯობის თქმა: რამდენჯერაც სიტყვის თქმა დააპირა, იმდენჯერ ენა დაება. იგრძნო, თუ გამარჯობას ეტყოდა, ნათქვამს გულმოსულობაც გადაჰყვებოდა, გაცხელებული გული გაცივდებოდა, ბოღმა გაუქრებოდა.

რა უნდა ექნა ბექნუს?! მწოლარე კაცს ქურდულად თოფს ხომ ვერ დაახლიდა?!

მართალი რომ თქვას კაცმა, რა დამნაშავე იყო ოტია მარგველანი?! სიტყვაც არ უთქვამს მას მიაგულისთვის. ლამაზი ვაჟკაცი იყო და ქალიშვილს მოეწონა. რა მოხდა ასეთი?! დღეობაზე მისმა ნანადირევმა მთელი სვანეთი გააკვირვა, მის-

მა ძალ-ღონემ ქვეყანა მოხიბლა. ვითომ მიაგულ მოუნუსხავს?! მიაგულ კი არა, ბექნუც გააოცა ოტიას ვაქკაცურმა სილამაზემ.

ამ ფიქრში იყო ძველი მონადირე, რომ ოტიამ ისე ამოიხვნეშა, ხევმა ხმიანად გაიმეორა მისი ოხვრა... ბექნუ გამოფხიზლდა, გულში ისევ შხამი ჩაუდგა. მწოლარეს ფეხი წაჰკრა.

ოტია გადმობრუნდა და მთასავით წამოდგა. იგი გაოცდა, როცა მოსული იცნო. უნებლიეთ გარემოს დაუწყო თვალიერება.

„მიაგულს ეძებსო!" — მიუხვდა ბექნუ.

— შენ აქ სხვას ნუ ეძებ, მარგველანო, მართალი მითხარი, ოჯახი რად დამიქციე, ქალიშვილი რატომ მომიჯადოვე?!

ოტია, თითქოს მკერდში ხანჯალი ეტაკებინოს ვინმეს, შეინძრა.

— რა თქვი, ბექნუ ბატონო?!

— მიაგულ რატომ მომინუსხე-მეთქი!

ოტიამ ორი ნაბიჯი წინ წამოდგა. ბექნუს სახეზე დააკვირდა. მერე სივრცეს გახედა და წყნარად თქვა:

— მკითხავი და კუდიანი კი არა ვარ! მონუსხვით კი თვითონ მომნუსხა მიაგულმა. ხომ ხედავ, ეზოში მისული კაცი შინ ვერ შეესულვარ. მისმა თვალებმა საყვარელი ცოლის სახე მოსარიდებელი გამიხადა. ვერ მომიფიქრებია, საით წავიდე, ბექნუ! ჭკვიან კაცს გეძახიან და რამე მიშველე, რამე მასწავლე. რა ვუთხრა ცოლ-შვილს, არ ვიცი!

ძველი მონადირე მოალბო ოტიას გულწრფელმა ჩივილმა. სირბილე მაინც არ დაიმჩნია და ყრუდ წაილაპარაკა:

— ჰოდა, ცოლშვილიან კაცს გასათხოვარი ქალისთვის ავად არ უნდა შეგეხედა. ხომ იცი, ვაქკაცის თვალზე ჯიხვიც ინუსხება და თოფის სროლის მანძილზე მოდის.

— რას ამბობ, ბექნუ, მე მიაგულს ავად შევხედე?! მისი ავი თვალით შემხედავს ქარაფზე ყინული გაუცურდება და უფსკრულში ჩაიჩეხება.

ბექნუმ მთის წვერებს გახედა. არ იცოდა, ძველ მონადირეს რა ეთქვა. უკვე თენდებოდა, მზე არ ჩანდა, მაგრამ მისი სხივები ოქროსფერ მდინარესავით მოედინებოდა აღმოსავლე-

თის კიდიდან. ნისლი მთების კალთებზე დაბერტყილიყო. უკვე ისმოდა შურთხების შორეული სტვენა და ჯიხვების ფრუტუნი. სადღაც ყინულის ზვავები სკდებოდა და გრიალით ეშვებოდა ქვესკნელში.

— იცი, რა გითხრა, მარგველანო, მიაგულ გულიდან უნდა ამოიღო. ვაჟკაცი ცოლ-შვილს ვერ უღალატებს. ქვეყნის ფუძე ოჯახია და იმას მიხედე. თუ ის შეგერყა, სიცოცხლეც ჩაგიმწარდება, ხალხის ყბაში თავი არ ჩაიგდო!

ბექნუმ ეს ნელა და მტკიცე ხმით უთხრა ოტია მარგველანს, მერე ცხენს მოახტა და ხალდეშურას ნაპირზე მიყოლებულ ბილიკს გაჰყვა.

საბალახოებზე უკვე ნახირი ბღაოდა, მწყემსები ძაღლებს უსტვენდნენ. ტყიდან გარეული ქათმების კაკანი ისმოდა. ოტია მარგველანი გაშტერებული უყურებდა იფარისაკენ მიმავალ ბექნუს.

***

ორი წელიწადი იტანჯებოდა ოტია მარგველანი და მიაგულის სახე მაინც ვერ მოიშორა. ოჯახი გაღარიბდა, ჯიხვის და არჩვის ხორცი შემოაკლდა, ეზოში თივის ზვინები შემცირდა. განთქმულ მონადირეს ნადირობაც დაავიწყდა, ძროხა-ხარის მოვლაც.

გამოშტერდა კაცი.

სადაც უნდა გაევლო, მიაგულის ლანდი თან დასდევდა. ჯიხვს რომ თოფს დაუმიზნებდა, მისი თვალები მიაგულის თვალებივით უყურებდნენ, მკლავი უდუნდებოდა ამ დროს, ხელი უკანკალებდა, თოფის სასხლეტი თითებიდან უცდებოდა.

სათიბებში გავიდოდა, ცელს მოიქნევდა თუ არა, შეცბუნდებოდა, მოსათიბი ბალახი მიაგულის ნაწნავებად ეჩვენებოდა. შინ შევიდოდა და ცოლ-შვილის მზერა უძნელდებოდა.

ოტია მარგველანს ყველაზე უფრო მაინც ის კლავდა, რომ ცოლი არაფერს ეუბნებოდა. არყის ხესავით თეთრი ტანი ჰქონდა ოტიას მეუღლეს. სანამ მიაგულს ნახავდა, ცოლის შემხედვარე ოტია მარგველანს ღამეც მზე ეგულებოდა შინ. ცოლის სიძულვილი არც ახლა შეუშვია ოტიას გულში. იშვიათი რამ მოხდა, თითქოს დარინე უფრო შეუყვარდა, თითქოს მისი

სახე და ტანი უფრო მიმზიდველი გახდა. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ მიაგულ და დარინე ერთი და იგივე ქალი იყო. ელანდებოდა კიდეც, რომ მისი შვილების დედა მიაგულ იყო და არა დარინე. ფიქრში შესულს ნამდვილად ეგონა დღეობაზე დარინე ნახა და არა მიაგულ. გაორებული იყო ახალგაზრდა მონადირე. დარინეს და მიაგულს ერთმანეთისგან ვეღარ არჩევდა. თვითონ გაორკაცებულს ცოლი და მიაგულ ერთ ქალად ეხატებოდა.

მოითენთებოდა ფიქრით, ხალდეშურას მინდვრებზე გაწვებოდა, რძიან სამყურა ბალახს ხელს ისე უსვამდა, თითქოს მიაგულის და დარინეს წარბ-წამწამს ეფერებოდა.

ერთი კი იძალა ოტიამ. ორი წელი იფარისაკენ არ გაიხედა. არც დღეობაში ჩავიდა კალაში. მიაგულის მეორედ ნახვას ერიდებოდა სვანი მონადირე.

მიაგული კი ყოველ დღეობაზე კვირიკეს მთაზე ადიოდა. ამ ხნის მანძილზე ცას იმდენი ნამი არ დასცვენია, რამდენიც მიაგულს ცრემლი მოსწყდა თვალებიდან. ავიდოდა საყდარზე, ოტიას ნადგომ ადგილზე დადგებოდა, მის ხელმონაკიდ სავაჟკაცო ქვებს მოეფერებოდა და ხალდესკენ ყურებით თვალებს ჩაიღამებდა. წავიდოდნენ ყველანი, ის კი ისევ გასცქეროდა ქედებს. იცოდა ქალიშვილმა, მისი გულის მკვლელი იქ იმყოფებოდა. გულმოშხამული მამა ვერ მოითმენდა ბოლოს და დაიბუხუნებდა:

— ადექი, გოგო, მეც ნუ მომკალ და შენი თავიც ნუ დაიტანჯე!

ლასლასით მიდიოდა მიაგულ იფარისაკენ.

ასე გადიოდა დრო.

ოტია მარგველანის სოფლიდან ავი ამბები ესმოდა მიაგულს, ყველაზე ცუდი და შხამიანი ამბავი მაინც ერთ დღეს გაიგო მონადირის ქალიშვილმა.

სანადიროდ წასული ოტია მარგველანი ჯიხვს გამოჰკიდებოდა. ქარაფ ყინულზე დასწევია ოტია და თვალი თოფის ნიშანზე გაუმართავს. რქადაგრეხილი ჯიხვი ციცაბოზე მდგარა. თავი ნისლეთისკენ მოეღირა. ქვევით თვალგაუზომავი ყინულის ზვავები ჩანდა, მის ქვემოთ ქვესკნელში ხალდეშურას წყაროების ბუდე-ფესვი ჩხრიალებდა.

ნისლი მთის კალთიდან კალთაზე გადადიოდა თურმე. სიჩქარე იყო საჭირო, მალე ენგურის ქაფისფერი ნისლი დაფარავდა ჯიხვის ტანს. უცებ ისევ თვალი გაშტერებია ოტიას. თოფის ნიშნის გასწვრივ ჯიხვის დაგრეხილ რქებს კანკალი დაუწყიათ. რამდენი დააკვირდა ნიშანში ამოღებულ ჯიხვს, იმდენად თვითონაც ათრთოლდა თურმე. ბოლოს, როცა ჩახმახისათვის თითი ამოუდვია, გაოცებულა ვაჟკაცი! ჯიხვის თვალების მაგივრად მიაგულის თუ დარინეს თვალები მოლანდებია. ვეღარ გაუძლია მონადირეს: „აჰუ, ჩემს დღესო", — აღმოხეთქია გულიდან. თოფი ხელიდან გაუგდია, მკლავები გაუშლია და მიაგულ-დარინესკენ წასულა მოსახვევნად. უნდო და ბოროტი ყინულის უფსკრულებია შხარასა და აილამას კალთებზე. ისინი ცივი არიან და სიყვარული არ იციან. დაუსაბამოში დაბადებულებს არასოდეს მზისგან გული არ გალხობიათ, ჰოდა, მარგველანს ყინულზე ფეხი დასხლტომია და უფსკრულში გადაჩეხილა.

მონადირეებს მხოლოდ მისი უკანასკნელი ძახილი გაუგონიათ, დარინეს და მიაგულს ეძახდა თურმე.

ქმრის სიკვდილი დარინეს მალე გაუგია. ფეხშიშველს ურბენია ციცაბოებამდე. ფეხის გულები დაუსისხლავს ყინულის წვეტებზე და გახელებულ ქალს იმ ადგილამდე მიუღწევია, სადაც მხოლოდ თოფი უნახავს და სხვა არაფერი.

უფსკრულში გასარკული ყინული ჩანდა, ქვევით კი ხალდეშურას ლუღლუღი ისმოდა.

— ჰაუ, ოტიავ! — ეძახდა ქალი ქმარს, — რად მიმატოვე ასე უცებ, ჩემო სიცოცხლევ! დარინე ვერ გაძლებს უშენოდ! ვაი ჩემს დღეს, შენს მკლავზე ღამენათევს მხოლოდ შენთან მაქვს ბინა!

ბარბაცით ძირს ჩამოსულა, ყინულის ზვავს ქვემოთ. იქ, სადაც ხალდეშურა ქვესკნელიდან გამოდის და მზეს პირველად შეხედავს, ახლაც დიდი ლოდი დევს. იქამდე ფორთხვით მისულა დარინე. თოფის ლულა შუბლზე მიუდვია, ჩახმახი გამოუსხლეტია და თვითონაც ხალდეშურას შხეფებით აბოლებულ ტალღებში ჩავარდნილა. იმ ლოდის ქვემოთ ახლა ორი მჩქეფარე მეავე წყარო ამოდის მიწის გულიდან. ქვებზე

სისხლის კვალივით აჩნია წვეთების ჟანგი. ამბობენ, დარინეს ცრემლებიაო.

გულმდუღარედ მოუსმენია ეს ამბავი მიაგულს, ძაძა ჩაუცვამს, თმები გაუშლია. ყოველ საღამოს იგი იფარიდან გაიპარებოდა თურმე, ინგურის პირს აჰყვებოდა და მის ღრიალა ტალღებს ცრემლებს აფრქვევდა.

მდინარის მარჯვენა კიდეზე ჯდებოდა, სწორედ იქ, სადაც უზარმაზარი კლდე არის ენგურში ჩაგორებული. ეგონა მიაგულს, ოტიასა და დარინეს ტანზე ნასხურები ხალდეშურას წვეთები აქ ჩამოივლიდნენ. ეს მართლაც ასე იყო. მისი აფორიაქებული შხეფები სწორედ ამ კლდესთან მოედინება. მის კალთებზე შედგებოდა მიაგულ, თლილ თითებს მდინარეში ჩაჰყოფდა და ისე ეალერსებოდა მის ტალღებს, თითქოს ოტიას მკერდს ეფერებოდა.

მიაგულმა ახლა მთელი თავისი ბუნებით შეიყვარა დარინე, ის დარინე, რომელიც მასზე უწინ შეიტკბო ოტია მარგველანმა. დიდხანს რჩებოდა ენგურის პირას მიაგულ.

ჯავრში ჩავარდა ბექნუ პირველი. მიხვდა ძველი მონადირე, მისი ქალიშვილი მოურჩენელი სენით იყო შეპყრობილი.

— თავი ნუ მოიკალ, გოგო! — შეელაპარაკა ერთხელ მიაგულს მამა. — ოტია სატირელი არ არის. ფიქრგაურკვეველი კაცი იყო, ცოლ-შვილის მოღალატე. პატიოსანი ვაჟკაცის გულში ერთი ქალის სიყვარულის გარდა, სხვისმა თვალმა არ უნდა ჩაიხედოს, ის კი...

მიაგულმა სიტყვა არ დააცალა მამას.

—მე მას კი არ ვგლოვობ, მამა, მე ჩემსავით ბედკრულ დარინეს დავტირი.

— როგორ თუ დარინეს? — გაოცდა მონადირე.

— დიაღ, დარინეს ვგლოვობ, ოტია მარგველანის ცოლს.

— მერე შენ ხომ ოტია გიყვარდა?

— კი, მამაჩემო, ოტია მიყვარდა. იმ ბეჩავსაც ხომ ოტია უყვარდა. მე და დარინე ერთმა გრძნობამ შეგვაერთა, ერთფერი აღმოვჩნდით, ერთი კაცის სიყვარულმა დაგვღუპა. მისი გულიც მხოლოდ ერთი სიყვარულის დამტევი იყო, მეორე მის შიგნით არ ეტეოდა.

— შენ საიდან იცი, ქალო, დარინე ხომ არც კი გინახავს?!

მიაგულს თვალებზე ცრემლი მოადგა.

— არა, არ მინახავს, ნეტავი ერთხელ მაინც შემეხედა. ამბობენ, ძალიან ლამაზი იყოო. ისე კი ვიცნობ, მისმა გულმა გამაცნო, მისმა ფიქრმა და ტანჯვამ უხილავად დამაახლოვა, მისმა გუნების სიმთელემ იგი ღვიძლ დად გამიხადა. რა ვუყოთ, რომ მასაც უყვარდა ის კაცი, რომლის შეხედვამ მე დამღუპა. მით უფრო! ჩვენ ორივენი ერთი ფიქრისა და ერთი გულისა აღმოვჩნდით, ოტიას კი ამქვეყნად არც ფეხის დასადგმელი ადგილი ჰქონდა და არც წმინდა ცა ეხურა თავზე. ორი სატრფო ერთ გულში არ დაეტევა, არ მოთავსდება. დაიღუპა კაცი და ჩვენც დაგვღუპა!

გარინდებული უსმენდა მამა მიაგულის გულის წუხილს.

— შენ რადა ხარ, შვილო, დაღუპული, შენ შენი ბედი წინ გიდევს.

— არა, მამა, ჩემი ბედი ოტიასთან ერთად ხალდეშურას ტალღებში დაიღუპა.

— მეც დაგიღუპივარ, შვილო, და ეს არის! ნუთუ შენი მამა არ გებრალება?!

მიაგულს ცრემლებმა ღვარივით გადმოხეთქა, იგი მამას მკერდზე მიეკრა.

— მებრალები, მამა, მებრალები, ვიცი რომ ჩემს გარდა არავინ გყავს, მარტო მე ვარ შენი იმედი. იმიტომ უნდა ვიცოცხლო, უნდა შენთან დავრჩე. — ქალიშვილმა ცოტა უკან დაიხია, ბექნუს თვალებში ჩახედა და ჩურჩულით განაგრძო:

— მაგრამ ერთი სათხოვარი მაქვს, მამავ, იცოდე, უარი არ მითხრა.

— თქვი, შვილო, თუკი შევიძელ...

— შესძლებ მამა... თუ მე გიყვარვარ, ამ კლდეზე, აი, ამ ენგურში ჩამოგორებულ ლოდზე კოშკი უნდა ამიშენო. მეც მოგეხმარები; ქვებს მოვზიდავ, კირს მოვზელ, ქვიშას მოვაგროვებ. ხომ ხედავ ამ კლდის კალთას, ყოველ წუთს მათი ნაბანი წყლით ირეცხება. მეც ყოველ დილით ამ შხეფებით დავიბან ხელ-პირს. ხალდეშურას წვეთები შეგვაერთებს ორ დაღუპულს და ერთს დატანჯულ ადამიანს. ასე სჯობს მამა, ასე კარგი იქნება.

ბექნუ გაშტერებული უყურებდა ენგურის აქაფებულ ტალღებს. ისინი აბობოქრებული ასკდებოდნენ კლდეს და ისევ უკან იჩქაროდნენ.

— კარგი, შვილო, იყოს შენი ნება! — ოხვრით თქვა ბექნუ პირველმა. მონადირემ მიაგულს მკლავზე ხელი მოჰკიდა.— მხოლოდ იცოდე, ჩემო სიცოცხლევ, — ნელა განაგრძო მან,— ცრემლს მოერიდე, ხომ იცი, ცრემლი ადამიანის გულს ჭამს.

ერთხელ კიდევ ჩამოთოვა ხევებში და ერთხელ კიდევ ამწვანდა გორაკების კალთები, როცა ბექნუ პირველმა მაღალქონგურებიანი კოშკი ააშენა. კლდეკალთაზე შემდგარს მის ფუძეს ბალავერი არ დასჭირებია. ჩრდილოეთიდან სახლიც მოადგა ბექნუმ, ალბათ თვითონაც უნდოდა ქალიშვილის ახლო ყოფილიყო.

მშვენიერი დილა-საღამო იცის ენგურის ხევმა. დილით ნაზი და თხელი ნისლი დაეყრება შფოთიან მდინარეს. კლდეებზე და ერთმანეთზე შეხლილი ტალღები ცას შხეფებს ლაღად ესვრიან. მის ცივ გიჟმაჟ ჩქერებში ტანზე ბროწეულდაყრილი თევზები ნავარდობენ. ამწვანებული მთები დილას და საღამოს მზის სხივებით ივსება. ჩრდილოეთით ცივი და მკაცრი ყინულიანი მწვერვალები დგას. გორაკებზე არყის ხეები, წიფელები და ფიჭვ-ნაძვები ცაში შეტყორცნილან.

ყოველ დილით და საღამოთი ჩამოდიოდა კოშკის კალთებთან მიაგულ. თავის თეთრ შხვართ თითებს ენგურის ტალღებში ჩაჰყოფდა და ფიქრს ეძლეოდა. მდინარის სიღრმეში ხანდახან კალმახები გაიელვებდნენ. თვალი უშტერდებოდა მაშინ მიაგულს. ენგურის აქოჩრილ ტალღებზე ჯერ თითქოს ჩრდილივით გაჩნდებოდა რაღაც, მერე ეს ჩრდილი შედედდებოდა და ოტიად იქცეოდა. ერთი შეტრიალდებოდა წყლის ზედაპირზე ოტიას აჩრდილი და მერე მისკენ ხელგაშვერილი წამოვიდოდა. მიაგულ წუხდა, მაგრამ მკლავს არ მიაშველებდა. ვაქკაცს ნაპირზე არ ამოიყვანდა, გვერდით არ მოისვამდა.

— ცოდვიანი კაცი ხარ, ორი ქალის სახე ჩაიდე გულში და ორივე დაგვღუპეო, — ჩურჩულებდა მიაგულ მაშინ.

დარინე თუ მოელანდებოდა, ხელს გაუწვდიდა, თავისკენ

მოიზიდავდა. მაშინ კოშკის ქონგურზე მიყურადებულ ბექნუს ესმოდა, თუ როგორ ესაუბრებოდა უხილავ დარინეს მისი ქალიშვილი.

***

საღამოს სადგომისაკენ წამოვედით, მწველავებს ქვაბები დაერეცხათ, მწყემსები ძროხებს მორეკავდნენ. გამოცდილი მწველავი სონია მარგველანი ძროხებს ცურებს ბანდა და წველას იწყებდა. სქელი, მსუქანი რძე ჩხრიალით ჩადიოდა ქვაბქოთნებში. ხბორებს ტკრციალა ქალიშვილები — პაპუ ხარძიანი, ფეფიკო და ნინა მარგველანები უვლიან. რა ფერის ხბორები არ ჰყავთ აქ. წაბლისფერი და შუბლთეთრა, ჭრელი და ურწყი წითელი. მომვლელები ხელოვნური საწოვრებიდან ასმევენ რძეს და, როცა ისინი დაკმაყოფილდებიან, გალაღებული დაკუნტრუშობენ ბალახზე.

მწველავები რძეს აღმრიცხველ ხუტა გულბანს აბარებენ. ყოველდღიურად იზრდება თვითეული ძროხის წველადობა. გულბანი აგიტატორიც არის. იგი გაზეთების ხმამაღალ კითხვას აწყობს, ქვეყნის ახალ ამბებს უყვება მწყემსებს და სხვადასხვა წიგნსაც უკითხავს.

საღამოს სულგუნის დამზადებას დავესწარით. დიდი სიფაქიზითა და გულისყურით აკეთებენ კალელი ქალიშვილები ამ საქმეს. ჭურჭელი თეთრად ქათქათებს და კრიალებს, სადგომში ყველის და კარაქის სასიამოვნო სუნი ტრიალებს.

ღამე ჩამოდგა, შხარას ყინულოვანი მწვერვალი ვარსკვლავეთში აზიდულა. აი, ცას ვარსკვლავი მოსწყდა, თითქოს შხარას წვერს დაეცა. ყინულის მსხვრევის ხმაც მოგვესმა. ეს ალბათ მომსკდარი ზვავი ჩაეშვა უფსკრულში.

ქალიშვილებმა სიმღერა წამოიწყეს. ეს სიმღერა ნაზად ეფინებოდა მთის კალთებს, მიჰყვებოდა ხალდეშურას ხევს და სადღაც შორს იკარგებოდა.

დილით საძოვრები დავტოვეთ და მესტიაში დავბრუნდით.

ს ა რ ჩ ე ვ ი

აკვნების ოსტატი . 3
მეეტლე და შვილიშვილი 11
აგრონომი 24
ბულბულების ტყე 39
ოქსანა 55
დავაჟკაცება 74
შუბლნათელი ვაჟკაცები 83
ყრმა ვალოდიას დარდი 93
ეთერილა 112
შიშველი ხმალი 124
საჩუქარი 136
ჭეშმარიტება 147
ოქროსა და ვერცხლის მარცვლის ამბავი . 155
კავკასიონის კალთებზე . . . 188

МАМИА АСАТИАНИ

Рассказы

(На грузинском языке)

Изд-во „Сабчота Мцерали"

* *

Типография изд-ва „Сабчота Мцерали"

19 Тбилиси 55

Плехановский, 181

* *

რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

გამ-ბის რედაქტორი თ. კოპლატაძე

მხატვარი თ. ასიტაშვილი

ტექრედაქტორი შ. დემეტრაძე

კორექტორი თ. იოსელიანი

* *

გადაეცა წარმოებას 17,X, 1955 წ., ხელ-
მოწერილია დასაბეჭდად 13,XII, 1955 წ.,
საალრიცხვო-საგამომცემლო ფ, 10,15 საავ-
ტორო 9,2, ანაწყობის ზომა 5,5×9, ქა-
ღალდის ზომა 84×108

ტირაჟი 4000, შეკვ. № 1029, უე 06750.

* *

გამ-ბა „საბჭოთა მწერალის" სტამბა

თბილისი, პლეხანოვის, 181

ფასი 5 მან.